



# შრომის ისტორია საქართველოში

---

ირაკლი ირემაძე  
გაბრიელ ჩუბინიძე  
ქეთი სართანია

# შრომის ისტორია სექტორზე

---

ირაკლი ირემაძე  
გაბრიელ ჩუბინიძე  
ქეთი სართანია

კავკასიური  
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS  
CAUCASIAN  
HOUSE

თბილისი  
2024

UDC (უაკ) 331(479.22)(09)  
0-765

პუბლიკაცია მომზადებულია კავკასიური სახლის მიერ  
ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით

იდეის ავტორი

ირაკლი ირემაძე

„კავკასიური სახლის“

აღმასრულებელი დირექტორი

პროექტის ხელმძღვანელი

ლევან ლორთქიფანიძე

„კავკასიური სახლის“

გამგეობის თავმჯდომარე

სამეცნიერო რედაქტორი და  
წინასიტყვაობის ავტორი

დიმიტრი შველიძე

ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი



პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები  
შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის  
ფონდის პოზიციას. დაუშვებელია ფონდის  
მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერი-  
ლობითი თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

© კავკასიური სახლი  
© Friedrich-Ebert-Stiftung

ISBN 978-9941-9756-6-0

## ს ა რჩ ე ვ ი

ნინათქმა წიგნისათვის „შრომის ისტორია საქართველოში“.....5  
ორიოდე სიტყვა „შრომის ისტორიის“ შესახებ.....12

### ნაწილი I | შრომის ისტორია 1870 წლიდან 1921 წლამდე

შრომის პოლიტიკა და მშრომელები 1870-1905 წლებში .....	19
სოციალ-დემოკრატები და საქართველოს მუშათა კლასი .....	33
შრომის პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში .....	43
პროფესიული კავშირები რესპუბლიკის პირობებში .....	48
შრომის პოლიტიკის რეფორმირება .....	52
სატარიფო პალატის შექმნა .....	55
პროფესიული კავშირები 1918-1921 წლებში: გაფიცვები და მუშათა მდგომარეობა .....	61
ახალი საკანონმდებლო ბაზა .....	81
მუშათა პოლიტიკური ორიენტაცია – ანტიბოლშევიკური განწყობები .....	84
მუშები რესპუბლიკის სადარაჯოზე .....	87
შეჯამება .....	92

### ნაწილი II | შრომა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესაუდლიკაში

შესავალი.....	103
პირველი წლები საბჭოთა ეკონომიკაში .....	105
საბჭოთა პროფესიული კავშირები .....	110
ქალები ახალ პოლიტიკურ წესრიგში .....	113
სტალინიზმი და ეკონომიკა .....	115
კოლექტივიზაცია .....	117
ინდუსტრიალიზაცია .....	121
რეპრესიები .....	133
მეორე მსოფლიო ომი .....	136
ომის შემდგომი პერიოდი .....	142
მეოთხე ხუთწლედი .....	144
ინდუსტრიის გიგანტი რუსთავი .....	145
ქუთაისის საავტომობილო ქარხანა .....	147

პოსტსტალინური პერიოდი და ელმავალმშენებელი ქარხანა ...	149
ახალი საბინაო პოლიტიკა.....	153
სანატორიუმები და დასვენება .....	156
ჩრდილოვანი და მეორეული ეკონომიკა.....	159
უძრაობის ხანა და „მიწერები“ .....	163
შრომა რესპუბლიკის საზღვრებს მიღმა .....	167
გარდაქმნის პოლიტიკა და საპაზრო ეკონომიკა.....	170
დასასრული .....	176

**ნაწილი III სახელმწიფოსა და მშრომელებს შორის:  
საქართველოს პროფესიული კავშირ(ებ)ის ისტორია 1989-2020**

სავალდებულო ერთიანობა.....	187
დამოუკიდებელი პროფესიონალის დაარსების მცდელობა	
საქართველოში .....	188
პირველი რეფორმები საქართველოს დამოუკიდებელ პროფესიონალში.....	194
საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონალის (კონფედერაციის) ყრილობები .....	203
საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონერების გაერთიანების ძირითად გამოწვევები 2000-2004 წწ. ....	214
შრომის პოლიტიკა „ვარდების რევოლუციამდე“ .....	217
შრომის პოლიტიკა და „ვარდების რევოლუცია“ .....	225
ლიბერალური დემოკრატიზაცია და 2006 წლის რეფორმები ..	231
შრომის ინსპექციის სამსახური .....	237
საზოგადოების განწყობები პროფესიონერების მიმართ .....	241
ახალი დამოუკიდებელი პროფესიონერების ფორმირება 2013-2020 წწ. ....	247
მეტროს (მემანქანეთა) პროფესიონალი – „ერთობა 2013“ .....	249
სერვისის სფეროს პროფესიონალი „სოლიდარობის ქსელი“ – „შრომა არ არის იოლი“ ....	253
სოციალურ მუშაქთა გაერთიანება (2019).....	258
აჭარის საზოგადოებრივი მაუნიებლის პროფესიონი (2020)....	262
სახელოვნებო პროფესიული კავშირი „გილდია“ (2020).....	265
პროფესიალების ახალი გაერთიანება და „ლირსეული შრომის პლატფორმა“ .....	270
შეჯამება .....	273

## ნიცათამა წიგნისათვის „შრომის ისტორია საქართველოში“

ბოლო რამდენიმე ათეული წელია საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპული თანამეგობრობის ღირსეული წევრის სტატუსს იმსახურებს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აღნიშნული მისწრაფების დასაბუთების მიზნით სხვადასხვა არგუმენტს იშველიერენ.

ბევრისთვის საქართველოს ევროპული იდენტობის საფუძველი დომინანტი რელიგიაა. საუკუნეების განმავლობაში ევროპის სხვა სახელმწიფოების მსგავსად საქართველოს ღირებულებათა სისტემის ქვაკუთხედიც ქრისტიანობა და მისი ეთიკური სტანდარტები გახლდათ. ქართული კულტურა და ლიტერატურა, სოციალური ურთიერთობები ქრისტიანობის ნიშნით არის აღბეჭდილი, რაც ევროპის ერებისა და საქართველოს საერთო გამოცდილებაზე მიანიშნებს.

რელიგიური არგუმენტების გარდა, ხშირად მოისმენთ მსჯელობას ერთიანი წარსულისა და ისტორიის შესახებ. საქართველო, როგორც ევროპის ნაწილი, ვითარდებოდა და ბერძნულ-რომაული სამყაროს გავლენით, ქართული ფეოდალიზმი თავისი სტრუქტურითა და შინაარსით ნამდვილად ენათესავებოდა ევროპულ იერარქიულ სისტემებს, განმანათლებლობის იდეებმაც გვიან, მაგრამ მაინც ჩამოაღწიეს კავკასიის რეგიონში და საქართველო მათი დაცვის მთავარი ასპარეზი გახლდათ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩვენს ქვეყანაშიც გამოჩნდა ურბანიზაციისა და

ინდუსტრიალიზაციის ნიშნები, რაც დასავლურ სამყაროს-თან სიახლვის უპირობო მტკიცებულებას წარმოადგენდა. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ თითქმის ყველა ის ისტორიული ეპოქა გამოიარა, რომელმაც თანამედროვე ევროპული თანამეგობრობის არსი განაპირობა. უბრალოდ, ჩვენი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისა და გეოპოლიტიკური ვითარების გამო რამდენიმე ნაბიჯით ყოველთვის ჩამოვრჩებოდით დასავლეთის მთავარ სახელმწიფოებს.

მოდერნის ხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა და ფუნქცია შეიძინა შრომამ, როგორც სოციალურმა ფენომენმა. შრომის ორგანიზება და დანაწილება, შრომის საზოგადოებრივი და ეკონომიკური დანიშნულება იქცა გარემოებად, რომელსაც შეეძლო განესაზღვრა კონკრეტული ხალხის ევროპული სივრცისადმი მიკუთვნებულობის საკითხი.

ბრიტანელი სოციოლოგის, ზიგმუნტ ბაუმანის წიგნში „თხევადი მოდერნულობა“ განხილულია შრომის უახლესი ისტორიის ის ორი ძირითადი ეტაპი, რომლებიც მეოცე საუკუნეში დასავლურმა სამყარომ განვლო.

პირველი ეტაპი ევროპის შრომით ურთიერთობებში დიდი ტრანსფორმაციების ხანა გახლდათ, რომელმაც შედეგად შრომისა და კაპიტალის ახალი ტიპის ურთიერთდამოკიდებულება მოიტანა.

„მშრომელები დამოკიდებულნი იყვნენ დამქირავებლებზე, რათა სასიცოცხლო საშუალებები მოეპოვებინათ. კაპიტალი კი დამოკიდებული იყო დაქირავებულებზე, რათა ზრდისა და განვითარებისთვის მიეღწია. ისინი ერთმანეთს მუდმივ მისამართზე ხვდებოდნენ, არც ერთს

შეეძლო ამ ადგილიდან გაქცევა – მასიური ქარხნის კე-დლები დახურული იყო და საერთო ციხეში იჭერდა ორივე პარტნიორს“ (ბაუმანი, 2019). ამგვარმა ურთიერთდამოკ-იდებულებამ საფუძველი ჩაუყარა სოციალური სახელმ-წიფოს არსებობას, რომლის მთავარ მიზნად კაპიტალის-ტური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ანომალიების აღმოფხვრა გამოცხადდა. სოციალური სახელმწიფო ცდი-ლობდა თავიდან აეცილებინა ის სოციალური კატასტრო-ფები, რომელთაც შეიძლება საფრთხე შეექმნათ კაპიტალ-ისა და შრომის ალიანსისთვის. „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულ ეკონომიკებში კაპიტალისტური ეპოქის თავდაპირველი არეულობა ჩანაცვლდა ძლიერი პროფესიონალურებით, კეთილდღეობის სახელმწიფოს გა-რანტიცითა და მასშტაბური კორპორაციებით“ (ბაუმანი, 2019). აღნიშნული სამი ინსტრუმენტის ერთობლიობამ შექმნა „რელატიური სტაბილურობის“ ერა – ნებისმიერ მსხვილ წარმოებაში დასაქმებულმა მუშამ იცოდა, რომ მის სამუშაო ადგილს წლობით არ დაემუქრებოდა საფრთხე, გაჩნდა საყოველთაო ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ჯანდაცვასა თუ საცხოვრისზე, ამუშავდა სოციალური დაცვის სხვა მექანიზმები.

დასავლურ სამყაროში შრომის უახლესი ისტორიის უკანასკნელი ეპოქა 1980-იან წლებში დადგა, როდესაც ნელ-ნელა ძალაში შევიდა „ვაშინგტონის კონსენსუსის“<sup>1</sup> შედეგად დადგენილი წესრიგი და უკიდურესად გააქტიურ-და ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი. „ვაშინგტო-

<sup>1</sup> პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების სარეკომენდაციო პაკეტი, რომელიც განვითარებადი და/ან კრიზისში მყოფი ქვეყნები-სათვის შეიმუშავეს ვაშინგტონში მოქმედმა ფინანსურმა ინსტიტუტებ-მა – მსოფლიო ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ამერიკის ფინანსთა სამინისტრომ.

ნის კონსენსუსის“ მთავარი საყრდენები გახლდათ: ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბაზრების დერეგულაცია და მთავრობის მიერ მართული ეკონომიკური აქტივების აგრესიული პრივატიზაცია. ნეო-ლიბერალური რეფორმების შედეგად გლობალურ ჩრდილოეთში ტრადიციული კავშირი შრომასა და კაპიტალს შორის დაირღვა, დემოკრატიული ინდუსტრიული საზოგადოების ნაცვლად დაიწყო იმგვარი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც გერმანელმა სოციოლოგმა ულრიხ ბეკმა „რისკების საზოგადოება“ (Risikogesellschaft) უწოდა. ეს არის საზოგადოება, სადაც დასუსტებული, სამოქმედო ბერკეტებისგან გაძარცვული სახელმწიფო ველარ ახერხებს ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური, სოციალური და ეკოლოგიური რისკებისგან ადამიანთა ჯგუფების დაზღვევას (Beck, 1986). შრომის დერეგულირებისა და კაპიტალის ექსტერიტორიულობის, მობილობის უმაღლესი დონის წყალობით ტრადიციული სამუშაო ადგილები ნადგურდება და „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ინაცვლებს. შრომით ურთიერთობებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დროებითი სამსახური. ადამიანები სამუშაო ადგილს სიცოცხლის განმავლობაში საშუალოდ 10-15-ჯერ იცვლიან, არასტაბილურობა ინვევს პროფესივშირების კრიზისს და მოქალაქეს კაპიტალის წინაშე ინდივიდუალურად, მარტოს უწევს მოქმედება. მაშასადამე, „რისკების საზოგადოებაში“ მშრომელს არ აქვს გარანტირებული სასიცოცხლო საშუალებები, მისი სოციალურ-ეკონომიკური პოზიციები და უფლებები არაკეთილ-საიმედოა, განუსაზღვრელია დასაქმებულის მომავალი და

ადამიანი, მისი საკუთრება, მისი სოციალური კავშირები სრულიად დაუცველია.

არც კეთილდღეობის სახელმწიფოს პერიოდში და არც „რისკების საზოგადოების“ ხანაში არ არსებობდა წინაპირობები შრომის იმ იდეალის განსახორციელებლად, რომელზეც ფრიც შუმახერი საუბრობს თავის საყოველთაოდ ცნობილ წიგნში „პატარა მშვენიერია“: „...შრომას სულ მცირე სამი ფუნქცია, სამი ამოცანა აქვს: (1) მისცეს ადამიანს თავისი შესაძლებლობების გამოყენებისა და განვითარების შანსი; (2) საერთო საქმეში თანამონაწილეობის გზით მისცეს ადამიანს საკუთარი ეგოცენტრულობის გადაღახვის საშუალება და (3) შექმნას ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი საქონელი თუ მომსახურეობა“ (Schumacher, 1973).

საინტერესოა, ჰგავს თუ არა საქართველოს შრომითი ურთიერთობების უახლესი ისტორია გზას, რომელსაც ბოლო 100-150 წლის განმავლობაში ევროპული სახელმწიფოები ადგანან; ანუ შრომითი ურთიერთობებისა და მათი ისტორიის თვალსაზრისით მიეკუთვნება თუ არა საქართველო ევროპას.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხების მოძებნაში დაგვეხმარება ირაკლი ირემაძის, გაბრიელ ჩუბინიძისა და ქეთი სართანიას თანაავტორობით გამოცემული პუბლიკაცია „შრომის ისტორია საქართველოში“, რომლის მომზადება ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და „კავკასიური სახლის“ თანამშრომლობის შედეგად მოხერხდა.

წიგნში სამი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პერიოდია აღნერილი:

თავდაპირველად, გაეცნობით საქართველოს დემოკ-

რატიული რესპუბლიკის გამოცდილებას, რომლის მიზანი გახლდათ ძლიერი, კეთილდღეობის სახელმწიფოსა და შესაბამისი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, პროფესიული მოძრაობის გაძლიერება და აგრარული საზოგადოების მოდერნიზება. ცხადია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება მხოლოდ დროის 3-4 წლიანი მონაკვეთით არ შემოიფარგლება. იგი აერთიანებს მეცნიერებას საუკუნის მიწურულს საქართველოში დაწყებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ტრადიციებსა და მიღწევებსაც.

წაიკითხავთ საბჭოთა წარსულის უცნობი ასპექტების შესახებ. თანამედროვე მკვლევრები განსაკუთრებული ვნებით იკვლევენ ბოლშევიკურ რეპრესიებს, სტალინის ბიოგრაფიის საიდუმლოებით მოცულ დეტალებს, დისიდენტური წინააღმდეგობის პირველ ნაბიჯებს, მაგრამ ფაქტობრივად ყოველთვის ავინწყდებათ მშრომელთა ბედის შესწავლა, უსწრაფესი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების დროს მუშათა კლასის მდგომარეობის ანალიზი. წიგნის „შრომის ისტორია საქართველოში“ მეორე ნაწილი აღნიშნული ნაპრალის ამოვსებას ცდილობს და საბჭოთა გარდაქმნებს მშრომელთა პერსპექტივიდან განიხილავს.

პუბლიკაციის უკანასკნელ თავში კი მიმოხილულია დეინდუსტრიალიზებულ საზოგადოებაში პრეკარიატის<sup>1</sup> წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები და წარმოჩენილია პროფესიული პირობების როლი თუ ფუნქცია პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პირობებში.

ვფიქრობ, პუბლიკაცია ახალგაზრდა მეცნიერებს, ის-

<sup>1</sup> სოციალური ფენა, რომელსაც არ აქვს სტაბილური სამუშაო, ცხოვრობს სიღარიბის მუდმივი რისკის ქვეშ, პრაქტიკულად არ აქვს სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და შენარჩუნების შანსი.

ტორიკოსებსა და სოციოლოგებს ახალი საკვლევი დარგების აღმოჩენაში დაეხმარება, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავ ავტორების, რედაქტორისა და პროექტის მხარდამჭერებისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაუმანი, ზიგმუნტ (2019) *თხევადი მოდერნულობა; ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონ-ალური ოფისი, თბილისი*.
2. Beck, U. (1986) *Risikogesellschaft. Auf dem Weg in eine andere Moderne*. Suhrkamp, Frankfurt am Main.
3. Schumacher, E. F. (1973) *Small Is Beautiful: A Study of Economics As If People Mattered*, Blond & Briggs.

ლევან ლორთქიფანიძე  
პოლიტოლოგი,  
„კავკასიური სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე

## ორიოდე სიტყვა „შრომის ისტორიის“ შესახებ

ნინამდებარე ნაშრომი ისტორიულად ვრცელ პერიოდს მოიცავს – 1870 წლიდან ვიდრე დღევანდელობამდე. იგი ოთხ დიდ ეპოქას აერთიანებს: I. 1870-1917 წლები; II. 1917-1921; III. 1921-1980-იანი წლები და IV. პოსტსაბჭოთა ანუ დამოუკიდებელი საქართველოს თანამედროვე 30-წლეული. საინტერესო რეტროსპექტივაა. ავტორთა ამგვარი ჩანაფიქრის მიხედვით შექმნილი ნინამდებარე ნაშრომი მკითხველს, ვინც არ უნდა იყოს იგი, საშუალებას აძლევს, ოთხი სხვადასხვა პერიოდისა და რეალობის შრომის ორგანიზაცია, ფორმები და შედეგები შეადაროს ერთმანეთს და შესაბამისი დასკვნები გამოიტანოს.

ნაშრომის პირველი ნაწილის პირველი ნახევარი შედარებით უკეთ შესწავლილი პერიოდია. ამ ხანის შრომა, მისი სახეები და ფორმები, შეიძლება, ერთი ტერმინით შევაფასოთ – შრომა და მისი შედეგები იყო ექსპლოატატორული. სწორედ შრომის ამგვარმა ექსპლოატატორულმა და არათანაბარმა განაწილებამ გამოიწვია სოციალური რევოლუციები, რომლებმაც საბოლოოდ დაამხო რუსეთის მონარქისტული იმპერია.

რაც შეეხება საქართველოს, ნაშრომის პირველი ნაწილის ავტორი ირაკლი ირემაძე შემთხვევით არ ამახვილებს ყურადღებას ქართველ სოციალ-დემოკრატებზე, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ საქართველოში რევოლუციურ მოძრაობას და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდნენ ქვეყნის როგორც მუშათა, ისე გლეხურ მოსახლეობაში. პოპულარობის მთავარი მიზეზი იყო შრომის ორგანიზაციის ძირეული გარდაქმნის დაპირება, რასაც სოციალ-დემოკრატები ლობირებდნენ.

უკვე 30 წელზე მეტია, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარეობს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის შესწავლის ინტენსიური პროცესი. არსებობს ნაშრომები დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, საკანონმდებლო, სამეურნეო, კულტურული თუ სოციალური და სხვა მხარეების შესახებ. ძნელია დასახელდეს რომელიმე ისეთი ასპექტი, ისტორიკოსთა კალამი მეტ-ნაკლებად მაინც რომ არ შეხებოდეს.

მაგრამ, მიუხედავად დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობისა, ჯერ კიდევ არის თემები, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის შეუსწავლელია. ერთ-ერთი მათგანი ასევე დაისმის წინამდებარე ნაშრომის პირველ ნაწილში – შრომის ისტორია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მეტისმეტი დროითი ხანმოკლეობის გამო 1918-1921 წლებში თითქმის ვერაფერი ვერ მოესწრო. ბოლომდე ვერცერთი პროექტი ვერ განხორციელდა. მაგრამ უამრავირამ კი დაიწყო და უამრავ საინტერესო დიდ საქმეს, სფეროს, მოვლენას ჩაეყარა საფუძველი. სწორედ ეს წამოწყებები გახლდათ პირველი ქართული რესპუბლიკის დიდი დამსახურება. უნიკალურ ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც, არც თუ გადაჭარბებული იქნება, ვთქვათ, რომ ნიმუშად გამოღვებოდა მომავალი ევროპისათვის, დასავლეთისათვის, – ამას უცხოელები ამბობდნენ და წერდნენ.

პირველი რესპუბლიკის ერთ-ერთი საყურადღებო წამოწყება გახლდათ შრომის ორგანიზაცია. სწორედ ამ პრობლემატიკას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომის პირველი ნაწილიც, რომელიც ირაკლი ირემაძის ავტორობითაა შესრულებული. ჩვენ მხოლოდ ნაშრომის რამდენიმე თავისებურებას და

ლირსებას აღვნიშნავთ და იმასაც შევეცდებით, მივანიშნოთ მკითხველს – რატომ უნდა წაიკითხოს ეს წიგნი.

ჯერ ერთი – ბევრი პარალელი არსებობს მაშინ-დელ და დღევანდელ საქართველოს შორის. დასაქმების პრობლემა და შრომის ორგანიზაცია წინანდელ და დღე-ვანდელ ვითარებაში მსგავსია. რა გზებით ცდილობდნენ მაშინდელი ქართველი ხელისუფლებები – შრომის, დასაქმებისა და ანაზღაურების პრობლემების გადაჭრას? რა შეიძლება მათი გამოცდილებიდან გამოიყენოს დღევანდელმა თუ შემდგომში მოსასვლელმა ქართულმა ხელისუფლებებმა? ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად წინამდებარე ნაშრომზე უკეთესს ვერაფერს წაიკითხავს დღევანდელი მკითხველი.

ნაშრომის პირველი ნაწილი თითქმის მთლიანად ეყრდნობა 1918-1921 წლების ისტორიის საარქივო და პრესის მასალებს, სტატიისტიკურ მონაცემებს, მთავრობის, ხელი-სუფლების სტრუქტურების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, პარტიების, სამრეწველო საწარმოებისა თუ სამეურნეო სექტორის მაშინდელ მონაცემებს, დოკუმენტებს და ა. შ.

ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, მას შემდეგ, რაც ისინი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, ერთგულად გააგრძელეს მოსახლეობის მშრომელი უმრავლესობის, ანუ ქალაქისა და სოფლის მუშების (გლეხობის) ინტერესების დაცვა. ამ სფეროს ცალკე არსებული – შრომისა და მომარაგების სამინისტრო კურირებდა.

ყველაზე დიდი სიახლე გახლდათ ძირეული რეფორმები, რომელიც მუშათა შრომის უფლებათა დაცვას ემსახურებოდა. უნიკალური იყო მუშათა დაცვა მრეწველთა

მხრიდან ნებისმიერი ნორმის გადახვევისაგან – ავადმყოფობის, მოხუცებულობის, განთავისუფლების შემთხვევაში. სახელგანთქმული გერმანელი პოლიტიკური თეორეტიკოსის, კარლ კაუცკის ყურადღება მიიპყრო და მის მიერ ევროპული კანონმდებლობისათვის სანიმუშოდ იქნა მიჩნეული საქართველოში შექმნილი ე. წ. სატარიფო პალატის ინსტიტუტი. ყურადღება მივაძიოთ ჩვენც, თანამედროვეებმა, რა შედიოდა სატარიფო პალატის ფუნქციებში: მუშათა ბაზრის მდგომარეობისა და ხელფასების შესწავლა; მუშათა მოთხოვნების, მათი კოლექტიური ხელშეკრულებების, საცხოვრებელი მინიმუმის გარკვევა; შრომის ნორმების დადგენა და გამომუშავების ნორმალიზაცია; ფასების გაძვირებასთან ბრძოლა და სხვა უამრავი დეტალი. ისიც საინტერესოა, რომ თვით პალატა პარიტეტული წარმომადგენლობით ირჩეოდა. ჩვენ აღარ მოვიყვანთ კაუცკის სიტყვებს სატარიფო პალატის შესახებ, რომელსაც იმოწმებს ნაშრომის ამ ნაწილის ავტორი ირაკლი ირემაძე.

ნაშრომის ამავე ნაწილში განხილულია აგრეთვე პირველი რესპუბლიკის დროს არსებული შრომის კანონმდებლობა, პროფესიური სიტყვების და სხვა საკითხები. ცალკე საუბრის თემაა საქართველოს მუშარი მოსახლეობის დიდი ერთგულება სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ხელისუფლებისადმი.

შრომის ორგანიზაცია საბჭოთა საქართველოში წარმოჩენილია ნაშრომის მეორე ნაწილში, რომლის ავტორია გაბრიელ ჩუბინიძე. ავტორი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა სანაში შრომა გახდა სახელმწიფოს მხრიდან მუშებისა და, ზოგადად, მშრომელი მოსახლეობის რეპრესიების გზით დამორჩილების იარაღი. მუშა გახდა „შრომითი ექსპლუ-

ატაციის“ სუბიექტი. თუმცა გ. ჩუბინიძე იმ გარემოება-საც აღნიშნავს, რომ ამგვარმა რეპრესიულმა პოლიტი-კამ „არნახული ეკონომიკური ზრდა“ გამოიწვია საბჭოთა სახელმწიფოსა და საქართველოში: „აიგო უამრავი ქარხ-ანა-ფაბრიკა და თითქმის არაფრისგან შეიქმნა მრავალი ინდუსტრიული დარგი და მიმართულება“.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, ცხადია, საინტერე-სო შრომის ორგანიზაციის ისეთი სფერო, როგორიცაა პროფესიული კავშირების როლი და მდგომარეობა თა-ნამედროვე საქართველოში. თუმცა სურათი, რომელსაც მესამე ნაწილის ავტორი ქეთევან სართანია წარმოგვიდ-გენს, არაა სანუგეშო და სახარბიელო. ავტორის დასკვნა დღევანდელი პროფესიონული რეალობის ამსახველია და დამაფიქრებელია.

მკითხველის წინაშეა მეტად საინტერესო კოლექტი-ური ნაშრომი. გავიმეორებთ, მას საშუალება ეძლევა, ერთი თვალის გადავლებით შეადაროს ოთხი დიდი ეპოქის შრომის ორგანიზაციის ისტორია და სათანადო დასკვნები გამოიტანოს, როგორც დღევანდელი საქართველოს მოქა-ლაქემ. ამ მხრივ წინამდებარე კვლევა ერთაირად აქტუალ-ურია როგორც სამეცნიერო, ისე სოციალურ-პოლიტიკუ-რი თვალსაზრისით.

### დიმიტრი შველიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ნაწილი |

შრომის ისტორია 1870 წლიდან 1921 წლამდე

---

ირაკლი ირემაძე



## შრომის პოლიტიკა და მორომავები 1870-1905 წლებში

1897 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, რუსეთის მოსახლეობის 17% ანუ 22 მილიონი ადამიანი მსუბუქ და მძიმე სამრეწველო შრომაში იყო ჩართული<sup>1</sup>. თუმცა ამავე დროს საქართველოში არათუ 1897 წელს, არამედ 20 წლის შემდეგ, 1917 წელსაც კი სამრეწველო სექტორში მოქალაქეების 10 პროცენტიც კი არ მონაწილეობდა. იგივე მაჩვენებელი იმპერიის დასავლეთ ნაწილში საქართველოსთან შედარებით 3-4-ჯერ უფრო მაღალი იყო<sup>2</sup>.

1870-1880-იან წლებამდე, ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანამდე, საქართველოში ინდუსტრიული დაწესებულებები და საშუალო მოცულების საწარმოები, ფაქტობრივად, არ არსებობდა. რკინიგზის მნიშვნელობის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი და XIX საუკუნის სოციალური ისტორიის მკვლევარი გრიგოლ გიორგაძე წერდა: „ახალმა მიმოსვლის საშუალებებმა შესაძლებელი გახადეს აღებ-მიცემობის და მრეწველობის განვითარება და, ამასთან დაკავშირებით ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც გააერთიანეს საქართველო. რომ დავაფასოთ ამ ფაქტორის გავლენა ცხოვრებაზე, საჭიროა გავითვალისწინოთ ის მიმოსვლის საშუალებანი, რომელიც შესცვალა რკინის გზამ. რკინის გზების გაყვანამდე საქართველო ნარმოადგენდა თავისთავად და

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, ობილისი, სახელგამი, 1928, გვ. 107

<sup>2</sup> კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიკური მდგრადი განვითარება, პარიზი, Institute for the study of the USSR, Paris, 1950, გვ. 87

შიგნითაც მიმოსვლის მხრით კარჩაკეტილ ქვეყანას. ცხენი და ურემი იყო ერთად-ერთი მიმოსვლის საშუალება, ხოლო ქარავნები სავაჭრო ტრანსპორტი<sup>1</sup>.

ინდუსტრიალიზაციის განვითარებას ხელი შეუწყოდასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი რკინიგზის გაყვანამ. რკინიგზამ გაამარტივა მობილობა რეგიონებს შორის, ათი ათასობით მოქალაქე სოფლებიდან ქალაქად გადაცხოვრდა და პროლეტარულ სამუშაოებში ჩაერთო. 1886 წელს თბილისის მოსახლეობა დაახლოებით 78 ათას კაცს შეადგენდა, 1897 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით კი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრში უკვე 160 ათასი კაცი ცხოვრობდა. ამავე პერიოდში ქუთაისის მოსახლეობა 22 ათასიდან 32 ათასამადე გაიზარდა, ბათუმისა – 14 803-დან 28 000-მდე<sup>2</sup>. 1886 წელს ქალაქად ცხოვრობდა მოსახლეობის 11.5%, 1897 წელს კი – 15.5%<sup>3</sup>.

1870-იან წლებამდე საქართველოში სამრეწველო დაწესებულებები, ფაქტობრივად, პრიმიტიულ დონეზე იდგა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულებაც მიზერული იყო. 1860-იან წლებში თბილისში ფუნქციონირებდა ორთქლის ძრავაზე მომუშავე 1 სადურგლო, რომელიც წლიურად 15 000 მანეთის ღირებულების პროდუქციას აწარმოებდა, ასევე ფუნქციონირებდა სპილენძის ჭურჭლის ქარხანა, რომლის მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება მხოლოდ 4 500 მანეთს აღწევდა. აქვე იყო ლუდის 1 ქარხანა, რომელიც ასევე 4 500 მანეთის

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 113

<sup>2</sup> იქვე, გვ. 152

<sup>3</sup> იქვე, გვ. 153

ლუდს აწარმოებდა. კავკასიის ცენტრში მოქმედებდა ტყავის 10 საწარმო, რომელთა მიერ წლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება 60 000 მანეთს ძლივს აღწევდა, საპნის 8 ქარხანა ჯამურად 17 000 მანეთის პროდუქციას უშვებდა ბაზარზე გასაყიდად. თბილისში მოქმედი აგურის 60 ქარხანა ჯამში 228 000 მანეთის სამშენებლო მასალას აწარმოებდა, თამბაქოს 7 ქარხანა კი 21 000 მანეთის პროდუქციას ამზადებდა<sup>1</sup>. ჯამში თბილისის საწარმოები ნახევარი მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციასაც კი ვერ აწარმოებდნენ. კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა სხვა ქალაქებს, მაგალითად, გორში სულ 13 საამქრო მოქმედებდა: ზეთის, თიხის ჭურჭლის, საღებავებისა და აგურის, რომლებიც საერთო ჯამში წლიურად 2 250 მანეთის ნაწარმს ძლივს უშვებდა.

პირველი დიდი საწარმო თბილისში 1865 წელს გაიხსნა ძმები მირზოევების მიერ. საწარმო სპეციალიზებული იყო ბამბის გადამუშავებაზე. საწარმოში, ძირითადად, ყმობისაგან ახლად განთავისუფლებული გლეხები დასაქმდნენ. როგორც სხვადასხვა წყაროდან ზუსტდება, საწარმოში მძიმე შრომითი პირობები იყო, რის გამოც 1872 და 1875 წლებში მუშათა გაფიცვებიც მოეწყო<sup>2</sup>. გაფიცვა, ფაქტობრივად, დაგმო იმ პერიოდში გამორჩეულმა ქართულმა უურნალმა „ივერიამ“ – „სასურველი კი იყო, რომ ჩვენში ამ პირველ დაწყებულ საქმეს ფეხი მოეკიდნა, მტკიცედ თავი შეემაგრებია ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის აქვე დასატრიალებლად და საზოგადოდ ქვეყნის გასამდიდრებლად. იმედი გვქონდა, რომ ჩვენს ფულიან კაცს გაპრიელ მინაიჩს

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 129-130

<sup>2</sup> იქვე, გვ. 130

სხვა ფულის პატრონებიც მიჰბაძავდნენ და სხვა და სხვა ქარხნები გაიმართებოდა, მაგრამ მის (გაფიცვის) მნახველი, სხვები უამისოდაც გაუბედავი ძნელათ თუ ამას იქით რამეს ამ გვარს გაბედავენ”.

მირზოევების სანარმოში განხორციელებული გაფიცვების შემდეგ, 1878 წელს, გაიფიცნენ გერმანელი კომერსანტის, ზაიცერის ფაბრიკის მუშები, რომლებიც აპროტესტებდნენ დამსაქმებლის მიერ სამუშაო ხანგრძლივობის 14 საათიდან 17 საათამდე თვითნებურად გაზრდას. საბოლოოდ, გაფიცვის მასშტაბურობიდან გამომდინარე, ზაიცერმა გაითვალისწინა მუშათა მოთხოვნები და 14-საათიანი სამუშაო დღის ხანგრძლივობა დააბრუნა. ზოგადად, 14-16-საათიანი სამუშაო დრო 1880-იანი წლების დასაწყისისათვის ჩვეული ტენდენცია იყო.

შემდეგი მასშტაბური გაფიცვა შედგა 1880 წელს უკვე ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. აქაც მუშები სამუშაო საათების შემცირებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ცდილობდნენ. საბოლოოდ, ეს გაფიცვა უშედეგოდ დასრულდა. 1889 წელს რკინიგზის მთავარ სახელოსნოში გაფიცვა კვლავ განმეორდა. ამავე წელს გაფიცვა მოეწყო ბათუმში, ნობელების ნავთობგადამუშავებელ ქარხანაში. თუმცა ეს გაფიცვები არ იყო მასშტაბური და მათ რაიმე შედეგი არ გამოულია<sup>2</sup>.

ბუნებრივი რესურსების პირველი შედარებით მასშტაბური მოპოვებითი საქმიანობა 1820-იან წლებში თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში, ჩატახსა და ალავერდში დაიწყო თუჯისა და სპილენძის საბადოებზე.

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 131

<sup>2</sup> იქვე, გვ. 493-494

მოპოვებითი სამუშაოები ჩატახში სულ 2 წელს გაგრძელდა, ხოლო ალავერდის სპილენძის საბადოები და ქარხანა დღესაც აქტიურია სომხეთის რესპუბლიკაში.

1873 წელს, საიმპერიო ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, თბილისის გუბერნიაში სულ 2 320 მუშა ირიცხებოდა, 1887 წელს კი – 6 107.

1887 წელს ქუთაისის გუბერნიაში 6 208 მუშა ითვლებოდა, ძირითადად, ბათუმსა და ჭიათურაში. 1894 წელს თბილისის გუბერნიაში მუშათა რაოდენობა 1887 წლის მონაცემებთან შედარებით გაორმაგდა და 12 500 კაცი შეადგინა, ამათგან 4 000 ამიერკავკასიის რეინიგზის მთავარ სახელოსნოში იყო დასაქმებული. 1892 წელს ქუთაისის გუბერნიაში 10 328 მუშა ირიცხებოდა, 1899 წელს კი – 14 335<sup>1</sup>. ქუთაისის გუბერნიაში მუშათა კონცენტრაციის ხუთი ძირითადი არეალი იყო: ბათუმისა და ფოთის ნავსადგურები, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობის ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნები, ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროები; ასობით მუშა იყო დასაქმებული ართვინის ოლქში არსებულ ძანძულის სპილენძის საბადოსა და ქარხანაშიც.

1886 წელს თბილისის გუბერნიაში 253 წვრილი ფაბრიკა-ქარხანა ფუნქციონირებდა, რომლებიც საშუალოდ 15 მუშას ასაქმებდა (ჯამში დაახლოებით 3 800 მუშას). ფაბრიკების მიერ წარმოებული პროდუქცია წლიურად საშუალოდ 4.7 მილიონი მანეთის ღირებულებისა იყო<sup>2</sup>. სანარმოო დარგებს შორის ყველაზე მეტი ღირებულების – 930 000 მანეთის – პროდუქციას 12 ტყავის ქარხანა აწარმოებ-

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 179

<sup>2</sup> იქვე, გვ. 132

და. ტყავის ქარხნებში 646 მუშა იყო დასაქმებული. მნიშვნელოვანი იყო თამბაქოს 8 ქარხანა 619 მუშითა და 670 000 მანეთის პროდუქციით. მესამე ადგილზე ჩითეულის მწარმოებელი ერთადერთი ქარხანა იდგა, რომელშიც, ყველაზე მეტი, 380 მუშა მუშაობდა. ქარხანა ნახევარი მიღიონი მანეთის პროდუქციას აწარმოებდა. რკინიგზის შპალების დამამზადებელი 1 ქარხანა 60 მუშას ასაქმებდა და 375 000 მანეთის პროდუქციას უშვებდა. თბილისის გუბერნიაში 10 ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა მუშაობდა 161 მუშით, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება 247 000 მანეთს უდრიდა. გერმანელების მიერ დაარსებული 5 ლუდის ქარხანა 239 000 მანეთის ლუდს აწარმოებდა. ყველაზე დიდი რაოდენობისა კი ხილის არყის მინიქარხნები ფუნქციონირებდა – 72, თუმცა მათში სულ 289 მუშა იყო დასაქმებული და პროდუქციის ღირებულებაც 44 600 მანეთს არ აღემატებოდა<sup>1</sup>.

ოფიციალური სტატისტიკით, 1885 წელს თფილისის გუბერნიაში მოქმედი ფაბრიკა-ქარხნების მიერ წარმოებული პროდუქციის მთლიანი ღირებულება 3.5 მილიონ მანეთს უდრიდა, 1886 წელს – 4.7-ს, 1887 წელს – 5 მილიონს. იგივე მაჩვენებელი იყო 1888 წელს, ხოლო 1889 წელს 20%-იანი ვარდნა დაფიქსირდა და ნაწარმის ღირებულებამ 4 მილიონი შეადგინა<sup>2</sup>. აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი ქარხნების დიდი ნაწილი ეროვნებით სომეხ კომერსანტებს ეკუთვნოდა, მცირე ნაწილი კი – რუს, ქართველ და გერმანელ მეწარმეებს.

1893-1896 წლებში საქართველოში აღრიცხული იყო

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 133-134

<sup>2</sup> იქვე, გვ. 134

27 695 ხელოსანი – მოსახლეობის 1.35%<sup>1</sup>. 1902 წელს თბილისში ყველაზე მეტი – 3 000-მდე მუშა – იყო დასაქმებული რკინიგზის მთავარ სახელოსნოში (1884 წლიდან მოყოლებული თბილისის სახელოსნოში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა, რადგანაც მუშები სარკინიგზო საკვანძო ქალაქებში – ხაშურში, ყვირილასა და სამტრედიაში – გადაანანილეს). ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანა ასაქმებდა 260 ადამიანს, 249 კაცი მუშაობდა თამბაქოს ქარხანა „მირ“-ში, ხოლო 136 – საფაროვის თამბაქოს ქარხანაში. 254 ადამიანი მუშაობდა ეფიანჯიანცის ფაბრიკაში, ადელხანოვის ტყავის ქარხნებსა და ქარვასლებში კი 300-ზე მეტი მუშა იყო დასაქმებული. თბილისში ათამდე სტამბა მოქმედებდა, რომლებშიც 500-ზე მეტი მუშა იყო დასაქმებული. 1902 წელს ბათუმის პორტსა და ნავთობქარხნებში 6 500-მდე მუშა იყო დასაქმებული<sup>2</sup>.

ტყიბულში, იმერეთის გუბერნიაში, 1840-იანი წლებიდან დაიწყო ქვანახშირის მოპოვება – ძირითადად, ნახევრად კუსტარული გზით. 1871 წლიდან კომერსანტმა ნოვოსოლიცევმა მისცა ტყიბულის ქვანახშირის წარმოებას სამრეწველო ფორმა. 1886 წელს ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით ქუთაისიდან ტყიბულში რკინიგზის გაყვანამ უფრო მეტად განავითარა ქალაქის სამრეწველო პოტენციალი: 1880 წელთან შედარებით 1900 წელს ტყიბულის ქვანახშირის წარმოება 13-ჯერ იყო გაზრდილი<sup>3</sup>.

1882 წელს ბათუმში პირველი დიდი ქარხანა გაიხსნა, რომელიც ნავთობისათვის თუნუქის პატარა ავზებს ამზა-

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 126

<sup>2</sup> იქვე, გვ. 180-181

<sup>3</sup> იქვე, გვ. 137-138

დებდა. წარმოების წამომწყები პალაშოვსკი იყო, რომელიც მალე ცნობილმა კომერსანტმა როგორილდმა ჩაანაცვლა. 1884 წელს ამუშავდა გერმანელი კომერსანტის, რიხტერის თუნუქის ქარხანა, 1886 წელს კი ცნობილმა თბილისელმა კომერსანტმა მანთაშევმა გახსნა ბათუმში ნავთობის გადამამუშავებელი ქარხანა. 1890 წელს ქალაქში უკვე 10 დიდი ქარხანა მუშაობდა, რომელთა მიერ წარმოებული ნავთის, მისი ჩასასხმელი თუნუქისა და ხის ყუთების ღირებულება 26 600 000 მანეთს აღემატებოდა. 1990 წლისათვის ბათუმში ისეთი დიდი კომერსანტები მოქმედებდნენ, როგორებიც იყვნენ როგორილდებისა და ნობელების ოჯახები. ბაქოს ნავთობის ტრანზიტის გამო ბათუმში ნამდვილი კომერციული ბუმი იდგა, ბათუმის პორტში მოძრავი საქონლის ღირებულება კი წლიურად 90 მილიონ მანეთს აღემატებოდა. ბათუმი დაიფარა ნავთობის რეზერვუარებით, ქალაქი 18 დიდი კომპანიის საქმიანობის არეალად იქცა<sup>1</sup>. ქალაქში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა მუდმივად იცვლებოდა, პიკის დროს მათი რაოდენობა 7 000 ადამიანს აღემატებოდა.

1879 წელს ქუთაისის გუბერნიაში, ჭიათურაში დაიწყო მადნებიდან შავი ქვის – იგივე მანგანუმის ამოლება. წარმოების დაწყების იდეის ავტორი აკაკი წერეთელი იყო, რომლის იდეებსაც თავდაპირველად მისივე ახლობლები და ოჯახის წევრებიც კი დასცინოდნენ. 1880-იან წლებში, ევროპაში მძიმე მეტალურგიული ინდუსტრიის ტემპების ზრდის ფონზე, ჭიათურის მანგანუმისადმი ინტერესი არაერთ ევროპულ ფირმას გაუჩნდა. მალევე ჭიათურაში გერმანული, ფრანგული და იტალიური კომპანიები გამოჩნდ-

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 142-144

ნენ. ჭიათურაში წარმოების ტემპი, 1884-1888 წლებთან შედარებით, 1904-1908 წლებში დაახლოებით 15-ჯერ გაიზარდა, 1900 წლისთვის ჭიათურაში 3 700-ზე მეტი მუშა იყო დასაქმებული<sup>1</sup>.

მუშათა მდგომარეობა 1890-იანი წლების ბოლოსაც კი უმძიმესი იყო. თავად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორიც წერდა მუშათა მძიმე მდგომარეობის შესახებ თავის საიდუმლო მოხსენებებში – „სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ბათუმის მნარმოებლები არ იჩენენ არავითარ სურვილს რამდენიმეთ მაინც გააუმჯობესონ მუშების მდგომარეობა. მუშებს არ აქვთ საექიმო დახმარება; მხოლოდ ზოგ ქარხანაში კვირაში ერთხელ ჩამოივლის ექიმი. მუშების დაქირავების ვადა ერთი კვირაა, თუმცა მუშების უმეტესობა რამდენიმე წელიწადს მუშაობს ქარხანაში. მუშაობის პირობები ძლიერ ანტიჰიგიენურია. საჭმელ-სასმელი ძეირი და არა ნოყიერია. იმ მუშების მდგომარეობა რომელნიც ქარხნის გარეთ მუშაობენ, კიდევ უარესია. ასე „მანთაშეის“ და „კასპიის შავი ზღვის საზოგადოება“-ში. სხვა ქარხნებში მდგომარეობა უფრო ცუდია. პატარა ქარხნებში მუშები ცხოვრობენ იმ ცივ ხის სარდაფებში, სადაც მანქანებია მოთავსებული. საექიმო დახმარება არავითარი არ აქვთ“<sup>2</sup>.

კიდევ უფრო რთული იყო ჭიათურელი მაღაროების მდგომარეობა, რის შესახებაც გრიგოლ გიორგაძე თავის ნაშრომში მუშა ლადიმე თოდრიას მოგონებებით მოვითხრობს: „მაღაროს მუშების და აგრეთვე გადმომზიდველი ჩაღვარდების მუშაობის დრო განსაზღვრული არ იყო,

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 146-148

<sup>2</sup> იქვე, გვ. 182

მუშაობა გრძელდებოდა 16-18 საათს დღეში. ერთი კუბი საჟენი მარგანეცის დამუშავებაში ე. ი. მოთხრა, გადმოზიდვა, განმენდა და გარეცხვა, მუშას ეძლეოდა 25-30 მანეთამდე. მერე არ იკითხავთ, როგორი საჟენი უნდა ყოფილიყო? იქაური ჯოხისაგან გამოჭრილი არშინი შეიცავდა 22 ვერშოქს („არსენას არშინი“). ასეთი არშინით იზომებოდა იქაური საჟენი, რომელიც სინამდვილეში იყო საჟენ-ნახევარი, თვითეულ მუშას დღიურათ 18 საათის მუშაობით უჯდებოდა ექვსი შაური ან არა უმეტეს ორი აპაზისა<sup>1</sup>.

ჭიათურის მაღაროებში არსებულ მძიმე მდგომარეობას დეტალურად აღნერს მუშა ვალიკო ჩუბინიძე – „1903 წელს, როცა ჭიათურის ყველა მადნის მუშამ და ჩაღვა-დარმაც დიდ გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო, დაირაზმა, სასწორები დაწვა, კანტორებიც მიღენ-მოღენა და მოითხოვა: „1. ყველა დაწესებულებებში იყოს შემოღებული რვა საათის სამუშაო დღე; 2. აიკრძალოს თვრამეტ წლამდის მოზრდილების მუშაობა შავი ქვის წარმოეპაში; 3. მოისპოს ყოველივე „სკიდეკა“ და წონა სრულად იქნეს ჩანერილი საანგარიშო წიგნაკებში და გირვანქებიც კი ჩაიწერესო; 4. მოისპოს ყოველგვარი ნარდი მუშაობა და იქნეს შემოღებული დღიური სადაც ნარდით მუშაობენ; 5. დღიური ქირის „მინიმუმი“ ანუ უკანასკნელი ქირა არ უნდა დავიდეს ქვემოდ ნაჩვენებ რიცხვზე: ა) ყელისმჭრელთათვის ორი მანეთი, ბ) გამომტანთათვის (მეტაჭკეები) მანეთი ნახევარი, გ) გარჩევისათვის ანუ გარეთ მომუშავეთ ერთი მანეთი, დ) დამტვირთველებისათვის ორი მანეთი, ანუ თითო ვაგონის დატვირთვაში; დახურულისა ორი მანეთი, დაუხურავისა 1

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 183

მან. და 20 კაპ., დაუხურავისათვის როდესაც ტაჭკით ამ-სებენ 1 მან და 50 კაპ.; 2) მანდნებიდან ერთი ფუთი ქვის ჩამოტანა სასყიდლათ არ უნდა დავიდეს 2 კაპეიკს ქვევით.

6) უქმე დღეობით მუშაობაში უნდა ეძლეოდეს დღე ნახ-ევარის ქირა: ა) ზედმეტი მუშაობისათვის საათში უნდა ეძლეოდეს საათნახევრის ქირა. 7) მადნებში ჯანმრთელი სადგომების აშენება იაფ-ფასიანი სასადილოებით და სამ-კითხველო საკვირაო შეკვეთით, სადგომების რიცხვი სავსე-ბით უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნილებას, ე.ი. მთლად იტევდეს იმ მომუშავეებს. 8) თავლებისა და მათ სიახ-ლოვეს ჩალანდრებისათვის ჰიგიენური სადგომების აშენ-ება. 9) საჭირო სამუშაო იარაღი უნდა იყოს წარმოებისა და როდესაც შეკეთება დასჭირდება მნარმოებლებმა უნდა შეაკეთოს თავის ხარჯი. 10) მკაცრი ყურადღება იქნეს მიქცეული მთავრობისაგან ტუნელების გარიგებაზე. 11) ტუნელში საუკეთესო სისტემის ლამპები იქნეს შემოლებუ-ლი, რომ ისედაც დახშულ ჰაერს არ ახშობდენ მყრალი მბო-ლავი ლამპებით. 12) ყველა შავი ქვის მომუშავეს მოგვეცეს ქუდი, ტანთსაცმელი და ფეხთ-საცმელი მნარმოებლები-საგან. 13) ნამუშევარი ფული მოგვეცეს შაბათობით და ისიც სამუშაო დროის ანგარიშით, ე. ი. არა უგვიანეს სადა-მოს ხუთი საათისა. 14) დაზღვეულ იქნეს მუშები, ჩალანდ-რები და სხვა. 15) მადნების მახლობლათ გაყვანილი იქნეს სუფთა სასმელი წყალი. 16) მოისპოს სასყიდელი აბანოთი სარგებლობაზე მუშებისთვის და გაიხსნას ერთი აბანოც ჭიათურაში. 17) სასტიკი ყურადღება იქნეს მიქცეული საა-ვათმყოფოზე და დაუყოვნებლივ იქნეს გამოცვლილი ექიმი და სმოტრიტელი, როგორც არა აღმასრულებელი თავისი მოვალეობისა და უდიერად მომპყობნი ავათმყოფებთან.

18) აგრეთვე სასტიკი ყურადღება იქნეს მიქცეული აბანოზე, რომ დანიშნულ დროზე მაინც მუშაობდეს და რიგზე ქონდეს, როგორც ცივი, აგრეთვე ცხელი წყალი. 19) დანიშნულ იქნეს განსაკუთრებით ჭიათურის რაიონში საფაპრიკ ინსტიტორი<sup>1</sup>. გაფიცვის შემდეგ გაიხსნა იაფიანი სასადილო და გაუმჯობესდა აბანოს პირობები, ასევე მცირედით გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, სხვა მხრივ კი თითქმის ყველაფერი უცვლელად დარჩა.

ამიერკავკასიის რკინიგზაში, რომელიც ყველაზე მეტ მუშას ასაქმებდა იმ დროისთვის, ასევე მძიმე სამუშაო პირობები იყო. 1898 წლის დეკემბერში რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მუშათა დიდი გაფიცვა დაიწყო. გრიგოლ გიორგაძე 1898 წლის გაფიცვის შესახებ წერდა – „სანამ ამიერ. – კავკასიის რკინის გზა იმყოფებოდა კერძო საზოგადოების ხელში, მუშა-ხელოსნები იმყოფებოდენ უკეთეს პირობებში ხელფასის მხრით. 1898 წელს მთავრობამ, რომლის ხელში ამ დროს იმყოფებოდა აღნიშნული რკინის გზა, მოსპო ის შეღავათები და დახმარება, რომელსაც რკინი გზის მუშა ხელოსნები იღებდნენ“<sup>2</sup>. 14 დეკემბერს დაიწყო გაფიცვა, მასში მონაწილეობა მუშათა 80%-ზე მეტმა მიიღო. 16 დეკემბერს პოლიციამ დააპატიმრა რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მომუშავე 76 ადამიანი. ხელისუფლებამ კი მუშებს გაფიცვის შესაწყვეტად დრო 21 დეკემბრამდე მისცა. გაფიცული მუშები იძულებული გახდნენ, გაფიცვა შეეწყვიტათ, რკინიგზის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ვედენეევი ეწინააღმდეგებოდა გაფიცულთათ-

<sup>1</sup> ვალიკო ჩუბინიძე, მოგონება 1905 წლიდან 1921 წლის 15 მარტამდე, პარიზი, 1938, გვ. 9-10

<sup>2</sup> გრიგოლ გიორგაძე, თვითმცყრობელობა და რევოლუცია: საბუთები რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიისთვის საქართველოში 1870-1902, თბილისი, სახელგამი, 1929, გვ. 130

ვის განაცდური დღეების ანაზღაურებას<sup>1</sup>. საბოლოოდ, დეპოდან დაკავებულ მუშებთან ერთად გაფიცვის მეთაური 19 მუშაც დაითხოვეს<sup>2</sup>.

1900 წელს სოციალ-დემოკრატთა ორგანიზებით გაფიცვა მოაწყვეს რკინიგზის მუშებმა. წამოაყენეს მოთხოვნებიც – ა) ხელფასების გაზრდა 30-50%-ით, ბ) ზეგანაკვეთური სამუშაოს მოსპობა, გ) ხელფასების კვირაში ორჯერ დარიგება, დ) ადამიანური და ზრდილობიანი მოპყრობა, ე) პიგიენური პირობების გაუმჯობესება<sup>3</sup>. სახელოსნომ მოთხოვნათა უდიდესი ნაწილი არ გაიზიარა.

გაფიცვა 1900 წლის პირველ აგვისტოს დაიწყო, თუმცა მზადება ივლისის თვეში აქტიურად მიმდინარეობდა. მზადების პროცესშივე თბილისის გუბერნიის პოლიციამ და რკინიგზის ჟანდარმერიამ 68 მუშა და ზეინკალი დაპატიმრა, ძირითადად, პოლიტიკურად აქტიურები<sup>4</sup>. 1900 წლის 3 აგვისტოს რკინიგზის სახელოსნოში მომუშავე 2 265 მუშიდან სამუშაო ადგილზე მხოლოდ 257 გამოცხადდა<sup>5</sup>. გაფიცულებმა 1904 წლის 4 აგვისტოს თავიანთი მოთხოვნები უფრო მკაფიოდ და პუნქტობრივად წარადგინეს: „1. საღამოობით ზედმეტი მუშაობის მოსპობა რაც თეორიულადაც მიღებულია (10 საათიანი სამუშაო დრო), 2. დღიური ხელფასის მომატება: ვინც 1 მანეთამდე იღებს 50%-ით, ვინც

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია: საბუთები რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიისთვის საქართველოში 1870-1902, თბილისი, სახელგამი, 1929, გვ. 142-143

<sup>2</sup> იქვე, გვ. 147

<sup>3</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 183

<sup>4</sup> გრიგოლ გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია: საბუთები რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიისთვის საქართველოში 1870-1902, თბილისი, სახელგამი, 1929, გვ. 161-162

<sup>5</sup> იქვე, გვ. 166

1 მანეთზე მეტს იღებს – 30%-ით. 3) სააკორდო მუშაობისათვის ხელფასის მომატება, დღიური ხელფასის პროპორციულად გადიდების მიხედვით. 4) ერთი დღიდან სამ დღემდე მუშაობის გამოტოვისათვის დაჯარიმების მოსპობა. 5) თვეში ორჯერ სამუშაო ტანისამოსის მიცემა. 6) უფროს ხელოსნებს და პრიგადირებს უსათუოდ აეკრძალოს მუშებისადმი უხეში მოპყრობა. 7) მუშაობის დროს გიგინურ-პირობების დაცვა. 8) ამ ჩვენ მოთხოვნილებებზე პასუხის გამოცხადება მუშათა რაიონებში. 9) დაპატიმრებულ ამხანაგების გათავისუფლება”.

მოთხოვნების საპასუხოდ უანდარმერიამ მუშების მასობრივი დაპატიმრება დაიწყო. 16 აგვისტოს გაფიცვების 16 აქტიური მონაწილე დააკავეს, 37 მუშა გაასამართლეს, გაფიცვის მოთხოვნებიდან კი მხოლოდ მცირედი დააკმაყოფილეს.

რუსეთის იმპერიაში 1903 წლამდე შრომის რეგულირების 7 კანონი იქნა მიღებული: 1882 წელს მცირენლოვანთა (12 წლამდე) შრომა აიკრძალა, 1885 წლის კანონით – ქალებისა და ბავშვების მუშაობა ღამით, 1890 წელს მცირენლოვნებისა და ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის მიიღეს ახალი კანონი, 1897 წელს სამუშაო საათების ხანგრძლივობის შესახებ დაზუსტდა კანონი, 1903 წელს კი ორი კანონი მიიღეს შრომის ადგილზე დაზიანების შემთხვევაში კომპენსაციების გაცემის შესახებ. ეს კანონები არეგულირებდა ნორმებს, 12-15 წლის მოზარდებისათვის მაქსიმალური სამუშაოს ხანგრძლივობა უნდა ყოფილიყო 8 საათი. თუმცა შემდეგ წლებში გამონაკლისის სახით

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია: საბუთები რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიისთვის საქართველოში 1870-1902, თბილისი, სახელგამი, 1929, გვ. 67

გამოცემული დეკრეტების ხარჯზე მრეწველები 10 ნლი-დან ასაქმებდნენ ბავშვებს, ამუშავებდნენ ღამით 4 საათს, ხოლო დღისით, 8 საათის ნაცვლად, ამუშავებდნენ 9 საათს. ფაბრიკა-ქარხნებში საშუალოდ 11.5 საათს მუშაობდნენ, ხშირად უქმე დღეებსაც არ ასვენებდნენ. 1903 ნლის კანონებიც საბოლოოდ დარედაქტირდა და ამიერიდან შრომის ადგილზე ტრავმის შედეგად შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მუშა კომპენსაციად ხელფასის 1/3-ს ან 2/3-ს იღებდა<sup>1</sup>. კანონი ადგენდა გამონაკლისებსაც: ის არ ვრცელდებოდა მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაზე, რკინიგზასა და ხელოსნობაზე. საწარმოო ტრავმების უდიდესი ნაწილი კი რკინიგზაზე მოდიოდა<sup>2</sup>.

## სოციალ-დემოკრატიკი და საქართველოს მუშაოთა კლასი

1890-1900-იან ნლებში ბათუმში, ჭიათურასა და თბილისში გაფიცული მუშები ხელისუფლებასთან ერთად სოციალ-დემოკრატებს მიმართავდნენ დახმარებისათვის. ხშირად გაფიცვები თავად პარტიის მიერ იყო ინსპირირებული.

ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა 1892 წელს დაიბადა, საწყის ეტაპზე ის ახალგაზრდა ინტელექტუალების პატარა წრეს არ გასცდენია. სოციალ-დემოკრატიისათვის სამიზნე სოციალური ჯგუფები – მუშები – იმხანად ისედაც შეზღუდული რაოდენობით

---

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905, თბილისი, სახელგამი, 1928, გვ. 188-189

<sup>2</sup> იქვე, გვ. 190

იყვნენ საქართველოში. ამას ემატებოდა საიმპერიო რე-უიმის მიერ მუდმივი მეთვალყურეობა და დევნა. თავად სოციალ-დემოკრატებსაც არ გააჩნდათ მუშებთან კომუნიკაციის გამოცდილება და სოციალ-დემოკრატიკისა და მუშათა ურთიერთობის შესახებ ბევრი რამ მხოლოდ თეორიულ დონეზე გაეგოთ. მხოლოდ 1890-იანი წლების შუა პერიოდიდან მოახერხეს სოციალ-დემოკრატებმა მუშათა შორის პარტიული ორგანიზაციების ფორმირება. თავდაპირველად ამგვარი ორგანიზაციები შეიქმნა თბილისში, რკინიგზის მთავარ სახელოსნოში, თამბაქოსა და ტყავის ფაბრიკებში. ამ დროისთვის სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ, მუშებისათვის ესწავლებინათ წერა-კითხვა და გაეცნოთ მათთვის მარქსისა და ლასალის იდეები<sup>1</sup>. ბათუმში სანარმოო დაწესებულებებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა პარტიის ორ დამფუძნებელს, ნიკოლოზ ჩხეიძესა და ისიდორე რამიშვილს დაევალა, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი საქმეს. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მუშათა შორის დიდი გავლენით სარგებლობდა და მუდამ გაფიცვების ავანგარდში იდგა.

სოციალ-დემოკრატები საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული უწევდნენ ორგანიზებას 1-ელი მაისის დღესასწაულსაც. მათ მიერ ორგანიზებული მუშათა გაფიცვები დროდადრო იჩენდა თავს 1900 წლის შემდეგაც. 1902 წელს ბათუმში ნავთობგადამამუშავებელ და ნავთობის ჩამოსასხმელი ჭურჭლის ქარხნებში დაწყებული გაფიცვები მუშებისთვის მძიმედ დასრულდა – ბათუმის ოლქის

<sup>1</sup> ზაქარია ჩიჩუა (შემდგენელი), საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მოკლე ისტორია. პარიზი, საქართველოს ს.-დემ, მ. პ. საზღვ.-გარ. ბიუროს გამომცემლობა, 1933, გვ. 12-13

გენერალ-გუბერნატორმა ათასობით მუშა გააძევა ქა-ლაქიდან, მათი აბსოლუტური უმრავლესობა გურიის სოფ-ლებიდან იყო. ბათუმიდან გაძევებული მუშები 1902-1905 წლებში გურიაში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში აღმოჩნდნენ სოციალ-დემოკრატ მასნავ-ლებლებსა და გლეხებთან ერთად.

საქართველოს მუშათა კლასი 1905 წლის რევო-ლუციური მოძრაობის სათავეში მოექცა თბილისში, ბათუმში, ჭიათურასა და გურიაში. თბილისში მუშებ-მა უდიდესი გავლენა მოიპოვეს, განსაკუთრებით, კა-ვკასიის ცენტრში სომხურ-აზერბაიჯანული სამოქა-ლაქო დაპირისპირების ჩაცხრობის შემდეგ. მუშებმა სოციალ-დემოკრატთა მეთაურობით მოახერხეს სისხ-ლიანი დაპირისპირებების აღკვეთა. თუმცა 1906-1907 წლებში რევოლუციური მოძრაობა დამარცხდა, ათო-ბით მუშა-რევოლუციონერი რეპრესიების ქვეშ აღმოჩნ-და, მათი საკმაო ნაწილი გადაასახლეს კიდევ რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში.

რევოლუციური პროცესების შემდეგ, 1905 წლის შე-მოდგომაზე იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ გამოსცა არ-აერთი დეკრეტი, რომლებითაც მოქალაქეებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები გაუფართოვდათ. მათ შორის იყო დეკრეტების სერია, რომლითაც მოქალაქეებს შეე-ძლოთ პროფესიული, პოლიტიკური და, ზოგადად, საზო-გადოებრივი ორგანიზაციების შექმნა. 1905 წლიდან შე-მოღებულ იქნა იმპერიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – სახელმწიფო სათათბირო – „დუმა“. 1906 წლი-დან მუშებმა სოციალ-დემოკრატთა დახმარებით დაიწყეს პროფესიული გაერთიანებების ჩამოყალიბება, რომლებიც

ორიენტირებული იყო მათი უფლებების დაცვისაკენ. 1907 წელს ქალაქ თბილისში მუშათა 28 პროფესიონალი არსებობდა, რომლებიც 13 000 მუშას აერთიანებდა. მუშებმა საწევრო შენატანების საფუძველზე სოციალ-დემოკრატების დახმარებით მანამდე არსებული არალეგალური საგანმანათლებლო წრეების ნაცვლად დაარსეს მუშათა სახალხო უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები და წერა-კითხვის შემსწავლელი კურსები. 1907 წლის მინურულს საიმპერიო ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, კონტრრევოლუცია წამოიწყო, მანამდე დათმობილი უფლებები და შეზღუდვების მოხსნა წარსულს ჩაბარდა, რეჟიმმა გააქტიურა საიდუმლო პოლიცია, განსაკუთრებით ანტისისტემური გაერთიანებების მიმართ. 1908 წლიდან ლეგალური პროფესიონები დასუსტდა და დაიშალა, მუშებმა კი თავიანთი უფლებებისა და სოციალური გარდაქმნებისათვის ბრძოლა კვლავ ფარულად და რადიკალური მოქმედებებით გააგრძელეს. 1908 წლისათვის პროფესიულ გაერთიანებებში მუშათა მცირე ნაწილი იყრიდა თავს და მათი საქმიანობაც მუდმივად დევნისა და შევიწროების საფრთხის ქვეშ მიმდინარეობდა<sup>1</sup>.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში, ფაქტობრივად, ჩამოშალა საიმპერიო რეჟიმი, მათ შორის საიმპერიო შრომის პოლიტიკაც. რევოლუციის შემდეგ ძალაუფლება ჯარისკაცებსა და გლეხებთან ერთად ხელში, ძირითადად, სწორედ მუშათა კლასმა აიღო. რევოლუციის შემდეგ, მართალია, ფორმალურად ძალაუფლება დროებით მთავრობას ეპყრა, თუმცა რეალური ძალაუფლება,

<sup>1</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 265-266

ძირითადად, მუშებსა და ჯარისკაცებს ჰქონდათ, როგორც  
დედაქალაქ პეტერბურგში, ასევე იმპერიის განაპირა მხა-  
რეებში. 1917 წლის მარტში, რევოლუციიდან სულ რამდენ-  
იმე დღეში, დროებითმა მთავრობამ, რომლებშიც მუშათა  
მხარდამჭერი პოლიტიკური ძალები მრავლად შედიოდა,  
მიიღო დებულება, რომლის ძალითაც რუსეთში შემოღე-  
ბული იქნა 8-საათიანი სამუშაო დღე. ახალმა დებულებამ  
შრომის ახალი სტანდარტებიც დააკანონა. 1917 წლის თე-  
ბერვლის რევოლუციის მონაპოვრის შესახებ ჭიათურელი  
მუშა ვალიკო ჩუბინიძე წერდა – „1917 წლის რევოლუცი-  
ისა და განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებელ  
რესპუბლიკის განმტკიცების შემდეგ ჭიათურის მუშებმა  
ყოველგვარი უშუალო ბრძოლის გარეშე მოიპოვეს მათ-  
თვის სასურველი პირობები: რვა საათის სამუშაო დღე  
კანონათ იქცა. ამას გარდა მუშებს უფასოდ ეძლეოდა  
სპეციალური ტანსაცმელი ორჯერ წელიწადში და ყვე-  
ლაფერი ის, რაც 1913 წლის გაფიცვაში იქნა მოგებული  
და რაც ზემოდ ჩამოვთვალეთ“<sup>1</sup>. ახალი შრომის სტან-  
დარტების შესახებ ქართულ პრესაში მრავლად გაჩნდა  
სტატიები. მუშათა წრეების ყველაზე აქტიური მხარ-  
დამჭერი და ორგანიზატორი სოციალ-დემოკრატიული  
პარტიის გაზეთი „ერთობა“ ახალი შრომის დებულების  
შესახებ წერდა – „ამ ორი კვირის ნინ ჩვენ ფიქრადაც არ  
მოგვივიდოდა, რომ ასე მაღე განვთავისუფლდებოდით  
აუტანელ მეფის და მისი დამქაშების ბატონობიდან, ამგ-  
ვარადვე ძნელი წარმოსადგენი იყო 8 საათის სამუშაო  
დღის განხორციელება. მაგრამ დღეს ერთიც და მეორეც  
სინამდვილეა. ერთიც და მეორეც განხორციელდა რევო-

<sup>1</sup> ვალიკო ჩუბინიძე, მოგონება 1905 წლიდან 1921 წლის 15 მარტამ-  
დე. პარიზი, 1938, გვ. 21-22

ლუციონერი ხალხის მოთხოვნით. რგა საათიანი სამუშაო დღე მინისტრის ბრძანებით შემოღებულია ყველა რეინის გზაზე. ასე რომ მაღლე მთელ რუსეთში ეს გამარჯვება ფაქტიურათ ყველგან დაკანონდება”<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ დროებითმა მთავრობამ დაადგინა 8-საათიანი სამუშაო დღის ნორმა, ეს დებულება არ გულისხმობდა ყველა დარგსა და ყველა რეგიონში ნორმის ავტომატურ ამოქმედებას. მაგალითად, თბილისში იგი მხოლოდ 1917 წლის 19 აპრილიდან ამოქმედდა ადგილობრივ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს გადაწყვეტილებით. ამასთან ნორმა არ შეხებია ყველა დაწესებულებას. მუშები თბილისში აქტიურად მიესალმებოდნენ ახალ დებულებას და მოითხოვდნენ მის გავრცელებას ყველა სფეროზე. თავად მუშები პასუხობდნენ დებულების მიმართ გაჩენილ კითხვას – თუ როგორ აისახებოდა შემცირებული სამუშაო დრო შრომის ნაყოფიერებაზე – იმით, რომ ახალი ნორმა და შემცირებული სამუშაო დრო, პირიქით, გაზრდიდა მათ მოტივაციას და, შედეგად, შრომის ნაყოფიერებას<sup>2</sup>. თუმცა, პრესის ცნობებს თუ დავეყრდნობით, მარტივად გავარკვევთ, რომ 8-საათიანი სამუშაო დღის ცხოვრებაში გატარება ძალიან რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი იყო. მაგალითად, თბილისში 1917 წლის აპრილშივე გამოჩნდნენ დამსაქმებლები, რომლებმაც დაარღვიეს ახალი კანონი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გამორჩეულები აღმოჩნდნენ პურის მცხობლები. „ურჩი დამსაქმებლები“ სწორედ ფურნეთა მეპატრონეები გახლდნენ, რომლებსაც, სხვათა შორის, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა მკაცრი გაფრთხილება მისცეს კან-

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1917 წლის 19 მარტი, N5, გვ. 1

<sup>2</sup> გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 აპრილი, N27, გვ. 2

ონის დარღვევის შემთხვევაში ქონების კონფისკაციის შესახებ. პრესისავე ცნობით, 1917 წლის ზაფხულში ფურნის მფლობელ ქამალიანს ჩამოერთვა ქონება 8-საათიანი სამუშაო დროის მრავალჯერ დარღვევის გამო<sup>1</sup>.

თებერვლის რევოლუციამ, ფაქტობრივად, მოხსნა ბარიერები პროფკავშირების საქმიანობასთან დაკავშირებით. 1917 წლის მარტიდანვე მუშებმა დაიწყეს პროფესიული კავშირების ფორმირება. ეს პროცესი დიდი ენ-თუზიაზმითა და სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. 1917 წლის დასაწყისში შევიწროებულ პროფესიულ გაერთიანებაში 13 000-ზე ნაკლები მუშა იყო განევრიანებული, 1917 წლის აგვისტოს მიწურულს კი მხოლოდ თბილისში უკვე 31 პროფესიული კავშირი იყო ჩამოყალიბებული, რომებიც 25 000 წევრს აერთიანებდა<sup>2</sup>. ეს პროცესი 1917 წლის შემოდგომაზეც აქტიურად გაგრძელდა, 1917 წლის მიწურულს პროფესიული კავშირების პირველ თავისუფალ კონფერენციაზე კი დელეგატები 41 პროფესიული გაერთიანებიდან იყვნენ მოწვეულნი. ამავე კონფერენციაზე გაცხადდა, რომ კონფერენციაზე მონაწილე პროფესიული კავშირები 29 000-ზე მეტ მშრომელს აერთიანებდა<sup>3</sup>.

თავისუფალ პროფესიულ გაერთიანებებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები დომინირებდნენ, ისინი იმარჯვებდნენ თითქმის ყველა პროფესიული კავშირის საბჭოს არჩევნებში. ამავდროულად, 1917 წლი-

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1917 წლის 8 ივლისი, N91, გვ. 3

<sup>2</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 329-330

<sup>3</sup> პარლ კაუცი, საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – მთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. თბილისი, თსუ, 2018, გვ. 84

დან უკვე სისტემურად დაიწყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში წევრების მიღება. პარტიაში მუშები უმრავლე-სობას შეადგენდნენ. სოციალ-დემოკრატთა ორგანიზებით პროფესიულ კავშირებში ჩამოყალიბდა „მარქსისტ მუშა-თა“ წრეები, რომლებიც უდიდეს დასაყრდენს წარმოადგენდნენ პარტიისათვის<sup>1</sup>.

XIX საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული საქა-რთველოში მუშები ცდილობდნენ, რეჟიმიდან მომდინა-რე საფრთხეების მიუხედავად, აღენიშნათ 1-ელი მაისის მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული. ხშირად ამგვარი აღნიშვნები ძალოვანი უწყებების მიერ დარბევებ-სა და დაპატიმრებებს მოასწავებდა. მხოლოდ 1917 წლის 1-ელ მაისს მოახერხეს მუშებმა მშვიდობიანი დემონსტრა-ციების გამართვა და დღესასწაულის აღნიშვნა. 1-ელი მაი-სი დასვენების დღედ გამოცხადდა. მუშებმა დღესასწაუ-ლი აღნიშნეს რეგიონებშიც. სოციალისტური გამოცემები გვერდებს უთმობდნენ აღნიშვნის დეტალების გაშუქებას. თბილისის გარდა 1-ელი მაისი გრანდიოზულად აღნიშნეს ბათუმში, ფოთში, ჭიათურასა და ქუთაისში. „ერთობის“ წყარო ქუთაისიდან იუწყებოდა – „ქუთაისი. პირველ მაისს გაიმართა გრანდიოზული მიტინგი; ილაპარაკეს ყველა ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების წარმო-მადგენლებმა. საერთო ლოზუნგი იყო ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ<sup>2</sup>, 8 საათის სამუშაო დღე, სოციალიზმი. მიტინგის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი“<sup>3</sup>.

1917 წლის შემოდგომიდან განსაკუთრებით გამწვა-ვდა ეკონომიკური კრიზისი. სამოქალაქო ომმა მოშალა

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1917 წლის 9 მაისი, N43, გვ. 2

<sup>2</sup> მსოფლიო ომში.

<sup>3</sup> გაზ. ერთობა, 1917 წლის 21 აპრილი, N28, გვ. 2

საწარმოო პროდუქტების სატრანსპორტო ქსელი რუსეთის იმპერიის შიგნით, მსოფლიო ომმა კი – იმპორტისა და ექსპორტის სისტემები. საქართველოში არსებულ საწარმოთა დიდი ნაწილი რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან მონოდებული და იმპორტით შემოტანილი ნედლეულის გამოყენებით მუშაობდა, საწარმოების ნაწილი თავის პროდუქციას საექსპორტო დანიშნულებით ამზადებდა. 1917 წლის მიწურულს თბილისში რამდენიმე საწარმო დაიხურა საწარმოო რესურსების სიმცირის გამო, მათ შორის ერთ-ერთი უდიდესი – ადელხანოვის ტყავის გადამამუშავებელი ქარხანა.

1917 წლის ბოლოს უმუშევრობის დონე განსაკუთრებით გაიზარდა. პრესის ცნობით, თბილისი გაივსო უსაქმოდ მყოფი მოქალაქეებით, მათ შორის, იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ლტოლვილებით. პროფესიული კავშირები ცდილობდნენ უმუშევარი მოქალაქეების დახმარებას, ქმნიდნენ უმუშევართა მცირე ფონდებს. მთავრობა თითქოს აორგანიზებდა შრომის ბირჟებს და ცდილობდა მოქალაქეთა დასაქმებას, თუმცა მასობრივი უმუშევრობისა და საწარმოთა სისტემური დახურვის ფონზე შრომის ბირჟა უფრნეციო ელემენტად ქცეულიყო. პროფესიული მუშაობმა სიტუაციის შესამსუბუქებლად დაიწყეს იაფი სასადილოებისა და საჩაიერების გახსნა<sup>1</sup>.

1917 წლის ზაფხულიდან დაიწყო მუშათა გაფიცვები შრომითი დავების გადაუჭრელობის გამო. წლის ბოლოს კი გაფიცვები მასშტაბური გახდა, იფიცებოდნენ სტამბის მუშები. მაგალითად, სომხურენოვან გაზეთ „პორიზონტის“ სტამბაში მუშები ხელფასების ზრდას მოითხოვდ-

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1917 წლის 12 ოქტომბერი, N168, გვ. 1

ნენ<sup>1</sup>. ყველაზე მასშტაბური გაფიცვა 1917 წლის დეკემბერში წამოიწყეს მასწავლებლებმა. პედაგოგები კომპლექსურ მოთხოვნებს აყენებდნენ – სასკოლო სივრცეების მოწესრიგებას, გათბობას, ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას, ხელფასების ზრდას და ინფლაციის გათვალისწინებით ჯამაგირის დაანგარიშებას. გაფიცვის მიმართ ქართული პოლიტიკური პარტიები განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტები, რომელთა რიგებში პედაგოგები მრავლად იყვნენ, გაფიცვას ემხრობოდნენ და თანაუგრძნობდნენ, ხოლო სოციალ-დემოკრატები, რომლებიც დროებითი ხელისუფლების ორგანოებს მართავდნენ ამიერკავკასიასა და საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდნენ პედაგოგთა მძიმე ყოფას, მაინც გმობდნენ გაფიცვას და მას კონტრევოლუციურს უწოდებდნენ<sup>2</sup>. მასწავლებელთა გაფიცვას არც პროფესიონალური საბჭო არ თანაუგრძნობდა.

1917 წლის ბოლოს გამართული პროფესიონალურების კონფერენციის შემდგომ გაერთიანება, ფაქტობრივად, ახალ საფეხურზე გადავიდა, დაიწყო ორგანიზაციული სისტემის გამართვა, ბიუროკრატიული აპარატის შექმნა. პარალელურად, ადგილობრივ ორგანიზაციათა განსავითარებლად ცენტრალურმა საბჭომ დაიწყო პროფესიონალური სამუშაოების გასაწევად. თბილისში დაიწყერების ადგილობრივ ორგანოთა ლიდერების მომზადება სისტემური სამუშაოების გასაწევად. თბილისში დაიწყერესებულ პირთათვის დაიწყო ლექციები და სასწავლო კურსები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეისწავლიდნენ პროფესიონალური საბჭოს მუშაობა გაფიცვების ისტო-

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 ოქტომბერი, N175, გვ. 2

<sup>2</sup> გაზ. ერთობა, 1918 წლის 17 იანვარი, გვ. 1

რიას, გაფიცვების პრაქტიკულ უნარებს, კოოპერატიულ საქმიანობას, ეკონომიკის საფუძვლებს, ფინანსების საბაზო უნარებს და ა.შ.

პროფესიულ კავშირებში 1906 წლიდან აქტიურად იყვნენ ჩართული ქალი მშრომელები, განსაკუთრებით, თამბაქოს ქარხნებში დასაქმებული მუშები. მათი ერთ-ერთი ლიდერი იყო მარიამ ბერიანიძე, რომელიც ეფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა, ამავდროულად კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო (1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საკანდიდატო სიაშიც შედიოდა). ქალი მშრომებელი აქტიურად იბრძოდნენ შრომითი პირობების გაუმჯობესებისა და, განსაკუთრებით, ორსულ და მეძუძურ ქალთა უფლებების დაცვისათვის.

## შრომის პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა პირველი სახელმწიფო ევროპაში, რომლის სათავეშიც სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია აღმოჩნდა. პოლიტიკური ძალა, რომლის სახელშივე გაცხადდა, რომ ის, პირველ რიგში, მუშათა ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, რა თქმა უნდა, დეკლარირებულად უჭერდა მხარს მშრომელთა კლასს და ცდილობდა რეალურ ცხოვრებაში გაეტარებინა მუშათა მოთხოვნები. საქართველოს დამოუკიდებლობის

აქტზე 1918 წლის 26 მაისს 15-მდე მუშამ მოაწერა ხელი, გარდა ამისა, ხელმომწერთა შორის იყვნენ გლეხები, სოციალ-დემოკრატთა კლასიფიკაციით – „სოფლის მუშები“.

1918 წლის მაისში შექმნილ კოალიციურ მთავრობაში 8 მინისტრიდან 7 (1918 წლის 24 ივნისიდან კი – 9-დან 8) სოციალისტი იყო (4 (5) სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი და 1 სოციალისტ-რევოლუციონერი), ხოლო 1919 წლის მარტიდან მინისტრთა კაბინეტი სრულიად სოციალ-დემოკრატიული გახდა. 1919 წლის 14-16 თებერვალს გამართული დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით-საკანონმდებლო ორგანოში 130 დეპუტატიდან 122 სოციალისტური მიმართულების პარტიებს წარმოადგენდა. სოციალისტური პარტიები დომინირებდნენ რესპუბლიკის ადგილობრივ თვითმმართველობებში.

1918 წლის მაისის მიწურულს შექმნილ მთავრობაში შრომის მინისტრის პორტფელი ცალკე არ არსებობდა, ის მიწათმოქმედების სამინისტროსთან ერთად ფუნქციონირებდა და მის პირველ მინისტრად ნოე ხომერიკი იყო არჩეული. თუმცა მინისტრ ხომერიკს ჰყავდა მოადგილე (ამხანაგი), რომელიც სწორედ შრომის პოლიტიკას კურირებდა. 1919 წლის მარტში ახალშეკვეცილ მთავრობაშიც შრომის სამინისტრო კვლავ მიწათმოქმედების სამინისტროსთან იყო გაერთიანებული და ხომერიკის დაქვემდებარებაში რჩებოდა. თუმცა 1919 წლის ბოლოს ნოე ჟორდანიას ინიციატივითა და დამფუძნებელი კრების თანხმობით შრომის სამინისტრო ცალკე ინსტიტუტად ჩამოყალიბდა მომარაგების უწყებასთან შერწყმით. საბოლოოდ, ახალ უწყებას „შრომისა და მომარაგების სამინ-

ისტრო“ ეწოდა, მის ხელმძღვანელად სოციალ-დემოკრატი, გავლენიანი მუშა გიორგი ერაძე დაინიშნა, ხოლო შრომის პოლიტიკის მიმართულებით ერაძის მოადგილის პოსტი ილია გოლდმანმა დაიკავა.

1918-1921 წლებში მოსახლეობის აღწერა არ ჩატარებულა, მხოლოდ 1920 წლის ბოლოს მიმდინარეობდა ამ მასშტაბური პროცესისათვის მზადება. შესაბამისად, რთულია, ზუსტად ვისაუბროთ მუშათა საერთო რაოდენობაზე, თუმცა 1926 წელს განხორციელებული საყოველთაო აღწერის მიხედვით – საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის აღწერაზე დაკვირვებით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მუშათა რიცხვი 1918-1921 წლებში მოსახლეობის 7-8%-ს შეადგენდა, მშრომელთა კლასი შესაბამისად 180 000-დან 200 000-მდე ადამიანს აერთიანებდა<sup>1</sup>.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უმუშევრობის დონე დღითი დღე იზრდებოდა, რესურსების უქონლობის გამო იხურებოდა პატარა საწარმოებიც, ამასთან, რუსეთის სამოქალაქო ომის შედეგად საქართველოს ქალაქები, განსაკუთრებით კი დედაქალაქი, სავსე იყო უმუშევარი მოქალაქეებითა და ლტოლვილებით. 1918 წლის ზაფხულშივე მთავრობამ დაიწყო მუშაობა შრომის იძულებითი ბეგარის სისტემის შემოღების შესახებ, რომლის მიხედვითაც უმუშევარ მოქალაქეებს მანდატორული წესით დაასაქმებდა სახელმწიფო. მართალია, კანონპროექტი 1918 წლის ივნისშივე შემუშავდა, თუმცა 1918 წელს ის არ დამტკიცებულა და რეალურად არც უმოქმედია. კანონპროექტით სავალდებულო შრომის ბეგარა მხ-

<sup>1</sup> კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, ნიგნი პირველი. პარიზი, დ. ხელაძის გამოცემა, 1935, გვ. 167

ოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შეეხებოდა და ის არ გავრცელდებოდა სხვა ქვეყნების მოქალაქეებზე.

უმუშევრობის დონე 1918 წლის ზაფხულში ასევე გაზარდა იმ ფაქტორმაც, რომ 1918 წლის მაისში დაშლილი ამიერკავკასიის მმართველობით ორგანოებში დასაქმებული მოქალაქეები ამიერკავკასიის ერთიანი ინსტიტუტების დაშლის შემდეგ უსაქმოდ დარჩნენ. მხოლოდ ცალკე აღებულ საქართველოს რესპუბლიკას, რა თქმა უნდა, არ სჭირდებოდა იმ მოცულობის ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც მანამდე რუსეთის საიმპერიო რეჟიმის კავკასიურ ადმინისტრაციას გააჩნდა. ამასთან, საქართველოში მოქალაქე, ძირითადად, რუსი ეროვნების მოქალაქეებისათვის, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ, ცხადია, რთული იყო საქართველოს ინსტიტუციებში მუშაობის გაგრძელება. 1918 წლის ზაფხულში მთავრობის განკარგულებით შეიქმნა „სალიკვიდაციო კომისია“ და სპეციალური ფონდი, რომლის საშუალებითაც მცირედ კომპენსაციას აძლევდნენ საჯარო სამსახურებიდან დათხოვნილ ადამიანებს<sup>1</sup>. ყოფილ საიმპერიო მოხელეებზე კომპენსაციის სახით ასიათასობით მანეთი გაიცა. ყოფილ მოხელეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დატოვა კიდეც საქართველო.

უმუშევრობასთან ერთად მშრომელთა კლასისთვის, ისევე, როგორც რესპუბლიკის ყველა მოქალაქისათვის, უდიდეს გამოწვევას წარმოადგენდა სურსათის სიმცირე. საქართველოში 1918-1921 წლებში, მეზობელი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ადგილი წაკლებად ჰქონდა მასობრივ შიმშილობას, თუმცა სასურსათო პროდუქტების დეფიციტი და მათზე ფასების სწრაფი ზრდა წამდვილად

<sup>1</sup> საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 1861, ანა. 3, საქმე 3, ფურც. 50

დიდ პრობლემას წარმოადგენდა. 1918-1921 წლებში სა-სურსათო კალათის ფასები ცალკეულ პროდუქტზე ას-ტრონომიულად გაიზარდა (ცალკეულ შემთხვევებში 300-ჯერაც კი). სასურსათო კრიზისი, ბუნებრივია, მოქ-მედებდა მშრომელთა საერთო განწყობილებასა და შრომის ნაყოფიერებაზე. თუმცა ამ კრიზისზე მეტად პრობლე-მური იყო მასობრივი „ალკოჰოლიზმის“ ნიშნები. პრესის ცნობით, სამუშაო ადგილებზე ლოთობა ჩვეულ ამბად იყო ქცეული<sup>1</sup>. ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ზოგადად, რეს-პუბლიკაში პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა, რასაც თავისი მიზეზი გააჩნდა. მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის გამო, ფაქტობრივად, შეწყვეტილი იყო ალკოჰოლური სასმელების საზღვარგარეთ გატანა, ქვეყა-ნაში წარმოებული ალკოჰოლი კი სრულად მოიხმარებოდა ადგილზე, შესაბამისად, ალკოჰოლური სასმელები ხელმი-საწვდომი და საკმაოდ იაფიც იყო.

1918 წლის ზაფხულიდან დემოკრატიული რესპუბლიკ-ის მთავრობა ცდილობდა, შეემსუბუქებინა მუშათა მდგო-მარება, ახალისებდა იაფი სასადილოებისა და საჩაიე-ბის შექმნას მუშათათვის. საჯარო გამოსვლებში ღიად საუბრობდნენ მუშათა მიერ ბოლო ათწლეულების გან-მავლობაში განვლილ გზასა და იმ ბრძოლაზე, რომელმაც ქვეყანას დემოკრატიული ცვლილებები მოუტანა<sup>2</sup>. 1918 წლის დასასრულს მთავრობისა და პროფესიული კავშირე-ბის ორგანიზებით დაიწყო ე.ნ. „მუშათა მაგიდების“ შექმნა, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობდა მშრომელთათვის

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1918 წლის 30 ივლისი, N159, გვ. 3

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIII, ნოე-ჟორდანია, თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-ლიოთეკა, 2018, გვ. 51

სურსათის იაფად მიწოდების გზას სპეციალური მაღაზიებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების საშუალებით (შემდგომში ეს ინსტიტუტი მთავრობამ გადაიბარა).

## პროფესიული კავშირები რესაუზლიკის პირობებში

ამიერკავკასიის პროფესიული გაერთიანებები ერთი ქოლგის ქვეშ იმყოფებოდნენ, თუმცა რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და, განსაკუთრებით, ბაქოში პრობოლშევიკური ძალების პროფესიულ კავშირებში გაბატონების შემდეგ კავკასიის პროფესიულ მოძრაობათა ერთიანობა დაიშალა, რაც 1919 წლის აპრილში დადასტურდა კიდეც. 1918 წლის მაისიდან ნელი ტემპით, მაგრამ დაიწყო პროფესიული კავშირების საქმიანობის გაქართულება. მანამდე მთელი ბიურო-კრატიული აპარატი, ძირითადად, რუსულ ენაზე ფუნქციონირებდა. ამ პროცესს თავისი ლოგიკური ახსნაც მოეძებნებოდა – თბილისში და, ზოგადად, კავკასიაში მოქმედი მშრომელთა გაერთიანებები მულტინაციონალური იყო, ქართველების გარდა მუშათა შორის მრავლად იყვნენ რუსები, სომხები, ამიერკავკასიის მუსლიმები (შემდგომში აზერბაიჯანელები).

1918 წლისათვის ყველაზე დიდ პროფესიულ კავშირად რკინიგზელთა გაერთიანება ითვლებოდა. რკინიგზელები 1890-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული სოციალ-დემოკრატთა მყარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. რკინიგზელები 1917 წლიდან კიდევ უფრო აქტიურად და

ღიად უჭერდნენ მხარს სოციალ-დემოკრატებს და მათ პილიტიკუას. მიუხედავად მძიმე პირობებისა, რკინიგზელები არ გაფიცულან სოციალ-დემოკრატიული მმართველობის პირობებში. რკინიგზისა და მისი მუშების შესახებ სტატიები თითქმის ყოველდღე იბეჭდებოდა პრესაში. რკინიგზის პროფესიული მუშებსა და, ზოგადად, საზოგადოებას აცნობდა გაერთიანების მიზნებს – „1. რკინის გზის კავშირი ისახავს თავის მიზნათ: ა) რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებას, ბ) თავის წევრთა პოლიტიკურ, უფლებრივ, კლასობრივ, პროფესიონალურ და ეკონომიურ ინტერესების დაცვას, ამ ინტერესებისათვის ბრძოლას და თავის წევრთა კულტურულ და კლასობრივ თვითშეგნების განვითარებას. 2) ამ მიზნის მისაღწევათ კავშირი სცდილობს განახორციელოს: ა) სამუშაო დღის მოვარება, ბ) სამუშაო ხელ-ფასის მომატება, გ) წარმოებაში გიგიენური პირობების დამყარება და დ) სახელმწიფოსაგან სოციალური დარღვევას მუშებისას უმუშევრობისაგან, უბედურ შემთხვევებისაგან, ავათმყოფობისაგან, მოხუცებულობისაგან და ინვალიდობისაგან, ქალთა და მცირე წლოვანთა შრომის დაცვას, და საზოგადოთ მუშათა კლასის უფლებების კანომდებლობის გზით დაკანონებას“<sup>1</sup>.

1918 წელს კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა ახალი პროფესიული კავშირების ფორმირება, რადგანაც ბევრგან ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ადგილობრივი უჯრედები. 1918 წლის აგვისტოში გაზირ „ერთობაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომლითაც მუშა მოუწოდებდა ქუთაისელ მკერავ ქალებს, შეექმნათ პროფესიული გაერთიანება,

<sup>1</sup> სცსა, ფონდი 2047, ანან. 1, საქმე 2, ფურც. 1

რათა უკეთ დაეცვათ თავიანთი უფლებები და უფრო გაე-შალათ კულტურულ-პარტიული საქმიანობა – “მიუხედა-ვათ რევოლიუციის ბრძყინვალე სხივებისა, აქაურ მკერავ მუშა-ქალებს მაინც ვერ ეღირსა გაღვიძება. ისინი ძველე-ბურად განაგრძობენ ყოფა-ცხოვრებას. პირობები მეტად აუტანელია, მიუხედავად ამისა მუშა ქალებს არა აქვთ სურვილი, რომ შეკავშირდენ და ასე ანარმონ ბრძოლა თავის პირობების გასაუმჯობესებლად. საჭიროა ეხლავე კავშირში დარაზმა და ასე კულტურულ-პარტიული მუშაო-ბის წარმოება, თორემ მერე გვიან იქნება. აქ. შ-ძე”<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის მაისიდან (დე ფაქტო 1917 წლის მარტიდან) სოციალ-დემოკრატე-ბი ფლობდნენ ძალაუფლებას და ფორმალურად მაინც ცდილობდნენ მუშათა ინტერესების გატარებას შრომის პოლიტიკის კუთხით, საჯარო სივრცეში მუშათა მასშტაბური გაფიცვების თავიდან აცილება ვერ მოხდა. 1918 წლის ზაფხულში ფართომასშტაბიანი გაფიცვა დაიწყო ფოთის პორტში, გაიფიცნენ მტვირთავები, რომელთა მოვალეობაც იყო ჭიათურის მანგანუმის დატვირთვა. მუშები „გელზენკირხენის მანგანუმის საზოგადოების“ დაქირავებულები იყვნენ. მტვირთავები მოითხოვდნენ შრომის ანაზღაურების ზრდას და პირობების გაუმჯობესებას. გაფიცვამ, ფაქტობრივად, პორტის პარალი-ზება მოახდინა, რის გამოც გაფიცვის დარეგულირებაში ჩაერია მინათმოქმედებისა და შრომის სამინისტრო. საბოლოოდ, მშრომელებს მოთხოვნები დიდწილად დაუკმაყოფილდათ და პროტესტის ეს ფორმაც შეწყდა<sup>2</sup>.

რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1918 წლის 3 აგვისტო, N163, გვ. 4

<sup>2</sup> გაზ. ერთობა, 1918 წლის 14 სექტემბერი, N197, გვ. 2

ხმაურიანი საგაფიცვო კერა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები იყო. ტყიბულის ქვანახშირს ისედაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკისათვის, თუმცა 1918 წლის გაზაფხულიდან ბაქოში შექმნილი არასტაბილური სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო ტყიბულის ქვანახშირის მნიშვნელობა ქვეყნის ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სათბობი დანიშნულებით მრავალჯერ გაიზარდა. გაზეთმა „ერთობამ“ მოქალაქეებს 1918 წლის 20 სექტემბერს აცნობა, რომ ტყიბულში გაფიცვა დაიწყო. „როგორც იტყობინებიან, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშები კვლავ გაფიცულან და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისთვის ახალი მოთხოვნები წაუყენებიათ. ასეთივე გაფიცვა მოახდინეს მათ, თუ არ ვცდები, ამ ერთი თვის წინათ და მთავრობამ რამდენათაც კი შეეძლო დააკმაყოფილა მათი დროს და გარემოების შეუფერებელი ეკონომიკური მოთხოვნები. დღეს ისინი ხელ-ახლათ გაფიცულან და მეტათ შეუსაბამო მოთხოვნები წამოუყენებიათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ხელფასის მომატებასთან ერთად მოითხოვენ სხვადასხვა საგნების ნატურით გადახდას, რაიც მთელ რესპუბლიკაში მეტათ ძნელი საშოვარია“<sup>1</sup>.

ტყიბულის მაღაროები სახელმწიფოს ექვემდებარებოდა, შესაბამისად, მოთხოვნები ხელისუფლებას უნდა დაეკმაყოფილებინა. მაღაროების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი დიდი ხნით გაჩერება რესპუბლიკისათვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენდა. საბოლოოდ, ხელისუფლება დათანხმდა მუშების მოთხოვნებს და ხელფასები თითქმის 50%-ით გაუზარდა.

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1918 წლის 20 სექტემბერი, N201, გვ. 1

სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ოპოზიციაში ყოფნისას, საიმპერიო რეჟიმის უამს, თავად უწევდნენ მუშათა გაფიცვებს ორგანიზებას, 1918-1921 წლებში უკვე ხელისუფლებაში მყოფები, აკრიტიკებდნენ და გმობდნენ გაფიცვებს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში გაფიცვა მუშათა ინტერესების ღალატს ნიშნავდა – „ჩვენში, საუბედუროთ, ასე არ ხდება. ზოგი დარგის მუშები მხოლოდ მოთხოვნილებებს აყენებენ, ხოლო თავის მოვალეობის ასრულებას გულგრილათ ექცევიან. ასე მოიქცნენ, მაგალითად ტყიბულის მუშები... მუშათა კლასის ბედი თვით მუშებმა უნდა გადასჭრან. დღეს მუშების გე ხელშია მათი ბედი და ჩვენ იმედი გვაქვს რომ შექმნილ მდგომაროებით მარჯვეთ ისარგებლებენ ისინი და საერთო საქმეს არ უდალატებენ. ვისაც უფლებით სარგებლობა სურს, ის მოვალეობის ასრულებასაც უნდა შეეჩიოს. მუშათა საკითხის ამ მხარეს უნდა მიექცეს დღეს განსაკუთრებული ყურადღება“<sup>1</sup>.

### შრომის პოლიტიკის რეფორმირება

1918-1921 წლებში საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში, როგორც აღვნიშნეთ, სოციალისტური მიმართულების პარტიები სრულად დომინირებდნენ. 1919 წლის თებერვალში გამართული დამფუძნებელი კრების არჩევნებზე შრომისა და მუშათა საკითხი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებდა. ყველა ძირითადი პარტიის საარჩევ-

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1918 წლის 22 ოქტომბერი, N226, გვ. 1

ნო პროგრამაში იყო ასახული მათი მოსაზრებები შრომის სისტემის რეფორმირების შესახებ. სოციალ-დემოკრატები აცხადებდნენ: „8 საათის სამუშაო დღე ყველა დაქირავებულ მუშებისთვის სავალდებულო ყოველკვირეული დასვენებით არა ნაკლებ 42 საათისა; ზედმეტ მუშაობის სრულიად მოსპობა იქ, სადაც ის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს; 16 წლამდე ბავშვების მუშაობის აკრძალვა; მცირე წლოვანთა და ქალთა შრომის შეზღუდვა; მრეწველთა მიერ ზედმეტი ყვლეფისაგან მუშათა დაცვა და მრეწველთა პასუხისმგებლობა უბედურ შემთხვევის გამო. აგრეთვე მოითხოვენ სახელმწიფოებრივ დაზღვევას – ავათმყოფობისა, მოხუცებულობისა და უმუშევრობისაგან. სოც-დემოკრატები მოითხოვენ შრომის ინსპექციის დაწესებას მუშათაგან არჩეულ პირთა მონაწილეობით და სასტიკ სანიტარულ თვალყურის დევნებას იმ შენობებისას, სადაც მუშაობა სწარმოებს და მუშები ცხოვრობენ. დასასრულ, მოითხოვენ შრომის კანონის დარღვევისათვის დამქირავებელთა სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობაში მიცემას, მომრიგებელ კამერებისა და შრომის პირუების ყოველ ადგილას დაარსებას და სხვ<sup>1</sup>.

სოციალ-ფედერალისტური პარტია, რომელიც 1918 წლიდან კიდევ უფრო მემარცხენე მიმართულების პოლიტიკურ ძალად გადაიქცა, თავის საარჩევნო პროგრამაში აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო სახელმწიფოს მუშე-

<sup>1</sup> ორაკლი ირემაძე, ლევან ლორთქიფანიძე, სოფიკო შუბითიძე, ხვიჩა ყაზაშვილი, ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია, ტ. I. თბილისი, თბილისის ფანიანური საზოგადოება, 2015, გვ. 143. ასევე, ორაკლი ირემაძე, შრომის საკითხი და პროფესიული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კრებული – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსნება 100 წლის შემდეგ – მოდელი ევროპისთვის? თბილისი, თსუ, 2018, გვ. 361.

ბისათვის მიეცა უფლება, სრულფასოვანი მონაწილეობა მიეღოთ ფაპრიკა-ქარხნების მმართველობაში – „მოვითხოვთ, რომ გაძლიერდეს მუშა ხალხის როლი და გავლენა მრეწველობა-წარმოებაში და დაწესდეს მისი მონაწილეობა მრეწველობის მართვა-გამგეობაში და მუშებს მიეცეთ ნაწილი მოვებისა“<sup>1</sup>. სოციალისტ-რევოლუციონერები თავიანთ პროგრამაში ასახავდნენ ყველა იმ დებულებას, რომელსაც მემარცხენე-ცენტრისტული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და სოციალ-დემოკრატებისგან მარცხნივ მდგომი სოციალისტ-ფედერალისტები აყენებდნენ. სოციალისტ-რევოლუციონერები შედარებით რადიკალი მემარცხენები იყვნენ და, შესაბამისად, კიდევ უფრო მეტ მოთხოვნებს აყენებდნენ. მაგალითად, ისინი მოითხოვდნენ მინიმალური ხელფასის განსაზღვრას – „სოც. -რევ. პარტია მოითხოვს მინიმალურ ხელფასის დაწესებას და წარმოებაზე მუშათა კონტროლს“<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მთავარ მემარჯვენე პარტიას – ეროვნულ-დემოკრატებს საარჩევნოდ პროგრამა არ შეუმუშავებიათ, მათ მიერ 1917 წელს გამოქვეყნებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შრომის საკითხებს. ედპ ემხრობოდა 8-საათიან სამუშაო დღეს, შრომის პირობებისა და სამუშაო გარემოს ინსპექციას, ქალთა და მცირენლოვანთა შრომის მკაცრ რეგლამენტაციას და ა.შ. რეალურად, შრომის პოლიტიკის ძირითადი სტანდარტების კუთხით ყველა პარტიის პროგრამა დიდწილად ერთმანეთს ემთხვეოდა.

<sup>1</sup> ირაკლი ირემაძე, ლევან ლორთქიფანიძე, სოფიკო შუბითიძე, ხვიჩა ყაზაიშვილი, ქართული ემარცხენების ქრესტომათია, ტ. I. თბილისი, თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015, გვ. 153

<sup>2</sup> იქვე, გვ. 161

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების შე-  
დეგად სრული გამარჯვება მოიპოვა სოციალ-დემოკრა-  
ტიულმა პარტიამ, რომელმაც 130 მანდატიდან 109 მოი-  
პოვა, 8-8 მანდატი მიიღეს სოციალისტ-ფედერალისტებმა  
და ეროვნულ-დემოკრატებმა, ხოლო სოციალისტ-რევო-  
ლუციონერებმა – 5. დამფუძნებელი კრების 130 წევრი-  
დან 25 თავისი სოციალური სტატუსით მუშა იყო, ხოლო  
8 – „სოფლის მუშა“ ანუ გლეხი<sup>1</sup>!. მუშები, რა თქმა უნდა,  
სრულად სოციალ-დემოკრატთა სიით გავიდნენ საკანონ-  
მდებლო ორგანოში. 1918-1921 წლებში, თავდაპირველად,  
ეროვნულ საბჭოში, შემდგომ პარლამენტში და, ბოლოს,  
დემოკრატიულად არჩეულ დამფუძნებელ კრებაში მო-  
ქმედებდა შრომის კომისია (კომიტეტი), რომელიც ორი-  
ენტირებული იყო შრომის კანონმდებლობის შექმნასა და  
დახვეწაზე, მუშათა ინტერესების დაცვასა და სახელმწი-  
ფოს პოლიტიკის გატარებაზე.

## სატარიფო პალატის შექმნა

სატარიფო პალატა 1919 წლის მაისში შეიქმნა, თუმცა  
პოლიტიკური გადაწყვეტილება მსგავსი დაწესებულების  
შექმნის შესახებ 1919 წლის აპრილში იქნა მიღებული  
შრომის სამინისტროს მხრიდან პროფესიული კავშირე-  
ბის მასშტაბურ კონფერენციაზე/ყრილობაზე, რომელიც  
თბილისში გაიმართა. დამფუძნებელი კრების მიერ დამტ-  
კიცებულ დოკუმენტში „დებულება სატარიფო პალატისა“  
ვკითხულობთ:

<sup>1</sup> ორაკლი ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919.  
თბილისი, Sovlab, 2016, გვ. 42-43

1. შრომის ფასის ნაყოფიერების და დაქირავებულ შრომის ყველა დარგში მთელს რესპუბლიკაში არსდება სატარიფო პალატა.
2. სატარიფო პალატა ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:
  - ა) ცნობებს კრეფს მუშათა პაზრის მდგომარეობაზე.
  - ბ) ცნობებს კრეფს მუშათა ხელფასზე.
  - გ) იძლევა ცხოვრების სიძვირის შესახებ დასკვნებს.
  - დ) არკვევს და იძლევა დასკვნას მუშათა წამოყენებულ მოთხოვნილებებზე.
  - ე) იხილავს და ამტკიცებს კოლექტიურ-ხელშეკრულებებს.
  - ვ) რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და ან მაზრაში აწესებს და არკვევს საცხოვრებელ მინიმუმს.
  - ზ) აწესებს ნორმალურ ხელფასს, პროფესიის-კატეგორიის ნარმოების და რაიონის მიხედვით.
  - თ) აწესებს გამომუშავებულ ტიპურ ნორმებს.
  - ი) აწესებს ზედმეტ მუშაობის დროს ხელფასით დაკმაყოფილებას.
  - კ) ასრულებს არბიტრაჟის ფუნქციას ხელ-ფასის საკითხებში.
  - ლ) აწესებს დროს პერიოდიულს და განსაკუთრებით, ხელფასის გადასასინჯავათ.
  - მ) პოულობს ყოველივე საზომს სპეციალიაციასთან და სიძვირესთან საბრძოლველათ.
  - ნ) ამუშავებს კითხვებს, რომლებიც ეხება წარმოების ძალთა განვითარებას და ხელფასის გათანას-ნორებას.

ო) ამუშავებს პროექტებს სავალდებულო დადგენილებისა დაკანონებისა შრომის მინისტრთან წარსადგენათ.

3. სატარიფო პალატა არსდება პარიტეტულ პრინციპის წარმომადგენლობით მუშაობისა და დამქირავებელთა ორგანიზაციებიდან, შრომის სამინისტროს მიერ დანიშნულ თავმჯდომარეობით და შესდგება 21 წევრისგან:

4. მუშათა ორგანიზაციებიდან ირჩევიან წარმომადგენლები:

ა) სამი – საქართველოს [პროფკავშირთა] ცენტრალურ კავშირთა საბჭოდან

ბ) ოთხი რკინის-გზელების ცენტრალური კავშირიდან

გ) სამი ტფილისის კავშირთა ცენტრალურ საბჭოდან

5. დამქირავებელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები:

ა) ერთი საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის პალატისაგან

ბ) ორი ტფილისის მექარხენე-მრეწველთა რაიონიდან

გ) ერთი ჭიათურის შავი ქვის-მრეწველთა საბჭოდან

დ) ერთი ქალაქთა კავშირიდან

ე) ერთი ბანკების კომიტეტიდან

ვ) ერთი ერობის ცენტრალური ბიუროდან

ზ) ერთი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან

თ) ერთი გზათა სამინისტროდან

ი) ერთი მინათ-მოქმედების სამინისტროდან.

6. სატარიფო პალატის წევრები ირჩევიან ერთი წლის ვადით.

7. საჭიროების გამო რესპუბლიკის ზოგიერთ ადგილას არსდება სატარიფო პალატის განყოფილება
8. სატარიფო პალატას ცნობების მისაწვდენათ ჰყავს ყველგან კორესპოდენტები
9. სატარიფო პალატა ყოფს წევრებიდან პრეზიდიუმს 5 კაცს, რომელიც მიუძღვება პალატის მუშაობას
10. წარმოებათა დარგის მიხედვით სატარიფო პალატა იყოფა სექციებათ
11. სექციის სხდომაზე იღებს მონაწილეობას დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები<sup>1</sup>.

სატარიფო პალატის შექმნის იდეა მოიწონეს როგორც მუშებმა, ისე დამსაქმებლებმა. ეს კოლეგიალური ორგანო ორივე ინტერესთა ჯგუფიდან კომპლექტდებოდა და ემატებოდა მთავრობის (მიწათმოქმედების სამინისტროს) წარმომადგენელი. პალატის საქმიანობის შესახებ ხშირად იბეჭდებოდა სტატიები. სატარიფო პალატის გამართული მუშაობის შედეგად უფრო მარტივი იყო ხელფასების ზრდის, ინფლაციის რეალური მაჩვენებლებისა და სხვა დეტალების დაზუსტება.

კარლ კაუცკი 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სატარიფო პალატის შესახებ წერდა – „მასში ერთიანდებიან მუშები და დამქირავებლები ათ-ათი წარმომადგენლით. საბჭოს თავმჯდომარე არის შრომის მინისტრი, გასულ ზამთარს ის გახლდათ გ. ერაძე. სატარიფო პალატა ვალდებულია, იხელმძღვანელოს საარსებო მინიმუმისა და დასაქმებულთა ხელფასის გათვალისწინებით; შეისწავლოს მუშათა დავები; განიხილოს კოლექტიური ხელშეკრულებები და მიიყვანოს ისინი შე-

<sup>1</sup> პროექტი: დებულება სატარიფო პალატისა, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 29 მაისი, N116, გვ. 2-3

თანხმებამდე. საბოლოოდ კი, მუშათა და დამქირავებელ-თა დაგების დროს იმოქმედოს, როგორც შუამაგალმა. ამ უწყებამ დღევანდლამდე ყველა სახის ლია კონფლიქტის თავიდან არიდება მოახერხა. 1919 წლის მაისიდან მოყოლებული, როდესაც მან ფუნქციონირება დაიწყო, პროფესიონალური არც ერთი გაფიცვა არ მოუწყვიათ, მიუხედავად იმისა, რომ, ბოლშევკიური რუსეთისაგან განსხვავებით, გაფიცვა აკრძალული არ ყოფილა – ამ თვალსაზრისით საქართველო უნიკალურია<sup>1</sup>.

კაუცკის მოსაზრებებს, ფაქტობრივად, ემთხვევა ვლადიმერ ვოიტინსკის შეფასებებიც, რომელიც, გარდა იმისა, რომ ნოე ჟორდანიას მრჩეველი იყო, პროფესიით სწორედ შრომის ეკონომიკის სპეციალისტი გახლდათ. ვოიტინსკი სატარიფო პალატის შესახებ წერდა – „სატარიფო პალატამ მუშათა ჯგუფების დიდი სიმპათია და მხარდაჭერა მოიპოვა. სამუშაოსა და კაპიტალის ურთიერთობის საკითხის რეგულაციის ახალმა მეთოდმა სრულად ჩაანაცვლა სპეციალური შეთანხმებების ძველი სისტემა და მისგან გამოწვეული კონფლიქტებიც დაასრულა. გარდა არბიტრაჟისა, სატარიფო პალატას, გამომდინარე თავისი ფუნქციებიდან, რომელიც მოიცავს როგორც სახელფასო ნორმების შემუშავებასა და მათ ზრდას, ასევე სპეციალაციისა და ფასების ზრდის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების მოძიებას, ხშირად უწევს ნარმოების ყოველგვარი პირობების შესწავლა, ზოგჯერ კერძო საწარმოებში, ზოგჯერ კი – მთელი ინდუსტრიულ სივრცეში. აუცილებელი ინფორმაციის

<sup>1</sup> კარლ კაუცკი, საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – მთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. თბილისი, თსუ, 2018, გვ. 84-85

შეგროვების მიზნით, პალატა სპეციალურ კითხვარს უგზავნის კომპეტენტურ პირებს და, საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებული კომისიის დახმარებით ატარებს კვლევას. ამ უკანასკნელს ყველგან შესვლის უფლება აქვს და თანამშრომლები ვალდებული არიან, მოთხოვნისამებრ წარუდგინონ მათ სავაჭრო წიგნაკი. მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიის კონტროლი პალატის პირდაპირ კომპეტენციაში არ შედის, ის კონტროლს ახორციელებს იმდენად, რამდენადაც ამას დასაქმებულთა ინტერესების დაცვა მოითხოვს<sup>1</sup>.

სატარიფო პალატის შექმნის შემდეგ 1919-1920 წლებში მუშათა საპროტესტო გამოსვლები ხშირად აღარ იმართებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა 1919 წლის ზაფხულში ვარციხეში, სახელმწიფო მამულში დასაქმებულ მუშათა გაფიცვა, რომლებიც უჩიოდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციას, მოითხოვდნენ ცვლილებებს მმართველობაში და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. გაფიცვა სწრაფად დასრულდა, რადგანაც შრომითი დავის განხილვაში მიწათმოქმედების სამინისტრო ჩაერია<sup>2</sup>. 1920 წელს მუშათა მორიგი გაფიცვა მოხდა ფოთის პორტში, სადაც ისევ მტვირთავები გაიფიცნენ და კვლავინდებურად სამუშაო პირობების მკაცრი კონტროლი მოითხოვეს. გაფიცვა წარმატებით დასრულდა. ამას ხელი იმ ფაქტორმაც შეუწყო, რომ შრომითი დავის დარეგულირების პროცესში თავად მინისტრიც ჩაერთო, რადგანაც პორტის პარალიზება საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სატრანზიტო სისტემას.

<sup>1</sup> ვლადიმერ ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია. თბილისი, თსუ 2018, გვ. 225

<sup>2</sup> დიმიტრი შველიძე (ავტორ-შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი/რედაქტორი), დამოუკიდებლობის 1028 დღე. თბილისი, თსუ, 2013, გვ. 162

## პროფესიული კავშირები 1918-1921 წლებში:

### გაფიცვები და მუშათა მდგრადარეობა

1918 წელს მუშები აგრძელებდნენ პროფესიული გაერთიანებების ფორმირებას, განსაკუთრებით, ლოკალური უჯრედების შექმნას. 1918 წლის განმავლობაში პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ვერ შეძლო ყრილობის/კონფერენციის ორგანიზება, 1919 წლის დასაწყისიდან კი შეუდგა ფართომასშტაბიანი ყრილობის ორგანიზებას, რომელზეც დელეგატები არა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებიდან, არამედ მეზობელი სახელმწიფოებიდანაც იქნებოდნენ მოწვეული (ამ ამბიციას ისიც აჩენდა, რომ თბილისის საბჭო თავის თავს ამიერკავკასიის მუშათა ცენტრალურ ორგანოდ მიიჩნევდა).

1918-1919 წლებში ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა როგორც საგარეო ფაქტორების, – მსოფლიო ომის მიმდინარეობის და ომისშემდგომი გამოწვევების, რუსეთის სამოქალაქო ომის, აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის, იმპორტის ციკლის რღვევის, – ასევე საშინაო – ბოლშევიკური/გლეხთა აჯანყებების, სანარმოო ინფრასტრუქტურისა და რესურსების სიმცირისა და ა.შ., – გამო. შედეგად, დამატებით ათასობით მუშამ დაკარგა სამუშაო ადგილი. პროფკავშირებმა თავიანთი როლი დაინახეს უმუშევართა დახმარებაში, რადგანაც ამ პერიოდში სახელმწიფოს არ გააჩნდა სისტემური პოლიტიკა უმუშევართა დახმარების კუთხით. პროფკავშირები გახდნენ უმუშევართა თაობათვის სოლიდარობის კამპანიების მთავარი ორგანიზატორები. 1918, 1919 და 1920 წლებში პროფესიული კავ-

შირების ორგანიზებით გაიმართა „უმუშევართა დღეები“. 1919 წელს პროფკავშირები პრესის საშუალებით მოქალაქეებს მიმართავდნენ – „თფილის უმუშევრებით აივსო. მრავალი ქარხანა გაჩერებულია, ცხოვრება კი საზღაპროთ ძვირი, ამით უმუშევართა ბედი ერთ-ერთი საშინელი და აუტანელი შეიქმნა. სპეცულიაცია ყოველ თვის ხალხს ვნებს. უმუშევრებს კი ყოველი მოუწყობლობის ცოდვები ატყდებათ თავზე... უმუშევართ მიეცით ლუკმა! იგი ჩვენი გამდიდრების საწინდარია. უმუშევართ დაუდეთ წილი თქვენს მოვებაში: იგი მათი ოფლის ლვრით და ტანჯვით მოპოვებულია... 7-8-9 მარტს გამოცდაა ერთხელ კიდევ თქვენი საზოგადოების“<sup>1</sup>.

1918 წლის ზაფხულის შემდეგ, როდესაც ტყიბულის ქვანახშირის შახტებში დასაქმებული მუშები გაიფიცნენ, რესპუბლიკაში 1919 წლის გაზაფხულამდე, ძირითადად, მუშათა მცირე მასშტაბის გაფიცვებს ჰქონდა ადგილი. 1919 წლის გაზაფხულზე თფილისის თვითმმართველობაში მომუშავე მოხელეებმა გაფიცვა დაიწყეს. თვითმმართველობის მოხელეები თვეების განმავლობაში არსებული სახელფასო დავალიანებების გადახდას და, ზოგადად, ხელფასების ზრდას მოითხოვდნენ. საინტერესოა, რომ პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთა გაფიცვა დაგმო, გაფიცულებს კი დემოკრატიის წინააღმდეგ მებრძოლთა რაზმი უწოდა<sup>2</sup>. გაფიცვის წინააღმდეგ მმართველი პარტიის პრესის ორგანოებში მასშტაბური კამპანია აგორდა, პრესის ფურცლებიდან აკრიტიკებდნენ გაფიცულებს და ხანდახან კონტრრევოლუციონერებადაც მოიხსენიებდ-

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1919 წლის 7 მარტი, N53, გვ. 1

<sup>2</sup> გაზ. ერთობა, 1919 წლის 10 აპრილი, N80, გვ. 1

ნენ. შავი კამპანია აგორდა თვითმმართველობის გაფიცული ექიმების წინააღმდეგ, რომლებსაც, ფაქტობრივად, პაციენტთა სიკვდილის ხელშეწყობაში ადანაშაულებდნენ<sup>1</sup>. გაფიცულთა წინააღმდეგ გამოვიდნენ დამფუძნებელი კრების წევრები, მათ შორის მუშები, ასევე სხვადასხვა ქალაქის თვითმმართველობის მოხელეებიც<sup>2</sup>. ცალკეული აქტორები იმ ასპექტსაც უსვამდნენ ხაზს, რომ გაფიცულთა უმრავლესობა საიმპერიო რეჟიმის დროსაც მუშაობდა, ეთნიკურად არ იყო ქართველი და კონტრრევოლუციურ ძალებს თანაუგრძნობდა.

მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვა პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ დაგმო, ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გაფიცვისაგან მიღებულ ეკონომიკურ სირთულეებზე პასუხისმგებლობას მთავრობასთან ერთად პროფკავშირებსაც აკისრებდა, რადგანაც მთავრობამ და პროფკავშირებმა თითქმის 1 წლის განმავლობაში ვერ შეძლეს შრომის ახალი პოლიტიკის შემუშავება და საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირება<sup>3</sup>.

საბოლოოდ, პროტესტი გაფიცულთათვის, ფაქტობრივად, უკუმარებელი დასრულდა. თავდაპირველად მათ შორის გაჩნდა წინააღმდეგობა და ცალკეული მუნიციპალური სამსახურების მუშებმა შეწყვიტეს საპროტესტო გამოსვლება და გაფიცვებში მონაწილეობა. გაფიცულებს ნეგატიურად უყურებდნენ ქალაქის მოქალაქეებიც. ქალაქის მმართველობამ გაფიცვის შესაჩერებლად გეგმა შეიმუშავა, რომლის ძალითაც გაფიცულთა ნაწილი უმუშევარი დარჩა. გაფიცულთა შორის მრავლად იყვნენ ეთ-

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1919 წლის 25 მარტი, N67, გვ. 1

<sup>2</sup> სცსა, ფონდი 2075, ანაწ. 1, საქმე 30, ფურც. 110

<sup>3</sup> გაზ. საქართველო, 1919 წლის 2 აპრილი, წ73, გვ. 1

ნიკურად რუსი და სომეხი მოქალაქეები, რომლებიც არ ფლობდნენ ქართულ ენას, ქალაქის ადმინისტრაცია კი, 1918 წლის 1-ელი ოქტომბრის კანონის თანახმად, უკვე ქართულ ენაზე აწარმოებდა ბიუროკრატიას. ქალაქის საბჭომ და ქალაქის თავის (მერის) აპარატმა გაფიცულების მნიშვნელოვან ნაწილს სამუშაოს დაკარგვისათვის გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხა გადაუხადა და სამსახურიდან დაითხოვა. გაფიცვის შემდეგ ქალაქის თვითმმართველობამ საქმიანობა სრულად ქართულ ენაზე განაგრძო.

თბილისის თვითმმართველობის მოხელეების გაფიცვის პარალელურად მიმდინარეობდა მზადება პროფესიურების მასშტაბური ყრილობისათვის. დელეგატებს აგზავნიდნენ საქართველოში არსებული ყველა პროფესიული გაერთიანებიდან. დელეგატთა ანკეტებიდან ნათლად იკვეთება, რომ საქართველოს პროფესიული კავშირები ძალზე მულტიეთნიკური იყო. ამ ასპექტის გათვალისწინება შემდგომში სახელმწიფოსაც მოუხდა შრომის კანონმდებლობის დამტკიცებისას, სადაც დასვენების დღეების, განსაკუთრებით რელიგიური დღეების, არჩევის საშუალებას უტოვებდა მულტიეთნიკურ და მრავალკონფესიურ მუშათა კლასს<sup>1</sup>.

1919 წლის 11 აპრილს თბილისში დაიწყო პროფესიული კავშირების მასშტაბური ყრილობა, რომელზეც 65 პროფესიულ გაერთიანებას წარმოადგენდა 198 დელეგატი. ცალკეულ პროფესიულ კავშირს, წევრთა სიმცირიდან გამომდინარე, არ ჰყავდა თავისი დელეგატები და სხვა პირები ითავსებდნენ მათი წარმომადგენლის სტატუსს.

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1920 წლის 4 აპრილი, N77, გვ. 2

1919 წლის აპრილში რესპუბლიკაში 87 პროფესიული კავშირი იყო ჩამოყალიბებული, რომელებშიც სულ 54 701 მუშა ირიცხებოდა<sup>1</sup>. ყრილობაზე დელეგატები მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის სოხუმისა და ბათუმის ოლქიდან (ამ უკანასკნელს ამ პერიოდში ბრიტანეთის ჯარები აკონტროლებდნენ). ამ დროისათვის სოხუმის ოლქში 12 პროფესიული უჯრედი არსებობდა, რომლებიც 2000-მდე დასაქმებულს აერთიანებდა<sup>2</sup>.

პროფესიული ყრილობამ 6 დღეს გასტანა, ყრილობის თავმჯდომარედ დამფუძნებელი კრების წევრი მუხრან ხოჭოლავა აირჩიეს, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. ყრილობაში მონაწილეობას იღებდნენ მთავრობისა და უშუალოდ შრომის სამინისტროს წარმომადგენლები. 6 დღის განმავლობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეკონომიკურ კრიზისს, ინფლაციას, მუშათა მძიმე მდგომარეობას, უმუშევრობასა და პროფესიული კავშირების საქმიანობის გაუმჯობესების გზების განხილვას<sup>3</sup>. პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ცნობილი სოციალ-დემოკრატი სეით დევდარიანი აირჩიეს, ხოლო მის მოადგილედ ასევე სოციალ-დემოკრატი ალფესი ხელაძე.

საქართველოს პროფესიული კავშირების ცენტრის განკარგულებაში თბილისსა და რეგიონებში არაერთი საზოგადოებრივი დაწესებულება იყო: მშრომელებს ჰქონდათ თავიანთი მუშათა თეატრები, სამკითხველოები

<sup>1</sup> ალექსანდრე ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.). თბილისი, მემატიანე, 2001, გვ. 252

<sup>2</sup> გაზ. ერთობა, 1919 წლის 16 აპრილი, N85, გვ. 1

<sup>3</sup> ირაკლი ირემაძე, შრომის საკითხი და პროფესიულ რესპუბლიკაში, კრბულში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ – მოდელი ევროპისთვის? თბილისი, თსუ, 2018, გვ. 362

მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, წერა-კითხვის წრეები; სასურსათო კრიზისისას პროფესიული კავშირები სარგებლობდნენ იაფი სასადილოებითა და საჩაიერებით სხვადასხვა ქალაქში; მუშებმა ჩამოაყალიბეს კლუბები, რომლებიც სახალხო უნივერსიტეტის ლექციებს, განხილვებსა და სახელოვნებო წარმოდგენებს ეთმობოდა; მუშები კლუბებთან აარსებდნენ კაფეებს, მართავდნენ თამაშებს. ხშირად ამგვარი კლუბების შექმნას ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებები უწყობდნენ ხელს<sup>1</sup>. პროფესიული კავშირები იყვნენ არაფორმალური განათლების გამორჩეული ინსტიტუტის – სახალხო უნივერსიტეტების მხარდამჭერნი. თავის მხრივ, სახალხო უნივერსიტეტების მსმენელთა უმრავლესობასაც მუშები შეადგენდნენ.

1920 წლისათვის მუშათა გაერთიანებებს თბილისში ეკავა ნაძალადევის მუშათა კლუბი (რომელიც 1900-იანი წლებიდან თავშეყრის მთავარი ადგილი იყო) და პლეხანოვის გამზირზე არსებული მუშათა სასახლე. 1920 წელს მუშებს გადაეცათ დედაქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე მდებარე, სახელგანთქმული მრეწველისა და ფილანთროპის, მიქაელ არამიანცის სასახლე (დღეს სასტუმრო თბილისი მარიოტი), რომელიც სახელმწიფო გამოისყიდა (საკმაოდ დაბალ ფასად) მფლობელისაგან<sup>2</sup>. მუშათა ახალი სასახლე 1920 წლის 28 დეკემბერს საზემოდ გაიხსნა ნოე ჟორდანიასა და საპატიო სტუმრის, კარლ კაუცკის მიერ<sup>3</sup>. გახსნის ცერემონიალზე ნოე ჟორდანი-

<sup>1</sup> სცსა, ფონდი 2075, ანან. 1, საქმე 54, ფურც. 111.

<sup>2</sup> მართალია, მთავრობამ მამულსა და სასტუმროში 3 მილიონ მანეთზე მეტი გადაიხადა, თუმცა არსებული კურსის გათვალისწინებით, ეს თანხა, რა თქმა უნდა, არააღეკვატური იყო ქონების რეალურ ღირებულებასთან შედარებით.

<sup>3</sup> სცსა, ფონდი 2075, ანან. 1, საქმე 104, ფურც. 2

ას მიერ წარმოთქმული სიტყვა კი აღბათ ყველაზე უკეთ ასახავდა დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების დამოკიდებულებას მუშებისადმი – „ამხანაგებო, ნება მომეცით, მოგილოცოთ თქვენ მუშათა სასახლის გახსნა. ეს სახლი გარეგნულათ სრულად არ გავს მუშათა სახლს. არც ეს ქუჩა გავს იმ ქუჩებს, რომელზედაც უხდებოდათ ცხოვრება მუშებს. და აი, მუშათა სასახლის გახსნა სწორედ ამ სახლში, რომელიც აგებული იყო მაღალი კლასებისათვის, სწორედ ეს გვიჩვენებს რევოლიუციის აზრსაც, გვიჩვენებს იმასაც, რომ მუშები გამოდიან თავიანთ ბნელი, ვინრო ქუჩებიდან და იკავებენ საუკეთესო სახლებს ჩვენ დედა ქალაქ ტფილისისას. მას შემდეგ, რაც მუშებმა დაიბყრეს პოლიტიკური ძალაუფლება და დაიკავეს ის სასახლე (დამფუძნებელი კრების სასახლე), სრულიად ბუნებრივია ამ მუშათა სასახლის დაკავება. და აი, ამ სასახლის გახსნა გვიჩვენებს, რომ მუშები უფრო ახლო დგებიან, მჭიდრო კავშირს იკავებენ იმ ხალხთან, რომელნიც იმყოფებიან იმ სასახლეში და რომლებიც თქვენზე ეყრდნობიან. ჩვენ მიჩვეული ვართ თქვენგან დირექტივების, დახმარების მიღებას და მე იმედი მაქვს, რომ თქვენ კვლავ არ მოგვაკლებთ ამ დახმარებას, გააგრძელებთ თქვენს პოლიტიკას. თუმცა პროფესიონალური კავშირები პოლიტიკას არ ენევიან, მაგრამ ნმინდა პროფესიონალური მოძრაობა არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. და აი, თქვენ უნდა გვიკარნახოთ დირექტივები და ჩვენ მათ ცხოვრებაში ვავატარებთ მუშათა კლასის სახელით, მისი ინტერესების მიხედვით. აი ამ სახლში გაერთიანებულია თფილისის პროფესიონალური კავშირები და მე ვისურვებ, რომ ამ სახლში გაერთიანებულიყვნენ მთელი საქართველოს კავშირები.

ეს ცოტაა, მე ვისურვებდი, რომ ეს საღი პოლიტიკა, რომელსაც თქვენ აწარმოებთ, გადასროლილ იყოს საქართველოს საზღვრებს გარეშე, განსაკუთრებით ბაქოში და სხვა ცენტრებში. გილოცავთ ბრწყინვალე დღეს”<sup>1</sup>.

საქართველოს პროფესიული კავშირები ცდილობდა ურთიერთობის დამყარებას როგორც სამეზობლოში არსებულ მუშათა გაერთიანებებთან, ასევე საერთაშორისო მუშათა კავშირებთან. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ევროპაში მშრომელთა მასებს დიდი პოლიტიკური წონა ჰქონდათ და შეეძლოთ, გავლენა მოეხდინათ თავიანთი ქვეყნების პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებებზე, რომელთა კეთილგანწყობაც მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისოდ აღიარებისათვის. 1919-1921 წლებში პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ არაერთი წერილი გაუგზავნა თავის ევროპელ კოლეგებს<sup>2</sup>.

საქართველოსა და ევროპის მუშათა კლასს შორის ურთიერთობის გაღრმავების პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა 1920 წლის სექტემბერში, როდესაც დემოკრატიულ რესპუბლიკას ბელგიიდან, საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და გერმანიიდან სოციალისტთა დელეგაცია ეწვია. დელეგაცია ამ ქვეყნების სოციალისტური პარტიებისა და მუშათა მოძრაობების ლიდერებისაგან შედგებოდა: დიდი ბრიტანეთიდან ლეიბორისტული პარტიის ლიდერი რამსეი მაკდონალდი, მუშათა გაერთიანების ლიდერი თომას შოუ და სუფრაჟისტთა ლიდერი ეთელ

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIII, ნოე ჟორდანია (მთავარ. რედ. სტივენ ჯონსი, რედ. ემზარ ჯგერენაია). თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018, გვ. 196-197

<sup>2</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 26 ივნისი, N164, გვ. 2

სნოუდენი, საფრანგეთიდან – სოციალისტური პარტიის ერთ-ერთ ლიდერი პიერ რენოდელი, პარტიის წევრი ანდრე მარკე და ფრანგული მუშათა გაერთიანებების ერთ-ერთი ლიდერი ალბერ ინგელსი; ბელგიიდან დელეგაციის წევრთა შორის იყვნენ: ემილ ვანდერველდე – სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი დამარსებელი და მოქმედი სახელმწიფო მინისტრი, კამილ ჰიუსმანსი – მეორე ინტერნაციონალის გენერალური მდივანი და პროფესორი ლუი დე ბრიუკერი – ბელგიის სოციალისტური პარტიის გაზეთის რედაქტორი და პროფესიული კავშირების წარმომადგენელი; გერმანიიდან კი ცნობილი თეორეტიკოსი კარლ კაუც-კი. ევროპელმა სოციალისტებმა ბათუმში, ჭიათურასა და თბილისში შეხვედრები გამართეს საქართველოს მუშებთან და პროფესიულ გაერთიანებებთან, დე ბრიუკერმა სპეციალური მოხსენებაც წაიკითხა პროფკავშირელებისათვის. ევროპელი სოციალისტები განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ შრომის ახალი კანონმდებლობით, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულად და მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველად მიაჩნდათ.

1919-1920 წლებში კიდევ არაერთი პროფესიული გაერთიანება ჩამოყალიბდა. მაგალითად, 1920 წელს სამხედრო ექიმებმა და ექთნებმა შექმნეს თავიანთი პროფესიული გაერთიანებები. 1920 წლის ზაფხულში, ბათუმის ოლქის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში შესვლის შემდეგ, დაჩქარებული წესით შეიქმნა ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები. 1920 წლის აგვისტოს მონაცემებით, ბათუმის ოლქში 7 500 მუშა იყო განევრიანებული 31 პროფესიულ კავშირში<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1920 წლის 21 აგვისტო, N189, გვ. 3

პროფესიული კავშირებისა და მათში განევრიანებულ წევრთა რაოდენობა ყოველთვიურად იზრდებოდა. 1920 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 113 პროფესიული გაერთიანება ფუნქციონირებდა, რომელიც 64 000-ზე მეტი მუშა ირიცხებოდა. 33 000 მუშა იყრიდა თავს თბილისში, სადაც 33 პროფესიული კავშირი მოქმედებდა. 80 პროფესიული გაერთიანება არსებოდა საქართველოს მაზრება და ქალაქებში, განსაკუთრებით, ბათუმის ოლქში, შორაპნისა და ქუთაისი მაზრებში, ასევე ქალაქ სოხუმსა და ფოთში. 1919 წელს პროფესიული კავშირების ცენტრი გამოსცემდა უურნალ „მუშათა ცხოვრებას“, რომლის ტირაჟი 4 500-ს აღწევდა. ყველაზე დიდ გაერთიანებას, რკინიგზელთა კავშირს, ჰქონდა თავისი ქართულ- და რუსულენოვანი უურნალი „რკინისგზელი“, რომელიც ქართულ ენაზე 10 000-იანი ტირაჟით გამოდიოდა ხოლო რუსულად – 3 000-იანით<sup>1</sup>. პროფკავშირებში სოციალ-დემოკრატთა დომინირება 1919-1921 წლებშიც თვალშისაცემი იყო – პროფკავშირების იმ წევრთა 90%, რომლებიც პარტიებშიც იყვნენ განევრიანებული, სოციალ-დემოკრატები გახლდნენ. ეს ლოგიკურიც იყო, რადგანაც თავად მუშები, თავის მხრივ, უმრავლესობას შეადგენდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა შორის<sup>2</sup>.

პროფესიულ გაერთიანებებში შექმნის დღიდან აქტიურად ფუნქციონირებდა ქალთა ორგანიზაციები, თუმცა 1917 წლიდან ამ პროცესმა კიდევ უფრო ფართო მასშტაბი შეიძინა. პროფესიულ კავშირებში ქალთა რიცხვის

<sup>1</sup> სცსა, ფონდი 2077, ანან. 1, საქმე 1, ფურც. 3.

<sup>2</sup> ერიკ ლი, ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია. თბილისი, პოეზია, 2018, გვ. 159

ზრდა თავისთავად ზრდიდა მშრომელი ქალებისათვის დამატებით არსებული ჩაგვრის მექანიზმებზე საჯარო საუბრების შესაძლებლობას<sup>1</sup>.

1919 წლის აპრილის ყრილობიდან მოყოლებული პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო ცდილობდა გამართული ბიუროკრატიული აპარატის ფორმირებას პროფესიული კავშირების შესაქმნელად. ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა, პროფესიული კანონის შესაბამისად, საქმიანობის ქართულ ენაზე წარმართვა, რადგანაც მუშათა წრე მულტიერნიკური იყო<sup>2</sup>. პროფესიული კავშირების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ფინანსების სიმცირე, ამასთან მათ ხშირად არ გააჩნდათ საკუთარი სივრცეები მმართველობითი აპარატის განსათავსებლად.

პროფესიული კავშირები 1918-1921 წლებში ხშირად ივიწყებდნენ თავიანთ მთავარ ფუნქციას და, მუშათა უფლებების დაცვაზე მეტად, ზოგადად, ქვეყნის თავისუფლების დაცვაზე, დემოკრატიზაციასა და განვითარებაზე უფრო მეტ ენერგიას ხარჯავდნენ. მუშები რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენად მიიჩნეოდნენ, ამას მოწმობს კარლ კაუცკის შეფასებები, რომელიც 1920 წლის ბოლოს თბილისში ინტენსიურად სწავლობდა პროფესიულ კავშირთა ცენტრალური ორგანიზაციების საქმიანობას – „პროფესიული კავშირები ორგანიზებული არიან არა პროფესიული ნიშნით, არამედ მრეწველობის დარგების

<sup>1</sup> ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში 1918-1921 (ავტორ-შემდგენლები: ლელა გაფრინდაშვილი (სამეც. რედ), ირაკლი ირემაძე, ცისანა გოდერძიშვილი, სალომე ჭანტურიძე, ლევან თაქთაძიშვილი). თბილისი, ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის (WIE), 2018, გვ. 165

<sup>2</sup> სცსა, ფონდი 2075, ანან. 1, საქმე 86, ფურც. 16

მიხედვით. პროფესიული პრინციპი ჯერ მყარად არ არის ფეხმოკიდებული. თბილისში აღნიშნული კავშირები ფლობენ თავიანთ ნაგებობებს, თეატრს, შეხვედრების ადგილს – პლეხანოვის მუშათა სასახლეს, რომელიც მუშებმა დიდი მსხვერპლის ფასად ააშენეს. რეინიგ ზელებს სპეციალურად განკუთვნილი შენობაც აქვთ თავიანთი ორგანიზაციისათვის. პროფესიონების ორგანოები და მისი მისწრაფებები დასავლეთ ევროპულს ჰგავს. მაგრამ მომეჩვენა, რომ პროფესიონები საგრძნობ დაქსაქსულობას განიცდიან. თუმცადა, მოძრაობა, რომელიც სულ რაღაც სამი წლისაა, სრულყოფილი ვერ იქნება. იმის გამო, რომ ორგანიზაცია ახლად ჩამოყალიბებულია, მისი ინტერესი არ არის ვინო და მხოლოდ პროფესიული. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ მუშათა საკითხებით, არამედ კონცენტრირებულია მთელ საზოგადოებაზე. ეს თვალსაჩინოდ იკვეთება პროფესიონების დამოკიდებულებაში გაფიცვის მიმართ. ისინი გაფიცვას პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში ყველაზე ბასრ იარაღად მიიჩნევენ. ის, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფესიონები ამას, ცხადი ხდება იმ ფაქტით, რომ ისინი კონსტიტუციაში გაფიცვის უფლების ასახვას ითხოვენ. მათ ისიც კარგად იციან, რომ ეს მრისხანე იარაღი მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოიყენონ“<sup>1</sup>.

კაუცკის აზრებს ემთხვეოდა ვლადიმერ ვოიტინსკის შეფასებებიც – „ქართულმა პროლეტარიატმა სწორად შეაფასა არსებული ვითარება – რევოლუციის პერიოდში ხალხის მმართველის როლში ყოფნა და მუშათა კლასის

<sup>1</sup> კარლ კაუცკი, საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი. თბილისი, თსუ, 2018, გვ. 83-84

მოთხოვნების რეალიზაცია მისგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. აქ უნდა დავინახოთ სოციალ-დემოკრატიული სკოლის გავლენა, რომელმაც ქართველ მუშათა პოლიტიკური ცნობიერება ჩამოაყალიბა. საქართველოში მუშათა პოლიტიკას მაქსიმალიზმი არ ახასიათებდა. მისი იდეალი და არსი სოციალისტური იყო, მაგრამ სოციალიზმისკენ მიემართებოდა არა ამბოხებათა და ტერორის, არამედ დემოკრატიის გზით. აქ პოლიტიკური ამოცანები არ სცდებოდა შესაძლებლობათა ფარგლებს, მაგრამ ქვეყანაში, რომელიც ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა, ფართო ასპარეზს აძლევდა მუშათა კლასს მისი მატერიალური და მორალური მდგომარეობის გარანტირებით. ამ წყობამ დადგებითი შედეგი მოიტანა ეკროპის განვითარებული ქვეყნებისთვის, ქართველ მუშათა კანონმდებლობა კი მხოლოდ ეტაპობრივად მიდიოდა სამუშაოსა და კაპიტალს შორის არსებულ მიმართებათა რადიკალურ ტრანსფორმაციამდე. ამ გზაზე გადადგმულ თითოეულ მეტ-ნაკლებად გაპედულ ნაბიჯს წინ უძლოდა შედეგების ვრცელი და სიღრმისეული შესწავლა... საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მუშათა პოლიტიკა დიამეტრალურად განსხვავდებოდა საბჭოთა რუსეთის შრომის პოლიტიკისაგან<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება მონდომებული იყო, შრომის პოლიტიკა მუშათა ინტერესებისთვის მოერგო, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, კონსტანტინე კანდელაკის შეფასებით არსებული რესურსების სიმცირიდან გამომდინარე ეს მონდომება ნაკლებად აისახებოდა რეალურ პოლიტიკაზე

<sup>1</sup> ვლადიმერ ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია. თბილისი, თსუ 2018, გვ. 219

– „ბევრის წარმოდგენით თუმცა დამოუკიდებელ საქართველოში ნივთიერი გასაჭირი დიდი იყო, მაგრამ რადგან ხელისუფლება სოციალისტებს ეჭირა, მუშები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და ამიტომ საუკეთესო ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საზოგადოების ფართე წრეებთან შედარებით. სამწუხაროთ, ... ეს სულ ასე არ ყოფილა. მუშა მოსამსახურის მდგომარეობა დამოუკიდებელ საქართველოში საერთოდ ისეთივე იყო, როგორც დანარჩენ საზოგადოების, ისინიც განიცდიდნენ ნივთიერ გაჭირვებას. და არა იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ პროფესიული ორგანიზაციები და თავის უფლებებს და მოთხოვნებს საკმარისად ვერ იცავდენ, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ისინი, დარაზმული პროფესიულ კავშირებში და პოლიტიკურ ორგანიზაციებში, სრულის შეგნებით ერკვეოდენ არსებულ მდგომარეობაში. დემაგოგიას არ მიყვებოდნენ, განუხორციელებელ მოთხოვნილებებს არ აყენებდნენ და ყოველგვარ უპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმას ერიდებოდნენ. ამ მხრივ საქართველოს მუშათა კლასი ისეთ თავდაჭრილობას და პოლიტიკურ სიმწიფეს იჩენდა, რომ მისი ყოფაქცევა იმ დროს სანაქებო და დიდი პატივისცემის ღირსი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ დავინახეთ მრავალი მაგალითი მუშათა თავდაუჭერლობის, ევროპის ზოვიერთ ქვეყნებშიც კი, ასეთივე კრიზისების და გარდამავალ ხანის პერიოდში”<sup>1</sup>.

მუშათა მდგომარეობის შესახებ კანდელაკს თავის ნაშრომში არაერთი სტატისტიკა მოჰყავს, რომლითაც ნათელი ხდება, რომ რესპუბლიკაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლეოდა საშუალებას მუშათა მდგომარეობის

<sup>1</sup> კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე. პარიზი, სსრკ-ს შემსწავლელი ინსტიტუტი, 1960, გვ. 135

კარდინალური ცვლილებისათვის. კანდელაკს მოჰყავს ინფლაციისა და ხელფასების ზრდის სტატისტიკა – 1914-1920 წლებში მუშების გასამრჯელო სხვადასხვა სფეროში 50-100-ჯერ გაიზარდა. თუმცა ამავე პერიოდში ინფლაცია ციფრებში ასე აისახა – 1914 წელს 1 გირვანქა ხორცის ღირებულება 14 კაპიკი იყო, 1920 წელს – 15.5 მანეთი. ამავე პერიოდში 1 გირვანქა პურის ფასი 4 კაპ.-დან 10.6 მან.-მდე გაიზარდა, ხორცისა და ზეთისა კი 18 კაპ.-დან 60 მან.-მდე<sup>1</sup>. ეს ციფრები აჩვენებს, რომ ხელფასების რეალური ზრდა ინფლაციამ შთანთქა და ხშირად, პირიქით, სამომხმარებლო კალათის ფასის ზრდა უფრო მეტი იყო ვიდრე ხელფასების. თუმცა კარდინალურად შეიცვალა სამუშაო საათების რაოდენობა და სამუშაო პირობები. ამასთან მუშებს რესპუბლიკის პერიოდში სურსათი საბაზრო ფასებზე უფრო დაბალ ფასად მიეწოდებოდა სპეციალური სასურსათო „მუშათა მაგიდების“ საშუალებით.

რესპუბლიკის ეკონომიკური პრობლემები ართულებდა მუშათა მდგომარეობას, 1917 წლიდან მოყოლებული ინფლაციის ტემპები მუდმივად იზრდებოდა. ეკონომიკური პრობლემები ხშირად გარე ფაქტორებს უკავშირდებოდა – ჯერ კიდევ დაუსრულებელ მსოფლიო ომს და ომის შემდგომ პრობლემებს, რესეთის სამოქალაქო ომს, კავკასიის რეგიონში სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტებსა და ომს, ოსმალეთის ყოფილი სრუტეების ფაქტობრივ ბლოკადას, ბოლშევიკური და დენიკინური ძალების შემოჭრის საფრთხეებს. თუმცა ქვეყნის ეკონომიკა არც საშინაო გამოწვევების ნაკლებლობას უჩინდა. ქვეყნის ბიუჯეტი, ძირითადად, მხოლოდ ახალი კუპიურების ბეჭდვით ივსებოდა,

<sup>1</sup> კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, ნიგნი მეორე. პარიზი, სსრკ-ს შემსწავლელი ინსტიტუტი, 1960, გვ. 139

საგადასახადო სისტემა მოშლილი იყო, სახელმწიფოს მიერ წარმოებული მონოპოლიზაციის კამპანია – ხარვეზიანი და არცთუ ისე წარმატებული. საშუალო და დაბალ რგოლებში კორუფცია იჩენდა თავს და კიდევ უფრო ღრმავდებოდა. კონტრაბანდა და სპეცუალაცია კი განსაკუთრებით იზრდებოდა სასურსათო სექტორში. არცთუ იშვიათი იყო სახელმწიფო ქონების მითვისების ფაქტებიც<sup>1</sup>.

ინფლაციის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო ვალუტის სწრაფად ცვალებადი გაცვლითი კურსი – 1920 წელს აპრილ-მაისში სულ 23 დღეში ერთი გირვანქა სტერლინგის კურსი 600 მანეთიდან 1 000 მანეთამდე გაიზარდა<sup>2</sup>. ინფლაციის მასშტაბის აღსანერად თავად მუშების მიერ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიც გამოდგება, მაგალითად, მუშათა წერილებიდან ირკვევა, რომ სულ თვე-წახევარში, 1919 წლის მარტ-აპრილში, გირვანქა მჭადის ფასი 2.2 მანეთიდან 3.6 მანეთამდე გაიზარდა – 64%-იანი ზრდა დროის მოკლე მონაკვეთში, მაშინ, როდესაც მჭადი ერთ-ერთი მთავარი საკვები პროდუქტი იყო. ალნიშნულ დროში 60%-ზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ხორცის ფასთან მიმართებით, მსგავსი ტენდენცია იყო სხვა სასურსათო პროდუქტების შემთხვევაში<sup>3</sup>.

ინფლაციის გავლენის შესამცირებლად მთავრობა დროდადრო ხელფასების ზრდას მიმართავდა. 1919 წლის მაისიდან, როდესაც ჩამოყალიბდა სატარიფო პალატა,

<sup>1</sup> ბექა კობახიძე, ირაკლი ირემაძე, ირაკლი ხვადაგიანი, დავით ხვადაგიანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტროლი / The State Controller's Office of the Democratic Republic of Georgia, ობილისი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2020, გვ. 106-107

<sup>2</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება – სხდომის ოქმები – ტომი VII. თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 219, გვ. 371-372

<sup>3</sup> სცსა, ფონდი 2075, ანან. 1, საქმე 37, ფურც. 28

ხელფასების ზრდის პრეროგატივა სწორედ ამ ორგანოს მიენიჭა. პალატა თავადვე სწავლობდა სასურსათო ფასებ-სა და ინფლაციის მაჩვენებლებს. სატარიფო პალატამ არასრული 2 წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოითხოვა ხელფასების ზრდა. პალატა თავისი დაანგარიშებით ხელ-ფასების ზრდის რეკომენდაციებს გასცემდა არა მხოლოდ რიგით მშრომელებთან მიმართებით, არამედ მთავრობის თავმჯდომარის ხელფასის ზრდასთან დაკავშირებითაც კი. მაგალითად, 1919 წლის აგვისტოში ნოე ჟორდანიას ხე-ლფასი 1 000 მანეთით გაიზარდა და 7 000 მანეთი შეადგინა, მთავრობის წევრების ხელფასები 500 მანეთით გაიზარდა და 5 000 მანეთი შეადგინა<sup>1</sup>. 1919 წლის აგვისტო-ოქტომბ-ერში ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ამიტომ 1919 წლის 10 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ ახალი სახელფასო განაკვეთე-ბი დაადგინა: მთავრობის თავმჯდომარის ხელფასი 10 000 მანეთი გახდა, მინისტრების ხელფასი 3 000 მანეთით გაიზარდა და 8 000 მანეთით განისაზღვრა<sup>2</sup>. 1919 წლის ნო-ემბერში დამფუძნებელი კრების წევრთა ხელფასები 3500 მანეთით გაიზარდა და 6 000 მანეთი შეადგინა<sup>3</sup>. ამავე პე-რიოდში გაიზარდა საჯარო მოხელეების ხელფასები 50-70%-ით, ამავე დროს ანაზღაურებისა და განეული შრომის დასაბალანსებლად საჯარო სამსახურებში სამუშაო დრო 6 საათამდე შემცირდა. 1919 წლის ნოემბერში სატარიფო პალატამ გამოსცა რეკომენდაცია, რომლის საფუძველ-ზეც მთავრობამ დაადგინა, რომ რესპუბლიკის ყველა

<sup>1</sup> სცსა, ფონდი 1861, ანან. 3, საქმე 15, ფურც. 211

<sup>2</sup> იქვე, ფურც. 255

<sup>3</sup> იქვე, ფურც. 262

მშრომელის ხელფასი უნდა გაზრდილიყო 40-50%-ით<sup>1</sup>. ორი თვის შემდეგ, 1920 წლის იანვარში, სატარიფო პალატის მიერ მომზადებული ახალი დასკვნების საფუძველზე ხელფასები 60%-ით გაიზარდა, თუმცა ინფლაციის მაჩვენებლის გათვალისწინებით რეალური ხელფასები შემცირდა<sup>2</sup>. სატარიფო პალატის დადგენილებითვე იზრდებოდა პენსიები. ამ პერიოდში სისტემური საპენსიო პროგრამა არ არსებობდა და პენსიები მიეცემოდათ იმ მშრომელებს, რომლებმაც დაზიანება მიიღეს სამუშაო ადგილებზე. 1920 წელს მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა ეკონომიკური მდგომარეობა, შესაბამისად, ხელფასების რადიკალური ზრდა აღარ მომხდარა. თუმცა 1920 წლის ბოლოს მომზადებული ახალი ანგარიშების საფუძველზე სატარიფო პალატა 1921 წლის იანვარში ხელფასების 60-100%-ით ზრდას მოითხოვდა. ხელფასების ზრდის მოთხოვნას მუდმივად აყენებდა მუშათა პროფკავშირებიც, მეტიც, 1919-1920 წლებში პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს მიერ განხილული საკითხების 90% სწორედ ხელფასების ზრდის მოთხოვნას შეეხებოდა<sup>3</sup>.

ცალკეულ სექტორებში დასაქმებულთა ხელფასები სატარიფო პალატის დაანგარიშების გარეშეც იზრდებოდა, მაგალითად, 1919 წლის 29 ნოემბერს დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა, რომ პედაგოგთა ხელფასები, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო, 100%-ით გაზრდილიყო. პედაგოგთა ხელფასების გაორმავების აუცილებლობის შესახებ დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატმა ნიკიფორე იმნაიშვილმა განაცხადა – „თავის მოსამსახურე-

<sup>1</sup> სცაა, ფონდი 1861, ანან. 3, საქმე 20, ფურც. 41

<sup>2</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 18 იანვარი, გვ. 1

<sup>3</sup> სცაა, ფონდი 2075, ანან. 1, საქმე 41, ფურც. 16, 18, 21.

თა ქონებრივი უზრუნველყოფის მხრივ არც ერთი უწყება ისეჩამორჩენილი არ არის, როგორც სახალხო განათლების უწყება და არც ერთი მოხელე სახელმწიფოში – შეიძლება ისე დაჩაგრული არ იყოს, როგორც მოსამსახურენი ამ უწყებისა – მასნავლებელი. ეს უსამართლობა იმათ მიმართ იყო ძველი წესწყობილების დროს და საუბედუროდ რევოლუციის შემდეგ ის არ შეცვლილა დღემდისაც. ამის გამო იყო, რომ შეუძლებელი გახდა უზრუნველყოფა რესპუბლიკის სკოლების მასნავლებელთა საკმაო რიცხვის მხრით<sup>1</sup>. პედაგოგთა ხელფასების 100%-ით ზრდის მიუხედავად, სკოლებში დასაქმებულთა ჯამაგირი 1919 წლის ნოემბერში 1 660 მანეთიდან (დაწყებითი ორკლასიანი სკოლის პედაგოგთათვის) 3 800 მანეთამდე (საშუალო სკოლების დირექტორთა ხელფასი) მერყეობდა<sup>2</sup>. პედაგოგები მძიმე სოციალური ფონის გამო ხელფასების ზრდას 1920 წელსაც აქტიურად მოითხოვდნენ<sup>3</sup>. პედაგოგთა ხელფასების სიმცირის შესახებ კრიტიკული სტატიები ხშირად იბეჭდებოდა ოპოზიციურ გამოცემებში.

სატარიფო პალატაში ხელფასების ზრდის მოთხოვნის საკითხის შესწავლისათვის ათობით წერილი შედიოდა. პალატა, როგორც წესი, შესწავლის შემდგომ გასცემდა რეკომენდაციებს ხელფასების ზრდის შესახებ, თუმცა იყო გამონაკლისებიც. მაგალითად, სატარიფო პალატამ 1919 წლის ოქტომბერში უარი თქვა, დაეკმაყოფილებინა თბილისის ფარმაცევტთა პროფესიული კავშირის მოთხოვნა. თავად ფარმაცევტთა პროფესიულმა კავშირმა

<sup>1</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება – სხდომის ოქმები – ტომი IV. თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 219, გვ. 100-102

<sup>2</sup> სცსა, ფონდი 2047, ანან. 1, საქმე 1, ფურც. 129

მწვავე პროტესტი გამოთქვა ამ უარის გამო და გაფიცვა დაიწყო, რის შედეგადაც შეწყვიტეს მუშაობა თბილისის აფთიაქებმა<sup>1</sup>. გაფიცვა უკანონოდ სცნო და დაგმო პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ. გაფიცვის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთეს მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოში. გაფიცვა გააკრიტიკა პრესამ და მუშათა საწინააღმდეგო წერილები გამოაქვეყნა.

გარდა ხელფასების სისტემატურად ზრდის ტენდენციისა, ცალკეულ თვეებში დიდი ეკონომიკური ჩავარდნების ფონზე სატარიფო პალატა მოუწოდებდა დამსაქმებლებს, გაეცათ ერთჯერადი დახმარებები – „დაევალოს ყველა დამქირავებლებს დაუყონებლივ მისცენ მათ ყველა მუშებს და მოსამსახურეებს ერთი თვის ჯამაგირის ოდენი ერთდროული დახმარება. მაგრამ არა უმეტეს 3 000 მანეთი ყოველივეს, იმნაირათ, რომ აღნიშნული დახმარებიდან არ იქნება არავითარი გამოკლებული. ეს განცხადება უკვე ეცნობა დამქირავებლებს სისრულეში მოსაყვანად. თავმჯდომარე სატარიფო პალატისა – ილია გოლდმანი<sup>2</sup>, მდივანი ტრეიმანი<sup>3</sup>.

ინფლაციისა და სასურსათო კრიზისის ფონზე 1919 წლიდან მთავრობამ შემოილო „მუშათა მაგიდები“, თავისი არსით სასურსათო მარკეტების მსგავსი, რომელთა საშუალებითაც მუშები სურსათს საბაზრო ფასზე ბევრად იაფად იძენდნენ. მუშებზე გაიცემოდა სპეციალური ტალონები სურსათის შესაძენად. „მუშათა მაგიდები“ 1920 წელს ბევრგან გაიხსნა და მასშტაბური ხასიათი მიიღო. მაგალითად, 1920 წლის თებერვალში „მუშათა

<sup>1</sup> სცსა, ფონდი 2075, ანაზ. 1, საქმე 82, ფურც. 12

<sup>2</sup> შრომის მინისტრის მოადგილე.

<sup>3</sup> გაზ. ერთობა, 1920 წლის 17 ივნისი, N134, გვ. 3

მაგიდებიდან“ 50 000 დასაქმებული იძენდა სურსათს. პროგრამაში 600 დაწესებულებაზე მეტი იყო ჩართული. შემდგომ პერიოდში „მუშათა მაგიდის“ მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა<sup>1</sup>. „მუშათა მაგიდებს“ სახელმწიფო და კურძო სექტორი ერთდროულად აფინანსებდა და ამარაგებდა სურსათით<sup>2</sup>. ეს ინსტიტუტი მოსალოდნელი შიმშილის ერთგვარი საპრევენციო დაწესებულების როლს ითავსებდა მომარაგების სამინისტროსთან ერთად.

1919-1921 წლებში უმუშევრობის დონე სწრაფად იზრდებოდა, ამას თან ერთვოდა ისიც, რომ საწარმოო რესურსების გამო იხურებოდა დიდი საწარმოები. გარდა ამისა, დედაქალაქი აივსო ლტოლვილებითა და სამუშაოს საძებნელად ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირებით. პრობლემის გადასაჭრელად პროფესიულმა კავშირებმა და ხელისუფლებამ ჩამოაყალიბეს „შრომის ბირჟა“, რომლის მიზანიც იყო სამუშაოს მაძიებელთა ხელშეწყობა და დასაქმება, თუმცა ეს პროცესი რთულად მიმდინარეობდა – ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, „შრომის ბირჟის“ საშუალებით დასაქმება ამ ინსტიტუტისთვის მიმმართველთა 6%-მა ძლივს შეძლო.

## ახალი საკანონმდებლო პაზა

მიუხედავად იმისა, რომ სატარიფო პალატის, როგორც შრომის პოლიტიკის რეგულირების უმთავრესი ორგანოს, ფორმირება 1919 წლის მაისში მოხდა, საკანონმდებლო

<sup>1</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 3 თებერვალი, N25, 83. 1

<sup>2</sup> გაზ. ერთობა, 1920 წლის 13 ოქტომბერი, N232, გვ. 3

დონეზე კიდევ არაერთი დეტალი იყო დასაზუსტებელი და დასახვენი. 1920 წლის ზაფხულში დამფუძნებელმა კრებამ დაიწყო შრომის ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნისათვის მუშაობა. კანონპროექტი დამფუძნებელი კრების სხდომაზე სახელით – „შრომის ხელშეკრულების კანონი“ განიხილებოდა. კრების სხდომებზე განხილვა ხანგრძლივად მიმდინარეობდა, პროცესში ყველა პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კანონპროექტს, პრინციპში, ყველა ოპოზიციური პარტია აკრიტიკებდა. მემარცხენე ოპოზიცია, მართალია, იზიარებდა ძირითად პრინციპებს, თუმცა მოითხოვდა მუშათა ინტერესების დაცვის კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების შემოღებას. სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები მოითხოვდნენ, რომ კანონი გავრცელებულიყო დასაქმების ყველა სექტორზე (კანონპროექტის მიხედვით ის არ ვრცელდებოდა სოფლის მეურნეობასა და საჯარო ადმინისტრაციაზე)<sup>1</sup>. კანონპროექტი გააკრიტიკა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომლის ერთ-ერთი ლიდერიც, ალექსანდრე ასათიანი კრების სხდომებზე სიტყვით არაერთხელ გამოვიდა. მისი კრიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ კანონპროექტი მხოლოდ მუშათა ინტერესებზე იყო აგებული და იგნორირებული იყო დამსაქმებელთა ინტერესები<sup>2</sup>. დამფუძნებელმა კრებამ კანონი 1920 წლის 14 აგვისტოს სხდომაზე დაამტკიცა.

<sup>1</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება – სხდომის ოქმები – ტომი VII. თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019, გვ. 51-68

<sup>2</sup> ირაკლი ირემაძე, შრომის საკითხი და პროფესიონალის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკში, კრებული – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ – მოდელი ევროპისთვის? თბილისი, თსუ, 2018, გვ. 364-365

„შრომის ხელშეკრულების კანონი“ 14 თავსა და 91 მუხლს მოიცავდა და დეტალურად განსაზღვრავდა ახალ ნორმებსა და სტანდარტებს. პირველივე მუხლი აცხადებდა – „1. ამ კანონს ექვემდებარება შრომის ყოველი ხელშეკრულება, რომლითაც ერთი პირი – დაქირავებული – თავის სამუშაო ძალას აძლევს სხვა პირს – დამქირავებელს – განსაზღვრული ან განუსაზღვრული ვადით ან გარიგებულ სამუშაოს დამთავრებამდე და ვალდებული ხდება დამქირავებლის მიერ ნაჩვენები განსაზღვრული სახის მოქმედება შეასრულოს სასყიდლით – სამუშაო ფასით, რომელიც აღირიცხება დროის მიხედვით, ნაჭრობით ან სხვა საშუალებით. \* შენიშვნა: ამ კანონს არ ექვემდებარებიან: ა) სახელმწიფოსი და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებათა თანამდებობის პირი და ადმინისტრაციაში მოსამსახურენი; ბ) ის ხელშეკრულებანი, რომელსაც დასდებენ საზოგადოდ ადმინისტრატიული მოქმედებისათვის დაქირავებულნი; გ) აგრეთვე ის პირი, რომელნიც საზოგადოების წევრთა განუსაზღვრულ რიცხვს აწვდიან დამოუკიდებელი ხელობის სახედ მათ მიერ შეკავშირებულსა ან პირად შრომას“<sup>1</sup>.

კანონი არეგულირებდა ხელშეკრულების დადებასა და მის გაუქმებას, აზუსტებდა და იცავდა მშრომელთა უფლებებს, აცხადებდა შრომით ნორმებსა და სამუშაო პირობებს, მკაფიოდ აყალიბებდა შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს<sup>2</sup>. პროფესიული კავშირები სრულიად ეთანხმებოდა

<sup>1</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე). თბილისი, ივერთა მხარე, 1990, გვ. 408

<sup>2</sup> ირაკლი ირემაძე, შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის, კრებული – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ – მოდელი ევროპისთვის? თბილისი, თსუ, 2018, გვ. 365-366

კანონპროექტს და მოითხოვდა მის გავრცელებას ყველა სფეროზე, თუმცა მმართველმა პარტიამ თავის პოზიციას არ გადახედა და კანონი არ გაავრცელა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებზე.

კანონში მკაფიოდ იყო განსაზღვრული, რომ მისი დარღვევა გამოიწვევდა დამრღვევის სისხლის სამართლის კანონმდებლობით პასუხისმგებას.

შრომის შესახებ ჩანაწერები გაკეთდა 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში და მისი XIII თავი – „სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“ სრულად იმეორებდა „შრომის ხელშეკრულების კანონის“ ძირითად პრინციპებს. კონსტიტუციის 117-ე მუხლი გაცხადებული იყო რესპუბლიკის პოლიტიკური სპექტრის ძირითადი თეზა შრომის საკითხის შესახებ, კერძოდ – „შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა“<sup>1</sup>.

## მუშაობა პოლიტიკური ორიენტაცია – ანტიპოლიტიკური განცყობები

ბოლშევიკებსა და საქართველოს სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) შორის ურთიერთობა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდეც (გადატრიალებამდე) საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, თუმცა ოქტომბრის გა-

<sup>1</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე), თბილისი, ივერთა მხარე, 1990, გვ. 476

დატრიალების შემდეგ, ფაქტობრივად, ისინი გამოცხა-  
დებულ მტრებად იქცნენ. ბოლშევიკები ცდილობდნენ  
საქართველოს მუშათა კლასზე გავლენა მოეპოვებინათ,  
თუმცა ეს მცდელობები არცთუ წარმატებულად მიმდინ-  
არეობდა, განსხვავებით გლეხებისგან, რომელთა შორი-  
საც, აგრარული რეფორმის გატარებამდე, 1918 წლის ზაფ-  
ხულში, ბოლშევიკები საკმაო გავლენით სარგებლობდნენ  
და რამდენიმე აჯანყებაც მოაწყვეს აგრარულ ნიადაგზე.

პროფესიულ კავშირებში ბოლშევიკთა გავლენას, გარ-  
და უშუალოდ მუშების მიერ გამოჩენილი წინააღმდეგობი-  
სა, რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალებიც ენინააღმდე-  
გებოდა. უსაფრთხოების სამსახურმა – საგანგებო რაზმმა  
– რამდენიმე ბოლშევიკი მუშა-აგიტატორიც დააკავა, რომ-  
ლებიც მუშებს აჯანყებისა და ხელისუფლების დამხო-  
ბისკენ მოუწოდებდა. ბოლშევიკ აგიტატორთა დაპატიმ-  
რებას ამართლებდა პროფესიული გაერთიანებაც<sup>1</sup>.  
1920 წელს მოქმედი 100-ზე მეტი პროფესიული კავშირი-  
დან მხოლოდ რამდენიმეში შეძლეს ბოლშევიკებმა ფეხის  
მოკიდება, მათ შორის – მესტამბეთა, ტყავის მწარმოე-  
ბელთა, ლითონზე მომუშავეთა და მეტყევეთა კავშირებში.  
ცენტრალურ საბჭოში სოციალ-დემოკრატების დომინი-  
რების გამო მეტყევეთა კავშირი საერთოდ გარიცხეს  
პროფესიული კავშირების ცენტრალური უწყებიდან<sup>2</sup>.  
რესპუბლიკაში არსებული გაერთიანებების 90%-ზე მეტ-  
ში სოციალ-დემოკრატები იყვნენ გაპატონებულნი. ეს  
ლოგიკურიც იყო, რადგანაც სამშერიო რეჟიმის დრო-  
საც მუშათა ორგანიზაციები, ძირითადად, სწორედ სო-  
ციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მიერ იყო შექმნილი.

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1919 წლის 4 თებერვალი, N27, გვ. 3

<sup>2</sup> გაზ. ერთობა, 1920 წლის 18 ივლისი, N160, გვ. 3

კომუნისტთა (ბოლშევიკთა) პარტია, ფაქტობრივად, არალეგალურად მოქმედებდა რესპუბლიკაში, კომუნისტები ცდილობდნენ ფარულად მოემზადებინათ მუშათა გამოსვლები, ამის მცდელობა ჰქონდათ 1920 წლის 1-ელ მაისსაც, მოახლოებულ სამხედრო შემოტევებთან კოორდინაციაში. მუშებმა ძალოვან უწყებებთან ერთად შეძლეს ბოლშევიკთა პროვოკაციების თავიდან აცილება<sup>1</sup>. კომუნისტები ხშირად ავრცელებდნენ სააგიტაციო ბუკლეტებს მუშათა შორის, რომელიც მშრომელებს ამბოხებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებისაკენ მოუწოდებდა. ამასთან, კომუნისტები ბაქოსა და მოსკოვში ავრცელებდნენ ცნობებს, თითქოს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა არბევდა და აწიოკებდა საქართველოს მშრომელებს, რომლებიც, თავის მხრივ, ქვეყანაში უხმობდნენ კომუნისტებს და ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების შემოღებას.

კომუნისტთა პროპაგანდა განსაკუთრებით აქტიური იყო რკინიგზის პროფკავშირებში. ეს ლოგიკურიც იყო, რადგანაც ეს გაერთიანება ყველაზე მძლავრი იყო და აქ ფეხის მოკიდება გადამწყვეტ ფაქტორად ესახებოდათ. მიუხედავად მრავალი მცდელობისა და საკმაო ფინანსური რესურსის დახარჯვისა, 1921 წლის დასაწყისშიც რკინიგზის პროფესიულ გაერთიანებაში სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი გავლენები გაიმყარეს<sup>2</sup>.

კომუნისტთა მხრიდან საკუთარ მუშათა წრეებში ანტიქართული პროპაგანდის გაგრძელება იყო ასევე ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უარი თქვა ქართველ მუშათა დელეგაციის მიღებაზე მოსკოვში. ამ დელეგაციის

<sup>1</sup> გაზ. ერთობა, 1920 წლის 7 მაისი, N101, გვ. 4

<sup>2</sup> გაზ. ერთობა, 1921 წლის 11 იანვარი, N6, გვ. 1

მიზანი იყო რუსი მშრომელებისთვის აეხსნათ, რომ ისინი კმაყოფილი იყვნენ საქართველოში შრომის პირობებით, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზით და მხარს უჭერდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას<sup>1</sup>. საქართველოს მუშები ვიზიტის მიზნად ასევე სახავდნენ იმასაც, რომ რუსი მშრომელებისგან მოეპოვებინათ სოლიდარული დამოკიდებულება და პრევენცია მოქმდინათ საბჭოთა რუსეთის მიერ შესაძლო თავდასხმაზე. მუშებს სჯეროდათ, რომ მშრომელთა შორის ნდობისა და სოლიდარობის განცდის ზრდა ხელს შეუშლიდა საბჭოთა ხელისუფლებას, მარტივად მოქმდინა მასების მობილიზება საქართველოზე თავდასასხმელად.

## მუშები რესაუზილიკის სადარაჯოზე

1917 წლის დეკემბერში სოციალ-დემოკრატების მიერ მუშებზე დაყრდნობით შექმნილმა „ნითელმა გვარდიამ“ ამიერკავკასია ბოლშევიზმის საფრთხეს გადაარჩინა. რამდენიმე თვეში „ნითელი გვარდია“ „სახალხო გვარდიად“ გარდაიქმნა, რომელმაც სამ წელზე მეტი წენის განმავლობაში ერთგულად დაიცვა ამიერკავკასია და საქართველო.

გვარდიაში გაერთიანებულმა მუშებმა იბრძოლეს ყველგან, სადაც რესპუბლიკას უჭირდა. მუშები ჯარისკაცებთან, იუნკრებთან და მოხალისეებთან ერთად აღმოჩნდნენ ფრონტზე 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ნითელი არმიის პირისპირ საქართველოს დასა-

<sup>1</sup> სცსა, ფონდი 2077, ანან. 1, საქმე 5, ფურც. 1-4

ცავად. გვარდია არ იყო რეგულარული სამხედრო ძალა, თუმცა აქტიურად იბრძოდა ყველა ფრონტზე.

მუშები 1921 წლის თებერვალ-მარტში არა მხოლოდ ფრონტს ამაგრებდნენ, არამედ ზურგშიც აქტიურად მოქმედებდნენ. პროფესიულური საბჭო მოუნოდებდა ყველა მუშას, აელონელში იარაღი და დაეცვა სამშობლო – „საქართველოს ყველა მუშათა ორგანიზაციებს! ამხანაგებო! საქართველოს შემოესია საზიზლარი მტერი! საბჭოთა სომხეთს მიემატა საბჭოთა აზერბეიჯანიც! ისიც ქურდულათ მოპარვით დაგვესხა თავს. თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა რუსეთის ჯარები. თავდამსხმელთა მიზანია საქართველოს დაპყრობა, მისი დამოუკიდებელი მიწა წყლის განადგურება, მისი თავისუფალი ხალხის აწიოკება. ფეხზე დადექით დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად! დავირაზმოთ დაუყოვნებლივ და შემოვიკრიბოთ ბრძოლის ველზე მთელი მშრომელი ხალხი, მთელი ერი! დღეს აღარ არსებობს ცალკე პარტია, ცალკე ორგანიზაცია: არსებობს მხოლოდ ერთი მთლიანი, საქართველოს დამცველი ფრონტი! ამხანაგებო! არ დაიგვიანოთ არც ერთი წუთით, ახლავე შეადგინეთ მოხალისეთა რაზმები, რომელიც ჯარსა და გვარდიასთან ერთად მტერს სასიკვდილო ლახვარს ჩასცემენ. ჩვენ შემოვყურებს დღეს მთელი კაცობრიობა!

საქართველოს საზღვრებზე სწყდება არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი საერთაშორისო დემოკრატიის ბედი! ამხანაგებო! მაშ, წინ, გამარჯვებისაკენ! ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, – ჩვენ გავიმარჯვებთ! ამისი თავმდებია ჩვენი ხალხის ერთსულოვნება და აღფრთოვანება. ძირს შავი ძალები! გაუმარჯოს თავგანწირულად მებრძოლ

მუშათა კლასს! გაუმარჯოს ჩვენი წიაღიდან გამოსულ დემოკრატიულ კარსა და სახალხო გვარდიას! ძირს იმ-პერიალიზმი! გაუმარჯოს სოციალიზმს! საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღ-მასრულებელი კომიტეტი”<sup>1</sup>.

1921 წლის თებერვალ-მარტში ასობით მუშა დაეცა ფრონტის ხაზზე. პროფესიონალური და მუშათა წრეები 1921 წლის მარტიდან ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის ერთ-ერთი მთავარი კერები აღმოჩნდა. საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ მალევე გადააყენა პროფესიონალური საბჭო და ბოლშევიკი მუშები დანიშნა მათ ადგილზე.

მუშათა ანტისაბჭოთა განწყობების ნათელი დემონსტრირება იყო 1921 წლის ივლისის დასაწყისში თბილი-სელ მუშებთან იოსებ სტალინის შეხვედრა ნაძალადევის მუშათა კლუბში. მუშებმა გავლენიან კომუნისტს სიტყვა მრავალჯერ შეაწყვეტინეს, ერთგვარი ობსტრუქცია მოუწყვეს და მოუწოდეს, გაეყვანა საქართველოდან საოკუპაციო წითელი ჯარები, ხოლო ლენინისათვის მოეხსენებინათ ბოლშევიკების მიერ საქართველოში ჩადენილი დანაშაულებები. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრის შემდეგ საბჭოთა „ჩეკამ“ ათობით მუშა, განსაკუთრებით კი გავლენიანი სოციალ-დემოკრატები დააპატიმრა.

საბჭოთა რეჟიმის გამკაცრების პარალელურად საქართველოს მშრომელებმა ევროპელ კოლეგებს არაერთი წერილი გაუგზავნეს და მხარდაჭერა სთხოვეს ბოლშევიკთა წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატი მუშები საჯაროდ უპირისპირდებოდნენ კომუნისტებს, 1921 წლის ოქტომბ-

<sup>1</sup> საქართველოს ყველა მუშათა ორგანიზაციებს, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1921 წლის 19 თებერვალი, N39, გვ. 2

ერში მუშათა დელეგაციამ სპეციალური დეკლარაციაც წარუდგინა საბჭოთა „რევკომს“, დეკლარაციაში ითხოვდნენ: „1. საქართველოს დარღვეულ დამოუკიდებლობის აღდგენას და ქართული ენის დაცვას. 2. რუსის ჯარის გაყვანას საქართველოდან და ქართული ლაშქრის შედგენას. 3. მუშათა ორგანიზაციების, კრების, სიტყვის, პრესის, არჩევნების თავისუფლებას და ბინის და პიროვნების ხელუხლებლობას. 4. რომ შიმშილით არ დაიხოცოს მუშათა ოჯახები, მუშების ნივთიერი მდგომარეობის დაუყონებლივ გაუმჯობესებას. 5. მუშების დათხოვნის და უცხოეთში გადასახლების შეჩერება-მოსპობას. 6. უცხო მოხელეების ძალადობის მოსპობას. 7. საქართველოს სოფლებში რუსის ჯარის ეკზეუციების მოხსნას და 8. პოლიტიკურ დევნილების და ტუსაღების განთავისუფლებას“<sup>1</sup>.

მუშათა დეკლარაცია არ მიიღო ფილიპე მახარაძემ, მუშათა მეთაურთა უმრავლესობა კი დააკავა და პოლიტიკაპატიონებში გამოამწყვდია. 1921 წლის ბოლოს მეტეხსა და სხვა საპატიმროებში ათობით პროფკავშირელი მუშა იყო დაპატიმრებული, რომლებიც ღიად უპირისპირდებოდნენ საბჭოთა რეჟიმს<sup>2</sup>. პოლიტიკატიმრებით გადავსებული იყო საქართველოს საპყრობილები.

მუშები, განსაკუთრებით გვარდიელი მუშები, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდნენ 1921 წლის მარტის შემდეგაც. გავლენიანი ჭიათურელი მუშა და გვარდიელი ვალიკო ჩუბინიძე თავის მოგონებებში 1921

<sup>1</sup> ევროპის და ამერიკის მუშებს განუჩევლად მიმართულებისა, შურნ. თავისუფალი საქართველო, 1921 წლის 20 დეკემბერი, N14 (ასევე იხ. <https://civil.ge/ka/archives/462687>, ნანახია 03.01.2023)

<sup>2</sup> სცაა, ფონდი 2117, ანან. 1, საქმე 41. (ასევე იხ.: <https://civil.ge/ka/archives/462591> ნანახია 14.01.2023)

წლის 16 მარტს წერდა: „...მუშა გვარდიელებმა დავადგინეთ: მთელი ჩვენი ძალ-ღონით ოკუპანტების წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებით ვიბრძოლოთ იმ დრომდე, სანამ სამშობლოს გავათავისუფლებთ და ამ მიზნით ყოვლად შემძლე და ურყევი იმედით დავიშალენით“. მუშათა ეს დადგენილება და ფიცი დიდნილად შესრულდა, მუშები წინა ფლანგზე იყვნენ 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყებისას, სწორედ ამიტომ მსხვერპლთა დიდი ნაწილი სწორედ მუშათა შორის იყო. რევოლუციონერი – სოციალ-დემოკრატი მუშები მრავლად შეენირნენ 1936-1938 წლების საბჭოთა დიდ ტერორსაც.

## შეჯამება

საქართველოს მუშათა მოძრაობების ისტორიაში 1870-1905 წლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, გამოკვეთილად რთული, მაგრამ ამავდროულად ნაყოფიერი იყო. ინდუსტრიალიზაციის დაბალი დონისა და ტემპების პირობებში დაქსაქსული ისედაც მცირე მუშათა კლასი 1870-1880-იან წლებში, ერთიანი სოციალურ-პოლიტიკური ხედვებისა და ორგანიზაციული კავშირის გარეშე, ფაქტობრივად, დაუცველი და უძლური იდგა როგორც კაპიტალის მფლობელების, ისე საიმპერიო ხელისუფლების ძალმომრეობის წინაშე.

1880-იანი წლების მიწურულს კავკასიაში ბაქოსა და ჭიათურის ბუნებრივი რესურსების გარშემო დაწყებულმა სამრეწველო ბუმმა გააჩინა, ერთი მხრივ, მუშათა კლასის ზრდის, მეორე მხრივ კი, მუშათა ინტერესების გამომხატველი ჯგუფების გაჩენის ნიადაგი.

მართალია, საქართველოში მუშათა სოციალური ინტერესების გამომხატველი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფები თავად მუშათა წრიდან არ წარმოშობილა, თუმცა 1890-იან წლებში შესაძლებელი გახდა ახალგაზრდა ინტელექტუალების მიერ ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური მოძრაობის დაკავშირება მუშათა წრეებთან. ფაქტობრივად, აქედან მოყოლებული 1921 წლის ოკუპაციამდე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (1902-1918 წლებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „მენშევიკური“ ფრაქცია) იქცა არა მხოლოდ მუშათა ინტერესების გა-

მომხატველ და დამცველ ორგანიზაციად, არამედ მუშების პოლიტიკაში რეკრუტირების მთავარ ინსტიტუტადაც.

რუსეთის 1905 წლის რევოლუცია მუშათა კლასისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბოლოოდ შერწყმისათვის მნიშვნელოვანი პროცესი იყო. მუშები პოლიტიკური ბრძოლის ბარიკადებზე აღმოჩნდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქება და მაზრაში, განსაკუთრებით კი ქალაქ თბილისა და გურიის მაზრაში. 1907-1908 წლებში ლეგალურად შექმნილი მუშათა პირველი პროფესიული კავშირების ორგანიზება მუშებმა სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერით შეძლეს.

1917 წლის ოქტომბერის რევოლუციის შემდეგ რეალური ძალაუფლება სოციალ-დემოკრატებისა და სხვა პოლიტიკური პარტიების ორგანიზებით შექმნილ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საპჭოების ხელში აღმოჩნდა. საქართველოს მუშათა კლასის წარმომადგენლებმა სწორედ 1917 წელს შეძლეს რეალური ძალაუფლებისა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენის მოპოვება, თუმცა გარდამავალ პერიოდში არსებული პოლიტიკური პრობლემების, ეკლექტურობისა და გამოწვევების ფონზე 1918 წლამდე მუშათა ინტერესების გამტარებელი პოლიტიკის რეალობაში დანერგვა ვერ ხერხდებოდა.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ საქართველოს მულტიეთნიკური მუშათა კლასი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მისი წარმომადგენლები ახლად შექმნილი დემოკრატიული რესპუბლიკის „დამფუძნებელი მამები“ აღმოჩნდნენ და რეალური ძალაუფლება გაიზიარეს, მეორე მხრივ კი, მათ მოუხდათ თავიანთი ინტერნაციონალუ-


რი მისწრაფებების გადახედვა, რადგანაც ახალ რესპუბლიკას მათი მხრიდან მხარდაჭერა და დაცვა სჭირდებოდა.

1918-1921 წლებში მუშათა უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მყარად დამკვიდრდა 8-საათიანი სამუშაო დრო, შრომის პირობების მონიტორინგი, შრომის დაზღვევა, ტრავმების შემთხვევაში საპენსიო სისტემით სარგებლობის შესაძლებლობა, არასრულწლოვანთა და ქალთა შრომის რეგლამენტირება, პროფესიული იქნა „სატარიფო პალატა“, „შრომის პირზა“ და „მუშათა მაგიდა“.

1919 წლის თებერვალში 25 მუშა აირჩიეს საკანონმდებლო ორგანოში, სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ სრული პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვა. თუმცა ეს საზიანოც აღმოჩნდა საქართველოს მუშათა წრეებისათვის. კერძოდ, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და პროფესიული კავშირების სრულმა აღრევამ გამოიწვია ის, რომ კონკრეტულ შრომით დავებში, კონფლიქტებსა და გაფიცვების პროცესში პროფესიონალურები გამოდიოდნენ არა მუშათა ინტერესებიდან, არამედ ზოგადსახელმწიფოებრივი და, ხშირად, უმუალოდ მმართველი პარტიის ინტერესებიდან. სახელისუფლებო პარტიამ, ფაქტობრივად, შთანთქა პროფესიულების დამოკიდებლობა და მისი უმთავრესი ფუნქცია – მუშათა ინტერესების დაცვა.

1918-1921 წლებში მუშათა კლასმა დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად დიდი მსხვერპლი გაიღო, იბრძოლა ყველა ფრონტზე. მუშები 1921 წლის თებერ-

ვალ-მარტშიც ფრონტის ხაზზე სანგრებში აღმოჩნდნენ. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კი რეპრესიების ერთ-ერთი პირველი ტალღა 1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე სწორედ იმ მუშათა წრეებისადმი იყო მიმართული, რომლებიც აპროტესტ-ებდნენ საბჭოთა ძალმომრეობას, დემოკრატიული ინსტიტუტების მოსპობას, დამოუკიდებლობის განადგურებას და თავისუფალი პროფესიონების ნგრევას. მუშები აღმოჩნდნენ დიდი რეპრესიული ტალღების მსხვერპლი 1924 წლის ეროვნული აჯანყებისა და 1937-1938 წლების საბჭოთა დიდი ტერორის დროსაც.



ნიფის გვირაბი – ეროვნული არქივი




რკინიგზა – მარელისის სადგური. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო.  
საქართველოს ეროვნული არქივი



Հայ 79. Բաთუմ. Ըստ սկզբանի Բորչաձեա լու ջնշ.

ծառաթմուն է ծորութուն. դոմիգրուն յըրմակոցուն գողութուն. դաշուլուն  
սայշարտազալուն է ծարլամենթուն յըրօվնուն ծոծլունութեաշուն



ԿԱՎԿԱՅ. — CAUCASE. № 73.

Հականական լեռնա քաղաք. Շատուր Մարգաշենյա կողի.

Քուատուրուն մազարուն օքուն սագոստուն մարշա. գողութուն օնքուրնեգունցարուն օքուն



საფრნაგეთის პროფესიული კავშირების ერთ-ერთი ლიდერი  
ალბერ ინგელსი ჭიათურის მაღაროების მუშებთან, 1920 წელი.  
ფოტო საქართველოს ეროვნული არქივიდან



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე  
რამიშვილი ჭიათურის მაღაროებთან, 1920 წელი.  
ფოტო თსუ-ის ბიბლიოთეკიდან



საქართველოს პროფესიული კავშირების  
კონფერენცია, 1919 წლის აპრილი.  
ფოტო საქართველოს ეროვნული არქივიდან



მომარაგებისა და შრომის სამინისტროს  
თანამშრომლები, ცენტრში მინისტრი გიორგი ერაძე.  
ფოტო საქართველოს ეროვნული არქივიდან



1919 წლის 1 მაისი თბილისში.  
ფოტო საქართველოს ეროვნული არქივიდან



საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები.  
ფოტო საქართველოს ეროვნული არქივიდან

ნაწილი ||

**შრომა საქართველოს საბჭოთა  
სოციალისტურ რესპუბლიკაში**

---

გამრიელ ჩუბინიძე



## შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ მისი ოკუპაციით დასრულდა. პირველი მსოფლიო ომის მინურულს სამი იმპერიის (ოსმალეთის, რუსეთის და ავსტრია-უნგრეთის) რღვევის პერიოდში აღმოცენებულმა ახალმა ქართულმა სახელმწიფომ ვერ შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება. დაუსრულებელი შიდა და საგარეო სამხედრო კონფლიქტები თუ კრიზისები, ფაქტობრივად, გამორიცხავდა სახელმწიფოს სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკად 70 წელი ითვლებოდა. ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოს დამოკიდებულება შრომისა და ადამიანის მიმართ საერთოდაც არ იყო ერთგვაროვანი – პერიოდულად იცვლებოდა, ხანდახან რადიკალურადაც კი. შეგვიძლია გამოვარჩიოთ სტალინისა და პოსტსტალინური პერიოდი. პირველ შემთხვევაში, მთელს საბჭოთა კავშირში, ქალაქებსა და სოფლებში იწყება კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა. ერთი მხრივ, იმპერიას ჰქონდა არახული ეკონომიკური ზრდა, შენდებოდა ახალი ქალაქები, ქარხნები და ფაბრიკები, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ყველაფერი კეთდებოდა მოქალაქეების შრომითი ექსპლუატაციის, ძალადობისა და რეპრესიების ხარჯზე. მეორე რადიკალური ცვლილება კი უკვე ნიკიტა ხრუშჩოვის პერიოდში დგება, როცა დაიწყო კომუნიზმის „მაშენებელი“ საზოგადოების მომხმარებლურ საზოგადოებად გარდაქმნა – ანუ, საბჭოთა კავშირში მაცხოვრებელი მოქალაქეები

არა მხოლოდ შრომობდნენ იმისთვის, რომ ოდესმე ააშენებდნენ კომუნიზმს და შემდეგ დატკბებოდნენ მისით, არამედ მათ, უკვე, კომუნიზმის დადგომამდეც მიეცემოდათ სამუალება, ყოფილიყვნენ ფუფუნებასა და კომფორტში – სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირმა მიიღო „ადამიანური სახე“. ტოტალური კონტროლის მექანიზმები შემცირდა, შრომის პირობები გაუმჯობესდა, გაიზარდა საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა, ისევე, როგორც შეიქმნა მრავალი სხვა საჯარო სიკეთე. თავის მხრივ, იზრდებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკა და მასში ჩართულ ადამიანთა რიცხვი. საბჭოთა საწარმოები ვერ უზრუნველყოფდნენ მაღალი ხარისხისა და შესაბამისი რაოდენობის სამომხმარებლო პროდუქტის წარმოებას, რის გამოც ცხოვრება პერმანენტული დეფიციტის პირობებში მიმდინარეობდა – პროდუქტებისა თუ ნივთების სია კი იზრდებოდა.

საბჭოთა კავშირმა საკუთარი არსებობის პირობებში მუშათა კეთილდღეობისთვის მრავალი პროგრესული წესი და კანონი შემოიღო – განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაბიჯები ქალთა უფლებებისა და ემანსიპაციის მხრივ. თუმცა ხშირად ეს ყველაფერი მხოლოდ კანონის დონეზე არსებობდა, სრულად მისი პრაქტიკაში დანერგვა არ ან ვერ ხერხდებოდა. როგორც არ უნდა იყოს, საბჭოთა კავშირში მეტად საინტერესო და კომპლექსური ეკონომიკური და შრომითი პოლიტიკა შეიქმნა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მასში შემავალ რესპუბლიკებზე.

## პირველი ცლაბი საბჭოთა ეკონომიკაში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ხუთი თვეს თავზე რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი პურზე ნატურალური გადასახადის შესახებ, რომლის მიხედვითაც, რესპუბლიკას ყოველწლიურად ერთი მილიონი პურის ფუთა უნდა გადაეხადა. ამავდროულად გლეხებს მიეცათ უფლება, პურის მაგივრად გადაეხადათ ლობიოთი, სიმინდით, ლომით და ა.შ. თავის მხრივ, მეურნეობები 14 კატეგორიად დაიყო განსხვავებული საგადასახადო პირობებით<sup>1</sup>. ეს მოვლენა პირდაპირ უკავშირდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების ზრდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გლეხი იძულებული ხდებოდა, ეშრომა არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, როგორც ადრე, არამედ ეფიქრა მის ზედმეტ წარმოებაზეც – სურდა მას ეს თუ არა.

სოფლის მსგავსად, მძიმე მდგომარეობა იყო ქალაქებ-შიც. მუშათა კლასი თითქმის არ არსებობდა ე.ი. არ იყო ქარხანა-ფაბრიკები, რომ აღარაფერი ითქვას მძიმე მრეწველობაზე. საბჭოთა წყაროების მიხედვით, 1913 წელთან შედარებით, 1921 წელს წარმოება 2.5-ჯერ იყო დაცემული<sup>2</sup>. დედაქალაქში, თბილისში, 1923 წლის სამრეწველო აღწერით, ფუნქციონირებდა 2 500-მდე საწარმო, აქედან:

- 134 სახელმწიფო საწარმო, რომელშიც მუშაობ-

<sup>1</sup> 6. ბენდელიანი, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ვ.ი. ლენინის მიერ შემუშავებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისთვის. 1986, გვ. 49-50

<sup>2</sup> საიუბილეო კრებული 1921-1946, საქართველო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, გვ. 4

და 7 709 ადამიანი, ანუ საშუალოდ თითოში 57 დასაქმებული.

- 26 კონპერატიული საწარმო, სულ 260 ადამიანი, ანუ საშუალოდ თითოში 10 დასაქმებული.
- 2 356 კერძო საწარმო, სულ 6 273 მუშით, ანუ საშუალოდ თითოში 2.6 დასაქმებული.

რესპუბლიკის დედაქალაქში, ძირითადად, წვრილი ხელოსნური საწარმოები მუშაობდა, თუმცა იყო მსხვილი ინდუსტრიული ობიექტებიც, მაგალითად, თამბაქოს ორი ფაბრიკა, ტყავის, საპნის, ღვინის, კონიაკის, ზეთსახდელი ქარხნები, ამიერკავკასიის რკინიგზის სარემონტო ქარხანა და სხვა<sup>1</sup>.

საქართველოს სს რესპუბლიკა არ იყო ერთადერთი, სადაც მძიმე სოციალური კრიზისი იდგა. კრიზისი ეხებოდა მთლიანად საბჭოთა კავშირს. მართალია, ბოლშევიკებმა შეძლეს და ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიების საზღვრების დიდი ნაწილი აღადგინეს, მაგრამ პირველი მსოფლიო ომისა და შემდგომი მრავალწლიანი სამოქალაქო ომის ეკონომიკური და სოციალური ეფექტი დამანგრეველი აღმოჩნდა. სოფლის მეურნეობა 1921 წლისთვის შემცირდა 60%-ით, ხოლო ინდუსტრიული ამოღება 1913 წლის მონაცემებთან შედარებით – 77%-ით<sup>2</sup>. ომების შედეგად მთელ იმპერიაში განადგურდა ფაბრიკა-ქარხნები, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა და ყველა ის დარგი, რომელიც სახელმწიფოს წარმატებული განვითარებისთვის იყო აუცილებელი. კრიზისის დასაძლევად 1921 წელს

<sup>1</sup> ბ. ნანიტაშვილი, თბილისის ინდუსტრიული პროფილი, 1975. გვ. 4

<sup>2</sup> Ronald Suny, The Soviet Experiment Russia, The USSR, and the Successor States, 1998. გვ. 318

მთელ საბჭოთა კავშირში საერთო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომელიც ისტორიაში შევიდა „ნეპის“ ანუ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის სახელით. ის თავის თავში მოიაზრებდა საპაზრო ეკონომიკის პრინციპების დამყარებას, კერძო სექტორსა და თავისუფალ ვაჭრობას.

პოლიტიკა მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის წახალისებას, რათა აღმოფხვრილიყო საბჭოთა კავშირში არსებული სურსათის დეფიციტი და, გარდა ამისა, სოფელს ენარმოებინა ჭარბი პროდუქტი, რათა შემდგომში გაეტანათ ის ექსპორტზე და შემოსული თანხით ეყიდათ ტექნოლოგიები: დაზგები, ჩარხები და ყველაფერი ის, რაც ინდუსტრიის აღდგენასა და შექმნას შეუწყობდა ხელს<sup>1</sup>.

საბჭოთა კავშირში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირველ წლებში სოფლის მეურნეობა წარმატებით ვითარდებოდა – გლეხს ადრინდელთან შედარებით მეტი შემოსავალი ჰქონდა, თავის მხრივ მეტსაც ხარჯავდა. სამაგიეროდ, ვერ ვითარდებოდა ინდუსტრია – მცირე და საშუალო საწარმოები, ისევე, როგორც მძიმე მრეწველობა, რომლებიც კერძო პირების ხელში იყო. სახელმწიფოს კი არ ჰქონდა მათი ნაციონალიზაციისა და შემდგომი ექსპლუატაციის რესურსი. მოცემული პრობლემებიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ ბაზარზე დაეშვათ უცხოური კაპიტალი – ინვესტიციები და სწორედ მათი ხელით განევითარებინათ ინდუსტრია. საქართველო ამ მხრივ პრივილეგირებული რესპუბლიკა იყო. კერ კიდევ დამოუკიდებლობის დროს გადიოდა ექსპორტზე არაერთი პროდუქტი, აქედან გამომდინარე არსებობდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის გამოცდილებაც,

<sup>1</sup> Ronald Suny, The Soviet Experiment Russia, The USSR, and the Successor States, 1998. გვ. 318

რაც ამარტივებდა უცხოელების დაინტერესებას საბჭოთა საქართველოთი.

1921 წლის 4 აგვისტოს პირველი ხელშეკრულებაც დაიდო: ბზიფის სატყეო აგარაკი 40 წლით კონცესიის წესით გადაეცა მოქალაქე ჩადაევსა და გერმანელ გორსტ ფონ ლერსნერს. ინვესტორი ვალდებული იყო აეგო 3 000-ცხენისძალიანი ელექტროსადგური, ხე-ტყის სახერხი ქარხანა და სხვადასხვა სახის ფაბრიკები<sup>1</sup>. 1923 წელს შირაქის ნავთი ექსპლუატაციისთვის გადაეცა იტალიურ-ბელგიურ კომპანიას. პირველი სამი წლის განმავლობაში ინვესტორი ვალდებული იყო, გამოეკვლია ტერიტორიის გეოლოგიური მდებარეობა და დამატებით გადაეხადა სხვადასხვა გადასახადი, სამი წლის შემდეგ კი დაეწყო მაღნის მოპოვება 30 წლის ვადით – ისე, რომ სახელმწიფო მიიღებდა მოპოვებულის 15%-ს<sup>2</sup>.

1925 წელს „ჭიათურმანგანეზი“ ამერიკელ მაგნატს, ავერელ ჰარიმანს, გადაეცა. ჭიათურაში მაღნის მოპოვების 50-წლიანი ისტორია არსებობდა. მეფის რუსეთის დროს მაღნის ამოღება ხდებოდა მუშების მძიმე შრომითი ექსპლუატაციის ხარჯზე – მათი სამუშაო დღე 18 საათს შეადგენდა. არ არსებობდა სათანადო ანაზღაურება, კვება და საცხოვრებელი სივრცეები. 1913 წელს მუშები 55 დღით გაიფიცნენ – მთავარი მოთხოვნა 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესება და შრომითი ანაზღაურების გაზრდა იყო. 1920 წლის მონაცემებით, ჭიათურმანგანეზი მოიპოვებდა მსოფლიო მაღნის 13%-ს.

1924 წელს ჰარიმანმა სიტუაციის ადგილზე შესასწავლად საკუთარი წარმომადგენელი გამოგზავნა. ჭიათურაში

<sup>1</sup> გაზეთი კომუნისტი, 21/08/1921, N132

<sup>2</sup> გაზეთი კომუნისტი, 25/10/1923, N246

ქაოტური მდგომარეობა იყო შექმნილი, ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მაგრამ სამუშაო პროცესი, როგორც მოპოვების, ისევე ტრანსპორტირებისა, პრიმიტიული ხერხებით მიმდინარეობდა<sup>1</sup>. ერთნლიანი მოლაპარაკებების შედეგად, ჰარიმანმა მიიღო 20-წლიანი კონცესია მრავალი სხვადასხვა პირობითა თუ გადასახადით. საბოლოო დაანგარიშებით, კონცესიის განმავლობაში ის გადაიხდიდა 60 მილიონ დოლარს, ხოლო მოგების სახით მიიღებდა 120 მილიონს. დღევანდელი ინფლაციის გათვალისწინებით, ეს თანხა ორი მილიარდი დოლარის ეკვივალენტია<sup>2</sup>.

მაღაროების ექსპლუატაციის პერიოდში ჰარიმანს რამდენიმე პრობლემა შეექმნა: 1924 წლის აჯანყება სწორედ ჭიათურიდან დაიწყო, ჰარიმანი კი მოსახლეობისთვის უმაღვე იქცა მოსკოვთან გარიგებულ პერსონად; საჭირო იყო წარმოების გაფართოება, რაც შეუძლებელი იყო გარშემო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და განახლების გარეშე (ხიდები, გზები, რკინიგზის რელსები და ა.შ.), რისი რესურსიც მას არ ჰქონდა; შრომითი პირობები დასაქმებული მუშებისთვის იყო მძიმე, რის გამოც ისინი, ადგილობრივი პროფესიონელების ხელშეწყობით, ხშირად მიმართავდნენ საბოტაჟს და ამცირებდნენ წარმოებას; იმპერიის ცენტრში, მოსკოვში, ორ დაპირისპირებულ ბანაკს, ტროცკის და სტალინს შორის ძლიერდებოდა პოლიტიკური კრიზისი, რის გამოც ტროცკი, რომელსაც ჩაპარებული კონცესიების კომიტეტი, ფრთხილობდა კაპიტალისტებთან თანამშრომლობას<sup>3</sup>. ამ და, შეიძლება, სხვა

<sup>1</sup> გიორგი ციინცაძე, ექსტრაქტივისტული რეჟიმები და ჩამორთმევა დაგროვებით ჭიათურაში, 2021. გვ. 28

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

მიზეზების გამოც, 1927 წელს ჰარიმანის კომპანიამ დატოვა ჭიათურა იმ პირობით, რომ შემდეგი 15 წლის განმავლობაში მიიღებდა კომპენსაციას.

ჭიათურმანგანეზი სახელმწიფო მფლობელობაში გადავიდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ჭიათურაში უმაღვე მკაცრი წესრიგი დაამყარა: გადაასახლეს იმ პირთა ნანილი, რომლებიც ამერიკულ კომპანიასთან მუშაობდნენ, ხოლო ადგილობრივი პროფკავშირები რეპრესიების ქვეშ მოექცა.

## საბჭოთა პროფკავშირები

პროფკავშირების როლი და ფუნქცია ჯერ ბოლშევიკურ რუსეთში და, შემდეგ კი, საბჭოთა კავშირში, დროის მცირე მონაკვეთში რამდენჯერმე შეიცვალა. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, განახლდა დისკუსია პროფკავშირების შესახებ და ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება. მენშევიკები ფიქრობდნენ, რომ პროფესიული გაერთიანებების როლი უნდა ყოფილიყო დასაქმებულთა უფლებების დაცვა და ისინი დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსაგან; ბოლშევიკების თქმით, პროფკავშირები იყო ინსტრუმენტი მუშების ხელში, ე.ი. ისინი აქტიურად უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი სახელმწიფოს მშენებლობასა და ეკონომიკის ორგანიზებაში<sup>1</sup>. მათ საკუთარ თავზე უნდა აეღოთ შრომის წარმოება, ორგანიზება, კონტროლი, გადანაწილება, საბოტაჟთან ბრძოლა

<sup>1</sup> Sarah Ashwin and Simon Clarke, Russian Trade union and industrial relations in transition, 2002. გვ. 9

და ა.შ. ფაქტობრივად, პროფესიული ითავსებდა სახელმწიფოს ფუნქციებს.

1918 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ მას დაემატა სხვადასხვა პასუხისმგებლობა თუ ფუნქცია, მათ შორის ის, რომ შრომის ადგილზე გაეზარდა მუშათა პროდუქტიულობა და დაემყარებინა მაღალი დისციპლინა. ამავდროულად დაიწყო ქარხნებისა და ფაბრიკების ნაციონალიზაცია, „ნარკომფრუდი“, პროფესიული კი აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პროცესში. სწორედ ამ უკანასკნელს უნდა დაედო მუშებთან კოლექტიური შეთანხმებები, რომლებიც შეეხებოდა შრომის პირობებსა და ხელფასს – ფაქტობრივად, ის იქცა შუამავლად მუშებსა და სახელმწიფოს შორის.

რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყებიდან მაღევე ახალი ბოლშევიკური პროფესიული პირდაპირ ჩაერთნენ სამხედრო კონფლიქტში. შრომის ადგილზე პროფესიულების ჩართულობით გაძლიერდა შრომითი დისციპლინა (რაც თავის თავში გულისხმობს ადამიანთა ექსპლუატაციასაც). გარდა ამისა, პროფესიული პირდაპირ მონაწილეობდა მებრძოლთა რეკრუტირებაში, განვრთნასა და იდეოლოგიურ დამუშავებაში – მეტიც, დემობილიზებული ჯარისკაცებისგან იქმნებოდა „მშრომელთა არმიები“, რომლებსაც გადაისროდნენ ხოლმე ერთი ადგილიდან მეორეში, რათა შეევსოთ კონკრეტულ ტერიტორიებზე მუშახელის ნაკლებობა<sup>1</sup>.

სამოქალაქო ომისა და უკვე საბჭოთა კავშირის ფორმირების შემდეგ გასამხედროებული პროფესიულის ეტაპი დასრულდა. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერი-

<sup>1</sup> Sarah Ashwin and Simon Clarke, Russian Trade union and industrial relations in transition, 2002. გვ. 11

ოდში კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპების დაშვებამ განაპირობა პროფკავშირების ფუნქციის კიდევ ერთხელ შეცვლა – მათ შუამავლობის ფუნქცია დაუბრუნდათ, მაგრამ, ამასთან, დაემატათ ახალიც: ამჯერად მათ სამუშაო ადგილზე მუშები უნდა დაეცვათ „ექსპლუატატორი“ კერძო დამქირავებლისგან, განესაზღვრათ სამუშაო საათები, ხელფასები, დაეცვათ შრომის უსაფრთხოება და ა.შ.

1925 წელს, ქუთაისის მაზრაში, პროფკავშირების დახმარებით 48 კოლექტიური და 22 სატარიფო ხელშეკრულება დაიდო. ორივე დოკუმენტი ვრცელდებოდა 4 920 კავშირის წევრზე – „ხელფასს მთელ მაზრაში დებულობენ 1:8 პირველი ხარისხისათვის სატარიფო მინიმუმ 12 მანეთს უდრის. დასასვენებელ სახლებში: ბორჯომში, წალენჯიხაში და მცხეთაში გაგზავნილია 65 მუშა-მოსამსახურე“<sup>1</sup>.

სამუშაო ადგილზე, მუშების უფლებების დასაცავად მუშაობდნენ შრომის ინსპექტორებიც – გაზეთი „მუშა“ 1925 წელს იტყობინება: „მშენებელთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ საჭიროდ სცნო მოიწვიოს ერთი შრომის ინსპექტორი, ვინაიდან აღმშენებლობის დროს, მუშების ექსპლუატაციის ხშირ შემთხვევებს აქვს ადგილი“<sup>2</sup>. პროფკავშირებისადმი სახელმწიფო დავალება ითვალისწინებდა არა მხოლოდ ღირსეული შრომის მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარებას, არამედ მუშების კულტურული განვითარების უზრუნველყოფასაც – წარმოების ადგილებზე მასობრივად იხსნებოდა წერა-კითხვის შემსწავლელი წრეები, დიდ ქარხნებში ეწყობოდა თეატრალური წარმოდგენები და ა.შ.

<sup>1</sup> გაზეთი მუშა, 09.01.1925, N8

<sup>2</sup> გაზეთი მუშა, 11.01.1925, N9

## ქალები ახალ პოლიტიკურ ნისარიგში

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ახალი გენდერული პოლიტიკის გატარება დაიწყო. მათთვის ეს არ იყო სიახლე. საკითხის შესახებ დისკუსიები მრავალი ათწლეული მიმდინარეობდა, ხოლო პრაქტიკაში მხოლოდ რევოლუციის შემდგომ გახდა შესაძლებელი მისი განხორციელება. ბოლშევიკები, ტერმინი მუშათა კლასის გამოყენებისას, ყურადღებას არ აქცევდნენ მის გენდერულ ასპექტს, არადა ქალის სასტარტო პოზიცია განსხვავდებოდა – ის ჯერ ოჯახური შრომიდან უნდა გამოსულიყო, გადალაქება კულტურული და ტრადიციული კოდები და მხოლოდ ამის შემდგომ ეძლეოდა საშუალება ჩართულიყო საზოგადოებრივ შრომით ცხოვრებაში. მოცემულ საკითხებზე სამუშაოდ თავად კომუნისტურ პარტიაშივე შეიქმნა ქალთა განშტოება.

საქართველოში მოწესრიგდა ქორწინების კანონმდებლობა, ქალის დაოჯახების მინიმალურ ასაკად განისაზღვრა 16 წელი, ხოლო კაცისა – 18; აიკრძალა მრავალცოლიანობა; ქორწინების ბათილად ცნობა შესაძლებელი გახდა ცალმხრივი სურვილის შემთხვევაში; დაოჯახების შემდგომ შეძენილი ქონება ცხადდებოდა საერთო საკუთრებად, მათ შორის, აიკრძალა ისეთი ქონებრივი ხელშეკრულების დადება, რომელიც ერთ-ერთ მხარეს მაინც შეუზღუდავდა ქონებრივ უფლებებს. გარდა ამ და სხვა მრავალი საკითხისა, ქალის მიერ ოჯახში განეული შრომა გამოცხადდა შრომად, კერძოდ – „ცოლის შრომა, განეული ოჯახური საქმისა და შვილების მოსავლელად, იმავე უფლებას ანიჭებს ცოლს ქონებაზე, რასაც კი ანიჭებს

ქმარს მისი შრომა, განეული ცხოვრების სახსრის მო-  
საპოვებლად”<sup>1</sup>.

საქართველოში სპეციალურ ორგანოებს დაევალათ, აღმოეფხვრათ ქალისა და კაცის ეკონომიკური და უფლე-  
ბრივი უთანასწორობა – „მრავალცოლიანობასთან, ყალი-  
მობასთან, ქალის მოტაცებასთან, მცირებლოვანთა ქორ-  
ნინებასთან და სხვ. საბრძოლველად“ დაემუშავებინათ  
ძველი ოჯახური ყოფაცხოვრებისგან ქალთა განთავისუ-  
ფლების საკითხები – „იმ შეხედულებების მოსპობა, რომ  
ქალი მონაა; ბრძოლა ჩადრის ახდისთვის და სხვა. საკითხ-  
ები საბჭოთა მეურნეობებში, კოოპერაციაში, სადელეგა-  
ტო კრებებში [...] ქალთა ჩაბმის შესახებ“ და ა.შ.<sup>2</sup>

ამოქმედდა სოციალური დაზღვევაც, რომელიც ბევრ  
სხვადასხვა სიკეთესთან ერთად, მუშებს, მათ შორის ქა-  
ლებს, სთავაზობდა დეკრეტულ შვებულებებს – „დედა-  
კაცს ეძლევა ფულით დახმარება ორსულობის დროს და  
მშობიარობის შემდეგ, [...] დამზღვევი დაწესებულებები  
ზრუნავენ ბავშვის ჯანმრთელობაზეც, იძლევიან საგანგე-  
ბო დახმარებას „ბავშვის სამზითოდ“. [...] ჩვენი კანონმდე-  
ბლობით, ორსული ქალი თავისუფლდება სამსახურიდან 4  
თვით (8 კვირა მშობიარობამდე, 8 კვირა მშობიარობის შემ-  
დეგ), თუ იგი ეწევა გონებრივ შრომას, მაშინ მას მიეცემა  
სრული ჯამავირი“<sup>3</sup>. პოლიტიკა შეიცვალა ქალთა შრომისა  
და დაწინაურების კუთხითაც, ამრიგად, პროფკავშირებ-  
სა და პარტიულ ორგანოებს უნდა გაეზარდათ სამუშაო  
ადგილებზე ქალთა ხვედრითი წილი – ამ მხრივ, რეგიონში

<sup>1</sup> საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 856, ფურცელი 2

<sup>2</sup> სცსა, ფონდი 284, ანა. 1, საქმე 1556, ფურც. 1-2

<sup>3</sup> გაზეთი მუშა, 14.01.1925, N11

საქართველო მოწინავე იყო. მაგალითად, 1925 წლის მონაცემებით, ამიერკავკასიის რეინიგზაზე სულ დასაქმებული იყო 1 859 მუშა-ქალი, აქედან საქართველოში – 1 184, აზერბაიჯანში – 590, სომხეთში – 58<sup>1</sup>.

საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში რესპუბლიკაში მეტ-ნაკლები სტაბილურობა დამყარდა, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის გაძლიერებას, სოციალური პოლიტიკის დანერგვასა და ამოქმედებას. აღსანიშნავია ქალთა უფლებების მიმართ გადადგმული სხვადასხვა პროგრესული ნაბიჯი, რომელიც ემსახურებოდა ქალთა უფლებრივ და შრომით ემანსიპაციას. იზრდება პროფესიულური როლიც მუშათა ყოველდღიურ ცხოვრებაში – მართალია, ის ნაწილობრივ სახელმწიფოს დანამატი ხდება, თუმცა ჯერ კიდევ ინარჩუნებს საკუთარ ბუნებრივ ვალდებულებას, დაიცვას მშრომელთა უფლებები და ინტერესები.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა საბჭოთა კავშირში სულ 7 წელი გაგრძელდა. ის ჩანაცვლდა კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ყოვლისმომცველი პოლიტიკით, რომელმაც სრულად შეცვალა ადამიანთა ყოველდღიურობა როგორც ქალაქში, ისე სოფელში.

## სტალინიზმი და ეკონომიკა

1920-იანი წლების მეორე ნახევარში მთელ საბჭოთა კავშირში რადიკალური ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები იწყება. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა

<sup>1</sup> გაზეთი მუშა, 05.02.1925, N29

კრიზისში შევიდა – სოფლის მეურნეობაში იკლებდა ხორბლის წლიური მოსავალი. დაბალი ფასის გამო გლეხები ინახავდნენ და არ აბარებდნენ მოსავალს. მეორე მხრივ, ვერ ვითარდებოდა ინდუსტრია – მართალია, ის უკვე აღწევდა 1913 წლის წარმოების დონეს, მაგრამ მეტად განვითარება აღარ შეეძლო. მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა, მაგრამ სახელმწიფო ტექნოლოგიურად ვერ ვითარდებოდა და ისევ ომამდელ დონეზე რჩებოდა<sup>1</sup>.

იმ დროის საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყო, ვიდრე მეფის რუსეთი, რადგან მან დაკარგა ინდუსტრიულად განვითარებული პოლონეთი. ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ინდუსტრიალიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის იმ დონემდე განვითარება, რომ ის სრულად თვითკმარი გამხდარიყო.

1920-იანი წლების მიწურულს საბჭოთა კავშირში დაიწყო ორი ურთიერთდამოკიდებული – კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის – პოლიტიკა. ინდუსტრიალიზაცია ავტომატურად ნიშნავდა სახელმწიფოში ურბანიზაციის ზრდას, ახალი ქალაქის მშენებლობასა და ფაბრიკა-ქარხნების აგებას, რაც სრულიად შეცვლიდა საზოგადოების დემოგრაფიულ და სოციალურ სტრუქტურას. ქალაქების გაზრდილ მოთხოვნაზე შესაბამისადვე უნდა ეპასუხა სოფელსაც – გაეზარდა წარმოება და მოემარაგებინა იგი ნატურალური პროდუქტებით, მეტიც – მას უნდა ეწარმოებინა იმაზე მეტი, ვიდრე ქალაქისა და საკუთარი თავის შესანახად იყო საჭირო, კერძოდ, ნაწილი მოსავლისა უნდა გასულიყო ექსპორტზე, შემოსული თანხ-

<sup>1</sup> Ronald Suny, The Soviet Experiment Russia, The USSR, and the Successor States, 1998. გვ. 232-233

ებით კი სახელმწიფოს უნდა შეეძინა სხვადასხვა ტექნოლოგიები ინდუსტრიის განსავითარებლად.

სახელმწიფოს ეკონომიკური გეგმები (ხშირად მაქსიმალისტური) დაიყო ხუთწლედებად, რომლებიც უნდა შესრულებულიყო ვადაზე ადრე. წარმატებები მიიღწეოდა ადამიანების შრომითი ექსპლუატაციის, ძალადობის, რეპრესიებისა და სხვა არაჰუმანური აქტების ხარჯზე.

## კოლექტივიზაცია

„სტალინი ამბობდა, რო ყველა ერთნაირად უნდა ცხოვრობდესო. ბევრს არ უნდოდა, მაგრამ ძალდატანებით... აშინებდნენ, მაგრამ როგორ აშინებდნენ, არ ვიცი. ვისაც ექვსი ხარი ჰყავდა და ხუთი ძროხა, რათ უნდოდა იმას კოლექტივი! ვისაც ერთი ხარი ჰყავდა, იმას უხაროდა. ასე შეიქმნა კოლექტივი, ხუთი თითივით მახსოვს, ბაზალეთში, ჩრდილიანთ კარის უბანი იყო, საბჭო ერთი იყო. მანდ ერთი დიდი ტრიალი მინდორი იყო და უკან ტყე, ეს იყო კოლექტივი, ყველა სოფელში იყო ერთი კოლექტივი, გინდა ორმოცი ოჯახი ყოფილიყო, გინდა სამასი ოჯახი – ერთი კოლექტივი“, – იხსენებს მესხეთში მცხოვრები ქალბატონი, თამარ ნადირაძე, 2016 წელს.

თავდაპირველად, კოლექტივიზაცია მარცვლეულის კრიზისის დაძლევისა და მისი პრობლემის გადასაჭრელად დაიწყო, აქედან გამომდინარე ის, პირველ რიგში, მარცვლეულის მომყვან რეგიონებში უნდა განხორციელებულიყო. სწორედ ამიტომაც საქართველო მესამე ჯგუფში

<sup>1</sup> ნინო ბექიშვილი, ქალი საბჭოთა სოფელში, 2017. გვ. 42

მოხვდა – კოლექტივიზაციის ფორსირება რესპუბლიკაში გვიან უნდა დაწყებულიყო, კერძოდ, პირველი ხუთწლედის დასასრულს (1933 წელი)<sup>1</sup>. კოლექტივის მსგავსი კო-ოპერაციები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების დღიდან ნელ-ნელა ვითარდებოდა და იზ-რდებოდა, მაგალითად, კომუნები, არტელები, მიწის ერთობლივი დამუშავების ამხანაგობები და ა.შ. მასობრივ კოლექტივიზაციამდე რესპუბლიკაში, ოფიციალური სტატისტიკით, სულ იყო 8 კომუნა, 35 სასოფლო-სამეურნეო არტელი, 60 მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობა და 30 სამანქანო ამხანაგობა<sup>2</sup>.

კოლექტივიზაცია საქართველოში გვიან, მაგრამ დაჩქარებულად დაიწყო. პარტიის მიზანი და სურვილი იყო, კოლექტივიზაციის დონით დაწეულიყვნენ რუსეთის ეკონომიკურად და პოლიტიკურად განვითარებულ რეგიონებს<sup>3</sup>. მეურნეობები, ძირითადად, ღარიბი გლეხების ხარჯზე იქმნებოდა, რადგან სწორედ ეს სოციალური კლასი იყო მსგავსი კოოპერაციების შექმნით დაინტერესებული და მისი მხარდამჭერი. სამაგიეროდ, მას ეწინააღმდეგებოდნენ საშუალო შეძლების და მდიდარი გლეხები, რომლებსაც საერთოდაც არ სურდათ საკუთარი პირუტყვისა და მოსავლის დათმობა სახელმწიფოსთვის.

1928 წლიდან სოფლებში მდიდარი გლეხების მიმართ რეპრესიები იწყება, ფორმები განსხვავებულია – დაწყებული ქონების კონფისკაციით, დასრულებული დახვრეტით. „მიმდინარე წლის 10 თებერვალს, სოფელ მელვრეკისში

<sup>1</sup> ალექსანდრე დაუშვილი, კოლმეურნეობა საქართველოში, 2020. გვ. 228

<sup>2</sup> იქვე, გვ. 229

<sup>3</sup> იქვე, გვ. 241

დაარსდა კოლექტივი სახელწოდებით „ტრაქტორისტი“. სამწუხაროდ კოლექტივის გამგეობაში გაძვრნენ კულაკები და ყოფილი ვაჭრები. გამგეობის თავმჯდომარე არის საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი, ყოფილი მემამულე პავლე ლორთქიფანიძე. წარსულში, მას პირადად არავითარი მუშაობა არ უწარმოებია. ქირაობდა მუშებს და მათი ხელით ამუშავებდა თავის მამულს. მუშებს ჩანას პურში 3-4 დღეს ამუშავებდა, მათთან ლაპარაკს არც კი კადრულობდა<sup>1</sup>.

„კულაკს“ არ ჰქონდა ზოგადი სამართლებრივი დეფიცინია. იგი ცხადდებოდა თემისა თუ სასოფლო საბჭოებში ღარიბი გლეხების წარმომადგენლების მიერ. აქედან გამომდინარე, „კულაკი“ შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი, ვინც ადამიანთა გარკვეული ჯგუფის წარმოდგენით იყო მდიდარი და აზიანებდა მეურნეობას. მათ ართმევდნენ სახლს, მიწებს, საქონელს, ცხენს და ყველაფერს, რისი ჩამორთმევაც შეიძლებოდა.

„პაპაჩემი, დედის მამა ყოფილა ძალიან მდიდარი კაცი. იმდენი ფუტკარი გვყავდაო, რო წავიდოდა და წაიღებდა თაფლს გასაყიდადო, ქვაბებით, ბალონები სად იყო მაშინ? ერთი შავი ფართუკი ჰქონდა და ის რო ჰქონდა მოკრული და ტოტები ანეული, ჰოდა ფულით სავსე მოიტანდა და დაყრიდაო, ჩემი დედინაცვალი ინახავდაო, იმდენი ფული გვქონდა! მერე გაგვაკულაკესო, ეს ფულიც წაგვართვეს, ეს ფუტკარიცო, ორი სამი ძირი დაგვიტოვეს, დანარჩენი წაგვართვესო, დედაჩემს მწარედ ახსოვდა ეს გაკულაკების ამბავი<sup>2</sup>, – იხსენებს თამარა ნადირაძე 2016 წელს.

სოფლებში წარმატებით ყალიბდებოდა კოლექტიური

<sup>1</sup> გაზ. კოლექტივი, 28.03.1930, N21

<sup>2</sup> ნინო ბექიშვილი, ქალი საბჭოთა სოფელში, 2017. გვ. 43

მეურნეობები, მაგრამ პრაქტიკაში მას ბევრი პრობლემა ჰქონდა. კოლმეურნეობა, ორგანიზების უფრო მაღალი ფორმაა, ვიდრე გლეხური მეურნეობა. ხშირ შემთხვევაში, არ კმაროდა კვალიფიციური მუშახელი არცერთ დონეზე, ეს კი პირდაპირ აისახებოდა მეურნეობის ეფექტურობაზე. აგროტექნიკური ბაზა იყო ძალიან დარიბი, მეურნეობების ნაწილი ფულადი სახსრების სიმწირის გამო ვერ ყიდულობდა ტექნიკას, ამავდროულად იყო პროფესიონალი კადრების დეფიციტიც. გლეხების ნაწილი კი საერთოდაც ტრაქტორს სკეპტიკურად უყურებდა და მიწის ისევ ხელით დამუშავებას ამჯობინებდა<sup>1</sup>. 1936 წელს, სტალინმა განაცხადა, რომ კოლექტივიზაციამ საბოლოოდ გაიმარჯვა – მოისპონ მემამულეებისა და კულაკების კლასი<sup>2</sup>, ხოლო მიწები გახდა საერთო საკუთრება. რეალურად, კოლექტივიზია მთელს საბჭოთა კავშირში მკვეთრად ნეგატიურად აისახა სოფლებზე, მეტიც – ზოგ რეგიონში გამოიწვია მასობრივი შიმშილი და სიკვდილი, მათ შორის ჩრდ. კავკასიაში, ყაზახეთსა და უკრაინაში (უკრაინის ისტორიაში ეს პროცესი შევიდა პოლოდომორის სახელით).

კოლექტივიზაციამ სრულიად გარდაქმნა ცხოვრება სოფელში. გლეხები დაექვემდებარნენ სახელმწიფო მეურნეობებს და გახდნენ მასზე დამოკიდებულნი. კოლექტივიზაციის პროცესი არ იყო მარტივი, მოსახლეობის საშუალოსა და მდიდარ ფენას ის არ სურდა, თუმცა ცენტრის გათვლა ღარიბ მოსახლეობაზე იყო, რომელსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდა, სამაგიეროდ, იღებდა გარკვეულ ფინანსურ თუ ნატურალურ სარგებელს.

<sup>1</sup> ალექსანდრე დაუშვილი, კოლმეურნეობა საქართველოში, 2020. გვ. 253-258

<sup>2</sup> დაუშვილი, იქვე, გვ. 350

## 05.08.1929 15:00

კოლექტივიზაციის პოლიტიკა, სხვადასხვა დონით, მძიმედ აისახა საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე. სახელმწიფო მძიმე სასურსათო კრიზისში აღმოჩნდა, დაიწყო შიმშილობა. სოფლად გაღატაკებულმა მოსახლეობამ საარსებოს ძებნა ქალაქში დაიწყო. მშიერთა აჯანყებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო რუსეთში – მხოლოდ 1929-1930-იანი წლებში 2 883 მსგავსი აჯანყება იქნა რეგისტრირებული, რომლებშიც სულ 400 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა<sup>1</sup>. არც თავად ქალაქებში იყო კარგი მდგომარეობა, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ არა მხოლოდ ახალი ქარხანა-ფაბრიკები წარმოშვა, არამედ გამოიწვია მუშათა შრომითი ექსპლუატაცია. სასურსათო კრიზისი ქალაქებსაც ეხებოდა, ქარხანაში მუშაობა კი ერთგვარ პრივილეგიას წარმოადგენდა, რადგან მუშებზე სპეციალური საჭმლის კუპონები გაიცემოდა. მისი ვერმილბაც მარტივი იყო – სამუშაო ადგილზე 15 წუთით დაგვიანება კუპონის დაკარგვას ანუ მშივრად დარჩენას ნიშნავდა.

1932 წელს მთელი ქვეყნის მაშტაბით იწყება შიდა პასპორტიზაციის პოლიტიკა. მის შექმნას მრავალი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ უმთავრესი იყო ორი: პირველი – ინდუსტრიალიზაციის პერიოდში სახელმწიფოს უნდა ეკონოტროლებინა ადამიანთა გახშირებული თვითნებური მიგრაცია; მეორე – სოფელში გამწვავებული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი არ უნდა გადმოსულიყო ქალაქში, რადგან ის შეიძლება მასობრივი არეულობის მიზეზი გამხდარიყო. შესაბამისად, ქალაქებში უნდა დაეშვათ მათ-

<sup>1</sup> Альберт Байбурин, Советский паспорт- история, структура, 2017. გვ. 92

თვის სასურველი ადამიანები, – ან პირიქით, გაეძევებინათ ისინი<sup>1</sup>. შიდა პასპორტის აღება სავალდებულო იყო ორ შემთხვევაში: თუკი მოქალაქე ცხოვრობდა საპასპორტე მოქმედების ზონაში და მეორე, თუკი ის იყო დასაქმებული. თავის მხრივ, ერთი ზონიდან მეორეში გადასვლისას აუცილებელი იყო დროებითი პასპორტის აღება, მაგრამ დროებითი პასპორტით ადამიანი მუშაობას ვერ დაიწყებდა<sup>2</sup>. ფაქტობრივად, ეს იყო ჩაკეტილი წრე, კანონმდებლობა, მართალია, ადამიანს უტოვებდა შანსს, არ აეღო შიდა პასპორტი, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებელი იყო.

1933 წელს, საბჭოთა რესპუბლიკების დედაქალაქებისთვის გენერალური განვითარების გეგმები შეიქმნა – მათ შორის თბილისისთვისაც. 1-3-სართულიანი სახლებით განაშენიანებულ ქალაქში ცხოვრება არ იყო ადვილი. 1932 წლის მონაცემებით, ერთ ადამიანზე 3.5 კვ.მ. საცხოვრებელი სივრცე მოდიოდა. წყალმომარაგება მხოლოდ მოსახლეობის 69%-ისთვის იყო ხელმისაწვდომი. კანალიზაცია მხოლოდ მოსახლეობის ნახევარს აკმაყოფილებდა, ხოლო არსებული კი მტკვარში ჩაედინებოდა, რის გამოც მდინარე მძიმედ ბინძურდებოდა. ქალაქი არც საკმარისად იყო გამწვანებული – ერთ მოსახლეზე 2.5 კვ.მ. გამწვანებული სივრცე, რაც უკიდურესად მცირეა ისეთი ცხელი ქალაქ-ისთვის, როგორიც თბილისია<sup>3</sup>.

გენერალურ გეგმაში ქალაქი თბილისი განისაზღვრა როგორც ამიერკავკასიის ინდუსტრიული ცენტრი. ამის მიხედვით უნდა აშენებულიყო სხვადასხვა ფაბრიკა, ცენტ

<sup>1</sup> Альберт Байбурин, Советский паспорт- история, структура, 2017. გვ. 93-94

<sup>2</sup> იქევ, გვ. 171

<sup>3</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 14, ანაწერი 4, საქმე 6, ფურცელი 6-8

და ქარხანა: ჩაის, თამბაქოს, ავტოსარემონტო და ა.შ.; მსუბუქი მრეწველობის დარგებიდან: მატყლის, ხელოვნური აბრეშუმის, ფეხსაცმლის და ა.შ.; უნდა მომხდარიყო ქსოვილების, ტრიკოტაჟისა და სხვა ფაბრიკების მოდერნიზება. მსუბუქი მრეწველობიდან შემოსავალი, გეგმის მიხედვით, უნდა გაზრდილიყო 80 მილიონიდან 780 მილიონ რუბლამდე. ინდუსტრიის განვითარებისთვის მეორე ხუთწლედში გამოიყოფოდა 350 მილიონი რუბლი (განსხვავებით პირველი ხუთწლედით განსაზღვრული 32 მილიონი რუბლისა), ხოლო მუშათა კლასი კი უნდა გამხდარიყო ქალაქის მთავარი სოციალური ჯგუფი<sup>1</sup>. ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად უნდა გაზრდილიყო საბინაო ფონდიც, – მშენებლობის ბოლო ეტაპზე საშუალო საცხოვრებელი სივრცე უნდა გაზრდილიყო 11 კმ.მ.-მდე<sup>2</sup>.

თბილისში მუშათა კლასის დიდი ნაწილი სეზონური იყო – გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისინი მუშაობდნენ ქალაქში, ხოლო შემდგომ კი ბრუნდებოდნენ სოფელში. ახალი პროფესიონალი კადრების გასაზრდელად და ე.ნ. დისციპლინის დასამყარებლად აუცილებელი შეიქნა ამ მუშების ქარხნებზე „დამაგრება“. 1931 წლის მონაცემებით, ფოთის რაიონში „დამაგრდა“ 2 443 მუშა; ქუთაისის რაიონში – 2 932; აჭარის ასსრ-ში – 1 086; აფხაზეთის ას-სრ-ში – 837; სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში – 56<sup>3</sup>.

ინდუსტრიალიზაციის პირველივე წლებში ნათელი გახდა, რომ რესპუბლიკა (ისევე როგორც მთლიანად ქვეყანა) უჩიოდა პროფესიონალი ტექნიკური კადრების სიმცირეს.

<sup>1</sup> თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 14, ანაწერი 4, საქმე 6, ფურცელი 6-8

<sup>2</sup> За социалистическую реконструкцию Тифлиса, 1934, გვ. 24

<sup>3</sup> იქვე, გვ. 117

საბჭოთა კავშირში პირადი კონტაქტები ბევრის განმსაზღვრელი იყო, მით უმეტეს თუ მას ეთნიკური ფაქტორიც ერთვოდა თან. ქართველები სტალინის დროინდელ სახელმწიფოში, იმპერიის ცენტრში მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი. ინდუსტრიალიზაციის მინისტრი ქართველი სერგო ორჯონივიძე იყო. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართველებისა და, მით უმეტეს, თავისი მეგობრების კარიერულ დაწინაურებას: მისი ბიძაშვილი, გიორგი გვახარია, მაკეევკაში, დონბასის რეგიონში იქნა გაგზავნილი მეტალის ქარხნის დირექტორად. ინჟინერი ელენა ჯაფარიძე (ორჯონივიძის ძველი მეგობრის, ალიოშა ჯაფარიძის შვილი) ცოდნის ამაღლების შემდეგ გაიგზავნა მაგნიტოგორსკში; შალვა ელიავა გაგზავნილ იქნა ყაზახეთში და ა.შ. თავის მხრივ, ყველა მათგანი ორჯონივიძესთან ინარჩუნებდა ახლო-მეგობრულ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პატრონ-კლიენტურ ურთიერთობას. უმეტესობა ცოდნის ასამაღლებლად იგზავნებოდა მოსკოვში, ხოლო კიდევ უფრო გამორჩეულები – გერმანიაში<sup>1</sup>.

პროფესიონალი კადრების შექმნა უშუალოდ საქართველოშიც დაიწყო, ამიტომაც იზრდებოდა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა რიცხვიც. 1928-1929 წელს მომზადდა 357 სხვადასხვა პროფესიის მშენებელი და 563 ინდუსტრიული მუშა, 1929-1930 წლებში – 1980 მშენებელი და 1 553 მუშა. 1931 წლის მეორე ნახევრიდან კი კვალიფიციურ მუშათა და საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის მომზადების ამოცანა პარტიამ გადაჭრით დააყენა<sup>2</sup>. 1932 წლისთვის რესპუბლიკაში უკვე არსებობ-

<sup>1</sup> Erik Scott. Familiar Strangers – The Georgian Diaspora and the Evolution of Soviet Empire, 2016. გვ. 65-70

<sup>2</sup> იქვე, გვ. 120

და 189 სპეციალური ტექნიკუმი 21 804 მოსწავლით და 17 უმაღლესი და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი 13 837 სტუდენტით<sup>1</sup>.

მოსკოვი ინდუსტრიალიზაციას როგორც იდეოლოგიურად, ისე პოლიტიკურად აღიქვამდა სახელმწიფოს განვითარებისთვის აუცილებელ გზად – მით უმეტეს მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საბჭოთა კავშირი კვლავ აგრარულ სახელმწიფოდ რჩებოდა.

კომუნისტურმა პარტიამ პირველივე ხუთწლედში სრულიად არარეალური ამოცანები დაისახა, მაგალითად: მუშათა პროდუქტიულობის გაზრდა 110%-ით, ხოლო ხელფასებისა – 65%-ით<sup>2</sup>. პარტიის მიზანი იყო, მაქსიმალურად მეტი რესურსი ჩადებულიყო ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკაში, როგორც ფინანსური, ისე რეპრესიული – მუშათა შრომითი ექსპლუატაციის მხრივ. გაძლიერდა იდეოლოგიური მუშაობაც, იქმნებოდა ახალი სიმღერები, სლოგანები, პლაკატები და ა.შ.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ წლებში, სტალინის ძალაუფლების სათავეში მოსვლამდე, მუშები რეალურად ფლობდნენ საწარმოზე კონტროლს, ამავდროულად, სახელმწიფო სამუშაო დღე 10-დან 7 საათამდე შეამცირა, სამაგიეროდ, გაზარდა წელიწადში სამუშაო დღეების რიცხვი. ცენტრში მიაჩნდათ, რომ დღის განმავლობაში სამუშაო საათების შემცირება, მაგრამ, საერთო ჯამში, წელიწადში მისი გაზრდა აამაღლებდა მუშათა

<sup>1</sup> სავლე შარიქაძე, საქართველოს მუშათა კლასი სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესასრულებისთვის ბრძოლაში (1932-1936), 1959. გვ. 36

<sup>2</sup> Ronald Suny, The Soviet Experiment Russia, The USSR, and the Successor States, 1998. გვ. 481

პროდუქტიულობას: 1913 წელს წელიწადში 278 სამუშაო დღე იყო, ხოლო 1928 წელს – 300.

ახალი კანონი მხოლოდ ფურცელზე რჩებოდა, ხოლო მუშები კვლავ 1913 წლის სტანდარტით აგრძელებდნენ მუშაობას, მაგალითად, 1934 წელს, საშუალოდ, მუშა 265.4 დღე მუშაობდა<sup>1</sup>. პრობლემა იყო არა მხოლოდ სამუშაო დღეები, არამედ უშუალოდ პროცესში შრომის ორგანიზება. დასაქმებულები ხშირად საპატიო და არასაპატიო მიზეზებით აცდენდნენ სამსახურს, გარდა ამისა, არც თავად ადგილზე არ მიმდინარეობდა დროის ეფექტური მართვა. ამ და სხვა ბევრი მიზეზის გამო ინდუსტრიული ეკონომიკა საკმარისად სწრაფად ვერ ვითარდებოდა.

1932 წლიდან იწყება სამუშაო ადგილებზე მუშებისთვის უფლებების წართმევა და საწარმოების დირექტორებისთვის უფლებების გადაცემა – სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკაცრდებოდა შიდა კანონმდებლობა, რათა მუშებს აღარ შესძლებოდათ თავის დაცვა, საწარმოს დირექტორი კი ხდებოდა ახალი ფეოდალი, რომელსაც საკუთარ კოლექტივზე თითქმის შეუზღუდავი უფლებები ჰქონდა.

გაუქმდა კოლექტიური ხელშეკრულებები და ჩანაცვლდა ინდივიდუალურით, რათა მუშებს აღარ ჰქონდათ წინააღმდეგობის განევის ეფექტური საშუალება. სამსახურში 20-წუთიანი დაგვიანება ან მისი ადრე დატოვება საკმარისი იყო ქარხნის საერთო საცხოვრებლიდან გაგდებისთვის. სამსახურის გაცდენა არასაპატიო მიზეზებით (რომელთა რიცხვიც ასევე შეიკვეცა) კრიმინალიზდა და განისაზღვრა 2-დან 4 თვემდე პატიმრობით. შემცირდა ქალებისთვის დეკრეტული შვებულების განსაზღვრული

<sup>1</sup> Donald Filtzer, Soviet workers and Stalinist industrialization, 1987. გვ. 156

ვადები – 16 კვირიდან 9-მდე. დასაქმებულ მუშებს, ფაქტობრივად, აეკრძალად სამსახურის ნეპით დატოვება – ოფიციალურ დონეზე მათ ჰქონდათ ამის უფლება, თუმცა აწყდებოდნენ მრავალ ბარიერს, მაგალითად: ქარხნის დირექტორს შეეძლო მის შრომის წიგნაკში ნეგატიური შეფასების დაწერა, ეს კი, საშუალებას არ მისცემდა მუშას, ეპოვა ახალი სამსახური და, ამასთან, ვერც ხანდაზმულობის დროს ვეღარ აიღებდა პენსიას. ახალი კანონებით, სამუშაო საათები გაიზარდა და თითქმის ყველგან 8 საათი გახდა, მეორე მხრივ, არარეალურად გაიზარდა შრომის გეგმებიც, რომელთა შესრულება აუცილებელი იყო. ფაქტობრივად, სახელმწიფო, ირიბად თუ პირდაპირ, მიანიშნებდა დასაქმებულებს, რომ მათ ზეგანაკვეთურად, უფასოდ, აუნაზღაურებლად უნდა ემუშავათ<sup>1</sup>. სწორედ ამ და სხვა მრავალი ახალი კანონითა თუ ცვლილებით, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში მიიღწეოდა არნახული ეკონომიკური განვითარება.

საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურა მუშათა საპრძოლო ამოცანის შესახებ გვამცნობს: „მუშათა მასების მიერ წამოყენებული ლოზუნგი „ხუთწლედი ოთხწლედში“, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში გახდა საბრძოლო ამოცანა მუშათა კლასებისთვის“<sup>2</sup>.

1929 წლიდან იწყება საქართველოს საწარმოთა თვითგამოწვევისა და შეჯიბრებების ეტაპი. გამარჯვებული იქნებოდა ის საწარმო, რომელიც ყველაზე კარგ შედეგს მიიღებდა, ეს კი ვერ მიიღწეოდა შრომის ორგანიზების

<sup>1</sup> Donald Filtzer, Soviet workers and Stalinist industrialization, 1987. გვ. 233-236

<sup>2</sup> ლიდა ბარამია, საქართველოს მუშათა კლასი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, 1965. გვ. 112

დახვეწის, პროდუქციის თვითღირებულების კლების, წარმოების პროცესის გაუმჯობესებისა და, შეიძლება, მუშების ექსპლუატაციის გარეშე. 1929 წლის 27 აპრილს, როსტოვის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისისა და თან წარუდგინა კონკრეტული ვალდებულებები: „1928/29 სამეურნეო წლების შესრულება 100%-ით, შრომის ნაყოფიერების ამაღლება 17%-ით, თვითღირებულების შემცირება 12%-ით<sup>1</sup>.

„თბილისი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედევად, ორთქლმავლის დაშლის ხანგძლივობა 7 დღიდან 3 დღემდე შემცირდა, რასაც მიაღწიეს მუშაობის გარდაქმნითა და წარმოების პროცესების გაუმჯობესებით. ამ ქარხნების მუშებმა გარდამავალი წითელი დროშა ჩამოართვეს როსტოვის სარემონტი ქარხნის მუშებს<sup>2</sup>.

შეჯიბრებამ თავისთავად წარმოშვა საუკეთესო ბრიგადებიც, რომელთაც დამკვრელობა ეწოდა. მსგავსი ჯგუფები გამოირჩეოდნენ შრომის მაღალი ეფექტურობით. მათ ეძლეოდათ უფლება, შეემოწმებინათ სხვა მუშების შრომის ეფექტურობა, საჯაროდ ეკრიტიკებინათ ისინი, მათ შორის, საწარმოს დირექტორიც: „რკინიგზის ადმინისტრაციას ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობა. მუშების წასახალისებლად, არ იღებენ არავითარ ზომებს. დამკვრელმა ბრიგადამ თხოვა ადმინისტრაციას შემოეღო დაფები, მა-

<sup>1</sup> მაყვალა ნათმელაძე, საქართველოს მუშათა კლასი მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში (1928-1932), 1958. გვ. 50

<sup>2</sup> ლიდა ბარამია, საქართველოს მუშათა კლასი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, 1965. გვ. 113

გრამ ადმინისტრაციამ ეს არ შეასრულა. ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს დამკვრელი ბრიგადის მუშაობის აღრიცხვას, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ არაერთხელ მიუთითა დამკვრელმა ბრიგადამ და საწარმოო თათბირმა<sup>1</sup>. შრომის ინტენსიფიკაციასთან ერთად იქმნებოდა შრომის ორგანიზების სხვადასხვა ფორმებიც – გარდა შეჯიბრებებისა და დამკვრელობისა, ასევე შეიქმნა „საზოგადოებრივი ბუქსირიც“, რომელიც ითვალისწინებდა ჩამორჩენილ საწარმოებში სპეციალური კოლექტივების შეშვებას და შემდგომში წარმოების ეფექტურობის ზრდას.

კოლექტიური შრომის ეფექტურობის ზრდასთან ერთად, არსებობდა ინდივიდუალურიც – სტახანოვური მოძრაობა – მოწინავე მუშების გამორჩევა. განსხვავებით დამკვრელური შრომისგან, რომელიც, ძირითადად, გეგმის გადაჭარბებისკენ იყო მიმართული, სტახანოვური შრომა ნიშნავდა ყველა არსებული ნორმის დამსხვრევას და მის გადაჭარბებას ისე, რომ მანამდე არსებული ნორმები მოველებულიყო.

ყველაფერი 1935 წელს დონბასის მაღაროებში დაიწყო, რომლის დროსაც ალექსეი სტახანოვმა რეკორდულად დიდი რაოდენობით ნახშირი მოანგრია. ამ ფაქტს მაღევე მოჰყვა სახელმწიფოს მხრიდან ორკესტრირებული საინფორმაციო კამპანია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ, სტახანოვურ მოძრაობას. ის პროპაგანდირებდა შრომის მაღალ ეფექტურობას, მათ შორის, შრომითი უსაფრთხოების დარღვევების ხარჯზე და მის არაპროპორციულ ფულად ანაზღაურებას. ერთი მხრივ, ეს მუშებს

<sup>1</sup> გაზეთი სოციალისტური შეჯიბრება, 25.10.1929, N3

გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა – მათ მიეცემოდა გარკვეული ბონუსები, საბინაო ფონდი და ა.შ., მეორე მხრივ, მათი შრომა სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა კონკრეტული არგუმენტებით გაემყარებინა არარეალური სამუშაო ნორმების დაწესება<sup>1</sup>. 1936 წელს, ქართანა-ფაბრიკებმა სხვადასხვა ინდუსტრიაში შრომის ახალი, გაზრდილი ნორმები მიიღეს. ის ყველგან გაიზარდა მინიმუმ 20%-ით, ხოლო მაქსიმალური კი მიიღო საავიაციო ინდუსტრიამ – მთელი 55%<sup>2</sup>.

საქართველოში ჭიათურელმა მაღაროელებმა, სამხარაძემ და ფოფხაძემ, 1935 წლის 14 ოქტომბერს, ერთ ცვლაში გეგმით გათვალისწინებული 9 ტონის ნაცვლად 15 ტონა მანგანუმი მოაწყონიეს. სტახანოველები იყვნენ წარმოების თითქმის ყველა დარგში, მაგალითად: „სტახანოველმა ნოზაძემ მაუდის ფაბრიკაში ერთ მანქანაზე გამოშვების შესაძლო ტექნიკური ნორმით გათვალისწინებულ 59 300 დაკვრის რაოდენობა 400 000-მდე აიყვანა. ამავე ფაბრიკის სტახანოველმა მუშამ მურადოვმა შეძლო ტექნიკური ნორმით გათვალისწინებული 70 000 ერთეულის მაგივრად 90 000 მილწევა“<sup>3</sup>.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდში მთელი საბჭოთა კავშირის მამტაბით მრავალი ახალი ქალაქი აშენდა. ურბანიზაციის დონე თითქმის ერთ ათწლეულში გაორმაგდა – 1926 წლის მონაცემებით, ქალაქებში ცხოვრობდა 26 მილიონი ადამიანი, ხოლო 1939 წელს – 56 მილიონი.

<sup>1</sup> Donald Filtzer, Soviet workers and Stalinist industrialization, 1987. გვ. 181-183

<sup>2</sup> იქვე, 184

<sup>3</sup> სავლე მარიქაძე, საქართველოს მუშათა კლასი სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში (1933-1937), 1959. გვ. 136

მსგავსი ცვლილებები შეეხო საქართველოსაც, მაგალითად, თბილისში 1926 წელს 294 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო 1939 წელს – 519 ათასი. ტყვარჩელში დაიწყო ქვანახშირის ამოღება, რითაც ის იქცა აფხაზეთის ინდუსტრიულ ცენტრად; მწყობრში ჩადგა რიონპესი, ზაჟესი (მეორე ეტაპის მშენებლობა), ანჟესი; დაიწყო ხრამპესის მშენებლობა; ელექტროფიციონადა რიგი რეგიონები, მათ შორის, რკინიგზა; განვითარდა დაზგათმშენებლობა; განვითარდა ნავთობის მრეწველობა; ზესტაფონში აშენდა ფეროშენადნობის უზარმაზარი ქარხანა, ჭიათურაში – მანგანუმის მადნის გამამდირებელი ქარხანა და ა.შ.

საბჭოთა ქართული სამეცნიერო წყაროების მიხედვით, ხელფასი, 1928 წელთან შედარებით, 1937 წელს თითქმის გასამმაგდა: გაიზარდა 846-დან 3 333-მდე<sup>1</sup>. 1928-1939 წლებში, ინდუსტრიაში კაპიტალდაბანდებამ შეადგინა 1.784,7 მილიარდი რუბლი, აქედან 729.7 მილიონი გამოიყო მძიმე ინდუსტრიისთვის, ხოლო მის მიერ გამომუშავებული პროდუქტი 15-ჯერ აღემატებოდა ადრინდელს<sup>2</sup>.

ეკონომიკის განვითარება ნაწილობრივ არ ასახულა მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე – პირიქით, მაგალითად, თბილისში საბინაო მშენებლობა ვერ ეწეოდა გაზრდილ მოთხოვნას, რის გამოც საბინაო ნორმა, ზრდის მაგივრად, შემცირდა<sup>3</sup>. სიტუაცია იმდენად მძიმე იყო, რომ საცხოვრებელი სივრცის პრობლემა აწუხებდა არა მხოლოდ რიგით მუშათა კლასს, არამედ შედარებით მაღალ სოციალურ კლასებსაც. მაგალითად, 1935 წელს

<sup>1</sup> სავლე შარიქაძე. იქვე, გვ. 191

<sup>2</sup> საიუბილეო კრებული 1921-1946, საქართველო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, გვ. 8

<sup>3</sup> სცსა ფონდი 14, ანაწერი 4, საქმე 295, ფურცელი 17

თბილისის საბჭოს კომუნალურ განყოფილებაში შესულ წერილში ვკითხულობთ: „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მთელი რიგი პროფესორები იმყოფება ბინის მხრივ ძლიერ მძიმე და შეუფერებელ პირობებში, მაგ: ანატომიის კათედრის გამგე პროფ. ა. ნათინაშვილი ცხოვრობს ანატომიის კათედრის შენობაში, სადაც გვამებია მოთავსებული და წარმოებს სტუდენტების მუშაობა ამ გვამებზე“<sup>1</sup>.

დამძიმდა ქალთა მდგომარეობაც – განსხვავებით საბჭოთა კავშირის არსებობის პირველი წლებისგან, რომლის დროსაც ქალებმა ემანსიპაციისკენ მიმართული რიგი უფლებები მიიღეს. სტალინის მმართველობის პერიოდში უფლებები შეიკვეცა და პოლიტიკა ისევ კონსერვატიული გახდა. ადამიანი აღქმული იყო, როგორც პოტენციური შრომითი ძალა, აქედან გამომდინარე, ქალებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, ქალები, ძირითადად, რჩებოდნენ დაბალი რანგის მუშებად და იშვიათად თუ აღწევდნენ წარმატებას. ამავდროულად ხელისუფლება აძლიერებდა ოჯახის აღქმის კონსერვატიულ ღირებულებებს, რის გამოც ქალებს, გარდა ქარხანასა თუ კოლმეურნეობაში შრომისა, თან ემატებოდა საოჯახო საქმეების კეთებისა და შვილების მოვლის მოვალეობაც. ქალები ეგულებოდნენ რეპროდუქციის პატრიარქალურ სტრუქტურას, ხშირად მათ არ ჰქონდათ მშობიარობისთვის ადეკვატური პირობებიც, აჩენდნენ ბავშვებს სახლში, ექიმისა თუ ბებიაქალის გარეშე<sup>2</sup>.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდი საბჭოთა საქართველოში შეგვიძლია ორი მხრიდან დავინახოთ: სახელმწიფოს

<sup>1</sup> თბილისის არქივი, ფონდი 14, ანაწერი 1, საქმე 122, ფურცელი 53

<sup>2</sup> აია ბერაია, ქალი საბჭოთა სოფელში, 2018. გვ. 4-6

მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად რესპუბლიკაში აიგო მრავალი საწარმო თუ ქარხანა, მათ შორის ინდუსტრიული გიგანტები, ამათგან ნაწილი ახლებური სახით დღემდე მუშაობს, – მაგალითად, თბილისის ცენტროლიტი; იცვლებოდა მოსახლეობის სტრუქტურაც, ძველი, აგრარულიდან იქმნებოდა ახალი მუშათა ურბანული საზოგადოება, რომელიც მოქალაქეებს სთავაზობდა სოციალური მობილობის ახალ შანსებს; მეორე მხრივ, ეკონომიკური განვითარება 1930-იან წლებში ნაკლებად თუ აისახებოდა რიგით ადამიანზე, რიგ შემთხვევაში კი ის უფრო მეტად გაუარესდა – გაიზარდა შრომითი ექსპლუატაცია, შეიკვეცა შრომითი უფლებები და ა.შ.

## რეპრესიები

საბჭოთა კავშირის მესამე ხუთწლედის პერიოდი (1937-1942) მეტად მძიმე გამოდგა მისი მოქალაქეებისთვის. ჯერ იყო დიდი ტერორი, რომელმაც მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა, შემდგომ კი ხუთწლედი ნაადრევად დასრულდა – ნაცისტური გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა, რის შედეგადაც საბჭოთა მოქალაქეები ჩაერთნენ მეორე მსოფლიო ომში.

1936 წელს, მთელი ქვეყნის მაშტაბით დიდი ტერორი დაიწყო, რამაც პიკს 1937 წელს მიაღწია. დალუპულების ზუსტი რაოდენობა უცნობია, მაგრამ ის აღწევს 1 მილიონამდე, რომ აღარაფერი ითქვას გადასახლებულებსა თუ დაპატიმრებულებზე. რეპრესიების მიზეზებსა და მიზნებზე, თუ რისი მიღწევა სურდა მოსკოვს, დღემდე მიმდინარე-

ობს დავა, თუმცა, ფაქტია, რომ მას ჰქონდა როგორც ეთნიკური, ისე სოციალური და პოლიტიკური განზომილება.

საქართველოში სულ 29 051 ადამიანი იქნა რეპრესირებული, აქედან 14 372 – დახვრეტილი და 14 679 – გადასახლებული. რეპრესიების აბსოლუტური უმრავლესობა რიგით მშრომელ ადამიანებს შეეხო. იმ დროს შედგენილი დოკუმენტებით გამოიყო რეპრესიების სამი ტიპი: კულაკური ოპერაცია, ნაციონალური ოპერაცია, მილიციის სამეული<sup>1</sup>.

კულაკური ოპერაციები გულისხმობდა სისხლის სამართლის დამნაშავეებსა და ანტისაბჭოთა ელემენტებთან ბრძოლას. თავის მხრივ, ეს გულისხმობდა ძველი მენშევიკების, სოციალ-დემოკრატების, ანარქისტების, მღვდელმსახურების, თეთრი არმიის ჯარისკაცებისა და სხვა პოლიტიკურად შეუთავსებელი პირების დასჯას. სულ საბჭოთა კავშირის მაშტაბით 800 000-მდე საქმე იქნა აღძრული კულაკური ოპერაციის საფარქვეშ.

ნაციონალური ოპერაციები გამოირჩეოდა ეთნიკური ხასიათით და შეეხო სულ 365 ათას ადამიანს.

კულაკური ოპერაციის შემდეგ, ყველაზე მასშტაბური ხასიათი მილიციის სამეულებმა შეიძინა, რომლის დროსაც სასამართლოს გარეთ, სამეულის მიერ ხდებოდა განაჩენის გამოტანა. ოფიციალურად სამეულებს უნდა განეხილათ „საქმეები სისხლის სამართლის, დეკლასირებული ელემენტებისა და საპასპორტე წესების ბოროტად დამრღვევთა შესახებ“. სამეულების სახელით რეპრესიები შეეხო 420-450 ათას ადამიანს.

<sup>1</sup> მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვერი, ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, 2015. გვ. 31-37

საქართველოში, ისევე, როგორც ზოგადად საბჭოთა კავშირში, რეპრესიების უდიდესი ნაწილი კულაკურ ოპერაციებზე მოდიოდა – 21 107 ადამიანი; სტალინური სიებით რეპრესირებულ იქნა – 3 621; ნაციონალური ოპერაციებით – 2 119; მილიციის სამეულებით – 2 204.

კულაკურ ოპერაციებში რეპრესირებულთა 68% იყო მცირემცოდნე ან დაბალი განათლებისა, ამავდროულად „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის მათი წილი [მოსამსახურენი] 1937-1938 წლებში თითქმის 70%-ს აღნევდა. მოსამსახურენი საბჭოთა პირობებში ყოველთვის იყვნენ „სახელმწიფო მსახურენი“. გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ უკვე დიდი ხნის წინ ნაციონალიზირებული საწარმოები და ქარხნები ან სასოფლო საბჭოს მუშაკები. „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის მუშათა წილმა შეადგინდა 5% (532 ადამიანი), გლეხებმა – 27% (3 031 ადამიანი)<sup>1</sup>. მილიციის სამეულების მსხვერპლი კი, ძირითადად, დეკლასირებული ელემენტები აღმოჩნდნენ, მაგალითად, უსახლკარონი, ღატაკი და ა.შ. 1 382 ადამიანიდან მათი წილი იყო 75%. „მილიციამ გამოიყენა სამართლებრივი განუკითხაობის სიტუაცია იმისთვის, რომ ბანაკებში გაეგზავნა მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლები [...] გლეხები, მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, რომელთა წილმაც მილიციის სამეულის მიერ რეპრესირებულთა შორის შეადგინა 6%“<sup>2</sup>.

სოციალურ სტატუსებსა და განათლებაზე დაკვირვებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეპრესიების ძირითადმა

<sup>1</sup> მარკ იუნგე, ომარ თუშურშვილი, ბერნდ ბონვეჩი, ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, 2015. გვ 71-72

<sup>2</sup> იქვე, გვ. 73

ტალღამ რიგით ადამიანებზე გადაიარა. მათი უმეტესობა არათუ საპჭოთა პოლიტიკურ სისტემას არ ებრძოდა, არამედ ისევ სახელმწიფოსთვის მუშაობდა.

## მეორე მსოფლიო ომი

მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომი იყო, რომელსაც საერთო ჯამში 50-56 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა. საპჭოთა კავშირის მოსახლეობისთვის ომი და ომის რიტორიკა არ იყო სიახლე. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკიდან მოყოლებული, სახელმწიფო მოსახლეობას კვაზისაომარ მდგომარეობაში ამყოფებდა: ერთი მხრივ, გამოცხადებული იყო შრომითი მობილიზაციები და უკიდურესად გამკაცრებული – შრომის კანონმდებლობა; მეორე მხრივ, სახელმწიფო ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას ლოზუნების, პოსტერებისა თუ განცხადებების საშუალებით წარმოაჩინდა როგორც ომს.

1941 წლის 22 ივნისს, გერმანიის სსრკ-ზე თავდასხმიდან უმაღვე, ქვეყანაში სრული სამხედრო მობილიზაცია გამოცხადდა, 1904-1922 წლებში დაბადებული მამაკაცები კი სავალდებულო განვივას დაექვემდებარნენ. მთელი ომის განმავლობაში სულ 20 მილიონი ადამიანი იქნა განვეული, ეს კი იმასაც ნიშნავდა, რომ ქვეყნის ინდუსტრიულ თუ აგრარულ კომპლექსს მოაკლდებოდა მუშახელი. გამოცარიელებული ადგილების დაკავება კი ქალებმა დაიწყებს: 1941 წლისთვის ეკონომიკაში ჩართული იყო 61% მამაკაცი და 39% ქალი, 1945 წლისთვის – 44% მამაკა-

აცი და 56% ქალი<sup>1</sup>. გაორმაგდა სამხედრო ინდუსტრიაში ჩართულ ადამიანთა რიცხვი – 9.8 მილიონი ადამიანიდან 17.3-მდე (1942 წლის მონაცემები), ხოლო ინდუსტრიის 96% სამხედრო სექტორს ემსახურებოდა<sup>2</sup>. გამკაცრდა ისედაც უმკაცრესი კანონმდებლობა – ამჯერად სამსახურის ნებით დატოვების შემთხვევაში საქმე სამხედრო პროკურატურას გადაეცემოდა და პირი დეზერტირად ცხადდებოდა. ეკონომიკურმა კრიზისმა, დემოგრაფიულმა კატასტროფამ და უზარმაზარმა მიგრაციულმა პროცესებმა შრომა უმძიმესი გახადა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე – მოსახლეობა უჩიოდა არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო პროდუქტის, არამედ საჭმლისა და სუფთა წყლის ნაკლებობას.

სამხედრო თეატრი დედამიწის სამ კონტინენტზე იყო გადაჭიმული, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზეც – 1942 წელს დაიბომბა სოხუმი, ფოთი და ბათუმი. კავკასიონის მყინვარებზე, მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილებზე, მიმდინარეობდა უთანასწორო ბრძოლები, ძირითადად, ქართულ დივიზიებსა და გერმანელ მედესანტებს შორის.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, 1941 წლის 22 ივნისს ნაცისტური გერმანიის სსრკ-ზე თავდასხმიდან მეორე დღეს, სამხედრო მობილიზაცია გამოცხადდა. 27 ივნისისთვის კი ფრონტზე გაიგზავნა 74 ათასამდე ჯარისკაცი, 4 319 მანქანა, 334 ტრაქტორი და ა.შ. 3 ივლისის მონაცემებით, მოხალისედ ომში წასასვლე-

<sup>1</sup> Sheila Fitzpatrick, War and Society in Soviet Context: Soviet Labor before, during, and after World War II, 1989. გვ. 42

<sup>2</sup> Martin Kragh, Soviet Labour Law during the Second World War. War in History, 2011. გვ. 535

ლად კომისარიატებს მიმართა 6 430 ადამიანმა. კომსომოლი ნათელა იმერლიშვილი საკუთარ განცხადებაში წერდა: „მე სრულყოფილად ვფლობ გერმანულ ენას, შემიძლია დიდი სარგებელი მოვუტანო ჩემს სამშობლოს, გთხოვთ გამაგზავნოთ ფრონტზე“<sup>1</sup>. 1941-დან 1942 წლის დასაწყისამდე მობილიზაცია შეეხო 19-25 წლის ქალებსაც. მათი უმრავლესობა გადანაწილდა კავშირგაბმულობისა და საჰაერო თავდაცვის არმიებში.

მხოლოდ 1941 წლიდან 1944 წლამდე, საბჭოთა წყაროებით, 582 756 ადამიანი იქნა მობილიზებული<sup>2</sup>. გარდა მობილიზებული ჯარისკაცების სხვადასხვა ფრონტზე გაგზავნისა, იქმნებოდა ნაციონალური დივიზიებიც. 1942 წლისთვის საქართველოში 18 დივიზია შეიქმნა (მათი უდიდესი ნაწილი ქართველებისგან შედგებოდა), რომლებიც 99 334 ჯარისკაცს აერთიანებდა<sup>3</sup>. ქართული დივიზიები, ძირითადად, კავკასიაში იბრძოდნენ, თუმცა განსაკუთრებით სისხლიანი და ტრაგიკული აღმოჩნდა 224-ე დივიზიის ბედი, რომელიც საბჭოთა გენშტაბის არაკომპეტენტურობის გამო ქერჩის ნახევარკუნძულზე თითქმის სრულად განადგურდა. გარდა ჯარისკაცთა მობილიზისა, იწვრთნებოდა ადგილობრივი სახალხო ბატალიონები, მოსახლეობა სწავლობდა ქიმიური იარაღისგან თავდაცვას, კამუფლაჟით იმოსებოდა სტრატეგიული ობიექტები და ა.შ.

საქართველოში მასობრივად იხსნებოდა სამხედრო საავადმყოფოები – წყალტუბოში, ბორჯომში, თელავში,

<sup>1</sup> Иване Бабалашвили, вклад Грузии в общее победы над фашизмом, 1975. გვ. 19

<sup>2</sup> იქვე, გვ. 19

<sup>3</sup> იქვე, გვ. 50

თბილისში და ა.შ. სულ, 1941 წლის მონაცემებით, 24 760 საწოლი იყო მობილიზებული და მათი რიცხვი წლიდან წლამდე იზრდებოდა<sup>1</sup>. ფორტიფიკაციული ნაგებობები შენდებოდა სანაპიროებსა და უღელტეხილებზე, ეწყობოდა თავდაცვითი ზოლები. ასევე შენდებოდა მცირე ნაგებობებიც, მაგალითად, მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზაზე 1000-მდე დოტი აიგო. საერთო ჯამში, რესპუბლიკა ემზადებოდა ნაცისტური გერმანის შემოჭრისთვის.

ომიდან რამდენიმე დღეში საქართველოს სსრ-ის ეკონომიკა მთლიანად სამხედრო რელსებზე გადავიდა. ნაცისტურ გერმანიას იმდენად სწრაფი სამხედრო ტერიტორიული ნარმატებები ჰქონდა, რომ 1942 წელს ბრძოლები უკვე მდინარე ვოლგაზე, ქალაქ სტალინგრადში მიმდინარეობდა. საბჭოთა ეკონომიკა, რომელშიც ჯაჭვივით იყვნენ გადაბმულნი სხვადასხვა ქარხნები, ფაბრიკები, რეგიონები თუ რესპუბლიკები, დასუსტდა – ჭიათურა ნიკოპოლის დაცემის შემდეგ სსრკ-ში მანგანუმის ერთადერთი მომპირებელი გახდა. 1942 წლიდან, დონბასის დაცემის შემდეგ კი, საქართველო ქვანახშირის მთავარ მიმწოდებლად იქცა მთლიანად კავკასიის ფრონტისთვის.

ომის პირველი წლები, ძალიან მძიმე გამოდგა საქართველოს ქვანახშირის ინდუსტრიისთვის. ადგილზე მომუშავე გამოცდილი კადრები ომში იქნენ განვეულნი, მათი ადგილი დაიკავეს ქალებმა (მაგალითად, ტყვარჩელის მაღაროებში დასაქმებულ ქალთა რიცხვი 25%-მდე იყო გაზრდილი). მათი უმრავლესობა პირველად ჩადიოდა მინისქვეშ, ეს კი ამცირებდა შრომის ეფექტურობას. მიუხე-

<sup>1</sup> Иване Бабалашвили, вклад Грузии в общее победы над фашизмом, 1975. გვ. 21

დავად ყველაფრისა, წინა წელთან შედარებით, 1941 წელს, ქვანახშირის მოპოვება 6.5%-ით გაიზარდა<sup>1</sup>.

კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი შეიმჩნეოდა წარმოების ყველა დარგში. მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მხოლოდ პირველი თვეების განმავლობაში წარმოებაში ჩაერთო ნახევარი მილიონი ქალი და 360 ათასი VIII-X კლასის მოსწავლე<sup>2</sup>. საკავშირო მასშტაბით 1940-1944 წლების პერიოდში სამუშაო ძალაში ქალთა ხვედრითი წონა გაიზარდა 38.4%-იდან 57.4%-მდე. ასეთივე მზარდი ტენდენციები იყო საქართველოშიც, მაგალითად, თბილისის ქეჩის ფაბრიკამ ომის დასაწყისში მიიღო 77 მუშა, აქედან 58 – ქალი. საფეიქრო მრეწველობაში, 1945 წლის მონაცემებით, 5 326 მუშა იყო ჩართული, აქედან 4 313 – ქალი, რაც მუშათა 81%-ს უდრიდა, ხოლო კვების მრეწველობაში 7 431 მუშიდან 5 256 ქალი იყო<sup>3</sup>. ქალთა შრომა გაიზარდა სოფლის მეურნეობაშიც: თუკი 1941 წელს საკოლმეურნეო საქმიანობაში ჩართულ პირთა 51.4% იყო ქალი, 1944 წელს მაჩვენებელმა 60.4%-ს მიაღწია<sup>4</sup>.

ომის გამო გაზრდილი მოთხოვნები აუცილებელს ხდიდა იმას, რომ წარმოების ყველა დარგი გადართულიყო სამხედრო მიზნებზე. უნინარეს ყოვლისა, გამოიყო ის საწარმოები, რომლებსაც შეეძლო იარაღის წარმოება სხვა საწარმოებთან კოოპერირების პირობებში. ასეთ საწარმოთა რაოდენობა 14-ს აღწევდა, რის გამოც ის დაიყო ორ ჯგუფად, პირველში მოხვდნენ: სერგო ორჯონიკიძის, 26 კომისრის, სერგეი კიროვისა და სხვა ქარხნები; მეორე

<sup>1</sup> ბაბალაშვილი, იქვე, გვ. 142

<sup>2</sup> უკრნალი ეკონომისტი, 1986. N-17

<sup>3</sup> იქვე, გვ. 73

<sup>4</sup> იქვე, გვ. 86

ჯგუფში – სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-შემკეთებელი ქარხანა, საორთქლმავლო დეპო და სხვა. თითოეული საწარმო ამზადებდა იარაღის გარკვეულ დეტალს, ხოლო მის მთლიან დამზადებაზე პასუხისმგებელი იყო მეთაური საწარმო. პირველი ჯგუფისთვის ასეთი იყო ორჯონიკიძის მანქანათსამშენებლო ქარხანა, მეორე ჯგუფისთვის – სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა.

დაიწყო ქარხნების გადართვა სამოქალაქოდან სამხედრო წარმოებაზე, მაგალითად, თბილისში დაიწყო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ „პპშ“-ის მასობრივი წარმოება; სხვადასხვა ქარხნები, მათ შორის, ცენტროლიტი, აწარმოებდა „ბმ-13 კატიუშასთვის“ საჭირო დეტალებს; კასპის ცემენტი და ქუთაისის ლითოფონი – ასაფეთქებელ ფუგასებს; გორის საკონსერვო ქარხანა – ხელის ყუმბარებს და ა.შ.

1943 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო, რომ საქართველოს სსრ-ს არმიისთვის გადაეცა შემდეგი შეიარაღება: 54.540 „პპშ“; 165 ათასი ნაღმმტყორცნის ნაღმი; 110 ათასი 55 მმ-იანი ნაღმი; 39 ათასი „კატიუშას“ რაკეტა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თბილისის საავიაციო ქარხნის საქმიანობა. მშენებლობა 1940 წელს დაიწყო, თუმცა მეორეს მსოფლიო ომის დაწყების გამო შეჩერდა და კონსერვაციას დაექვემდებარა. 1941 წლის მიწურულს მშენებლობა ტაგანროგისა და სევასტოპოლის ევაკუირებული საავიაციო ქარხნების ხარჯზე გაგრძელდა და ამავე წელს პირველი თვითმფრინავებიც გამოუშვა. ადგილზე რამდენიმე ათასი ადამიანი მუშაობდა – მათ შორის 4 028 მუშა იყო გადმოსახლებული, – ძირითადად, კვალიფიციური მუშახელი. მუშაობა ორ ცვლაში 12-13 საათი

გრძელდებოდა, დასვენების დღეების გარეშე – სწორედ თბილისის საავიციაო ქარხანა იყო ამიერკავკასიის ჯარებისთვის თვითმფრინავების ერთადერთი მიმწოდებელი. 1944 წლისთვის, ქარხანამ 2500-მდე გამანადგურებელი „ლაგ-3“ გამოუშვა და გადაერთო უფრო თანამედროვე მოდელების წარმოებაზე.

საბჭოთა წყაროების მიხედვით, საქართველოს სსრ ომის პერიოდში გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა, მიუხედავად 1941-42 წლების სამხედრო კატასტროფისა, რასაც მოჰყვა დიდალი, ეკონომიკურად მდიდარი ტერიტორიების გერმანული ოკუპაციის ქვეშ მოქცევა. საქართველოს ეკონომიკამ მაინც შეძლო და განაგრძო ფუნქციონირება. ქარხნები, ფაბრიკები, კოლმეურნეობები – ყველაფერი სამხედრო რელსებზე გადაერთო. ომში წასული მამაკაცების სამუშაო ადგილები ქალებმა დაიკავეს. ფაქტობრივად, ქალს უხდებოდა გაზრდილ სამუშაო გრაფიკსა და დამძიმებულ პირობებში ინდუსტრიასა და კოლმეურნეობებში მუშაობა, ხოლო შემდეგ – ოჯახში შვილების გაზრდა მეუღლის გარეშე.

## ომის შემდგომი პერიოდი

1945 წლის 9 მაისს გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და ევროპაში ომი დასრულდა. საბჭოთა კავშირმა გერმანული ნაციზმის წინააღმდეგ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა, სწორედ მის ტერიტორიებზე განადგურდა ნაცისტური არმიის ძირითადი ნაწილი, გაიმართა ომის გარდამტეხი ბრძოლები. ომს შეეწირა იმაზე რამდენჯერმე

მეტი საბჭოთა მეომარი, ვიდრე ყველა სხვა მოკავშირე სახელმწიფოსი ერთად აღებული. ომის შემდეგ სამყარო ბიპოლარული გახდა და დაიყო ორ – აშშ-სა და საბჭოთა ბანაკებად. გეოპოლიტიკურად გაფართოვდა მოსკოვის გავლენის ზონებიც და ამჯერად ის თითქმის მთელ აღმო-სავლეთ ევროპას მოიცავდა.

მიუხედავად ომში მიღებული უდიდესი წარმატებისა, საბჭოთა კავშირს რთულად თუ ეთქმოდა გამარჯვებული. ომის შედეგად დაიღუპა 27 მილიონი ადამიანი, რაც უდიდესი დარტყმა იყო ქვეყნის დემოგრაფიისა და შრომითი რესურსისათვის. კიდევ რამდენჯერმე მეტი დაიჭრა და დახეიბრდა – გახდა შრომისუუნარო. ამასთან ერთად, განადგურდა ასეულობით ქალაქი, ქარხანა, ფაბრიკა, სამეურნეო მიწა; ძლიერი იყო მიგრაციული პროცესები და ა.შ. 1946-47 წლები კი კატასტროფული აღმოჩნდა ქვეყნისთვის – ხშირი გვალვების შედეგად არ მოვიდა ხორბლის საკმარისი რაოდენობა, რის გამოც უკრაინა, მოლდავეთი და რუსეთის ცენტრალური ნაწილები მასობრივმა შიმშილმა მოიცვა.

ომიდან რამდენიმე წელიწადში თითქმის ყველა დარგი სამუშაო ძალის ნაკლებობას განიცდიდა<sup>1</sup>. სამუშაო ძალის შევსება, ძირითადად, ორი გზით დაიწყო – ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა ნაწილი ვალდებული იყო ანაზღაურებასთან შეუსაბამო ან სულაც აუნაზღაურებელი შრომა გაეწია შრომით ბანაკებში. განსაკუთრებით ეს ეხებოდათ გერმანული ტყვეობიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს (ომის პერიოდში ტყვედ ჩავარდნა დანაშაულად გამოცხადდა), რომ აღარაფერი ითქვას გერმანელ და

<sup>1</sup> Donald Filtzer, Soviet Workers and Late Stalinism: Labour and the Restoration of the Stalinist System after World War II, 1989. გვ. 21

იაპონელ სამხედრო ტყვეებზე, რომელთა რიცხვი საერთო ჯამში ერთ მილიონს აჭარბებდა. ფრონტიდან სხვა-დასხვა გზით მობილიზებული შრომითი ძალა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში მუშაობდა, დაწყებული სოფ-ლის მეურნეობით, დასრულებული მშენებლობით.

## მეოთხე ხუთწლედი

1946 წელს ახალი, რიგით მეოთხე ხუთწლიანი გეგმა დაიწყო, რომელიც მიმართული იყო განადგურებული ეკონომიკის აღდგენისა და სამხედროდან სამოქალაქო რელსებზე გადაწყობისკენ. მიზნად დასახულ იქნა ომამდელი ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა. თავდაცვის ბიუჯეტი შემცირდა, თუმცა მძიმე ინდუსტრიაში ფულადი დაბანდება კვლავ პრიორიტეტული იყო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამთამადნო მრეწველობას (მარგანეცი, ქანახშირი, და სხვ.), მეტალურგიას, ელექტროენერგეტიკასა და მანქანათმშენებლობას. საერთო მიზნად დასახული იყო 1940 წლის მონაცემებისთვის მრეწველობის პროდუქციის 50%-ით გადაჭარბება.

1948 წელს მეტალის წარმოების მოცულობა გაუთანაბრდა ომამდელს. მეორე მხრივ, სწრაფი ეკონომიკური წარმატება პროპორციულად არ აისახებოდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე. სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება მკაცრად შეიკვეცა და სახელმწიფო წლიურად უფრო ნაკლებ ფეხსაცმელს აწარმოებდა, ვიდრე მოქალაქე ჰყავდა<sup>1</sup>. მეორე მხრივ, 1948-1954 წლებში აუცილე-

<sup>1</sup> Ronald Suny, The Soviet Experiment Russia, The USSR, and the Successor States, 1998. გვ.745

ბელი საკვები პროდუქტების (მაგალითად, პურის) ფასები განახევრდა და, ადრინდელთან შედარებით, პირველადი სახის პროდუქტი უფრო ხელმისაწვდომი გახდა.

## ინდუსტრიის გიგანტი რუსთავი

მეოთხე ხუთწლედი საქართველოში არა მხოლოდ ეკონომიკის აღდგენას, არამედ მძიმე ინდუსტრიის ახალი დარგების განვითარებასაც გულისხმობდა, კერძოდ – მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობის შექმნას. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის აიგო და ექსპლუატაციაში შევიდა რამდენიმე სარწყავი არხი, დიდი საირიგაციო მშენებლობა მიმდინარეობდა სამკორში, განახლდა კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები.

1944 წელს, როცა ევროპაში ომის დასრულების მხოლოდ კონტურები ჩანდა, საქართველოში, თბილისიდან 22 კილომეტრში, ახალი ინდუსტრიული გიგანტის, რუსთავის მშენებლობა დაიწყო. ჯერ კიდევ 1930-იან წლებში გაჩნდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ცენტრის მშენებლობის იდეა, რომელიც წარმოების სრულ ციკლს ჩაატარებდა. თავდაპირველად ფიქრობდნენ მის ქუთაისში განთავსებაზე, შემდგომ კი მისი აგება თბილისთან ახლოს გადაწყდა. საბოლოოდ შეირჩა დღევანდელი რუსთავის ტერიტორია, რომელიც ისტორიულად დასახლებული იყო, მაგრამ მეოცე საუკუნეში მისგან მხოლოდ ნაქალაქარი შემორჩენილიყო. შერჩეულ ტერიტორიას რამდენიმე უპირატესობა ჰქონდა: პირველ რიგში, ის, საქართველოს გეოგრაფიული

მახასიათებლების გათვალისწინებით, უჩვეულოდ ვაკე იყო, ადვილად დაკავშირებადი რკინიგზასთან, ჩამოუდიოდა მდინარე და ისტორიული კონტექსტი გარკვეულ სიმბოლურობასაც ანიჭებდა!

ახალი ქალაქის მშენებლობას თან სდევდა სახელმწიფო პროპაგანდა, რასაც ხშირად ინტელიგენციაც უბამდა მხარს. ნარატივი მეტნილად აიგო მკვდარი მიწის აღორძინების იდეის გარშემო, რაც სიმბოლურად გამარჯვებას და ნათელი მომავლის პერსპექტივას განასახიერებდა.

1954 წელს გამოვიდა ფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, რომელშიც მოთხრობილი იყო მთიელების ისტორია, რომელებმაც გადაწყვიტეს, გამხდარიყვნენ მეტალურგები. ფილმი სახელმწიფო პროპაგანდის ნაწილი იყო, რომელიც მაყურებელს უხსნიდა ბარის უპირატესობას მთასთან შედარებით და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა ცოცხალი შრომითი რესურსის დეფიციტის დროს. სახელმწიფო როგორც შეფარულად – პროპაგანდის საშუალებით, ისე ძალისმიერადაც ცდილობდა, მოსახლეობა მთისთვის მოეწყვიტა და ქალაქად დაესახლებინა, რაც აიხსნებოდა მთის ტრადიციული საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენილობითა და საერთო სახელმწიფო ეკონომიკაში მისი ჩართვის საჭიროებით. მართლაც, რუსთავი, ძირითადად, მთასა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისაგან შეივსო. ოფიციალურად რუსთავი 1948 წლის 19 იანვარს გაიხსნა. იგი რესპუბლიკაში ფერადი ლითონების მთავარ საწარმოს წარმოადგენდა.

<sup>1</sup> თეა ქამუშაძე, რუსთავის საბჭოთა მემკვიდრეობა, 2022. გვ. 40-43

## ქუთაისის საავტომობილო ქარხანა

საბჭოთა საქართველოში იცვლებოდა მანქანათმშენებლობის გეოგრაფიული განლაგებაც. თუკი ომამდე ის თითქმის მთლიანად იყო კონცენტრირებული თბილისში, ახლა ის მოედო რუსთავს, ფოთს, ბათუმსა და სხვა ქალაქებს. რუსთავის პარალელურად ქუთაისში დაიწყო კიდევ ერთი გიგანტის – საავტომობილო ქარხნის მშენებლობა.

მეორე მსოფლიო ომის მინურულს დამარცხებული გერმანიდან ჩამოიტანეს დაშლილი ოპელის ქარხანა და განათავსეს ქუთაისში, გაშლილ ველზე. „როცა ქუთაისში ჩამოვედით, მაღლაკის ტრიალ მინდორზე შემკეთებელ-მექანიკური და 61 საწნევე კორპუსები იყო დამთავრებული, ღია ცის ქვეშ შეფუთული ეწყო გერმანული ჩარხები, რომელიც „ალამ-ოპელის“ დემონტაჟის შემდეგ ჩამოიტანეს. მთავარი სპეციალისტები რუსეთის ქარხნიდან იყვნენ მოვლენილნი<sup>1</sup>, – იხსენებს ინჟინერი თამარ ბებია.

მანქანების წარმოებისთვის ქუთაისი რამდენიმე მიზეზის გამო შეირჩა: რუსთავში შენდებოდა მეტალურგიული საწარმო, რაც რესპუბლიკას საშუალებას აძლევდა, კიდევ უფრო გაეფართოებინა საწარმოო პროდუქცია; ქალაქი მდებარეობდა რკინიგზასა და პორტთან ახლოს; ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1940 წელს იყო დაწყებული საავაციო ქარხნის მშენებლობა. მეორე მხრივ, ქუთაისისთვის, ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკისთვის, ქარხანა მოიტანდა დიდ ეკონომიკურ სარგებელს და შექმნიდა ახალი დარგების განვითარების პირობებს.

<sup>1</sup> ლიანა იოსებიძე, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მატიანე, 2007. გვ. 35

1945 წლის 6 მაისის დადგენილებით, ქუთაისში დაიწყო გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც გულისხმობდა, არა მხოლოდ წარმოებისთვის აუცილებელი ყველა ქარხნის აგებას, რკინიგზისა და საავტომობილო გზების გაყვანას, არამედ საცხოვრებელი უბნის გაშენებასაც. მშენებლობის პარალელურად დაიწყო მუშახელის მოძიება, ძირითადად, ქუთაისის გარშემო მდებარე რეგიონებში. დიდ პრობლემას წარმოადგენდა კვალიფიციური მუშახელის არარსებობა, სწორედ ამიტომაც მალევე დაიწყო ადგილობრივი კადრების გაგზავნა და გადამზადება რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა ქალაქში. გარდა ამისა, რუსეთიდანაც მრავალი პროფესიონალი ჩამოვიდა ცოდნის დეფიციტის შესავსებად. 1950 წლისთვის ქარხანაში ირიცხებოდა 3 451 ადამიანი, აქედან 650 ინჟინერი და ტექნიკოსი, ხოლო 2 180 – მუშა. მათთვის ქარხანასთან ახლოს აშენდა დასახლება – ბინით დაკმაყოფილდა 506 ოჯახი და 611 მარტოხელა მუშა<sup>1</sup>.

ქარხანა წელ-წელა იკრეფდა ძალას და იზრდებოდა მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ნაირსახეობა – 1951 წლის 18 აგვისტოს, 16:30 საათზე, სტალინის დიდი პორტრეტის თანხლებით, ქარხნის ტერიტორიიდან ზარ-ზეიმით გამოვიდა პირველი ქართული ავტომობილი „კაზ-150“.

რამდენიმე ათეულ წელიწადში ქარხანა რამდენჯერმე გაიზარდა და უშვებდა მრავალი სახის მანქანას – მათ შორის შეიძლება განსაკუთრებულ მიღწევად ჩაითვალოს ავტომობილი „კაზ-605 კოლხიდა“, რომელშიც – საბჭოთა კავშირში პირველად – გამოყენებული იყო – იმ დროისთვის პროგრესული – კაბინის უჯრედში განთავსებული

<sup>1</sup> ლიანა იოსებიძე, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მატიანე, 2007. გვ. 36-37

ძრავის ტექნოლოგია; უშუალოდ სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი სატვირთო ავტომობილები და ა.შ. ქარხანა უშვებდა სამხედრო პროდუქციასაც – აღსანიშნავია საბრძოლო მანქანა „ობიექტ-1015“, რომელიც იყო საბჭოთა არმიის მთავარი ჯავშანტრანსპორტიორობის პრეტენდენტი. გამოცდების პერიოდში, უცნობი მიზეზების გამო, სამხედრო კომისიამ უპირატესობა მიანიჭა გორკის საავტომობილი ქარხნის პროდუქტ „ГАЗ-49-ს“, რომელსაც სერიულ წარმოებაში დაერქვა „БТР-60“.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმა, ფაქტობრივად, სტალინიზმის პერიოდში უკანასკნელი იყო. 1946-1951 წლებში, ამრიგად, დაიწყო საქართველოს სამხედრო რელსებიდან სამოქალაქოზე გადაყვანის პროცესი და, სხვა ინფრასტუქტურულ თუ სამშენებლო ობიექტებთან ერთად, საფუძველი ჩაეყარა ორ გიგანტურ პროექტს – რუსთავის მეტალურგიულ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებს, რომლებმაც შემდგომ ათწლეულებში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის ფორმირებაში.

## პრისტიალინური პერიოდი და ელიავალმშენებელი ქარხანა

1953 წელს, იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხელისუფლებაში ნიკიტა ხრუშჩოვი მოვიდა. ახალმა მმართველობამ თან ცვლილებებიც მოიტანა: ტოტალურმა კონტროლმა დაიკლო, ყურადღება მიექცა სამომხმარებლო პროდუქტის წარმოებას და ადამიანთათვის კონფორტული ცხოვრების პირობების შექმნას. ინდუსტრიის განვითარე-

ბასთან ერთად, დიდი ინვესტიციები განხორციელდა სოფლის მეურნეობაშიც. იზრდებოდა ხელფასებიც: თუკი 1952 წელს სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანი თვეში 67 რუბლს იღებდა, მისი ანაზღაურება 1964 წელს 91 რუბლამდე გაიზარდა. გაუქმდა რიგი შრომასთან დაკავშირებული მკაცრი კანონებისა, ხოლო სამუშაო საათები კვირაში 48-დან (1956 წელი) 41 საათამდე შემცირდა (1960 წელი)<sup>1</sup>. საერთო ჯამში, ადამიანთა ყოველდღიურობა უკეთესობისკენ შეიცვალა – სახელმწიფო, რომელიც აგებული იყო ძალადობასა და შიშჩე, შედარებით პუმანური გახდა.

ქუთაისისაგან განსხვავებით, თბილისში ჯერ კიდევ ომამდე, 1939 წელს, არსებობდა ორთქლმავალშემკეთებელი ქარხანა, რომლის ბაზაზეც 1956 წელს დაიწყო ელმავალმშენებელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც არა მხოლოდ შეაკეთებდა, არამედ გამოუშვებდა კიდეც მაგისტრალური ხაზის მატარებლებს. ქარხანამ პირველი ელმავლები 1957 წელს გამოუშვა. საკონსტრუქტორო-საექსპლუატაციო ხაზის განყოფილების ხაზის მემანქანე ვლადიმერ მაისურაძე იხსენებს – „ჩვენს პირველ ელმავალს ნორმით 4 000 ტონის შემადგენლობა უნდა გაეწია, ნოვოსიბირსკიდან ჩულიმსკაიას მიმართულებით პირდაპირი მწვანე ხაზი მოგვცეს და დავიწყეთ საცდელი სვლა 7 000 ტონიანი შემადგენლობით, ნაცვლად 4 000 ტონიანისა. გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა, დადგა ელმავალთან განშორების დღეც და უნდა გენახათ რამხელა ნაღველი დამიდგა გულში, როცა ჩვენი პირველი ელმავალი ინსკაიას დეპოში დავტოვე“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Ronald Suny, The Soviet Experiment Russia, The USSR, and the Successor States, 1998. გვ. 824

<sup>2</sup> გაზეთი ელმავალმშენებელი, 14/07/1978

ქარხანა იქცა ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და მძლავრ საწარმოდ მთელ საბჭოთა კავშირში, მეტიც, წარმოების 80% ლოკალიზებული იყო ადგილზე. 1961 წელს კი თბილისში შეიქმნა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და შესაბამისად წარმატებული ელმავალი „BL-10“. ახლის შექმნასთან ერთად, ქარხანა ითვისებდა სხვაგან წარმოებულ სხვადასხვა თანამედროვე მოდელ-საც. 1983 წელს ქარხანამ საკუთარი რეკორდი დაამყარა, როცა ერთ წელიწადში გამოუშვა 138 ლოკომოტივი.

ქარხანასთან ახლოს ადგილობრივი მუშა-კოლექტივისთვის გაშენდა საცხოვრებელი უბანი, რომელსაც თემქა დაერქვა (იშიფრება როგორც თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა).

ელმავალმშენებელი ქარხნის 1961 წლის კოლექტიური ხელშეკრულება გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს შრომის პირობებზე. მაგალითად, ხელშეკრულება განსაზღვრავდა ვალდებულებას, რომ გაფართოებულიყო სამედიცინო პუნქტი, კონკრეტული პროფესიების მქონე მშრომელებს საკვებ დანამატად მიეღოთ რძე და კარაქი და სხვა<sup>1</sup>. მუშებს ეძლეოდათ საგზურები სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, მათ შორის „სოცდაზღვევის ანგარიშზე 250, წარმოების ფონდის ანგარიშზე 20, კურორტოლოგიის და გიზიოთერაპიის ანგარიშზე 50 საგზური. მუშების შვილები კი ბავშვთა (პიონერთა) ბანაკებში იგზავნებოდნენ. ქარხანა, ვალდებულებას იღებდა მუშათა დაბინავებაზე, მათ შორის საერთო საცხოვრებლის აგებაზე“.

მიმდინარეობა კულტურულ-სპორტული მუშაობაც,

<sup>1</sup> გ.ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტიური ხელშეკრულება 1961 წლისათვის, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

მაგალითად, სამუშაო ტერიტორიის მიდამოებში უნდა აგებულიყო სტადიონი და სპორტული კომპლექსი, სახელოვნებო სივრცეები და კლუბები, 1961 წელს მოწყობილიყო 35 ექსკურსია საქართველოს ისტორიულ ადგილებში და ა.შ.

1961-დან 1972 წლამდე მრავალმხრივ გაიზარდა მუშათა სოციალური პრივილეგიები, მაგალითად, გაიზარდა სამოგზაურო კვოტები, საბონუსე სისტემა, ასევე ადგილზე დაიწყო ქალთა პროფილაქტიკური შემოწმებაც. ამავდროულად დამატებითი კადრების მოძიებით უნდა შემცირებული სამუშაო ადგილზე ქალთა დატვირთვა, ხოლო თუ სამუშაო განსაკუთრებით მავნე იყო, მუშა ქალები უნდა გადაეყვანათ შედარებით მსუბუქ სამუშაოზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიჰქცეოდა ქალთა საცხოვრებელი სივრცეების ჰიგიენას და ა.შ.<sup>1</sup>

1960-იან წლებში დაიწყო მუშებისთვის ბინების გადაცემაც. საერთო გასანაწილებელი საბინაო ფართის 30% მოწინავე მუშებისთვის გადასაცემად განისაზღვრა. არსებობდა საერთო საცხოვრებელიც, რომელშიც მაქსიმალური თვიური გადასახადი შეადგენდა 2.5 მანეთს. სამუშაო დროის ხანგძლივობა 7 საათით იყო განსაზღვრული, ხოლო ხელფასები სატარიფო განაკვეთებით განსხვავდებოდა: ყველაზე მაღალი ჰქონდა მეექვსე განაკვეთს, „სანარდო სისტემაზე განსაკუთრებით მძიმე და მავნე პირობებში მომუშავეს“ – 88.6 მანეთი, ხოლო ყველაზე მცირე კი – ცივი სამუშაოების დროით სისტემაზე მომუშავეს: პირველი განაკვეთისას – 34.4 მანეთი. ყურადღება ექცეოდა

<sup>1</sup> ვ.ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტიური ხელშეკრულება 1971 წლისთვის, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

მუშათა ჯანმრთელობას, რის გამოც ხშირად ტარდებოდა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, მშრომელთა შემოწმება სხვადასხვა დაავადებებზე (მაგალითად, ტუბერკულიოზზე), ტარდებოდა აცრები, გინეკოლოგიური მომსახურება ქალთათვის და ა.შ.

## ახალი საბინაო პოლიტიკა

1950-იანი წლების მიწურულს მთელს საბჭოთა კავშირში ახალი საბინაო პოლიტიკა იწყება – განსხვავებული სტალინის პერიოდისაგან, რომლის დროსაც ბინები, ძირითადად, შენდებოდა სოციალურად (ან პოლიტიკურად) დაწინაურებული სოციალური ჯგუფებისთვის, შენობები უმეტესად იყო ლამაზი ფასადის, მოჩუქურთმებული და ძვირადლირებული.

ახალი სახელმწიფო პოლიტიკა საცხოვრებლებს უყურებდა როგორც ადამიანის პაზისურ უფლებასა და საჯარო სიკეთეს, ამიტომაც ის არ უნდა გამხდარიყო კომერციული, შემოსავლის ხერხი, მეტიც, ბინის გაყიდვა შეუძლებელი იყო, სამაგიეროდ, დაშვებული იყო გაცვლა. 1928 წელს საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში ბინის ქირის ყველაზე დაბალი ზღვარი დააწესა – თვიური შემოსავლის 3%<sup>1</sup>. მიუხედავად პროგრესული იდეებისა, საბჭოთა საბინაო პოლიტიკა ვერა და ვერ ეწეოდა რეალურ მოთხოვნას, 1950 წლისთვის საშუალოდ ერთ ადამიანზე 15 კვ.მ. მოდიოდა (ძირითადად, „კომუნალკები“ და ბარაკული სახლები).

1960-იან წლებში, მასობრივად გაიშალა ე.წ. ხრუშოვკე-

<sup>1</sup> Henry W.Morton, Housing in the Soviet Union, 1984. გვ. 69

ბის მშენებლობა. ის დიდად განსხვავდებოდა სტალინის პერიოდში არსებული საბინაო მშენებლობებისგან, პირველ რიგში, მისი მასობრიობის გამო, რომელიც მიიღწეოდა შენობის თვითღირებულების მაქსიმალური შემცირებით. მეორე მხრივ, დაიშვა კოოპერატიული ბინათმშენებლობა, რამაც დიდი ბიძგი მისცა მასობრივ მშენებლობებს – ამჯერად, მოსახლეობა თავად იხდიდა შენობის თვითღირებულების 30-40%-ს, რომელიც შეჰქონდა ე.წ. „მშენბანკში“, დანარჩენს კი სახელმწიფო ფარავდა შეღავათიანი, წლიური 0.5%-იანი საკრედიტო პირობებით, რომელიც წლების განმავლობაში უნდა დაეფარათ კვარტლური შენაგანით<sup>1</sup>. ინდივიდუალურ და კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში 1963 წელს გაიცა 1.2 მლნ მანეთის კრედიტი, 1966 წელს – 8.3, ხოლო 1972 წელს – 14.2<sup>2</sup>. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მასობრივი დაბალპროცენტიანი დაკრედიტება 1950-იანი წლების მიწურულს იწყება და კრედიტის აღება შეეძლო ნებისმიერ ორგანიზაციას. თავის მხრივ, სახელმწიფო მოცემულ ფულს იღებდა შემნახველი სალაროებიდან, ე.წ. ანაბრებიდან, რომელსაც მოქალაქე ან ორგანიზაცია ხსნიდა ბანკში და ინახავდა. 1972 წელს ყოველ მეოთხე მცხოვრებს საქართველოს სსრ-ში ჰქონდა მსგავსი ანგარიში<sup>3</sup>.

თბილისში ვაჟა-ფშაველას კვარტლები, დიღმის მასივი და ვარკეთილის მასივები პირველი უბნები იყო, რომლებიც 3-5-სართულიანი „ხრუშოვკებით“ გაშენდა. ვაჟა-ფშაველას გამზირზე კოოპერატიულ ბინაში მცხოვრები, თბილი-

<sup>1</sup> ნანო ზაზანაშვილი, ლევან ასაბაშვილი, გვანცა ნიკოლაიშვილი, საბინაო პოლიტიკა საქართველოში 2018, გვ. 25

<sup>2</sup> საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები და პერსპექტივები, 1975. გვ. 563

<sup>3</sup> იქვე, გვ. 564

სის უნივერმალის ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც 1965 წელს კოოპერატიული ბინათმშენებლობით მიიღო სახლი, დღეს იხსენებს: „თანხას კვარტლურად ვიხდიდ-ით, ორივენი ვმუშაობდით, ალბათ 150 მანეთი გვქონდა შემოსავალი ცალ-ცალკე, 15 წელი უნდა გადავვეხადა და რავიცი, ისე გადავიხადეთ რომ არც კი შეგვიმჩნევია. [...] რემონტში ფული არ გადავვიხდია, შედიოდა ისედაც, ცენტრალური გათბობაც იყო, ცხელი წყალი საქვაბიდან მო-დიოდა, თითქმის უფასო იყო“<sup>1</sup>.

კოოპერატიული მშენებლობის შესაძლებლობასთან ერთად, სახელმწიფო საკუთარი სახსრებით კვლავ აშენებდა ბინებს უფასოდ. არსებობდა საუნივებოც – კონკრეტული ორგანიზაცია საკუთარი თანამშრომლებისთვის აშენებდა საცხოვრისს – მაგალითად, 31-ე ქარხანამ ააშენა ბინები დღევანდელ მოსკოვის გამზირზე. ქარხნის ყოფილი თანამშრომელი ნათელა იხსენებს – „დიმიტროვის ქარხანაში ვმუშაობდი [დღევანდელი 31-ე] და მათ უნდა მოეცათ ჩემთვის ბინა, ხელშეერულებაში იყო გაწერილი სანამ მუშაობას დაიწყებდი, რომ ბინებით უნდა დავეკმაყოფილებინეთ. [...] ქარხნის კომუნალურ საცხოვრებელში ვცხოვრობდი, ჯერ რიგში ვიყავი რამდენიმე წელი და ბოლოს დამიზუსტდა, რომ 1993 წელს უნდა მიმედო ერთოთახიანი მოსკოვის გამზირზე. [...] სამწუხაროდ, მე ვერ მომესწრო ბინა, ახლა კი ისევ ამ კომუნალკაში ვცხოვრობ, რომელიც 90-იანებში დაგვიკანონეს“<sup>2</sup>.

1919-1945 წლებში, საქართველოში მხოლოდ 54 974 საცხოვრებელი აშენდა, აქედან 15 041 – თბილისში. 1946

<sup>1</sup> რესპონდენტი გულო, ინტერვიუერი გაბრიელ ჩუბინიძე, 01.02.2021

<sup>2</sup> რესპონდენტი ნათელა, ინტერვიუერი გაბრიელ ჩუბინიძე, 04.03.2021

წლიდან კი ბინების რიცხვი, ფაქტობრივად, სამჯერ იზრდება და 1961-1970 წლებში უპრეცედენტო ნიშნულს აღწევს – 230 002-ს. თბილისში, მსგავსი პიკი მიღწეულიქნა 1971-1980 წლებში, როცა ქალაქში ამენდა 72 473 საცხოვრებელი. 1989 წელს საქართველო 1 ადამიანზე საერთო საცხოვრებელი ფართობის მიხედვით საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მე-4 ადგილს იკავებდა (18.4 კვ.მ). ამ მაჩვენებლით მას უსწრებდა მხოლოდ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი<sup>1</sup>.

## სანატორიუმები და დასვენება

1960 წელს, საკავშირო მთავრობის დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის კურორტები, მათ შორის, ფინანსური ნაწილი, დაქვემდებარებაში გადაეცა პროფკავშირებს. საბჭოთა კავშირი 1930-იან წლებში იყო პირველი სახელმწიფო, რომელიც მასობრივად უშვებდა მუშებს და-სასვენებლად და ამით საერთო კმაყოფილებასაც იწვევდა: ეს ხელს აძლევდა დამსვენებელსაც და სახელმწიფოსაც, – ამ უკანასკნელს იმით, რომ სამუშაო ადგილზე მორჩილი და ბედნიერი მუშა უბრუნდებოდა. ეს წარმატებული სქემა მალევე გავრცელდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი – ნაცისტურ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიაში. თუ ნახსენებ ორ სახელმწიფოში მუშათა დასვენება უბრალოდ ტურიზმს ნიშნავდა, საბჭოთა კავშირში მას მეცნიერულად უყურებდნენ – დასვენება არ

<sup>1</sup> ნანო ზაზანაშვილი, ლევან ასაბაშვილი, გვანცა ნიკოლაიშვილი, საბინაო პოლიტიკა საქართველოში თბილისის მაგალითზე, 2020. გვ. 24-26

იყო მიჩნეული ტოლ-სწორად გართობისა, მას სამედიცინო მიზანიც უნდა ჰქონოდა, რათა შრომისგან დაღლილი და ჯანმრთელობაშერყეული მუშები უკან ჯანმრთელები და უფრო პროდუქტიულები დაბრუნებულიყვნენ. სწორედ ამიტომაც მშომელების სხვადასხვა კურორტზე გაგზავნაში მონაწილეობდა სამედიცინო სექტორიც, სწორედ ექიმების რეკომენდაციით იგზავნებოდნენ მუშები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში.<sup>1</sup> მსგავსი ტურისტული ადგილები, რომელშიც პროფკავშირები გზავნიდნენ საკუთარ წევრებს, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში იყო, მაგრამ აქედან ერთ-ერთი გამორჩეული წყალტუბოა.

ქალაქი წყალტუბო უნიკალური იყო საკუთარი გამაჯანსაღებელი წყაროებით, რომლებიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აღმოაჩინეს. ბარაკული დასახლებიდან მისი განვითარებულ და კეთილმონწყობილ ქალაქად გარდაქმნა ჯერ კიდევ 1930-იან წლებში დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ წყალტუბო გაშენდა და განვითარდა კურორტის ცნების გარშემო. აიგო 21 სანატორიუმი და პანსიონატი, სამეცნიერო ინსტიტუტები, პარკი, სტადიონი, უნივერსიტეტი და ა.შ. წყალტუბოში არ არსებობდა სეზონი და ის მუდმივად მუშაობდა, ღებულობდა საბჭოთა და სოციალისტური ბლოკის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების მოქალაქეებს. სანატორიუმების ნაწილი პროფკავშირების ხელში იყო, ნაწილი კი საუწყებოს (სამინისტროს) ხელში. სანატორიუმ „თბილისის“ დირექტორი იხსენებს: „ჩვენს სანატორიუმს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება „ინტურისტთან“ და უცხოელებიც მოგვდიოდნენ ხოლმე ჯგუფებად – გერმანები, რუმინები, ბულგარები, ინდივიდები გვყავ-

<sup>1</sup> Diane P.Koenker, Soviet leisure travel 1930s, 2008. გვ. 269-271

და ამერიკიდანაც, იმ დროს ეს უცხოელები ჩვენ და „შახტორს“ გვყავდა მხოლოდ“.

1985 წლის მონაცემებით, საკურორტო მეურნეობაში ჩართული იყო 18 445 მუშაკი, აქედან 1 841 იყო სეზონური. მხოლოდ 1971 წლის მონაცემებით, პროფესიული ბის ხელში იყო 28 სანატორიუმი 7 621 ადგილით, 18 დასასვენებელი სახლი 5 077 ადგილით, 25 პანსიონატი 7 233 ადგილით, 4 საკურორტო სასტუმრო 660 ადგილით, – ეს ყველაფერი კი საერთო ჯამში უდრიდა 20 591 ადგილს.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სსრ-ში მრეწველობის თითქმის ყველა დარგი იყო განვითარებული და, ძირითადად, მწარმოებელ ეკონომიკას მიეკუთვნებოდა. პარალელურად, იზრდებოდა არასაწარმოობარგებიც, მაგალითად, ტურიზმი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საბჭოთა მოქალაქეებისთვის ერთ-ერთი მთავარი საკურორტო მიმართულება იყო.

რესპუბლიკის საბიუჯეტო შემოსავლების 90% მოდიოდა სახალხო მეურნეობიდან (საწარმოებისა და ორგანიზაციების ამონაგები), ხოლო მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების სახით – 6.6%. შედარებისთვის, 1940 წელს სახალხო მეურნეობის წილი ბიუჯეტში იყო მხოლოდ 40%<sup>2</sup>. 1921-1970-იან წლებში სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კაპიტალდაბანდება (გარდა კოლმეურნეობებისა) შესადარი ფასების 11.9 მილიარდ მანეთს შეადგენდა. თანხის 60% ახალ მშენებლობებს მოხმარდა, აქედან 38% – მრეწველობის განვითარებას,

<sup>1</sup> რესპონდენტი გიული გიგიაძე, ინტერვიუერი გაბრიელ ჩუბინიძე, 2019 წ.

<sup>2</sup> საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები და პერსპექტივები, 1975. გვ. 551

14% – სოფლის მეურნეობას, 13% – საბინაო მშენებლობას, 22% – ვაჭრობისა და კომუნალურ საწარმოთა, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვას, 10% – ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას, ხოლო 3% – სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას<sup>1</sup>.

1960-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კულტურის სფეროს: მასობრივად დაიწყეს ფილმების გადაღება, ლიტერატურის გამოცემა და ა.შ. თავის მხრივ, კულტურა სახელმწიფო პროპაგანდის გამტარი უნდა ყოფილიყო და პოლიტიკური მისიაც უნდა შეესრულებინა. 1972 წლისთვის რესპუბლიკაში უკვე არსებობდა 75 მუზეუმი, 23 თეატრი, 206 კულტურის სახლი, 1 875 კინოთეატრი და სხვა. გაფართოვდა ჯანდაცვის სექტორიც, რომელიც წარმოდგენილი იყო 45.9 ათასი საწოლითა და 18.2 ათასი ექიმით.

## ჩრდილოვანი და მეორეული ეკონომიკა

1960-იან წლებში მოსახლეობის გაზრდილ სამომხმარებლო სურვილებს ვერ ეწეოდა სახელმწიფო წარმოება. ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირში ყველაფერი ნაწილდებოდა საერთო საგეგმო ინსტიტუტის, „გოსპლანის“ მიერ, მეორე მხრივ, ის საერთოდაც ვერ გამოხატავდა და ვერ ითვალისწინებდა რიგითი სოფლებისა თუ ქალაქების ინტერესებს.

ცენტრალიზებული ეკონომიკა და ყოველდღიური მომარების პროდუქტის პერმანენტული დეფიციტი ნოჟიერ

<sup>1</sup> საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები და პერსპექტივები, 1975. გვ. 556

ნიადაგს წარმოადგენდა არაფორმალური ეკონომიკის განსავითარებლად, თუმცა საბჭოთა სახელმწიფო ამაზე თვალს ხუჭავდა, რადგან კარგად აანალიზებდა, რომ ეს რესურსების გადანაწილების მშვენიერი ხერხი იყო. სამაგიეროდ, თუ არალეგალური ეკონომიკური საქმიანობით ვერ ხერობდა ოფიციალური ეკონომიკა, მაშინ იგი მკაცრად ისჯებოდა<sup>1</sup>. ყველაფერს ისიც ერთვოდა, რომ რიგითი დასაქმებულის ხელფასით სოციალური მობილობა არც ისეთი მარტივი იყო. სწორედ ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო მთელ საბჭოთა კავშირში მეორეულმა ეკონომიკამ დაიწყო განვითარება<sup>2</sup>.

საქართველოს სოფლის მეურნეობის რიგ პროდუქტებზე მონოპოლია ჰქონდა, მაგალითად, მხოლოდ საქართველოში მოდიოდა ციტრუსი, ჩაი; ისხმეოდა დიდი რაოდენობით ღვინო და ა.შ. ზოგიერთ პროდუქტზე ფასს რესპუბლიკა აწესებდა (მაგალითად, მანდარინზე), ხოლო ბაზარზე არსებული მოთხოვნა კი განაპირობებდა მის უეჭველ რეალიზაციასაც. რიგმა საწარმოებმა დაიწყეს მოგების გაზრდის მიზნით ხარისხისა და თვითღირებულების კლება. მოცემული ფაქტი ჯერ კიდევ 1970 წლის დეკემბრის შემაჯამებელ სხდომაზე ითქვა საჯაროდ ფინანსთა მინისტრის მოადგილის მიერ<sup>3</sup>.

ხშირ შემთხვევაში ქართველი გლეხები საერთოდ თავს არიდებდნენ სახელმწიფოსთვის მუშაობაზე. კერძოდ, არალეგალურად ჰყიდნენ თუნდაც ღვინოს, რადგან ასე მოგება მეტი რჩებოდათ. 1965 წლის სტატისტიკის მიხედ-

<sup>1</sup> Louise I. Shelley, The Second Economy in the Soviet Union, 1990. გვ. 20

<sup>2</sup> მეორეული ეკონომიკა გულისხმობს ყველა იმ ეკონომიკურ აქტივობას (ქრთამი, პროდუქტის ფალსიფიკაცია, საწარმოო დეტალების მოპარვა, შავი ბაზარი და ა.შ.), რომელიც ხორციელდება კანონის მიღმა.

<sup>3</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 22/12/1970, N299

ვით, საქართველოს მოსახლეობის 25.7% საერთოდ არ იყო ჩართული მეურნეობაში, ანუ დაკავებული იყო არა-ლეგალური კერძო ვაჭრობით. შედარებისთვის, საერთო საკავშირო მონაცემი იყო 17.2%<sup>1</sup>. საავიაციო მიმოსვლის განვითარებამ არა მხოლოდ დააჩქარა ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილება, არამედ წაახალისა ქართველთა არალეგალური საქმიანობა – მაგალითად, რესპუბლიკის მოქალაქეთა ნაწილი მოსკოვში ჩადიოდა ადგილზე დეფიციტური პროდუქტებით, ვთქვათ, ყვავილებით, და ჰყიდვა მას რამდენჯერმე გაზრდილ ფასად. ადგილობრივი ყვავილების კომპანია 1967 წელს პროტესტს გამოთქვამდა, რომ საქართველოში შეკვეთილი მილიონი ყვავილიდან, მხოლოდ 200 000 მიიღო<sup>2</sup>.

1960-1971 წლებში, საქართველოს მშპ 102%-ით გაიზარდა და ამ მაჩვენებლით იგი სსრკ-ში ბოლოდან მესამე ადგილს იკავებდა. სამაგიეროდ, 1970 წელს რიგით ქართველს თითქმის ორჯერ მეტი დანაზოგი ჰქონდა, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეს<sup>3</sup>.

ხელფასები ოფიციალურთან შედარებით მაღალი იყო, მაგალითად: დალაქის საშუალო თვიური შემოსავალი 400-ის მაგივრად 600 რუბლი იყო; ტაქსის მდლოლისა – 1000-1200 რუბლი; მაღაზიის ხელმძღვანელისა – 2000-2500 რუბლი და ა.შ.<sup>4</sup> არაფორმალურ ეკონომიკაში, გარკვეული სახით, ჩართული იყო საზოგადოების დიდი ნაწილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მდივნის, ვა-

<sup>1</sup> Erik Scott. Familiar Strangers- The Georgian Diaspora and the Evolution of Soviet Empire, 2017. გვ. 173

<sup>2</sup> ერიკ სკოტი, იქვე, გვ. 193.

<sup>3</sup> Ronald Grigor Suny, Soviet Georgian in Seventies, 1979. გვ. 6

<sup>4</sup> Gerald Mars a & Yochanan Altman, The cultural bases of soviet Georgia's second economy, 1983. გვ. 532-533

სილ მუავანაძის მთავრობა დიდად არც ებრძოდა რეს-პუბლიკაში გავრცელებულ არალეგალურ ეკონომიკას, პირიქით, მთავრობის წევრები თავად იყვნენ მასთან დაკავშირებული და ხშირად გვევლინებოდნენ მის მფარველებად. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ძმები ლაზიშვილები, რომელთაც პირადად მუავანაძე მფარველობდა – ისინი სახელმწიფო საწარმოდან პერმანენტულად იპარავდნენ მასალებს და იყენებდნენ საკუთარი ტრიკოტაჟის მწარმოებელი არალეგალური მიწისქვეშა საწარმოსთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მასში დასაქმებულები უკეთეს სამუშაო პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე სახელმწიფო საწარმოში.

სტალინზმის ეპოქის დასრულების შემდეგ, საბჭოთა კავშირში მცხოვრები მოსახლეობისთვის ცხოვრება ბევრად უფრო უსაფრთხო და ნაწილობრივ კონფორტულიც გახდა. მეორე მხრივ, დიადი კომუნისტური იდეისთვის მებრძოლი სახელმწიფო, რომელიც არ ერიდებოდა ადამიანთა შრომით ექსპლუატაციასა და ძალადობას, ნელ-ნელა გადაერთო მომხმარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ. ყურადღება ექცეოდა ისეთ სფეროებს, დარგებსა თუ პროდუქტებს, რომლებიც მიმართული იყო ადამიანების კმაყოფილების მოსაპოვებლად – მაგალითად, გაუმჯობესდა შრომის პირობები, შეიქმნა ახალი საბინაო პოლიტიკა, მეტი ფული იდებოდა ქალაქებისა და რაიონების კეთილმოწყობაზე, საგზაო ინფრასტრუქტურაზე, ვაჭრობაზე, კვების მრეწველობაზე და ა.შ. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ დესტალინიზაციის შემდეგ საბჭოთა კავშირი ახალ სახეს იღებს, ხდება უფრო მეტად ჰუმანური და ადამიანის კეთილდღეობისკენ მიმართული,

ვიდრე მანამდე იყო. სისტემის მხრიდან კომპრომისის შე-  
დეგად, მთელ საბჭოთა კავშირში ფეხი მოიკიდა მეორეულ-  
მა, ჩრდილოვანმა ეკონომიკამ. ამ მხრივ გამოირჩეოდა  
საქართველოს სსრ, სადაც ჩრდილოვან ეკონომიკაში პარ-  
ტიული ელიტიდან რიგით ადამიანამდე გარკვეული ფორ-  
მით ყველა იყო ჩართული. ქართველთა სოციალური და  
ეკონომიკური კეთილდღეობა წლიდან წლამდე იზრდებო-  
და, რაც განაპირობა არა მხოლოდ რესპუბლიკის ინდუს-  
ტრიულმა თუ აგრარულმა განვითარებამ, არამედ არალე-  
გალურმა ეკონომიკურმა საქმიანობებმაც.

### უძრავბის ხანა და „მიწერები“

1970-იანი წლები საბჭოთა კავშირის ისტორიაში შევ-  
იდა უძრაობის ხანის სახელწოდებით. ლეონიდ ბრეჟევ-  
ის მმართველობა კრიზისში შედიოდა, უფრო სწორედ,  
სახელმწიფო შედიოდა კრიზისში, ხოლო ხელისუფლება  
კი მის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებდა. საბჭოთა  
პოლიტბიურო და კომუნისტური პარტიის უმაღლესი ეჭ-  
ელონები ღრმად მოხუცებული ადამიანებისგან შედგებო-  
და, რომლებსაც არც რეფორმების უნარი და არც სურვილი  
არ გააჩნდათ. ეკონომიკა ვეღარ ვითარდებოდა, პირიქით,  
ფინანსების ძირითადი ნაკადები მიმართეს სოფლის მეურ-  
ნეობისა და სამხედრო სექტორისკენ, რის გამოც კიდევ  
უფრო გაძლიერდა სამომხმარებლო ნივთებსა და პრო-  
დუქტებზე დეფიციტი. ვერ ხერხდებოდა ვერც ახალი ტე-  
ქნოლოგიების დანერგვა და ათვისება, რის გამოც სულ  
უფრო და უფრო ხშირად ყიდულობდნენ ტექნოლოგიებს

დასავლეთიდან ან აზიდან (იაპონია, სამხრეთ კორეა). დაეცა მშრომელთა შრომის ეფექტურობაც, აქედან გამომდინარე, წარმოებული პროდუქტის ხარისხიცა და რაოდენობაც. ხელფასები არ იზრდებოდა და კვლავ დაბალი იყო, მაგრამ თუ აქამდე ეს კომპეტიტიურობა საჯარო სიკეთებით (მაგალითად, უფასო განათლებითა და ჯანდაცვით), ახლა მისი ხარისხიც დაეცა, უარესი – ფაქტობრივად, კორუფციისა და არაფორმალური ეკონომიკის ბუდედ იქცა.

1979 წლის დეკემბერში, საბჭოთა ჯარი ავლანეთში შეიჭრა, რათა არ დაეშვა ქვეყნის საბჭოთა გავლენის სფეროდან გასვლა. სულ რამდენიმე თვეში, 1980-1981 წლებში პოლონეთში პროფესიონალურები „სოლიდარობა“ იმდენად გაძლიერდა, რომ მოსკოვმა შესაძლებლად აღიქვა ადგილობრივი მთავრობის დამხობა ხალხის მიერ და განიზრახა სამხედრო ოპერაციის ჩატარება. პოლონეთი სისხლისლვრას გადაურჩა, თუმცა ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირი უკიდურესად დასუსტებულიყო და სიტუაციაზე კონტროლს კარგავდა.

საბჭოთა საქართველოში, ყველასგან განსხვავებული გამოდგა მეცხრე ხუთწლიანი გეგმა (1971-1975). თავდაპირველად დაწყებული მეურნეობის განვითარების გეგმა გზადაგზა შეიცვალა და ორ ნაწილად დაიყო – 1971-1972 წლებში, ოფიციალური სახელმწიფო ნარატივით, გავრცელებული კორუფციისა და არაფორმალური ეკონომიკის გამო, შეიქმნა გეგმის ჩაშლის საფრთხე, რის გამოც პრიორიტეტულად გამოცხადდა ე.ნ. ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა, ხოლო 1972 წლის შემდეგ ყველაფერი ადრინდელ მდგომარეობას დაუბრუნდა.

1970-იანი წლების დასაწყისში რესპუბლიკაში გავრცელებული მზარდი მეორეული ეკონომიკა არა მხოლოდ ცენტრალურ ეკონომიკას აზიანებდა, არამედ შიდა პოლიტიკური ბრძოლის მიზეზადაც იქცა. საქართველოს სსრ-ის შსს მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის, ვასილ მუავანაძის, წინააღმდეგ შეფარულად ააგორა კამპანია „ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ“, რომლის მიზანს არა მხოლოდ ეკონომიკის გაჯანსაღება, არამედ ბრძოლის გზით მუავანაძის კლანების განადგურება და ბოლოს პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილება წარმოადგენდა.

მეორეული ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში ედუარდ შევარდნაძე აკავებდა სხვადასხვა მაღალჩინოსანს, რიგ შემთხვევაში მართავდა საჩვენებელ სასამართლოებსაც, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი იყო ქრთამების აღების ფაქტზე სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის, პეტრე გელბახიანის, დაკავება და გასამართლება.

1970 წელს დააკავეს „ცეხავიკი“<sup>1</sup> და ვასილ მუავანაძის პირადი მფარველობის ქვეშ მყოფი ოთარ ლაზიშვილი და მასთან ერთად 126 პირი<sup>2</sup>. ამ პოლიტიკას მხარი აუბა კულტურის სფერომაც – გურამ ფანჯიკიძემ გამოსცა რომანი „თვალი პატიოსანი“, ლანა ღოღობერიძემ გადაიღო ფილმი „როცა აყვავდა ნუში“ და ა.შ., — ისინი გარკვეული კუთხით აირეკლავდა რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს და მხარს უჭერდა მის გაცხადებულ პოლიტიკას.

<sup>1</sup> ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო სანარმოდან მოპარული მასალების გამოყენებით, მათი იატაკქვეშა სანარმოში გადატანა, სხვა პროდუქტის შექმნა და გაყიდვა.

<sup>2</sup> შსს აკადემიის არქივი (II), ფონდი 14, ანან. 46, საქმე 234, ფურც. 5-6

საბჭოთა პროპაგანდა საზოგადოებაში დამკვირდებულ მეორეულ ეკონომიკას აპრალებდა არა ცენტრალიზირებული სისტემისა და პარტიულ მუშაკთა ცუდ მუშაობას, არამედ მას ბურუუაზიული კულტურის მიერ დამკვიდრებულ ნეგატიურ წესჩვეულებად მიიჩნევდა – „იმპერიალისტური ბურუუაზია და მისი იდეოლოგიური მსახურნი ყოველნაირად ცდილობენ, გამხრნელი ზეგავლენა მოახდინონ საბჭოთა ადამიანებზე გარედან, გააიდეალურონ დასავლეთის ცხოვრების წესები და ჩვეულებანი, წამბაძველები გაიჩინონ ჩვენში“<sup>1</sup>.

1972 წელს, საქართველოს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, ვასილ მუგანაძე ჩამოშორებულ იქნა თანამდებობას, ხოლო მისი ადგილი დაიკავა ედუარდ შევარდნაძემ. მიუხედავად სახელისუფლებო ცვლილებისა, ამით რესპუბლიკაში არ დასრულებულა მეორეული ეკონომიკა, პირიქით ის გაიზარდა და არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ირონიულია, მაგრამ რესპუბლიკური ხუთწლედის გეგმების შესრულება ისედაც არარეალური იყო, და მაინც წარმოება არა მხოლოდ ასრულებდა მას, არამედ აჭარბებდა კიდეც. მრავალი ქარხანა, უბრალოდ აყალბებდა დოკუმენტებს და წერდა იმაზე მეტს, ვიდრე შექმნა. საზოგადოებაში ამ პროცესს „მიწერებს“ ეძახდნენ.

რაოდენობის ზრდის მოტივით ფალსიფიკაციას უკეთებდნენ მრავალ პროდუქტს, მათ შორის ღვინოს, რომელ-შიც ურევდნენ ჭარხლის წვენსა და სხვა დანამატებს. ერთი მხრივ, ეს მოსახლეობას უზრდიდა შემოსავლებს, მაგრამ, მეორე მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში, ანადგურებდა მრეწველობის დარგებს. წარმოების ხარისხის დაცემა

<sup>1</sup> ბ. ლუტიძე, ნეგატიური მოვლენები და მათი დაძლევის გზები, 1977. გვ. 16

ანეკდოტების წყაროდ იქცა, მათ შორის ქუთაისურ ავტომობილებზე.

1975 წელთან შედარებით 1980 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 40%-ით გაიზარდა (ნაცვლად გათვალისწინებული 35%-ისა). ეროვნული შემოსავალი – 44%-ით (გეგმით განსაზღვრული 41%-ის ნაცვლად), სოფლის მეურნეობის პროდუქცია – 35%-ით (ნაცვლად 29%-ისა) და ა.შ.<sup>1</sup> გაყალბებული გეგმებისა და მიწერების გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დგება არა მხოლოდ წარმოებული პროდუქტის ხარისხი, არამედ მთლიანად სტატისტიკური მონაცემები – კერძოდ ის, თუ რამდენად სწორად ასახავს მასში დათვლილი და მოცემული ციფრები თუ დასკვნები რეალობას.

## შრომა რესპუბლიკის საზღვრებს მიღება

ირკუტსკის ოლქში, მდინარე ნიას მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს დასახლება ნია-გრუზისნკაია, რომელიც ქართველმა მუშებმა და საპროექტო ინსტიტუტმა „თბილქალაქპროექტმა“ ააგო 1975-1981 წლებში. ყველაფერი კი 1974 წელს დაიწყო, როცა საბჭოთა კავშირმა დაიწყო მეგაპროექტის, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ფართო ლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა (შემოკლებით ბამ). გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეზნევმა მას საუკუნის პროექტი უწოდა. მშენებლობისთვის მუშები მობილიზებულნი იყვნენ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან, მათ შორის, საქართველოდან. სწორედ

<sup>1</sup> ბ. ლუტიძე, ნეგატიური მოვლენები და მათი დაძლევის გზები, 1977. გვ. 12

„ბამისთვის“ შეიქმნა ორგანიზაცია „გრუზბამ“, რომელ-საც სათავეში ჩაუდგა მშენებელი ანზორ დვალიშვილი.

1974 წლის 25 მარტს თბილისის რკინიგზის შენობიდან ბაიკალ-ამურის მაგისტრალის სარკინიგზო ხაზის მშენებლობისკენ საზეიმო ვითარებაში გაემართა 54 სხვადასხვა პროფესიის მუშა. ანზორ დვალიშვილი ამბობს: „ჩვენი რაზმი 60 კაცისგან შედგება, აქედან პირველი ჯგუფი, როგორც იცით, 15 კაცის შემადგენლობით სატვირთო მატარებელს 22 მარტს გაჰყვა. მატარებელი დანიშნულების ადგილს აპრილის პირველ ნახევარში უნდა ჩავიდეს. „ნია-გრუზინსკაია“ ასე ვუწოდებთ ჩვენ, მომავალი მშენებლები იმ ადგილს, სადაც ეხლა გაუვალი ტაიგაა და რკინიგზის სადგური უნდა ავაგოთ. ჩვენი პირველი რაზმი ნიაში ააშენებს დროებით საერთო საცხოვრებელს, კლუბ-სასადილოს, მმართველობის შენობას, აპარტს და მზად დაახვედრებს ძირითად მშენებლებს“<sup>1</sup>. 1981 წელს დასახლება ექსპლუატაციაში შევიდა, კომპლექსი მოიცავდა 7 მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსს, სკოლას, საბავშვო ბაღს, საზოგადოებრივ სავაჭრო ცენტრს, რკინიგზის სადგურს და საქვაბე ოთახს.

ქართველი მუშები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკასა თუ ქალაქში მუშაობდნენ. აღსანიშნავია სხვადასხვა საპროექტო ინსტიტუტთა როლი, რომლებიც თბილისში აპროექტებდნენ კონკრეტული ქალაქებისა თუ დასახლებული პუნქტებისთვის შენობებს. სოჭი, გელენჯიკი, ადლერი, მახაჩკალა, მაიკოპი, ორენბურგი და ა.შ., – ეს იმ ქალაქთა არასრული ჩამონათვალ-

<sup>1</sup> გაზეთი კომუნისტი, 27.03.1975

ია, რომლებშიც მხოლოდ „თბილზნიერპმა“<sup>1</sup> დააპროექტა კორპუსები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და სხვა ტიპის შენობები.

ქართული საპროექტო ინსტიტუტები გაცილებით შორსაც წავიდნენ, ვიდრე დანარჩენი საბჭოთა კავშირი. საქართველო, ერთადერთი სსრ იყო, რომელშიც არსებობდა სუბტროპიკული რელიეფი, აქედან გამომდინარე – ერთადერთი რესპუბლიკა, რომელსაც გააჩნდა გამოცდილება ტროპიკში მშენებლობის წარმართვისა და თუ დაპროექტების, ამიტომაც სწორედ ქართულმა ჯგუფმა დააპროექტა დებელეს საწარმოო რაიონი გვინეა-ბისაუში, ვიეტნამში ჰოაბინის ჰიდროკანალისა და მოზამბიკში ალუმინის ქარხნის დასახლება და ა.შ.

1986 წელს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქება კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ ტექნოლოგიურ კატასტროფად იქცა. რეაქტორიდან ჰაერში გამოჟონილმა რადიაციამ ათეულობით ათასი კილომეტრი მოიცვა, განსაკუთრებით დააბინძურა ახლომდებარე ტერიტორიები. სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაერთნენ ქართველი მუშებიც. სულ საქართველოდან 2000-მდე ადამიანი გაიგზავნა, რომლებიც, ძირითადად, სალიკვიდაციო სამუშაოებში იღებდნენ მონანილეობას. გაზეთი კომუნისტი 1987 წელს მკითხველს სიხარულით აცნობს, რომ „თბილისის რკინიგზის ვაგზლიდან სმოლენკის ოლქში გაემგზავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსტიტეტის სტუდენტური რაზმი, „საქართველო-87“. ქართველი სტუდენტები ატომური ელექტროსადგურის დამკვრელ მშენებლობაზე იმუშავებენ. გაერთიანებულ რაზმში 200 სტუ-

<sup>1</sup> თბილისის ზონალურ ს/კ ტიპური და ექსპერიმენტული პრეტების ინსტიტუტი

დენტია. ბევრი მათგანი ორგზის და სამგზის ყამირელია. ისინი 850 ათასი მანეთის სამუშაოებს შეასრულებენ<sup>1</sup>. საზემო განწყობის მიღმა „ჩერნობილები“ საქმის შეუსაბამო ანაზღაურებას ღებულობდნენ. ნაწილს საერთოდაც არ სურდა მუშაობა ჯანმრთელობისთვის უკიდურესად საშიშ, რადიაციულად დაბინძურებულ გარემოში.

1987 წელს კიევის ოლქში, მდინარე დნეპრიდან 10 კილომეტრში, ახალი ქალაქის, სლავუტიჩის, მშენებლობა დაიწყო. ის განკუთვნილი იყო ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის თანამშრომლებისა და თავად ევაკუირებული ქალაქის მოსახლეობისთვის. განსხვავებით სხვა, ტიპური საბჭოთა ქალაქებისგან, სლავუტიჩი დაჩქარებული წესით, რვა რესპუბლიკის (რუსეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) საერთო ძალისხმევით აშენდა. ამ რესპუბლიკებმა არა მხოლოდ ადგილზე მიავლინეს საკუთარი მუშათა ჯგუფები, არამედ ააშენეს ნაციონალური რაიონები, რომლებშიც გამოხატული იყო თითოეულისთვის დამახასიათებელი ნიშნები. სამუშაოებს ადგილზე ეწეოდა „თბილისქალაქმშენის 65“ სახლთსაშენებელი კომბინატი, რომელმაც დროის უმოკლეს ვადაში შეასრულა 704 ათასი მანეთის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები<sup>2</sup>.

## გარდაქმნის პოლიტიკა და საპაზრო ეკონომიკა

1983 წელს, ამერიკულ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნდა ეკონომისტ ტატიანა ზასლანსკაიას ბრომურა,

<sup>1</sup> კომუნისტი, 12.07.1987

<sup>2</sup> ახალგაზრდა კომუნისტი, 19.10.1987

რომელიც ამავე წელს დარიგდა ქალაქ ნოვოსიბირსკის აკადემქალაქის საზოგადოებისთვის დახურულ ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე. შეხვედრაზე მეცნიერის მიერ წაკითხული მოხსენება ძალიან განსხვავდებოდა სხვებისგან – მან ისაუბრა იმაზე, რომ საბჭოთა ეკონომიკა ღრმა კრიზისში იმყოფებოდა და საჭიროებდა გარდაქმნას. მთავარ მიზეზად ის ასახელებდა მის უკიდურეს ცენტრალიზებას, ავტორი ხაზს უსვამდა იმას, რომ კავშირის ეკონომიკური პოლიტიკა სტალინის 1930-იანი წლების ეკონომიკისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ სოფლის მეურნეობა ბევრად მექანიზირებული და კომპლექსური გახდა. კომპლექსურნი გახდნენ თავად ადამიანებიც – მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ მხოლოდ საკვები და დღიდან დღემდე ცხოვრება – მათი საჭიროებები და მისწრაფებები ერთიორად იყო გაზრდილი. ცენტრალიზირებული სისტემა კი ვერც ადგილზე მართავდა ეკონომიკის წარმოების პროცესს და ვერც ადამიანთა საჭიროებებს აკმაყოფილებდა. სამაგიეროდ, უკვე არა ადამიანები, არამედ თავად საწარმოები ერთმანეთში აწარმოებდნენ ფარულ ეკონომიკურ გარიგებებს – ფაქტობრივად, 1980-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში არსებობდა არაოფიციალური, ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელზე კონტროლიც დაკარგული ჰქონდა ცენტრს.

ავტორის თქმით, საწარმოებს არ ჰქონდა უფლება, დამუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებები. სახელმწიფოში კონკურენციის არარსებობა და მკაცრი ცენტრალიზება კი აქრიბდა მათ მოტივაციასაც. თავის მხრივ, უმოტივაციო იყო რიგითი მუშაც, რის გამოც შრომის ეფექტურობა იყო ძალიან დაბალი. თუ სტალინის პერიოდში შრომის

ეფექტურობას ამაღლებდა უმკაცრესი დისციპლინა და შიში, ამჯერად ესეც აღარ არსებობდა.

მოცემული პრობლემის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ პოლიტბიუროშიც და პირველი ქმედითი ნაბიჯები იური ანდროპოვის მმართველობის პერიოდში გადაიდგა, რომლის დროსაც, გარკვეული დარგები დეცენტრალიზაციას დაექვემდებარა. ადგილზე საწარმოებმა მიიღეს ბევრად მეტი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება, ვიდრე აქამდე ჰქონდათ. ანდროპოვის მმართველობამ მცირე ხანს გასტანა, კიდევ უფრო მცირე იყო მისი მემკვიდრისა – კონსტანტინე ჩერნენკოსი. 1985 წელს, ცენტრალური კომპარტიის ახალი მდივანი ხდება ახალგაზრდა მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც იწყებს ძირეულ რეფორმებს, რომლებიც სრული კრახით – საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა.

1985 წელს აქსელერაციის სლოგანის ქვეშ ცენტრმა დაიწყო შრომის ეფექტურობისა და ზრდისკენ მიმართული პოლიტიკა. ძირითადად, ის ხორციელდებოდა ინდუსტრიაში სამეცნიერო მიღწევების დანერგვითა და სამუშაო ადგილებზე დისციპლინის დამყარებით. 1986 წელს კი დაიწყო სიღრმისეული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების კასკადი, რომელიც გაერთიანდა „გარდაქმნის“ ლოზუნგქვეშ.

გარდაქმნა – ასე დაერქვა სლოგანს, რომელიც თავის თავში მოიაზრებდა საბჭოთა რესპუბლიკებში განსახორციელებელ ძირეულ რეფორმებს, მათ შორის, დემოკრატიის მთავარი პრინციპებისა და საბაზრო ეკონომიკის დამყარებას. ეკონომიკური რეფორმა სამ ნაწილად დაიყო: პირველი – 1985-1986 წლებში უმნიშვნელო ცვლილებები

განხორციელდა; მეორე – 1987-1989 წლებში რადიკალური რეფორმები იქნა გატარებული ცენტრალიზირებული ეკონომიკის მიმართ; მესამე მძიმე შიდა პოლიტიკური კრიზისების პერიოდში მიმდინარეობდა, რის გამოც ის რადიკალურ მემარჯვენე იდეებზე დაყრდნობით განვითარდა, მათ შორის, დაინტენსიური სახელმწიფო საწარმოების მასობრივი პრივატიზაცია<sup>1</sup>.

1987 წლის ივნისის ბოლოს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდა დოკუმენტი სახელწოდებით „ეკონომიკური მართვის რადიკალური რესტრუქტურიზაციის ძირითადი დებულებები“. რამდენიმე დღის შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო ახალი პოლიტიკის განსახორციელებლად შექმნილი დეკრეტების სერია და ასევე მიიღო „კანონი სახელმწიფო საწარმოს შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვარს. რეფორმების მიზანი იყო ეკონომიკის დეცენტრალიზაცია. საწარმოებს მიეცათ ხელშესახები ავტონომია, მათ შორის, საკუთარი ეკონომიკური მიზნების დასახვის უფლება, ხოლო „გოსპლანი“ ვალდებული იყო, დაესახა გრძელვადიანი გეგმები და მიზნები. რესპუბლიკურ და რაიონულ საბჭოებს მიეცათ უფლება, შეედგინათ საკუთარი გეგმები ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ხოლო მუშებს მიეცათ საწარმოს მართვის უფლება.

რეფორმა დაინერგა როგორც დემოკრატიზაციის ნაწილი საკუთრების მოსვლასთან ერთად. თავად პროდუქციის ფასის ნაწილს მაინც სახელმწიფო ადგენდა, მაგრამ ხელშეკრულებით დაშვებული იყო მისი შეცვლა. დროთა განმავლობაში დერეგულაცია გაიზრდებოდა და ამის აბ-

<sup>1</sup> David M. Kotz & Fred Weir, Russia's Path from Gorbachev to Putin, 2007.  
88. 72

სოლუტური შედეგი იქნებოდა საწარმოების თვითდაფინანსებაზე გადასვლა.

სამმა მნიშვნელოვანმა პრობლემამ მაღევე იჩინა თავი: პირველი – ეკონომიკის დეცენტრალიზაცია და საწარმოებისთვის ავტონომიის მინიჭება განხორციელდა შესაბამისი ინსტიტუტებისა და ადგილზე არსებული ცოდნის გაუთვალისწინებლად. საწარმოების ხელმძღვანელებს, რომლებიც აქამდე მიჩვეულნი იყვნენ ცენტრის მიმართ მორჩილებას, საერთოდაც არ ესმოდათ გაყიდვები და ის, თუ როგორ უნდა გადასულიყვნენ თვითდაფინანსებაზე<sup>1</sup>. სახელმწიფოში არ არსებობდა არანაირი ინსტიტუტი, რომელიც შეისწავლიდა მოცემულ პრობლემას და დაეხმარებოდა საწარმოებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში.

მეორე – საწარმოებისთვის მეტი თავისუფლების მინიჭებამ საწარმოს შემოსავლის განაწილების განსაზღვრაში, შესაძლოა, პოტენციურად გამოიწვიოს დისპალანსი ეკონომიკაში. საწარმომ, შესაძლოა დაისახოს მოკლევადიანი გეგმები და გაზარდოს თანამშრომლების ხელფასები, მაგრამ ვერ გაზარდოს წარმოებული პროდუქტის რაოდენობა. ერთი მხრივ, ეს შეაფერხებს სახელმწიფოს სწრაფი ეკონომიკური განვითარების იდეას, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას ისე, რომ ვერ გაზრდის წარმოებული პროდუქტის რაოდენობასა და ხარისხს<sup>2</sup>.

მესამე – ძველ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფოს არასდროს არ ჰქონია გადასახადების აკრეფის პრობლემა, მაგრამ ახალ სისტემაში არ არსებობდა ახალი გადასახა-

<sup>1</sup> David M. Kotz & Fred Weir, Russia's Path from Gorbachev to Putin, 2007.

83. 76

<sup>2</sup> იქვე, 77

დები ან გადასახადების პოლიტიკა – ის იგივედ დარჩა, რაც იყო წარსულში.

1988 წლამდე სახელმწიფოს შეეძლო დაეცვა ბალანსი შინამეურნეობის შემოსავლის ზრდასა და ხელმისაწვდომი სამომხმარებლო საქონლის რაოდენობას შორის. მაგრამ „სახელმწიფო სანარმოს შესახებ“ კანონის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. შემოსავალი სამჯერ გაიზარდა, მაგრამ ის ბევრად ჩამორჩა წარმოებული სამომხმარებლო პროდუქციის რაოდენობას. სანარმოებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ხელფასები და ამავდროულად ყურადღება გაამახვილეს პროდუქციის ხარისხზე და არა რაოდენობაზე.

დაიწყო სამომხმარებლო და პირველადი მნიშვნელობის პროდუქტის დიდი დეფიციტი – ფული იყო, მაგრამ პროდუქტი – არა. ამგვარმა კრიზისმა ხელი შეუწყო გადამყიდველებისა და არაფორმალური ეკონომიკის ზრდას, სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ მოსახლეობა წინასწარ რეზერვებისთვის ყიდულობდა პროდუქტებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა დეფიციტს.

1988 წლიდან ეკონომიკურმა ზრდამ დაიწყო შენელება. კრიზისმა წინა პლანზე წამოსწია საუბარი ეკონომიკაზე. ყველა თანხმდებოდა, რომ აუცილებელი იყო საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ჩამოყალიბება, მაგრამ არსებობდა განსხვავებული აზრები იმის შესახებ, თუ რის ხარჯზე უნდა მომხდარიყო ეს. ეკონომისტების ნაწილი ფიქრობდა, რომ სოციალისტური ეკონომიკა უნდა შენარჩუნებულიყო, ნაწილი კი პაზრის სრულ დერეგულირებას ითხოვდა. საზოგადოებაში იზრდებოდა სკეპტიციზმი სოციალისტური ეკონომიკის მიმართ, პარალელურად ძლიერდებოდა რადიკალურად მემარჯვენე პოზიციები.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, საქართველოს სსრ, ფაქტობრივად, გამოეთიშა ცენტრში მიმდინარე პრო-ცესებს. 9 აპრილის ტრაგედიამ, სრულად შეცვალა ქართული საზოგადოება და მენტალურად განთავისუფლდა ცენტრის, მოსკოვის, კარნახისგან, აქედან გამომდინარე, ის გამოეთიშა საბჭოთა პოლიტიკურ დისკურსს და დაიწყო სწრაფი სვლა საქართველოს პოლიტიკური და-მოუკიდებლობისკენ.

## დასასრული

საბჭოთა კავშირმა, რომლის ნაწილიც იყო საქართველოც, 70 წელი იარსება. ამ ხნის განმავლობაში ეკონომიკური პოლიტიკა არ ყოფილა ერთგვაროვანი, ის პერიოდულად იცვლებოდა, რაც პირდაპირ აისახებოდა ადამიანებსა და შრომის პოლიტიკაზე. თავდაპირველად დაწყებული „ნეპის“ პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, მალევე იქნა ჩანაცვლებული ძლიერ ცენტრალიზირებული მმართველობით.

სტალინის მმართველობის პერიოდში სახელმწიფო ერთი ხელის მოსმით ცდილობდა აგრარული საზოგადოების ინდუსტრიულად გარდაქმნას. განვითარების დაჩქარებულ ტემპს თან ახლდა მსხვერპლიც – პოლიტიკა მიმდინარეობდა რეპრესიებისა და შრომითი ექსპლუატაციის ხარჯზე. პროფკავშირები, რომელიც უნდა გამხდარიყო მშრომელთა თავდაცვის იარაღი, სრულად დაემორჩილა სახელმწიფოს, სრულად იცვალა სახე და რეპრესიული მანქანის ნაწილად იქცა. მეორე მხრივ, ეს ყველაფერი არ-

ნახული ეკონომიკური ზრდით აისახა საქართველოზე – აიგო უამრავი ქარხანა-ფაბრიკა და თითქმის არაფრისგან შეიქმნა მრავალი ინდუსტრიული დარგი და მიმართულება.

მეორე მსოფლიო ომმა მრავალმხრივ შეაფერხა განვითარება, საქართველოს სსრ-მ ნაციზმზე გამარჯვებაში საკუთარი მცირე, მაგრამ პატარა ერისთვის დიდი წვლილი შეიტანა და საამისოდ დიდი მსხვერპლიც გაიღო. დემოგრაფიული ცვლილებები აისახა ეკონომიკაზეც, გაიზარდა ქალთა ჩართულობა, თუმცა მაინც, შრომით ბაზარზე მუშახელის დეფიციტი ხელშესახებად იგრძნობოდა.

ომის შემდგომ რესპუბლიკაში მეტალურგიის გიგანტის, ქალაქ რუსთავის მშენებლობა დაიწყო. პარალელურად, შენდებოდა სხვადასხვა დიდი ქარხანა, რომლებიც ერთი-ორად ზრდიდა საქართველოს ინდუსტრიულ პოტენციალს. მიუხედავად ომის შემდგომი გიგანტური მშენებლობებისა, რიგით ადამიანთათვის ბევრი არაფერი იცვლებოდა – ხელფასები კვლავ დაბალი იყო, შრომის პირობები – მძიმე, ხოლო სამომხმარებლო პროდუქტი – მცირე.

დესტალიზაციასა და ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობაში მოსვლას მალევე მოჰყვა ცვლილებები – საბჭოთა კავშირი გადაერთო მომხმარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, რასაც თანვე მოჰყვა რეპრესიული პოლიტიკის შერბილება, შრომის პირობების გაუმჯობესება, საბინაო პოლიტიკა და სხვა საჯარო სიკეთეები. ერთი შეხედვით, შრომის ანაზღაურება კვლავ ძალიან მცირე იყო, თუმცა და, რესპუბლიკაში მიმდინარე არაფორმალური ჩრდილოვანი ეკონომიკის წყალობით, მოსახლეობის დიდ ნაწილს გააჩნდა ზედმეტი შემოსავლები, რაც

საშუალებას აძლევდათ, ეცხოვრათ ნორმალურად, მით უმეტეს მაშინ, როცა სახელმწიფო მათ მრავალ საჯარო სიკეთეს სთავაზობდა. 1970-იანი წლების მიწურულს საბჭოთა ეკონომიკა უკვე ღრმა სტაგნაციაში ჩაეფლო, ჩრდილოვანი ეკონომიკა მოედო თითქმის ყველა დარგს, თავის მხრივ, შრომის ეფექტურობა ვარდებოდა, ისევე როგორც წარმოებული პროდუქტის ხარისხი. საბოლოო ჯამში, 1986 წელს, იწყება ე.ნ. გარდაქმნა, რომლიც ითვალისწინებდა ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლას და ამ გზით მის გაჯანსაღებას. პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა, მკაცრად ცენტრალიზირებულმა და დამოუკიდებელი მუშაობის არმცოდნე საწარმოებმა თუ ქარხნებმა ვერ შეძლეს ცვლილებების მიღება. კრიზისი და პროდუქტების დეფიციტი ყველა დარგს შეეხო. საბოლოო ჯამში, 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა, მასთან ერთად განადგურდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა და ადამიანთა ყოველდღიურობაც.



ეროვნული ბიბლიოთეკიდან

10

დეის თავის საბორომო თავზეანი გავსცო

ჩენ კლასიკ მუნის და  
ვიბინდონი სობიალიზმის  
ექსპრესიონის მუშაობის



1931 წლის პოსტერი. ეროვნული ბიბლიოთეკიდან



1961 ეროვნული ბიბლიოთეკიდან



ქალაქი რუსთავი, 1950-იანი წლები. ფოტო ინტერნეტიდან



ელმავალმშენებელი ქარხანა, ფოტო ინტერნეტიდან



პირველი ქართული ავტომობილი, კაზ 150. ქუთაისი.  
ფოტო ინტერნეტიდან



წყალტუბო, სანატორიუმი თბილისი.  
ფოტო ინტერნეტიდან

**ГРУЗИНСКОЕ ВИНО**

МПП ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 20

ხვანიქარა

КРАСНОЕ

Хванікара

Цена без стоимости посуды 3 р. 20 к.

СХА 3-5% АРХЕЛ 10,5-12% вт.

САМТРЕСТ


ГОСТ 7298-70  
емкость 0,7 л

МОСКОВСКИЙ МЕДРЕСПУБЛИКАНСКИЙ ВИНАЗОВ

ქვეყანაში მიმდინორე კორუფციამ, განსაკუთრებით  
დააზიანა ღვინის წარმოება. ფოტო ინტერნეტიდან



ქართველები ბამზე, ნუხა გოგოშიძე – თბილისის დიდუბის  
რაიონის სპოტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე – ანზორ  
დვალიშვილი – ნია-გრუზინსკაიას სამშენებლო სამმართველოს  
უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი. ფოტო ეროვნული  
არქივი



1987. Tbilisi  
Oldani  
Sergo Edisherashvili  
Anatol Rukhadze

ტიპური პროექტებით განაშენიანებული გლდანი, ფოტოს  
ავტორები, სერგო ედიშერაშვილი და ოთარ თურქია, 1987



გარდაქმნა, გოგი ცაგარელის ფოტო

ნაწილი III

სახელმწიფოსა და მშრომელებს შორის:  
საქართველოს პროფესიული  
პავშირ(ებ)ის ისტორია 1989-2020

---

ქეთი სართანია



## სავალდებულო ერთიანობა

საქართველოს საბჭოთა პროფესიული კავშირების გაერთიანება თითქმის 66 წლის განმავლობაში, 1923 წლიდან 1989 წლამდე, საბჭოთა კავშირის ცენტრალური პროფესიული გაერთიანების ნაწილი იყო და ერთიანი სისტემით იმართებოდა. ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ ხდებოდნენ დასაქმებულები პროფესიული კავშირის წევრები, თუმცა, ოფიციალურად, საბჭოთა პროფესიული განევრიანება არასოდეს ყოფილა იურიდიულად სავალდებულო. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, ამ თემაზე პროფესიული მეორე კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია ისე გავრცელდა, რომ ქარხნებისა და დაწესებულებების ყველა მუშისა და თანამშრომლის სავალდებულო რეკრუტირება ხდებოდა<sup>1</sup>. პროფესიულ კავშირში წევრობის ნებაყოფლობითი ხასიათის მიუხედავად, საბჭოთა მუშას (დასაქმებული) მოეთხოვებოდა გადაეხადა საწევრო გადასახადი. შესაბამისად, პროფესიული გაერთიანების წევრობა დასაქმებულის არჩევანი კი არა, მისი ერთგვარი ვალდებულება იყო. ამასთან, საბჭოთა კავშირში, სადაც საკუთრების ერთადერთი მფლობელი ოფიციალურად სახელმწიფო იყო და დამსაქმებელსაც ის წარმოადგენდა, პროფესიული კავშირები სახელმწიფოსა და დასაქმებულს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებდა. ასეთ სისტემაში პროფესიული მთავარი ამოცანა საგანმანათლებლო, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის იყო, ხოლო პროფესიული გაერთიანება წარმოადგენდა საბჭოთა

<sup>1</sup> Hewes, A. (1923). Trade Union Development in Soviet Russia. The American Economic Review, 13(4), p. 630-631. <http://www.jstor.org/stable/1803875>

სახელმწიფოს აპარატს, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა<sup>1</sup>.

1985 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ გამოცხადების შედეგად, საზოგადოებრივი აზრის საჯაროდ დაფიქსირება წახალისებული იყო. „პერესტროიკისა“ და „გლასტნოსტის<sup>2</sup>“ პირობებში სამოქალაქო აქტიურობამ პროტესტისა და ქუჩის დემონსტრაციების ფორმა მიიღო (ყაზახეთი – 1986 წ.; აზერბაიჯანი – 1988 წ.; საქართველო – 1989 წ. და სხვა პროვინციული რეგიონები)<sup>3</sup>. დემონსტრაციები, რომლებიც ეროვნული მოძრაობების მიერ იყო ორგანიზებული, „პერესტროიკის მხარდაჭერასთან“ კავშირში გაჩნდა<sup>4</sup>. საბჭოთა კავშირში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გავლენა საქართველოს პროფკავშირებზეც აისახა.

## დამოუკიდებელი პროცეკავშირის დაარსების მცდელობა საქართველოში

„გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პირობებში საბჭოთა საქართველოში საჯარო აქტიურობა და საპროტესტო დემონსტრაციები ყოველდღიური ცხოვრების წან-

<sup>1</sup> The party and the trade unions. (1920). In Soviet history: 1921-2: Militarization of labor. <https://soviethistory.msu.edu/1921-2/militarization-of-labor/militarization-of-labor-texts/the-party-and-the-trade-unions/>

<sup>2</sup> გარდაქმნა და საჯაროობა.

<sup>3</sup> Stroovsky, D., & Schleifer, R. (2020). Soviet politics and journalism under Mikhail Gorbachev's perestroika and glasnost: Why hopes failed. Athens Journal of Mass Media and Communications, 7(4), p. 239-256

<sup>4</sup> Kotkin, S. (2001). Armageddon averted: The Soviet collapse, 1970-2000. Oxford University Press. P. 72

ილად იქცა. ეკოლოგიის, სოციალური პრობლემებისა და ეროვნული საკითხების გარშემო საზოგადოება აქტიურად გამოხატავდა საკუთარ პოზიციას. 1989 წელს საქართველოში მზარდი ანტისაბჭოთა მოძრაობა არსებობდა, რომლის ფარგლებშიც საპროტესტო დემონსტრაციები უკვე პოლიტიკური მოთხოვნებით იმართებოდა. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა იყო საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირიდან და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება. 1989 წლის 4 აპრილს, თბილისში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით გამართული დემონსტრაცია 7 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნაში გადაიზარდა. 9 აპრილს, გამთენისას, საბჭოთა არმიის მიერ მშვიდობიანი მიტინგის ძალადობრივ დარბევას 21 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. ამ მოვლენას დიდი გამოხმაურება ჰქონდა ადგილობრივ, საკავშირო თუ საერთაშორისო დონეზე<sup>1</sup>. იმდროინდელი პროფესიული კავშირების თავმჯდომარის, ვიქტორია სირაძის<sup>2</sup> თანამდებობიდან გადაყენების ოფიციალურ მიზეზად სწორედ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების დროს პოზიციის დროულად არდაფიქსირება სახელდება<sup>3</sup>. შედეგად, 1989 წლის 2 აგვისტოს პროფსაბჭოს პლენუმზე მიიღეს გადაწყვეტილება სირაძის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. საქართველოს პროფკავშირების 2017 წლის გამოცემაში ნათქვამია, რომ „პლე-

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, 9 აპრილი, 2017, გვ. 168. <https://police.ge/files/9%20april>

<sup>2</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე 1986-1989წნ. ბიოგრაფიული ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00011837/>

<sup>3</sup> ქრისტესიაშვილი კარლო, საქართველოში პროფკავშირული მოძრაობის ქრონიკები 1905-2010. თბილისი, 2010, გვ. 90

ნუმის ამ გადაწყვეტილებით მთავრდება საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოური პერიოდი და იწყება პროფესიული მოძრაობის ახალი ეპოქა<sup>1</sup>. თუმცა, ასევე არსებობს მოსაზრება, რომ პროფესიული პროფესიური მომარის ცვლილების მოტივს პოლიტიკური პრეფერენციები წარმოადგენდა. საბოლოოდ, 1989 წლის 2 აგვისტოს იმავე პლენუმზე, რომელზეც სირაძე გადააყენეს, ახალ ხელმძღვანელად პეტრე ჩხეიძე აირჩიეს. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ჩხეიძე თანამდებობაზე „კომუნისტური გზებით“ მოვიდა<sup>2</sup>. 1989 წლისთვის საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება ეროვნულ მოძრაობასა და მმართველ კომუნისტურ პარტიას შორის დაპირისპირებაში გამოიხატებოდა, ხოლო პროფესიული მიმდინარე საკადრო ცვლილება ამ კრიზისს აირეკლავდა.

საქართველოს პროფესიული ყრილობამ 1990 წლის 29 ივნისს ისტორიული მომენტი აღნიშნა – დილის 10 საათზე, საქართველოს პროფესიული კულტურის სასახლე-ში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის N43-ში<sup>3</sup>, პროფესიული რიგგარეშე ყრილობა გაიხსნა. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე დაფუძნებული „საქართველოს პროფესიულთა რესუბლიკური საბჭო“ საბჭოთა საქართველოს პროფესიული კავშირების ბოლო, XIX ყრილობაზე გაუქმდა. იმავე დღეს გაიმართა „საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კონფედერაციის“ პირველი დამფუძნებელი ყრილობა. ყველა დარგობრივი პროფესიული და კონფედერაცია გამოვიდა საბჭოთა კავშირის პროფე-

<sup>1</sup> საქართველოს პროფესიული კავშირები. პროფესიული მოძრაობა საქართველოში, 110 წელი. თბილისი, 2017, გვ. 30

<sup>2</sup> ქრისტესაბერი კარლო, საქართველოში პროფესიული მოძრაობის ქრონიკები, 1905-2010 წ.წ. გვ. 92

<sup>3</sup> გაზეთი კომუნისტი, N 151 (20897), 1990 წლის 29 ივნისი, გვ. 1

სიული კავშირის შემადგენლობიდან და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ყრილობას ესწრებოდა 542 დელეგატი<sup>1</sup>, რომლებიც წარმოადგენდნენ თითქმის ყველა დარგსა და სექტორს. ამავე ყრილობაზე მიიღეს საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის პირველი წესდება, რომელიც განსაზღვრავდა მის ხედვას, მისიას, ღირებულებებსა და მიზნებს. ფორმალურად, ცვლილებების ეს ეტაპი ნიშნავდა პროფესიონალური საბჭოთა მოდელის დასასრულსა და დემოკრატიის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიონალური სახალი, დამოუკიდებელი მოდელის ჩამოყალიბებისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

საბჭოთა პროფესიონალურის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ოთხ თვეში, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში პირველი მრავალპარტიული და არასაბჭოთა საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველი მოსახლეობის 67%-მა (3 444 000-მა ადამიანმა). შედეგების მიხედვით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. არჩევნებში მაჟორიტული და პროპორციული სიების გადანაწილების მიხედვით მთავარი კონკურენტები „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ და „საქართველოს კომუნისტური პარტია“ იყვნენ – 250 მანდატიდან 124 აიღო „მრგვალმა მაგიდამ“, ხოლო 61 – „საქართველოს კომპარტიამ“<sup>2</sup>. არჩევნების შედეგები მიუთითებდა, რომ საზოგა-

<sup>1</sup> ქრისტესიაშვილი კარლო, საქართველოში პროფესიონალური მოძრაობის ქრონიკები, 1905-2010 წ.წ. თბილისი, 2010, გვ. 96

<sup>2</sup> 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სულ ამომრჩეველი მოსახლეობა შეადგენდა 3 444 000 ადამიანს. საქართველო, არჩევნების ისტორია 1990-2010. გვ. 6. <https://cesko.ge/static/res/old/other/9/9077.pdf?fbclid=IwAR0hkhrU2aMvUvhnaycbagGYWjlTa7ZTwd0InukRDG1zgD2-Ng-MikdshNb0>

დოების ძირითადი პოლიტიკური განწყობები ორ პარტიას შორის გადანაწილდა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ-პარტიულ არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების დიდი ნაწილი ანტისაბჭოურად განწყობილმა, ახლადდაარსებულმა პოლიტიკურმა ბლოკმა მიიღო, საზოგადოებაში კომუნისტური და სხვა პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერები აქტიურ წევრებად რჩებოდნენ.

1990 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე გაუქმდა სახელწოდება „საქართველოს სსრ“ და ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, დამტკიცდა რესპუბლიკის ახალი ეროვნული ჰიმნი, სახელმწიფო დროშა და გერბი<sup>1</sup>. დამოუკიდებელი რესპუბლიკის იდენტობის გამომხატველი ახალი ატრიბუტების ნაციონალიზება სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ცვლილებების საჭიროებაზეც მიანიშნებდა. საპარლამენტო არჩევნებისა და უზენაესი საბჭოს რეორგანიზაციის შემდეგ ძირეული გარდაქმნა პროფესიულ კავშირებსაც უნდა შეხებოდა. ქონებრივად და მრავალრიცხოვანი წევრების თვალსაზრისით მდიდარი ორგანიზაციის მიმართ პოლიტიკური გაერთიანებების, პარტიებისა და ლიდერების ინტერესი ძლიერდებოდა.

1990 წლისთვის საქართველოში ეროვნული მოძრაობისა და ახლადდაარსებული პოლიტიკური პარტიების მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისგან გამოყოფა, საქართ-

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები. ტომი I, ზვიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ, გვ. 19-22

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/38332/1/Zviad\\_Gamsaxurdia\\_Tomi\\_I.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/38332/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_I.pdf)

ველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მპრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა<sup>1</sup>.

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს უზეანესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას გამოსვლაში საუბარია ეკონომიკური რეფორმების საჭიროებაზე. გამსახურდიას ფორმულირებით, საჭირო იყო „ცენტრალურ დაგეგმარებაზე დამყარებული სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა“<sup>2</sup>. 1990 წელს მიმდინარე პოლიტიკური და სტრუქტურული ცვლილებები აჩვენებს, რომ საქართველოს პროფკავშირი ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია იყო, რომელმაც საბჭოთა მოდელისგან განსხვავებული სისტემის ჩამოყალიბება განიზრახა, თუმცა შეიცვალა თუ არა რამე „საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირის კონფედერაციაში“ გარდა სახელმწიფოსა და ლიდერებისა? რა პრინციპებს ეფუძნებოდა ახალი წესდება? რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავდა ორგანიზაცია და რას პპირდებოდა ის მშრომელებს ახალ ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოცემულობაში? როგორ დაძლევდა ახალი ორგანიზაცია საბჭოთა მემკვიდრეობას? და რაც მთავარია, მოახერხებდა თუ არა ახალი, დამოუკიდებელი პროფკავშირი ყოფილიყო არა მმართველი პოლიტიკური პარტიის დანა-

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები. ტომი I, ზვიად გამსახურდია, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991), საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე. გვ. 23-35. [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/159475/1/Zviad\\_Gamsaxurdia\\_Tomi\\_I.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/159475/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_I.pdf)

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34-35. [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/38332/1/Zviad\\_Gamsaxurdia\\_Tomi\\_I.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/38332/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_I.pdf)

მატი, არამედ გამხდარიყო რეალურად დამოუკიდებელი, მშრომელთა ინტერესების დამცველი ორგანიზაცია? ეს საკითხები მეტ-ნაკლები ინტენსივობით ჩანს მომდევნო წლებში გამართულ დისკუსიებში, რომელთა ნაწილი პროფესიული კავშირების ყრილობის ჩანაწერებმა და საგაზეთო სტატიებმა შემოინახა.

## აირველი რეფორმები საქართველოს დამოუკიდებელ პროცესავშირში

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის მუშაობის პირველი წლები ქვეყანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში არსებულ ქაოსს, დისკუსიებსა და დაძაბულობას აირეკლავდა. თავდაპირველად, პროფესიული კავშირის რეორგანიზაცია საკადრო ცვლილებებში გამოიხატებოდა, შემდეგ კი – ორგანიზაციულ რესტრუქტურიზაციაში. ქვეყანა, რომელიც საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკური ფორმაციიდან საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი ტემპით ცდილობდა გადასვლას, საჭიროებდა ახალ რეალობაზე მორგებულ სამართლებრივ რეგულაციებს, საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტირებისთვის საჭირო მექანიზმებსა და მათ განმახორციელებელ კვალიფიციურ პროფესიულ კადრებს.

ვალდიმერ პაპავას თანახმად, ეკონომიკური საკითხები საქართველოში დამოუკიდებლობის იდეასთან ერთად 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ჩნდება და იქმნება ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციები. ქართველი

ეკონომისტების წინაშე ორი ძირითადი ამოცანა იდგა:

1. საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციისგან და-მოუკიდებელი ეკონომიკის შექმნა და 2. მბრძანებლური საბჭოთა ეკონომიკისგან სრულიად განსხვავებული, სა-ბაზრო ეკონომიკური მოდელის შემუშავება. პაპავას თა-ნახმად, ეკონომისტების წინაშე არსებულ ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა მბრძანებლური ეკონო-მიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიის არარსებობა, რაც შეცდომების დაშვების ალბათობას ზრდიდა<sup>1</sup>. ქართული საბჭოთა პროფკავშირების წინაშეც მსგავსი ამოცანა იდგა – როგორ და რა მეთოდებით უნდა გარდაექმნათ მბრძანებლურ ეკონომიკაზე მორგებული ცენტრალიზებული პროფკავშირი დემოკრატიულ ორგა-ნიზმად, რომელიც საბაზრო ეკონომიკურ პირობებში შე-ძლებდა დასაქმებულის ინტერესის დაცვას სახელმწიფო-სა და კერძო დამსაქმებლისაგან? და როგორ უნდა ემართა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებული დიდალი ქონება დამოუკიდებელ პროფკავშირს?

„საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირის კონ-ფედერაციის“ პირველი დამფუძნებელი ყრილობიდან თითქმის ერთ წელში, 1991 წელს, საქართველოს სახელმ-წიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა, ხოლო 1991-1992 წლებში ქვეყანა ჯერ პოლიტიკურ კრიზისში და შემდეგ სამოქალაქო ომის<sup>2</sup> ქაოსში გაეხვია.

1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში მოეწყო პუტინი, რომლის დროსაც ძალაუფლება დროებით ხელში ჩაიგდო

<sup>1</sup> პაპავა ვლადიმერ (ლადო). საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმები, 2015. ინტელექტი. გვ. 9-10

<sup>2</sup> 1991-1992 წლების სამოქალაქო, სამხედრო-შეირალებულ და-პირისპირებას სხვადასხვა კონტექსტში უწოდებენ „პუტინ“, თბილისის ომსა და ანტიკონსტიტუციურ სამხედრო გადატრიალებას.

სამხედრო პირებისგან შემდგარმა საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტმა (ГКЧП)<sup>1</sup>. „გეკაჩეპეს“ მიზანი საბჭოთა კავშირის შენარჩუნება იყო. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მოსკოვში სამხედრო გადატრიალების მიმდინარეობისას თბილისში ჩამოვიდა სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი ვლადიმერ შურავლიოვი, რომელმაც გამსახურდიასგან ეროვნული გვარდიის გაუქმება მოითხოვა. თუ გამსახურდია ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა, საბჭოთა ჯარი ქართულ გვარდიას გაანადგურებდა. საბოლოოდ, გამსახურდიამ ხელი მოაწერა ბრძანებულებას „ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ“<sup>2</sup>, რომლის საფუძველზეც გვარდიის სტატუსი დროებით შეიცვალა და იგი დაექვემდებარა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს<sup>3</sup>. მოგვიანებით, ამ ბრძანებულებამ განხეთქილება და მწვავე დაპირისპირება გამოიწვია ქართულ პოლიტიკურ წრეებში.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დააბულობისა, პროფესიული კავშირების გაერთიანების მეორე რიგგარეშე ყრილობა სწორედ ამ მოცემულობაში 1991 წლის 24 აგვისტოს მაინც ჩატარდა. ამ ყრილობის შესახებ გაზეთი „კომუნისტი“<sup>4</sup> იუნიება, რომ საქართველოს პროფკავშირი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც

<sup>1</sup> Bond, I. (2021). The Moscow coup(s) of 1991: Who won and why does it still matter? Athens Journal of Mass Media and Communications, 7(4), 239256. [https://www.cer.eu/sites/default/files/insight\\_IB\\_moscow\\_coup91\\_17.8.21.pdf](https://www.cer.eu/sites/default/files/insight_IB_moscow_coup91_17.8.21.pdf)

<sup>2</sup> აკაკი ასათიანი გადაცემაში „საქართველოს დაბადება“. ატვირთულია 2019 წლის 15 დეკემბერს. <https://www.youtube.com/watch?v=3jOipOR6irg>

<sup>3</sup> გაზეთი „განმანთავისუფლებელი“, „მითები ზვიად გამსახურდიას შესახებ“, 2017, N53, გვ. 3-4

<sup>4</sup> გაზეთი კომუნისტი, N167 (187), გვ. 3, 1991 წლის 24 აგვისტო.

დამოუკიდებლობა გამოაცხადა საკავშირო ორგანოების შემადგენლობიდან, თუმცა არც ერთი ნაბიჯი წინ არ გა-დადგმულა, რაც, სტატიის მიხედვით, გულარხეინობით, პასიურობით, ინერტულობით, საქმოსნობითა და ფუნ-ქციებში თვისებრივი ცვლილებების უქონლობით აიხ-სნება. კომუნისტის სტატიაში კონფედერაციის ხელმძღვანელობა და აპარატი გაკრიტიკებულია გაუგებარი კომერციული საქმიანობის გამო – რამდენიმე თვით ადრე მათ კონფედერაციასთან შექმნილ კომერციულ ცენტრებ-სა და ფირმებს კომერციული მოგების ყოველგვარი გა-რანტიის გარეშე გადასცეს 45 მილიონი მანეთის უძრავი ქონება და ფულადი სახსრები. სტატიაში ნათქვამია, რომ კონფედერაცია დაკომპლექტებული იყო მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერებისგან, ხოლო მოძრაობაში არ-სებული კრიზისი აიხსნებოდა არა შეცდომებით, არამედ კომპარტიისა და სპეცსამსახურების გამიზნული მოქ-მედებით, რომ პროფკავშირებისთვის რეპუტაცია შეელახ-ათ საზოგადოების თვალში.

1991 წელს გაერთიანების მეორე რიგგარეშე ყრი-ლობა იყო კრიტიკული მომენტი ქართული პროფკა-ვშირული მოძრაობისთვის, რადგან მან გამოავლინა ღრმა კრიზისი და კორუფცია, რომელიც აწუხებდა საბჭოთა პერიოდის ორგანიზაციას. ყრილობამ აჩვე-ნა პროფკავშირების სტრუქტურისა და ფუნქციების რადიკალური რეფორმისა და დემოკრატიზაციის აუცილებლობა. საქართველოს პროფკავშირულ მოძ-რაობას გარდამავალ პერიოდში მრავალი გამოწვევა და სირთულე შეექმნა, მაგრამ მას ასევე ჰქონდა უნიკალუ-

რი შესაძლებლობა, საპაზრო ეკონომიკის დამყარების პირობებში გამხდარიყო მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დამცველი ორგანიზაცია.

დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონალის ჩამოყალიბება კონფლიქტურ და წინააღმდეგობრივ საფუძველზე ხდებოდა, რაც შესაძლოა ორ მთავარ დაბრკოლებად ფორმულირდეს. პირველი – ეს არის დამოუკიდებელი პროფესიონალის ფუნქციისა და როლის განსაზღვრის საკითხი ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობაში – რა როლი უნდა შეესრულებინა დამოუკიდებელ პროფესიონალის საპაზრო ეკონომიკის პირობებში? როგორ უნდა განეკარგა საბჭოთა მემკვიდრეობიდან დარჩენილი დიდალი ქონება? როგორ უნდა დაეცვა მშრომელები და დასაქმებულები და, ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორი დემოკრატიული მექანიზმები უნდა ჩამოყალიბებულიყო ამ მიზნების მისაღწევად? მეორე დაბრკოლებას კი წარმოადგენდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების არარსებობა – ვის უნდა განესაზღვრა პროფესიონალის ახალი პოლიტიკა და ვინ განახორციელებდა მას?

გარდა ორგანიზაციული და საკადრო გამოწვევებისა, დამოუკიდებელი საქართველოს პროფესიული კავშირის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ახალი სამუშაო სტანდარტების შესაბამისი მუშა-კადრების გადამზადების საკითხი, მზარდი უმუშევრობა და მოქალაქეთა სიღარიბე. „კომუნისტის“ სტატიაში საუბარია იმაზე, რომ საპაზრო ეკონომიკის გავრცელების პირობებში საქართველოს თითქმის ყოველ მესამე მოქალაქეს, ახალ რეალობასთან

სწრაფად ადაპტირების მიზნით, მოუწევდა პროფესიული გადამზადება. ეს მაშინ, როცა საქართველოში იმ დროისთვის ოფიციალურად, მიღიონ-ნახევარი ოჯახი ითვლებოდა, სადაც ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავალი 100 მანეთზე ნაკლებს შეადგენდა<sup>1</sup>. ასეთ პირობებში პროფესიულ კავშირს დიდი პოლიტიკური როლი და ფუნქცია ეყისრებოდა. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ გამოსავალი იყო პროფესიონალური ცვლილების საკითხის დასმა და რეგიონული (საქალაქო, რაიონული) პროფესიონალურების შექმნა, პოლონეთის „სოლიდარობის“<sup>2</sup> მაგალითის გავლენით. ეს ხედვა განპირობებული იყო გამსახურდიას მთავრობის იმ რამდენიმე საკანონმდებლო აქტის მიღებითაც, რომლებიც ფართო უფლებამოსილებას ანიჭებდა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს. რეგიონული პროფესიონალურების შექმნა, შესაძლოა, დეცენტრალიზებული მართვის დემოკრატიული მექანიზმი ყოფილიყო, მაგრამ პქონდა თუ არა ამ რეფორმების გასატარებლად საკმარისი რესურსი და გამოცდილება მაშინდელ პროფესიონალურებს, რთული სათქმელია. კიდევ უფრო რთული დასადგენია, არსებობდა თუ არა ამის პოლიტიკური ნება.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებიდან 2 კვირაში გაიმართა ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელზეც საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ზვიად გამსახურდია. 1990 წლის 14 ნოემბერს გამართულ სესიაზე გამსახურდიამ ე.წ. „გარდამავალი პერიოდი“ გა-

<sup>1</sup> გაზეთი კომუნისტი, N167 (187), გვ.3, 1991 წლის 24 აგვისტო.

<sup>2</sup> სოლიდარობა (Solidarność), პოლონური პროფესიონალური ორგანიზაცია, დაარსდა 1980 წლის სექტემბერში, გდანსკში. მისი ლიდერი იყო ლეხ ვალენსა, პოლონეთის პრეზიდენტი 1990–1995 წლებში.

მოაცხადა, რომლის მიზანი იყო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლების მომზადება“<sup>1</sup>. 1990-1991 წლებში ახალი მთავრობის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებიდა განკარგულებები შეეხებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, მათ შორის, პროფესიული კავშირების საქმიანობას. მთავრობის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები და საჯარო განცხადებები აჩვენებს, რომ განსაკუთრებული იყო ახალი ხელისუფლების ინტერესი პროფესიული კავშირების მიმართ. 1991 წლის 22 ნოემბერს გამოქვეყნებულ პრეზიდენტის ბრძანებაში „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ“<sup>2</sup> ჩანს სახელმწიფოს მეთაურის ხედვა პროფესიული კავშირის შესახებ, რომელსაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებული როლი ეკისრებიდა, რაც გულისხმობდა მშრომელთა სოციალური და ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

---

<sup>1</sup> საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. 14 ნოემბერი, 1990. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32056?publication=0>

<sup>2</sup> საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ზოიად გამსახურდიას განკარგულება. 1991 წლის 22 ნოემბერი, თბილისი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. გვ. 305-307. [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/159475/1/Zviad\\_Gamsaxurdia\\_Tomi\\_V.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/159475/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_V.pdf)

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრეზიდულება

### საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროცესის კავშირის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გამოხატვის და დაცვის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფესიული კავშირები.

ყოფილმა საბჭოურ მოდელზე აგებულმა პროფესიულმა კავშირებმა არსებობის მანძილზე დამტკიცა სიცოცხლის უუნარობა თავისი უმოქმედობით და მმართველი პარტიის უსიტყვო მორჩილებით, მშრომელთა ინტერესების იგნორირებით.

რესპუბლიკაში მიმდინარე საბჭოური სტრუქტურების მსხვრევას მხარი აუბა საქართველოს პროფესიული ბის 1991 წლის 24 აგვისტოს ყრილობამ, რომლის მიერ შექმნილი პროფესიული რესპუბლიკური ცენტრი დგას ეროვნულ პოზიციებზე.

აღნიშნული პროცესების განვითარება ხელს უშლის პროფესიულ კავშირებში დრომოქმულ საბჭოურ დარგობრივ სტრუქტურას ამოფარებული დესტრუქციული ძალები და მათ მიერ შექმნილი არასტაბილური ვითარება.

საქართველოს რესპუბლიკის პოზიციების, ზვიად გამსახურდიას  
განკარგულება. 1991 წლის 22 ნოემბერი, თბილისი.

ბრძანებულების ტექსტის მიხედვით, პროფესიული კავშირის 1991 წლის 24 აგვისტოს ყრილობა „საბჭოური სტრუქტურების მსხვრევის“ ნაწილი იყო და ახალი კავშირი ეროვნულ პოზიციებს ატარებდა. გამსახურდიას ბრძანებულებაში იკითხება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ პროფესიონელები არსებული არასტაბი-

ლურობა. უზენაესი საბჭოს ახლადარჩეული ხელმძღვანელის შეფასებით, ამ დაძაბულობას „დრომოქმული ძალები“ ქმნიდნენ. 1991 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულების მიხედვით, მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ერთადერთ გარანტად და ყოფილი დარგობრივი კომიტეტების ქონების მემკვიდრედ გამოცხადდა საქართველოს თავისუფალი პროფესიონელების რესპუბლიკური ცენტრი. სხვა საკითხებთან ერთად, ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ უნდა ჩატარებულიყო მოლაპარაკებები მომდევნო, 1992 წლისთვის, კოლექტიური ხელშეკრულებების დასადებად (ან მასში ცვლილებების შესატანად), საბინაო ფონდის პრივატიზების პროცესში მშრომელთა ინტერესების, მოქალაქეთა ეკოლოგიური, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სოციალური საკითხების გადასაწყვეტად. გამსახურდიას ამავე ბრძანების მიხედვით, უნდა დაჩქარებულიყო შრომის კოდექსის შემუშავება და საბოლოო დამტკიცება<sup>1</sup>.

1992 წლის 24 აგვისტოს, მეორე რიგგარეშე ყრილობაზე მწვავე დისკუსია გაიმართა ახალი პროფესიონელების წესდების პროექტის ირგვლივ. საბოლოოდ, ყრილობაზე დამტკიცდა ახალი წესდება და აირჩიეს საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონელების თავმჯდომარე ზურაბ ხონელიძე<sup>2</sup>. ხონელიძის მმართველობის პერიოდს უკავშირდება პროფესიონელების დარგობრივი დაყოფის გაუქმება და ცენტრალიზებული სტრუქტურის შექმნა<sup>3</sup>,

<sup>1</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26/11/1992.

<sup>2</sup> დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საქართველოს პროფესიონების პირველი არჩეული თავმჯდომარე.

<sup>3</sup> ჩუბინიძე გ., პროფესიონელები პოსტსაბჭოთა საქართველოში. ინდიგო, 2021. <https://indigo.com.ge/articles/profkarshirebi-postsabchota-saqartveloshi>

რაც, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ბერკეტი უნდა ყოფილიყო ახალი პროფესიონალის სამართავად და მასზე გავლენის მოსაპოვებლად. 1991-1992 წლებში ეკონომიკურ სტაგ-ნაციაში მყოფი პატარა ქვეყნის ხელმძღვანელობისა და ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფებისათვის საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი, თავისი დიდალი ეკონომიკური მემკვიდრეობით, მრავალფეროვანი დარგებით, ორმილიონზე მეტი წევრით პოლიტიკური ლოიალობის, გავლენისა და ეკონომიკური სარგებლის მიღების მიმზიდველ წყაროს წარმოადგენდა. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირში, მისი რეფორმირების, ახალი ფუნქციის განსაზღვრასთან ერთად, მთავარი საკითხი იყო ის, თუ ვინ მოიპოვებდა მასზე გავლენას.

## საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონალის (კონფედერაციის)<sup>1</sup> ყრილობები

1991-1992 წლებში ქვეყანაში არსებული შიდა პოლიტიკური კრიზისი გამწვავდა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1991 წლის დეკემბერში შეიქმნა საქართველოს რესპუბ-

<sup>1</sup> 1990-2006 წლებში სულ რვა ყრილობა გაიმართა, აქედან პირველი, მეორე და მესამე ყრილობა ჩაატარა „საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონალის კონფედერაციამ“ (რომელთაგან მეორე და მესამე იყო რიგარეშე ყრილობა), ხოლო 1995 წლის პირველი დეკემბრიდან (მეოთხე) ყრილობას ატარებდა „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება“.

ლიკის სამხედრო საბჭო<sup>1</sup>, რომელმაც მომავალი არჩევნების ჩატარებამდე ხელში აიღო ძალაუფლება და მიზნად ეკონომიკური რეფორმების ჩატარება დაისახა. 1992 წლის 2 იანვარს სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობით პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ქვეყნიდან გააძევეს, რასაც მოჰყვა დროებით კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება და თბილისში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. სამხედრო საბჭოს მმართველობა 1992 წლის 10 მარტს დასრულდა, როცა მან ძალაუფლება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს გადააბარა და საქართველოში მოიწვია სსრკ-ის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე<sup>2</sup>, რომელიც ქვეყანას მართავდა მომდევნო 11 წელი (1992-2003)<sup>3</sup>.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისისა და სამხედრო დაპირისპირებების კვალდაკვალ, საქართველოს დამოუკიდებელ პროფესიონელშიც შიდა განხევთილება და თანამდებობისთვის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა.

1992 წლის აგვისტოში, პროფესიონელის კონფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ირაკლი ტუღუშმა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, ედუარდ შევარდნაძეს წერილი გაუგზავნა. ტუღუში წერილში საუბრობდა პროფესიონელში არსებულ დაძაბულობაზე, თანამდებობისთვის ბრძოლაზე, მათ შორის,

<sup>1</sup> საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, მოგვიანებით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო, არსებობდა 1991-1992 წლებში.

<sup>2</sup> გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, N10, 22 იანვარი, 1992

<sup>3</sup> ჯონსი სტივენ, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სოციალური მეცნიერებების ცენტრი, თბილისი, 2013 [2012], გვ. 112-115

ძალისმიერი მეთოდებითაც<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოხდა, ხელისუფლება შეიცვალა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღდგა საკრებულოების საქმიანობა<sup>2</sup> (რაც პროფესიული კავშირისთვისაც ცვლიდა არსებულ რეალობას), საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული გაერთიანება თანამდებობისთვის ბრძოლასა და ურთიერთდაპირისპირებას არ წყვეტდა.

ამ წერილის გაგზავნიდან მოკლე დროში, 8 ოქტომბერს, პროფესიული თავმჯდომარის არჩევნები უნდა გამართულიყო, თუმცა 16 სექტემბერს, კავშირის ხელმძღვანელობის კანდიდატი ირაკლი ტულუშს უცნობი პირები დაესხნენ თავს და ფეხში ორჯერ ესროლეს, თუმცა მისი მოკვლა არ უცდიათ. არჩევნები 18 დეკემბრისთვის გადაიდო და საბოლოოდ ტულუშმა არჩევნებში გაიმარჯვა<sup>3</sup>. მოცემული ეპიზოდი, მართლაც ადასტურებს პროფესიულ კავშირებში დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის წლებში მიმდინარე ფიზიკური, პოლიტიკური თუ პიროვნული დაპირისპირების ტრიადას. ძალაუფლებისა და ქონების დაპატრონებისთვის ბრძოლასთან ერთად, ეს ეპიზოდი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ მშრომელთა და უმუშევართა ინტერესების დასაცავად აუცილებელი რეფორმების ნაცვლად, ხელჩართული დაპირისპირება მიმდინარეობდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების ისტორია

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 767, ანაწერი 1, საქმე 126. გვ.12-13

<sup>2</sup> გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, N4 (277), 1992 წლის 11 იანვარი, გვ. 1

<sup>3</sup> გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, N252 (531), 1992 წლის 11 დეკემბერი, გვ. 2

მწვავე პიროვნული დაპირისპირებებით იწყება. ამასთან, აშკარაა ის მიზეზებიც, რომელთა გამოც გაერთიანება თავისი დამოუკიდებლობის პირველ წლებში წევრების რაოდენობის სწრაფ კლებასა და, შესაბამისად, საზოგადოების უნდობლობას განიცდის.

1992 წლის 18 დეკემბერს მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლეში ჩატარდა რიგით მესამე რიგგარეშე ყრილობა, სადაც მოხსენებით გამოვიდა პროფკავშირების კონფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ტულუში. მან ისაუბრა საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების საქმიანობასა და ამოცანებზე. მიუხედავად დაპირისპირებულ ბანაკებს შორის არსებული აშკარა კონფრონტაციისა, ყრილობაზე მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი პროფესიული კავშირების შესახებ. ასევე, დაამტკიცეს რეზოლუცია „ქვეყანაში მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პროფესიული კავშირების ამოცანების შესახებ“. ყრილობაზე ფარული კენჭისყრით აირჩიეს გაერთიანების თავმჯდომარე – ირაკლი ტულუში<sup>1</sup>, მოადგილებად კი სიკო გეგიაძე და მამუკა კაციტაძე. ყრილობის გადაწყვეტილებით კი პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეებად ჩაითვალნენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პროფესიული კავშირების გაერთიანებათა თავმჯდომარები<sup>2</sup>. ამით ყრილობამ დროებით, თუმცა მაინც აჩვენა პროფკავშირების მზაობა და უნარი, დაძაბულობის დროს

<sup>1</sup> საქართველოს პროსესიული გაერთიანების თავმჯდომარე 1992-2005 წლებში.

<sup>2</sup> გაზეთი კომუნისტი, N259 (538), 1992 წლის 22 დეკემბერი, გვ. 3

გადაელახათ შიდა განხეთქილება და ჩამოყალიბებინათ ორგანიზაცია, რომელიც მოახერხებდა კრიზისების გადა-ლახვასა და არსებული შესაძლებლობების გამოყენებას.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონელის პირ-ველი (დამფუძნებელი), მეორე და მესამე რიგგარეშე ყრი-ლობები 1991-1992 წლებში სამოქალაქო ომის პირობებში მიმდინარეობდა, ხოლო მეოთხე ყრილობა 1995 წლის 1-ელ დეკემბერს გაიმართა. ეს პროცესი ჯერ კიდევ ჩამოუყალ-იბებელი დამოუკიდებელი დემოკრატიული ინსტიტუ-ტების, ახლადმიღებული კონსტიტუციისა და ეროვნული ვალუტის პირობებში მიმდინარეობდა. სამოქალაქო და ტერიტორიული სამხედრო დაპირისპირებების შეწყვეტის შემდეგ პოლიტიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური აღმავლობის ტენდენციები შეიმჩნეოდა, თუმცა პროფე-სიული კავშირის რეალური ფუნქციისა და პოტენციალის გამოვლენა, შიდაორგანიზაციული დემოკრატიული მექა-ნიზმების შემუშავება, დასაქმებულთა მონაწილეობითი ინსტრუმენტების შექმნა და შრომითი უფლებების დაცვის კამპანიები ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივა იყო.

საქართველოს პროფესიული კავშირების რიგით მე-5 ყრილობა 2000 წლის 24 ნოემბერს<sup>1</sup> გაიმართა. ამ დროს უკვე ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობა შემცირდა. ეს ინვევდა საბიუჯეტო შემოსავლების კლებას და გრძელვა-დიან კრიზისს მოასწავებდა. ამას ემატებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მასშტაბების ზრდა, ხოლო ქვეყნის საგარეო ვალი 2002 წლისთვის მშპ-ის 48%-ს აღწ-ევდა. ამ ეკონომიკური მაჩვენებლების ფონზე დასაქმები-

<sup>1</sup> ხოშტარია სიმონ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაე-რთიანება V ყრილობიდან VI ყრილობამდე (24.XI.2000-19.XI.2004), თბილისი, 2004, გვ. 9

სა და უმუშევრობის დონე დისპალანსით ხასიათდებოდა. უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი კი შრომითი უფლებების დარღვევის მატგაბებს ზრდიდა და მასობრივ ხასიათს იღებდა მოკლევადიანი კონტრაქტები. ამ პერიოდს ასევე ახასიათებდა ხელფასებისა და პენსიების თვეობით დაგვიანება ან საერთოდ არ/ვერგაცემა. ამდენად, პროფესიული კავშირის მთავარ ფუნქციად იქცა მშრომელებისათვის დაგვიანებული ხელფასებისა და პენსიების დაბრუნებისთვის ბრძოლა. ამასთან, მზარდი სიღარიბისა და პოლიტიკური კრიზისებისგან გადაღლილ საზოგადოებაში საარსებო მინიმუმს გატოლებული შრომის ანაზღაურებისა და პენსიების დაბრუნება პროფკავშირების შელახული რეპუტაციის აღდგენის გზაც შეიძლება ყოფილიყო.

2000-იანი წლების დასაწყისში პროფესიული კავშირის ერთ-ერთი გამოკვეთილი როლი სიღარიბის დაძლევის პროგრამის მონიტორინგი იყო. 2000 წლის პირველი ივლისს შეიქმნა „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის შემუშავებელი სპეციალური კომისია“, რომელმაც მოამზადა პროგრამის შუალედური დოკუმენტი<sup>1</sup>. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ მომზადებულ ანალიტიკურ ანგარიშში „ანალიზი და შენიშვნები საქართველოს სიღარიბისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის სადისკუსიო მასალაზე“<sup>2</sup> კრიტიკულად არის შეფასებული მთავრობის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (სსფ) და მსოფლიო ბანკის მიერ სიღარიბის დაძლევის სტრატეგიათა ინიციატივები. 1994 წლიდან საქართველოს მთავრობის

<sup>1</sup> პროგრამა გამოქვეყნდა სადისკუსიო მასალის სახით.

<sup>2</sup> მწვანე ალტერნატივა, ანალიზი და შენიშვნები საქართველოს სიღარიბისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის სადისკუსიო მასალაზე. თბილისი, 2001, გვ. 5-6 <https://greenalt.org/app/uploads/2021/05/Comments-Geo.pdf>

მიერ დაწყებული სტაბილიზაციისა და რეფორმების პროგრამები (სტრუქტურული გარდაქმნები, პრივატიზაცია, ლიბერალიზაცია) მსოფლიო ბანკისა და სსფ-ის რეკომენდაციების მიხედვით ხორციელდებოდა. თუმცა, რეფორმებიდან ექვსი წლის შემდეგ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა საქართველოს ძლიერ დავალიანებულ ქვეყანათა სიაში ჩართვის შესახებ დაინტერეს საუბარი<sup>1</sup>. 1999 წელს კი 50 დიდი და საშუალო საწარმოს პრივატიზაციის შედეგად არ შექმნილა ახალი სამუშაო ადგილები<sup>2</sup>. ამ მაგალითებზე დაყრდნობით, 2000-იანი წლების ეკონომიკური თუ ფინანსური რეფორმები დასაქმებულთა ცხოვრების დონის გაუარესებაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, 2001 წლის იანვარში მსოფლიო ბანკმა მოიწონა ეს დოკუმენტი. 2002 წლის 22 ნოემბერს პროფესიულმა კავშირმა განიხილა აღნიშნული პროექტი და შეაჯამა, რომ პროგრამა წარმოადგენდა „ლიბერალური ტრანფორმაციის დასრულების პროექტს“.

შეიძლება ითქვას, რომ 1989-2000 წლების დამოუკიდებელი პროფესიონალის ჩამოყალიბებისა და მასში მიმდინარე საკადრო, ორგანიზაციული და სამართლებრივი ცვლილებების პერიოდი, თეორიულად, „ლიბერალური ტრანსფორმაციის“ კონტექსტში მიმდინარეობდა, თუმცა პრაქტიკაში ეს პროცესი ხასიათდება პიროვნული თუ იდეოლოგიური დაპირისპირებებით, აღურიცხავი ქონების სწრაფი და ქაოტური პრივატიზაციით, რომელსაც არ მოუტანია მოქალაქეთათვის ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება და

<sup>1</sup> მწვანე ალტერნატივა, ანალიზი და შენიშვნები საქართველოს სიღარიბისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის სადისკუსიო მასალაზე. თბილისი, 2001, გვ. 6 <https://greenalt.org/app/uploads/2021/05/Comments-Geo.pdf>

<sup>2</sup> იქვე. გვ. 7

უკეთესი სამუშაო პირობები. ამ პროცესების სავალალო შედეგები მომდევნო წლებში კიდევ უფრო დიდი სოციალური კრიზისის სახით იჩენს თავს. საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენის ზრდასთან ერთად, დამატებითი გარემოება იყო სანარმოებისა და ფაბრიკა-ქარხნების პრივატიზაცია, შედეგად კი სამუშაო ადგილებისა და ხელფასების შემცირება. ეკონომიკურ კრიზისს თან ახლდა პროფესიული კავშირების ბალანსზე არსებული ქონების მართვისა და გასხვისების (პრივატიზაციის) გაუმჯვირვალე პროცესი.

გვიანი 2000-იანი წლებისთვის საქართველოს პროფკავშირებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა დასაქმებულებსადასახელმწიფოს შორის შემდეგისაკითხების მედიაცია: მოკლევადიანი სამუშაო კონტრაქტები და შრომითი ხელშეკრულებები; სახელფასო დავალიანება და გაუარესებული შრომითი გარემო. პროფკავშირებისთვის დასაქმებულთა უფლებების დაცვის მექანიზმები, ძირითადად, მოიცავდა მთავრობის მისამართით გაგზავნილ ღია წერილებს, მიმართვებს, საგაზეთო პუბლიკაციებს, კონფერენციებსა და საზოგადოების ფართო მასების ინფორმირებას. ამასთან, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული პრობლემები და საკითხები განაპირობებდა საპირველმაისო დემონსტრაციისა და სხვა კოლექტიური პროტესტის მიზნობრივ და თემატურ ხასიათს, რასაც ხელი უნდა შეეწყო დასაქმებულთა მოსახლეობის სოციალური და პოლიტიკური აქტიურობის ზრდისთვის. თუმცა, პროფკავშირების ყრილობების მონაწილე დელეგატებისა და პროფნევრთა შემცირების ტენდენცია საპირისპიროზე მიუთითებდა, ხოლო ორგანიზაციის მიმართ საზოგადოების ნდობა იკლებდა.

თუ 1990 წლის დამფუძნებელ კრებაზე დელეგატების რაოდენობა 642-ს შეადგენდა, 2005 წლისთვის მათი რაოდენობა განახევრდა. უფრო დიდი კლებით ხასიათდება პროფესიული რაოდენობა. 1990 წელს, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს პროფესიონელებს 2 800 000 პროფესიული ჰყავდა, ხოლო 15 წელში მათი რაოდენობა თითქმის 90%-ით შემცირდა და 259 167 ადამიანი გახდა<sup>1</sup>. უნდა ითქვას, რომ 1990-1991 წლებში კავშირის წევრთა რაოდენობა – 2 800 000 ადამიანი – ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო, მათ შორის, საბჭოთა კავშირისა და დამოუკიდებელი პროფესიონელი პერიოდთან შედარებით.

### ცხრილი N 1<sup>2</sup>

პროფესიონელის ყრილობები	თარიღი	დელეგატთა რაოდენობა	პროფესიული რაოდენობა
საქართველოს პროფესიონელების XIX ყრილობა	1990 წლის 29 ივნისი	662	2 800
საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონელების კონფედერაციის I (დამფუძნებელი) ყრილობა	1990 წლის 29 ივნისი	662	2 800
საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონელების კონფედერაციის II რიგგარეშე ყრილობა	1991 წლის 24 აგვისტო	562	2 800

<sup>1</sup> ქრისტესიაშვილი კარლო, საქართველოში პროფესიონული მოძრაობის ქრონიკები, 1905-2010 წ.წ. თბილისი, 2010, გვ. 82

<sup>2</sup> ცხრილში მოცემული 1990-2005 წლის ყრილობების შესახებ მონაცემები გამოყენებულია ნაშრომიდან „საქართველოში პროფესიული მოძრაობის ქრონიკები 1905-2010“, ქრისტესიაშვილი კარლო, 2010. გვ. 82., ხოლო 2007-2017 წლების ყრილობების შესახებ მონაცემები გამოყენებულია კრებულიდან „პროფესიონული მოძრაობა საქართველოში“, 110 წელი, თბილისი, 2017. გვ. 26

საქართველოს დამოუკიდებელი პროფგავშირების კონფედერაციის III რიგარეშე ყრილობა	1992 წლის 18 დეკემბერი	505	-
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების IV ყრილობა	1995 წლის 1-ელი დეკემბერი	447	1 474
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების V ყრილობა	2000 წლის 24ნოემბერი	491	777 619
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების VI ყრილობა	2004 წლის 19 ნოემბერი	340	454 876
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების VII ყრილობა	2005 წლის 23 სექტემბერი	301	259 167
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების VIII ყრილობა	2007 წლის 21 დეკემბერი	267	212 776
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების IX ყრილობა	2007 წლის 21 დეკემბერი	200	254 327
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების X ყრილობა	2008 წლის 26 დეკემბერი	196	235 824
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების XI ყრილობა	2009 წლის 25-26 სექტემბერი	215	134 640
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების XII ყრილობა	2013 წლის 20-21 სექტემბერი	164	147 100
საქართველოს პროფესიული კატერების გაერთიანების XIII ყრილობა	2017 წლის 14-15 სექტემბერი	213	151 872

მოცემული მონაცემები მიუთითებს დამოუკიდებელი პროფესიული წევრების რაოდენობის შემცირებაზე, რაც სამი მიზეზით უნდა აიხსნას. პირველი, ეს არის პროფესიული გაერთიანების მიმართ ნდობის შემცირება და წევრობის გაუქმება; მეორე – უმუშევრობის დონის ზრდა და მესამე – ახალ პოლიტიკურ რეალობაში დასაქმებულებს გაუჩნდათ რეალური უფლება, თავად აერჩიათ ყოფილიყვნენ თუ არა კავშირის წევრები.

ამდენად, მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს პროფესიულ მოძრაობას 2000-იანი წლების ბოლოს შეექმნა რამდენიმე გამოკვეთილი პრობლემა: საგრძნობლად იკლო წევრების რაოდენობამ და შემცირდა მისი გავლენა, რადგან მან ვერ შეძლო ეფექტიანი შუამავლობა გაეწია დასაქმებულებს, სახელმწიფოსა და ახლადჩამოყალიბებულ კერძო მესაკუთრეებს, დამსაქმებლებს შორის; დაკარგა დიდძალი ქონება და შემოსავალი. პროფესიულებს სჭირდებოდათ ეპოვათ ახალი გზები, რომ ემართათ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მემკვიდრეობით მიღებული დიდძალი ქონება, ადაპტირებულიყვნენ ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოსთან, შეექმნათ შრომითი უფლებების დასაცავად ახალი მექანიზმები და, რაც მთავარია, აღედგინათ მშრომელთა შორის შრომითი ორგანიზაციის იდეის მიმართ დაკარგული ნდობა.

საქართველოს დამოუკიდებელი  
პროფესიული განათლისა და კულტურის  
მინისტრის გამოწვევების 2000-2004 წწ.

2000-2004 წლებში საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 53.4%, ყოველი მეორე, ღარიბად მიიჩნეოდა<sup>1</sup>. სიღარიბეს ამძაფრებდა სახელმწიფოს მხრიდან დასაქმებულების წინაშე სახელფასო დავალიანება. კერძოდ, სახელფასო დავალიანების ზრდის ტემპი მაღალი იყო 1998-2000 წლებში, ხოლო 2001 წლისთვის დავალიანების საერთო ოდენობა 200 მლნ. ლარს აღწევდა. 1999 წლის 4 ივნისიდან ქვეყანაში ოფიციალურად დადგინდა მინიმალური ხელფასი – 20 ლარი<sup>2</sup>, რომელიც არ შეესაბამებოდა საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებს. 2001 წლის დასაწყისში სამმხრივი გენერალური ხელშეკრულების შემუშავებისას საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ დააყენა საკითხი მინიმალური ხელფასის 50 ლარამდე გაზრდის შესახებ<sup>3</sup>. პროფესიული ხელფასის გაზრდის მიზნით მხარს უჭერდა სოციალური პარტნიორობის მექანიზმის ეფექტიან გამოყენებას.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიულების ჩამ-

<sup>1</sup> ეს ნორმატივი გამოდის როგორც სიღარიბის ზღვარი. თავისი შინაარსით, საარსებო მინიმუმი ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის დამაკაყოფილებელ კვლავნარმოებას და არ მოიცავს საქონლისა და მომსახურების სრულ ნაკრებს, ითვალისწინებს მხოლოდ მის აუცილებელ ნაწილს.

<sup>2</sup> საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №351, 1999 წლის 4 ივნისი, ქ. თბილისი მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112786?publication=0>

<sup>3</sup> „საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში გარდამავალი დებულების 22-ე მუხლის მე-19 პუნქტით წლის მეორე ნახევრიდან მინიმალური ხელფასი უნდა გაზრდილიყო 50 ლარამდე.

ოყალიბებიდან გვიან 2000-იან წლებამდე გაერთიანების ძირითადი გამოწვევები შეიძლება ორ მიმართულებად დაიყოს. პირველი – ეს არის ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობასთან ადაპტირება, რაც მოიცავდა დასაქმებულებზე ორიენტირებული ორგანიზაციული, სტრუქტურული და სამართლებრივი რეფორმების საჭიროებას; ხოლო მეორე მიმართულება იყო დასაქმებულთა და უმუშევართა წინაშე არსებული გამოწვევები, როგორიც არის შრომითი ხელშეკრულებები, ანაზღაურება, სამუშაო პირობები და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი.

2001 წლის გაზაფხულზე, ხელფასების დაფარვის მოთხოვნით მიტინგები და გაფიცვები გაიმართა ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ პედაგოგთა, ენერგეტიკოსთა, სამთო და მეტალურგიული მრეწველობის საწარმოს კოლექტივები. 2001 წლის 15 ივლისს გამოიცა პრეზიდენტის განკარგულება „ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი განათლების მუშაკთა შრომის ანაზღაურებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანების დაფარვის შესახებ“, რომლის საფუძველზეც იმავე თვეში დაიფარა პედაგოგთა ხელფასის დავალიანების ნაწილი, 7 მლნ. 626 ათასი ლარი. სახელფასო დავალიანებასთან ერთად პრობლემას წარმოადგენდა მოუწესრიგებელი, მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები, რაც აისახებოდა მძიმე შრომით პირობებსა და უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელზე.

გვიან 1990-იან წლებში სიღარიბის დაძლევის პროგრამისა და ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების გავლენით დაიწყო მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზება. თუმცა პრივატიზებული საწარმოების შედე-

გი სამუშაო ადგილების შექმნა არ ყოფილა. ასევე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ექსპორტირებულ საქონელზე მოდიოდა და არა ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობაზე, რაც სამუშაო ადგილების შექმნას აფერხებდა<sup>1</sup> და უმუშევრობას ახალისებდა.

გარდა ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისა, დაძაბულობა არ ცხრებოდა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაში. 2005 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს კულტურის ცენტრმა გაერთიანების სხდომას უმასპინძლა. სხდომის მოწვევის საფუძველი გახდა 2004 წლის ნოემბრის უკანასკნელი ყრილობა და არჩევნების შედეგები, რომლის მიხედვითაც ყრილობამ გაერთიანების თავმჯდომარედ ირაკლი ტულუში აირჩია. რიგგარეშე სხდომის მოტივი წინა არჩევნების შედეგებით უკმაყოფილება და ორგანიზაციის თავმჯდომარეობის მსურველ ოპონენტებს შორის არსებული დაპირისპირების განმუხტვა იყო. ყრილობაზე 300-მდე დელეგატმა მოისმინა ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობა და შემდეგ გაიმართა თავმჯდომარის არჩევნები, სადაც ერთმანეთს მოქმედი თავმჯდომარე ირაკლი ტულუში და მომსახურების სფეროს პროფესიონის ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი დაუპირისპირდნენ. 2005 წლის საქართველოს პროფესიული კავშირის არჩევნებში ირაკლი პეტრიაშვილმა<sup>2</sup> გაიმარჯვა. ამავე წლის ცნობების მიხედვით, პროფესიონერებში მიმდინარე არჩევნების მიმართ საზოგადოებაში

<sup>1</sup> მწვანე ალტერნატივა, ანალიზი და შენიშვნები საქართველოს სიღარიბისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის სადისკუსიო მასალაზე. თბილისი, 2001, გვ. 6. <https://greenalt.org/app/uploads/2021/05/Comments-Geo.pdf>

<sup>2</sup> საქართველოს პროფესიული კავშირის თავმჯდომარე 2005 წლიდან დღემდე (2024).

დაინტერესება ნაკლები იყო, რადგან მოქალაქეები ასეთი ორგანიზაციის არსებობას მისი არაეფექტურიანობის გამო ფორმალობად მიიჩნევდნენ<sup>1</sup>.

1989-2005 წლებში საქართველოს პროფესიულმა კავშირმა სამი ხელმძღვანელი გამოიცვალა და მეოთხე აირჩია<sup>2</sup>. საჯაროდ ხელმისაწვდომ დოკუმენტებსა და პრესის მასალებში პროფესიული გაერთიანების არჩევნები პოლიტიკური გავლენებითა და პირადი დაპირისპირებით ხასიათდება, რაც პროფესიონალის რეპუტაციის შელახვაზე მიანიშნებს. პროფესიულმა კავშირმა დამოუკიდებლობის აღდგენიდან 15 წლის შემდეგაც ვერ მოახერხა შიდა დაპირისპირებისა და პიროვნული კონფრონტაციის გადალახვა, ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობაში ვერ განსაზღვრა საკუთარი ფუნქცია.

## შრომის პოლიტიკა „ვარდების რევოლუციამდე“

1999-2000 წლებში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე ანიმაციური სერიალი „დარდუბალა“ გადიოდა, რომელიც მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გროტესკულ აღნერას წარმოადგენდა. სერიალის ცნობილ „საუნდტრეკში“ დაგვიანებული პენსიები, კორუმპირებული და მექრთამე მთავრობა ნორმად არის წარმოჩენილი:

<sup>1</sup> რეხვიაშვილი ჯიმშერ, ვინ უხელმძღვანელებს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას; რადიო თავისუფლება, 2005. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1543403.html>

<sup>2</sup> საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირების თავმჯდომარეები დამოუკიდებლობის 1987-2023 წლებში: ვიქტორია სირაძე – 1987-1989, პეტრე ჩხეიძე – 1989-1992, ირაკლი ტულუში – 1992-2005, ირაკლი პეტრიაშვილი 2005-დღემდე.

„თუკი შენს მეზობელს დაუგვიანეს 11 თვის პენსია  
და თუკი ქრთამი შენი მთავრობის ყოველდღიური  
ცხოვრების წესია.

იცოდე, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება.  
არ გაძრაზდე.

ყველაფერი, რასაც ხედავ, შენი სახლი, შენი  
სამშობლოა – საქართველო<sup>1</sup>.

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის (1992-2003) ბოლო წლებში ეკონომიკურმა სტაგნაციამ უკიდურეს მაჩვენებლებს მიაღწია. 2003 წლის პრესის მიმოხილვა აჩვენებს, რომ ხელფასების გაცემის თვალსაზრისით, სავალალო მდგომარეობა იყო თითქმის ყველა დარგში. დაგვიანებული ხელფასების მასშტაბის თვალსაჩინო მაგალითი ჰედაგოგთა შრომითი ანაზღაურება იყო. 2003 წლის ივნისში საშუალო სკოლების პედაგოგების მიმართ 8 მილიონი ლარის სახელფასო დავალიანება არსებობდა<sup>2</sup>. მძიმე მდგომარეობაში იყო, ასევე, საქართველოს შეიარაღებული ნაწილებიც<sup>3</sup>. განათლების, საწარმოო, სოციალურ თუ სხვა დარგებში არსებული ფინანსური და მართვითი კრიზისი ფართოვდებოდა და საზოგადოების უკმაყოფილება იზრდებოდა, რაც პროფესიონელების პოლიტიკურ როლს ზრდიდა. პროფესიონელების მთავარი საქმიანობა ამ დროისათვის სახელმწიფოსთან საკუთრების განაწილების

<sup>1</sup> ანიმაციურ სერიალ „დარდუბალას“ სიმღერა: <https://www.youtube.com/watch?v=7Xhf7w3fPVM>

<sup>2</sup> მასწავლებელთა ხელფასების დაგვიანება – პოლიტიკური თუ ფინანსური პრობლემა, რადიო თავისუფლება, 2003. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1529125.html>

<sup>3</sup> თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ახალი ბუნტის საფრთხეზე საუბრობს, რადიო თავისუფლება, 2003. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1529249.html>

დავები იყო<sup>1</sup>, ასევე კორუფციული სკანდალებისა და შიდა დაძაბულობების გამო პროფესიული ვერ ადაპტირდა ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობაში და ვერ ჩამოყალიბდა, როგორც ქმედითი, სანდო და დასაქმებულ-თა ინტერესებზე ორიენტირებული გაერთიანება.

2003 წლისთვის, საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაგნაცია საზოგადოების ცხოვრების ყველა დონეზე შეიმჩნეოდა. შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო წელს, მინისტრების ხელფასი საცხოვრებელ მინიმუმს მცირედ აღემატებოდა, რაც მათი მხრიდან თანამდებობების პირადი საგებლისთვის გამოყენების ალბათობას ზრდიდა. ამ პრობლემის თავიდან ასარიდებლად შეიქმნა რეფორმებისა და განვითარების ფონდი უმაღლესი სამთავრობო მოხელეებისათვის ხელფასების გადახდის უზრუნველსაყოფად, რაც უცხოელი დონორებისა და ქართველი ბიზნესმენების მიერ ფინანსდებოდა<sup>2</sup>. ფონდმა მაღალი ხელფასების დაწესებით საჯარო სამსახურში ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრები მიიწვია, თუმცა ბიზნესის მიერ დაფინანსებულ სახელმწიფო მოხელეებს შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტი ჰქონოდათ ბიზნესის სასარგებლოდ.

2003 წლის „ვარდების რევოლუციამდელი“ სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ სისუსტეს გადასახადების აკრეფის უუნარობა, „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ და კორუფცია წარ-

<sup>1</sup> ჯონსი სტივენ, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადებს შემდეგ: სოციალური მეცნიერებების ცენტრი, თბილისი, 2013 [2012], გვ. 180

<sup>2</sup> ნოდია გია, ალვარო პინტო სქოლტბახი, საქართველოს პოლიტიკური ლანდმაფტი, პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი, 2006, გვ. 30. <http://www.cipdd.org/upload/files/Political%20Parties%20achievements,%20challenges%20and%20prospects%20-%20text%20ge.pdf>

მოადგენდა<sup>1</sup>. ამ პრობლემების მოგვარების გზაზე დაბრკოლებად საბჭოთა მართვის სტილი და კულტურული მიდგომები სახელდებოდა, რისი გადაჭრის გზადაც დაჩქარებული მოდერნიზაციის საჭიროება მიიჩნეოდა.

მიუხედავად კავშირში არსებული დაძაბული მდგომარეობისა, 2000 წლისთვის საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება საკანონმდებლო საქმიანობაში აქტიურად იღებდა მონაწილეობას და რიგი გამარჯვებებიც ჰქონდა მოპოვებული. მაგალითად, 1993 და 2001 წელს „ზოგადი ხელშეკრულების“ გაფორმების ინიციატორი იყო, რომელიც 40-საათიან სამუშაო კვირასა და წელიწადში, მინიმუმ, 24-დღიან შევებულებას ითვალისწინებდა<sup>2</sup>. 1997 წელს გაერთიანების მონაწილეობით მიიღეს პროფკავშირების შესახებ ახალი კანონი, რომლის 13.2. მუხლის მიხედვით შენარჩუნდა საყოველთაო გაფიცვის უფლება<sup>3</sup>: „პროფესიულ კავშირს მუშავთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის მიზნით უფლება აქვს, კანონმდებლობის შესაბამისად, მოამზადოს და ჩაატაროს გაფიცვა, მიტინგი, დემონსტრაცია და სხვა მასობრივი საპროტესტო აქცია<sup>4</sup>“. კანონში ასევე ჩაიწერა

<sup>1</sup> ნოდა გია, ალვარო პინტო სქოლტახი, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი, 2006, გვ. 30. <http://www.cipdd.org/upload/files/Political%20Parties%20achievements,%20challenges%20and%20prospects%20-%20text%20ge.pdf>

<sup>2</sup> ჯონსი სტივენ, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სოციალური მეცნიერებების ცენტრი, თბილისი, 2013 [2012], გვ. 181

<sup>3</sup> 2006 წელს, ახალი შრომის კოდექსის მიღების შემდეგ, ეს უფლება იზღუდება. ჯონსი სტივენ, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სოციალური მეცნიერებების ცენტრი, თბილისი, 2013 [2012], გვ. 182

<sup>4</sup> საქართველოს კანონი პროფესიული კავშირების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33376?publication=6>

მუხლი (მეხუთე მუხლი) პროფესიული კავშირების პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და პარტიული გავლენებისგან თავისუფლების შესახებ<sup>1</sup>.

ერთი მხრივ, პროფესიული საქმიანობის შესახებ დემოკრატიული საკანონმდებლო ცვლილებების მიღება 1995 წელს მიღებული კონსტუტუციის გამოძახილი იყო, და, მეორე მხრივ, ეს ცვლილებები ქვეყნის პოლიტიკური სტაბილიზაციის პერიოდს უკავშირდება – სამოქალაქო და აქტიური შეირაღებული დაპირისპირებები დასრულდა, ქვეყანას ჰყავდა ხელმძღვანელობა და ჰქონდა ახალი კონსტიტუცია. ამ ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდა, პროფესიული საქმიანობა, ქუჩის დემონსტრაციებთან ერთად, საკანონმდებლო ორგანოშიც გაგრძელებულიყო.

2003 წლისთვის, პარლამენტში საშემოსავლო დაბეგვრის პროგრესული სისტემიდან პროპორციულზე გადასვლის განხილვისას, ცნობილი გახდა, რომ შემოღებული იქნებოდა გადასახადის 20%-იანი კატეგორია. პროფესიული კავშირის გაერთიანება ამ ცვლილებას ენინააღმდეგებოდა, რადგან მიიჩნევდა, რომ დაბალი ხელფასების, უმუშევრობისა და სახელფასო დავალიანების პირობებში საშემოსავლო დაბეგვრის გაზრდა კიდევ უფრო დიდ ტვირთად დააწევებოდა მოქალაქეებს.

<sup>1</sup> მუხლი 5. პროფესიული კავშირის დამოუკიდებლობა: 1. პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) დამოუკიდებელი არიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დამსაქმებელთა, დამსაქმებელთა გაერთიანებების (კავშირების, ასოციაციების), პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისაგან, არ არიან მათ წინაშე ანგარიშვალდებული და არ ექვემდებარებიან მათ კონტროლს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. 2. პროფესიული კავშირი არ ქმნის და არ მიეკუთვნება არც ერთ პოლიტიკურ პარტიას (გაერთიანებას).

2003 წლისთვის მშრომელთა 66% თვითდასაქმებული, ხოლო 30% დაქირავებული იყო, სოფლად კი 78% მიჩნეოდა თვითდასაქმებულად, რაც სამუშაო ადგილების სიმცირით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე კერძო კომერციული საქმიანობის ზრდითა და რეალური თვითდასაქმებით<sup>1</sup>. სტივენ ჯონსი მშრომელთა უფლებებისათვის მიყენებულ პირველ დარტყმად დასაქმების სტრუქტურის რადიკალურ ცვლილებებს, თვითდასაქმებულთა ხარჯზე დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლის ზრდასა და, პრივატიზაციის შედეგად, სახელმწიფო სექტორის დაქვეითებას მიიჩნევს. მეორე მიზეზად ჯონსის მოჰყავს უმუშევრობის სწრაფი ზრდა. 2002 წელს ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, ავტორი მიუთითებს, რომ დასაქმებულთა 20%-ს ჰქონდა ხელფასიანი სამსახური და მათი ნახევარი სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებულ ორგანიზაციებში მუშაობდა, კერძო სექტორში კი მხოლოდ 13-14%-ს ჰქონდა სტაბილური ხელფასი. მესამე სირთულე კი ჩრდილოვანი ეკონომიკა იყო, რომლის წილიც ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას (1992-2003) 40-80%-ს შეადგენდა<sup>2</sup>. დასაქმებულებს სახელფასო შემოსავალი არასტაბილური წყაროებიდან ჰქონდათ, რაც ხელს უშლიდა სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას და დასაქმებულების აქტიურად ჩართვას საკუთარი შრომითი ინტერესების დაცვის პროცესში.

2004 წლის საქართველოს პროფკავშირების ანგარიშში ნათქვამია, რომ ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ ახორციელებდა ქმედით ღონისძიებებს. მისი ძირითადი საქმიანობა 1998-2003 წლებში სახელფასო დავალიანების

<sup>1</sup> ჯონსი სტივენ, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სოციალური მეცნიერებების ცენტრი, თბილისი, 2013 [2012], გვ. 179-180

<sup>2</sup> იქვე.

ანაზღაურება იყო. ანგარიშში მოცემულია, რომ, 2004 წლის მონაცემებით, დაახლოებით 700 ათასიდან 1 მილიონამდე მოქალაქე წავიდა ქვეყნიდან არალეგალური დასაქმების მიზნით, დასაქმებულთა პროცენტული გადანაწილება (90%) უმეტესად სახელმწიფო (69 000 ადამიანი) და არასახელმწიფო სექტორის საწარმოებზე მოდიოდა (48 000 ადამიანი), ხოლო საბიუჯეტო სექტორზე მხოლოდ – 9 000 ადამიანი<sup>1</sup>. ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ თუ უმუშევრებისთვის დასაქმება იყო პრობლემა, დასაქმებულებისთვის დაბალი ანაზღაურება და არასახარბიერო შრომითი პირობები ქმნიდა კრიზისულ მდგომარეობას. ორივე ჯგუფისთვის კი პოტენციურ გამოსავალს შრომითი მიგრაცია წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ მცირდებოდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, მათ გამოთავისუფლებულ ნაკადს, შეზღუდული რესურსებისა და შესაძლებლობების გამო, ვერ ითვისებდა კერძო სექტორი, რაც თვითდასაქმებულების ან უმუშევრების რაოდენობის ზრდაში აისახებოდა, და, საბოლოოდ, ორივე მაჩვენებლის ზრდა განუვითარებელ ეკონომიკაზე მიუთითებდა. ამ პერიოდში განსაკუთრებით შემცირდა მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა. პრივატიზაციის შედეგად კერძო საკუთრებაში გადასული სამრეწველო ობიექტების დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილი არასახელმწიფო სექტორში შეეთავაზებინა. ამასთან, მაღალი ფასების გამო, წარმოებული პროდუქცია ნაკლებკონკურენტული იყო ბაზარზე,

<sup>1</sup> ხოშტარია სიმონ, საქართველოს პროფესიული კაფირების გაერთიანება V ყრილობიდან VI ყრილობამდე (24.XI.2000-19.XI.2004), თბილისი, 2004, გვ. 29

ხოლო საწარმოები მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე ორი-ენტირებულობის გამო, მცირე რაოდენობით პროდუქ-ციას უშვებდნენ და ვერ უზრუნველყოფდნენ საწარმოს სრულ დატვირთვას, რაც მათ უმოქმედობასა და ფინანს-ურ ზარალს იწვევდა. საჯარო მონაცემების მიხედვით, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 1800 საწარმოდან 70% წაგებაზე მუშაობდა<sup>1</sup>, რაც მაშინ არაკვალიფიციური მენეჯმენტის, საბაზო ეკონომიკის პირობებში დაბალი კონკურენტუნარიანობისა და მოძველებული ტექნოლო-გიების არსებობით აიხსნებოდა.

2003 წლისთვის თვითდასაქმებულთა რაოდენობა 65-70%-ს შორის მერყეობდა, ხოლო უმუშევრობის ოფი-ციალური მაჩვენებელი 10-11%-ს აღწევდა, რაც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა ხარჯზე იყო შემცირე-ბული. მაღალი იყო თვითდასაქმებულთა წილი ვაჭრობა-ში, ტრანსპორტსა და საყოფაცხოვრებო მომსახურება-ში. დაბალი ანაზღაურების გამო იზრდებოდა მეორადი დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი, ე.ი. იმ ადამი-ანების რაოდენობა, რომლებიც შემოსავლის გაზრდის მიზნით მეორე და მესამე სამსახურებში მუშაობდნენ. ამ-დენად, არარეგულირებული ან ნაკლებად რეგულირებული დასაქმების სფეროების ხარჯზე, ქვეყნისა და მოქალაქეე-ბის ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურად კრიზისში იყო. ცვლილებების საჭიროება იზრდებოდა, დაგროვილი ეკონომიკური პრობლემები და ხანგრძლივი სტაგნაცია მასობრივ უიმედობას იწვევდა. უნდობლობა იზრდებოდა არა მხოლოდ პროფესიული კავშირის, არამედ სახელმწი-ფოს თითქმის ყველა ინსტიტუტის მიმართ.

<sup>1</sup> სახელმწიფო საწარმოთა 70 პროცენტი წაგებაზე მუშაობს, რადიო თავისუფლება, 2003. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1529278.html>

## შრომის პოლიტიკა და „ვარდების რევოლუცია“

2003 წლის ნოემბერში საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, უკმაყოფილო საზოგადოებამ საქართველოს პარლამენტის შენობის წინ დაიწყო შეგროვება. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის საბაბს გაყალბებული არჩევნები წარმოადგენდა, საზოგადოების უკმაყოფილება ეკონომიკური და სოციალური თემებით იყო მოტივირებული. მათ შორის იყო დაგვიანებული ხელფასები, პენსიები, ენერგეტიკა, ზოგადი ცხოვრების დონე და კორუფცია. ქუჩის საპროტესტო დემონსტრაციებისა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ახალმა, „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ ლიბერალური დემოკრატიისა და ლიბერალური ეკონომიკის შექმნის მიზანი დაისახა, თუმცა საბაზრო ეკონომიკისა და ინდივიდუალური უფლებების დასაბალანსებელი მექანიზმები მის სისუსტეს წარმოადგენდა<sup>1</sup>.

2004 წლისთვის პროფესიული კავშირების მთავარი გამოწვევა იყო უმუშევარი წევრები ანდა ის დასაქმებულები, რომლებსაც ხელფასები/შრომის ანაზღაურება თვეობით არ ჰქონდათ აღებული. პროფესიონალური საქმიანობაც ამ პერიოდში სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ხელშეწყობასა და სახელმწიფოს, დასაქმებულსა და კერძო კომპანიას შორის მედიაციას გულისხმობდა, რაც აფერხებდა შრომით სფეროში სამეცნიერო პროცესის, უსაფრთხო შრომის პირობებისა და პროფესიული დაავადებების/ზიანის შემცირებაზე ან სხვა ტიპის გამოწვევებზე

<sup>1</sup> ჯონსი სტივენ, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სოციალური მეცნიერებების ცენტრი, თბილისი, 2013 [2012], გვ. 149-152

მუშაობას. „საქართველოს პროფესიული კავშირების მე-5 ყრილობიდან მე-6 ყრილობამდე“ ჩანაწერებში საქართველოს პროფესიული მიუთითებენ შრომის უსაფრთხო პირობების სავალალო მდგომარეობაზე, სახელმწიფო ინსპექტორების სისუსტესა და შრომის დაცვის ფონდის სამ დონეზე შექმნის აუცილებლობაზე: ცენტრალურ, მუნიციპალურ და ადგილობრივ დონეებზე. ასევე, გაერთიანების მიხედვით, ხშირი იყო შრომის კოლექტიური ხელშეკრულებების დარღვევა, თუმცა ამ დარღვევების წინაშე პროფესიული კავშირი უძლური იყო. „საქართველოს ელექტროკავშირის“, „საქართველოს ფოსტის“, ჯანდაცვის მუშაკებისა და სხვა დაწესებულებების შემთხვევაში თანამშრომლები უხეშად გადაჰყავდათ ვადიან ხელშეკრულებებზე ან მათ ნაწილს ათავისუფლებდნენ სამსახურებიდან<sup>1</sup>.

იმის გამო, რომ მშრომელთა უფლებების დაცვის საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იძენდა, პროფესიონალი სხვადასხვა გზას მიმართავდა საზოგადოებრივი კონტროლის გასაძლიერებლად: სხდომებზე განიხილავდნენ კანონმდებლობის დაცვის საკითხებს, აკეთებდნენ საჯარო განცხადებებს, მიმართვებს, მოთხოვნებს, აწყობდნენ საპროტესტო და საინფორმაციო აქციებს, ორგანიზებას უწევდნენ შეხვედრებს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობასთან, მიმართავდნენ სასამართლო ორგანოებს, ენეოდნენ მშრომელთა შორის ახსნა-განმარტებით მუშაობას, აწყობდნენ შრომითი კოდე-

<sup>1</sup> ხოშტარია სიმონ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება V ყრილობიდან VI ყრილობამდე (24.XI.2000-19.XI.2004), თბილისი, 2004, გვ. 44-45

ქსის განხილვას, სემინარებს, კადრების სწავლებას და ა.შ.<sup>1</sup> მიუხედავად საქმიანობის მრავალფეროვნებისა, პროფესიული კავშირების მიერ ამ პერიოდში დაწყებული კამპანიები მასშტაბურ შედეგებს ვერ აღწევდა.

დარგობრივი პროფერენციული ორგანიზაციების ხშირი მსჯელობის საგანი იყო ასევე დასაქმებულ ქალთა შრომითი და სოციალური უფლებების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქალებს უნევდნენ კონსულტაციებსა და საინფორმაციო დახმარებას, პრობლემათა მრავალფეროვნებისა და სიმრავლის გამო, გაერთიანების მიერ განეული მუშაობა არასაკმარისი იყო<sup>2</sup>. დასაქმებული ჯგუფებიდან ცალკე რომელიმე სოციალური ჯგუფის გამოყოფა ან კონკრეტული შრომითი უფლების დარღვევის შემთხვევებზე რეაგირება ნაკლებად ეფექტიანი იყო, რადგან ქვეყნის მასშტაბით არსებობდა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის განხილვისას უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ხოშტარია მიიჩნევს, რომ, პირველ რიგში, ეს იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელოვნური გაჭიანურება. შრომის კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლას ართულებდა ასევე კანონის დარღვევების მასობრივი ხასიათი და ის ფაქტი, რომ განურჩევლად სახელმწიფო თუ კერძოსექტორისა, შრომითი უფლებების დაცვის საჭიროება თითქმის ყველა ტიპის დაწესებულებაში მწვავედ იდგა. ამ პრობლემებს თან ერთვოდა ახალი კანონმდებლობა და მათი არცოდნა, როგორც

<sup>1</sup> ხოშტარია სიმონ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება V ყრილობიდან VI ყრილობამდე (24.XI.2000-19.XI.2004), თბილისი, 2004, გვ. 52

<sup>2</sup> იქვე, გვ. 57-58

დამქირავებელთა, ისე დაქირავებულთა მხრიდან; კანონის ალსრულების ეფექტითანი მექანიზმების არარსებობა; ახალი ხელმძღვანელების ცვლილება და მათი მხრიდან პრობლემასთან გამკლავების რეფორმისტული მიღებომა – ძველი თანამშრომლების გაშვება და ახალი (საკუთარი) კადრების მოყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი შრომითი უფლებების დაუცველობის ელემენტებს ატარებდა, მის მიმართ გულგრილი რჩებოდა სახელმწიფო<sup>1</sup>.

2000-იანი წლების დასაწყისში მშრომელთა უფლებებისა და არსებული შრომის კოდექსის დარღვევა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში მასობრივ ხასიათს იღებდა. პრობლემას წარმოადგენდა ასევე პროფესიული კავშირების გაერთიანების საქმიანობისთვის ხელის შეშლის მაგალითები. პროფესიონალების საქმიანობის აღწერებში მოყვანილია ასეთი შემთხვევების ჩამონათვალი, საიდანაც ჩანს, რომ შრომის კოდექსის დარღვევის ფაქტები თითქმის ყველა სფეროში არსებობდა. კერძოდ, 26-ე პოლიკლინიკაში ადმინისტრაცია ხელს უშლიდა პროფესიონალი ორგანიზაციის შექმნას; სს „ტრაქტების“ ადმინისტრაციის მხრიდან დირექტორმა თავად შექმნა ე.წ. „დამოუკიდებელი პროფესიონალი“ და თავად იქნა თავმჯდომარედ არჩეული. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პროფესიონალი საქმიანობაში უხეში ჩარევის ფაქტი დადასტურდა ბოლნისის რაიონში, სადაც გამგებელ ჯაფარიძის ინიციატივით შეიქმნა „ბოლნისის თავისუფალი პროფესიონალი“, რომლის ხელმძღვანელი გახდა ბოლნისის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და

<sup>1</sup> ხოშტარია სიმონ, საქართველოს პროფესიული კაგშირების გაერთიანება V ყრილობიდან VI ყრილობამდე (24.XI.2000-19.XI.2004), თბილისი, 2004, გვ. 60-61

სკოლის დირექტორი<sup>1</sup>. ასეთი შემთხვევები მიუთითებდა, რომ მმართველი პარტია და პროფკავშირული ორგანიზაცია სრულად ან ყოველთვის ერთმანეთისგან გამიჯნული არ იყო, რაც დამოუკიდებელი პროფკავშირის იდეას ჩრდილს აყენებდა.

2004 წლის პირველ სექტემბერს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში და მოითხოვა, რომ სასამართლოს არაკონსტიტუციურად ეცნო 2003 წლის 31 დეკემბრის კანონი<sup>2</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე“<sup>3</sup> და 2004 წლის 24 ივნისის კანონი<sup>4</sup> „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის

<sup>1</sup> ხოშტარია სიმონ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება V ყრილობიდან VI ყრილობამდე (24.XI.2000-19.XI.2004), თბილისი, 2004, გვ. 58-59

<sup>2</sup> საქართველოს კანონი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე. 2003 წლის 31 დეკემბერი (კანონმა ძალა დაკარგა 2006 წლის 3 ივლისს). <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/13234?publication=0>

<sup>3</sup> ხოშტარია სიმონ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება V ყრილობიდან VI ყრილობამდე (24.XI.2000-19.XI.2004), თბილისი, 2004, გვ. 64-66

<sup>4</sup> 2004 წლის 24 ივნისის ცვლილებებით საჯარო სამსახურის მართვის ცენტრალიზებული მოდელის შექმნისა და მისი ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით, საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავების, საქმიანობის კოორდინაციისა და საჯარო სამსახურის სფეროს მიკუთვნებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მომზადებისათვის საქართველოს პრეზიდენტთან ჩამოყალიბდა საჯარო სამსახურის საბჭო, როგორც პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, ხოლო ბიურო გამოეყო მთავრობის კანცელარიას და შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით – საჯარო სამსახურის საბჭოსა და მისი ნევრების საქმიანობის ტექნიკური, საინფორმაციო და საექსპერტო უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, კომენტარები. თბილისი 2018, გვ. 82-83. <http://csb.gov.ge/media/3016/კანონის-კომენტარები.pdf>

შესახებ“. საბოლოოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე 12 ოქტომბერს უარი უთხრა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას კონსტიტუციური სარჩელის მიღებაზე, რადგან ის „არასათანადო მოსარჩელედ“ მიიჩნია<sup>1</sup>.

საქართველოს პროფესიული კავშირის საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობა მასშტაბური შედეგების მომტანი არ იყო დასაქმებულებისთვის, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ხელისუფლება და კერძო კომპანია ითვალისწინებდნენ პროფესიული კავშირების მოთხოვნებს. მაგალითად, 2001 წლის თებერვალში „თბილსრესის“ მუშაკთა სამდლიანი გაფიცვის შედეგად მშრომელებს აუნაზღაურდათ 2 თვის ხელფასი; „ე-ი-ეს თელასის“ ადმინისტრაციამ ერთი წლით უზრუნველყო 2 300 მუშაკი სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის სამედიცინო დაზღვევით<sup>2</sup>.

მიუხედავად იმ გამოწვევებისა და გაურკვევლობისა, რასაც საქართველოს პროფესიული კავშირი აწყდებოდა 2000-იანი წლების დასაწყისში, ის მაინც გარკვეულ როლს ასრულებდა ქვეყანაში შრომის კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში. თუმცა პროფესიული კავშირების მონაწილეობა და გავლენა ყოველთვის არ იყო ეფექტიანი და თანმიმდევრული. მომდევნო წლებში რევოლუციური გზით მოსული ხელისუფლების მიერ გაცხადებული ლიბერალური და რადიკალური ეკონომიკური ხედვის პირობებში, პროფესიულებსა და დასაქმებულთა ინტერესების დამცველ გაერთიანებებს სხვადასხვა დაბრკოლება და

<sup>1</sup> ხოშტარია სიმონ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება V ყრილობიდან VI ყრილობამდე (24.XI.2000-19.XI.2004), თბილისი, 2004, გვ. 68

<sup>2</sup> იქვე, გვ. 74

შეზღუდვა შეექმნათ, მათ შორის, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში.

## ლიპერალური დემოკრატიზაცია და 2006 წლის რეფორმები

2006 წელი საქართველოს სოციალური და შრომითი პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებით აღინიშნა. „ვარდების რეფორმულუციის“ მესამე წელს, ქვეყანაში გაუქმდა შრომის ინსპექცია. 2006 წელს მიმდინარე რეფორმების ტალღის ნაწილი იყო სხვა მარეგულირებელი უწყებების გაუქმება და სოციალური დახმარების შესახებ<sup>1</sup>. ახალი კანონის მიღება. ლიბერალური დემოკრატიზაციის რეფორმების ფარგლებში მიმდინარე მასშტაბებისა და ტემპის აღსანერად იურისტი ვახტანგ ნაცვლიშვილი ტერმინ „რეფორმუციას<sup>2</sup>“ იყენებს და აფასებს, რომ „სოციალური დახმარება 2006 წლიდან ხელისუფლების მიერ ღარიბებისთვის გაღებულ საჩუქრად არის მიჩნეული“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კანონმდებლური „სოციალური დახმარების სისტემის შესახებ“. 2006. <https://parliament.ge/statute/11059>

<sup>2</sup> ტერმინი რეფორმუცია ეკუთვნის ისტორიკოს ტიმოთი გარონ ეშს (Timothy Garton Ash) და ის გულისხმობს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების ისეთ პროცესს, რომელიც ერთდროულად აერთიანებს რეფორმის ელემენტებს ან სტრუქტურულ ცვლილებებს და რეფორმუციის ელემენტებს. იმის ნაცვლად, რომ მთლიანად დაიშალოს ყოფილი სისტემა, ახალი პოლიტიკური დემოკრატიული სისტემები სწორედ მათზეა დაფუძნებული, არა მხოლოდ მათი სტრუქტურით, არამედ პერსონალითაც. <https://calenda.org/407912>

<sup>3</sup> ნაცვლიშვილი ვახტანგ, „ჭუასუსტები, ლოთები, მათხოვრები“ – საქართველოს სოციალური კანონის მოქლე ისტორია, 2022. <https://socialjustice.org.ge/ka/products/chkuasustebi-lotebi-matkhevrebi-sakartvelos-sotsialuri-kanonis-mokle-istoria>

2005 წელს საქართველოს პროფესიულ კავშირებში ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელმძღვანელი შეიცვალა და საქართველოს გაერთიანებული პროფესიონალური თავმჯდომარე გახდა ირაკლი პეტრიაშვილი. პეტრიაშვილის თანახმად, ამ წელს ახალგაზრდების გუნდი მოვიდა პროფესიონალური ხელმძღვანელობაში. ამ დროისათვის საქართველოს გაერთიანებული პროფესიონალურის მთავარ გამოწვევად ის ასახელებს ორგანიზაციის როლის გათავისებას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან დიდი ხნის მანძილზე, დაახლოებით „2005 წლამდე, მაშინდელი პროფესიონალური დაკავებული იყო იმით, რომ ექვებდა სიახლოვეს მთავრობასთან, და რაც უფრო მეტად ექვებდა ამას, მით უფრო შორდებოდა [...] მრავალრიცხოვან წევრებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ“<sup>1</sup>.

2006 წლის 24 ნოემბერს საქართველოში პროფესიონების მერვე (რიგგარეშე) ყრილობა გაიმართა, სადაც აღინიშნა საქართველოს პროფესიული კავშირის 100 წლისთავი. ამავე წელს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და მარეგულირებელი ინსტიტუტების გაუქმებას სავალალო შედეგები მოჰყვა თითქმის ყველა დარგსა და საწარმოში – გაუარესდა დასაქმებულთა შრომითი მდგომარეობა, კერძოდ, გაიზარდა დასაქმებულთა მასობრივი დათხოვნის შემთხვევები, გართულდა პროფესიონების შექმნის პროცესი, შრომის სახელმწიფო ინსპექციის გაუქმების შემდეგ ბევრ საწარმოში სათანადო ყურადღების მიღმა დარჩა შრომის უსაფრთხოების საკითხები, რამაც გამოიწვია სამუშაოზე დაზარალებულთა რაოდენობის ზრდა, ზეგანაკვეთური სამუშაოს შეს-

<sup>1</sup> ინტერვიუ საქართველოს გაერთიანებული პროფესიონალური ხელმძღვანელ ირაკლი პეტრიაშვილთან ჩაწერილია 2023 წლის ნოემბერში.

რულება ანაზღაურების გარეშე ნორმად იქნა მიჩნეული და სხვა. 2006 წელს შრომის კოდექსის ცვლილებაზე პროფკა-ვშირის პასუხის ქუჩის საპროტესტო დემონსტრაციები იყო. ერთ-ერთ ასეთ საპროტესტო შეკრებაზე, პეტრიაშვილის თანახმად, 14 000 ადამიანი გამოვიდა თბილისში, პარლამენტის შენობის წინ. ახალი კოდექსის მიხედვით, დამსაქმებელს შეეძლო დასაქმებულის სამსახურიდან გა-თავისუფლება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, რაც არასასურველი კადრების თავიდან მოშორების გზა შეიძლება ყოფილიყო. პეტრიაშვილი ამ კოდექსს ასე აფ-ასებს – „ვალდებულებები დასაქმებულებისთვის, უფლე-ბები დამსაქმებლებისთვის“<sup>1</sup>.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებული 1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია და 1997 წლის საქა-რთველოს შრომის კანონთა კოდექსში შეტანილი ცვლი-ლებები აღიარებდა შრომის თავისუფლებას და უგულე-ბელყოფდა იძულებითი შრომის პრინციპს. სპეციალური კანონები – „პროფესიული კავშირების შესახებ“, „კოლე-ქტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“ და „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შეს-ახებ“ ამყარებდა კონსტიტუციითა და შრომის კოდექსით გათვალინებულ პრინციპებს. თუმცა 1997 წელს მიღე-ბული საგადასახადო კოდექსის შესახებ სტივენ ჯონსი წერს, რომ „ხელისუფლების და ბიზნესის ურთიერთობე-ბი ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ავადმყოფური ინტიმურობით ხასიათდება. 1997 წელს მიღებული საგა-დასახადო კოდექსი მეწარმეებმა პარლამენტს შვიდი წლის

<sup>1</sup> ინტერვიუ საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირის ხელმ-დღვანელ ირაკლი პეტრიაშვილთან ჩაწერილია 2023 წლის ნოემბერში.

განმავლობაში 75-ჯერ შეაცვლევინეს, სახელმწიფოსგან მფარველობა რომ მიეღოთ და შეღავათებით ესარგებლათ<sup>1</sup>“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ 1990-იან წლებში დაწყებული ფარული თუ ღია სამართლებრივი ბრძოლა დამსაქმებლებს (ბიზნესს), სახელმწიფოსა და დასაქმებულებს შორის თავიდანვე უთანასწოროდ და ამ უკანასკნელის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობდა.

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი შრომის კოდექსი და ძალადაკარგულად გამოცხადდა ყველა ხსენებული ნორმატიული აქტი, გარდა „პროფესიული კავშირების შესახებ“ კანონისა. 2006 წლის შრომის კოდექსში მოცემული სამართლებრივი ხედვა მხარეების – დამსაქმებლისა და დასაქმებულის შეთანხმებას ანიჭებდა უპირატესობას. მაშასადამე, თუ დასაქმებული და დამსაქმებელი შეთანხმდებოდნენ, ეს გარიგება მიიჩნეოდა კოდექსთან შედარებით მეტი ძალის მქონედ. ამასთან, მხარეებს შეეძლოთ შეთანხმებულიყვნენ შრომის კოდექსისგან განსხვავებულ შრომით პირობებზე. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის, სოციალური ფონისა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის გამო, მოქალაქეები გამოიუვალ მდგომარეობაში რჩებოდნენ და შრომის ანაზღაურების მიღების მიზნით მძიმე შრომით პირობებზე თანხმდებოდნენ. 2006 წლის შრომის კოდექსი „დამსაქმებლის ინტერესზე მორგებულ კანონმდებლობად“ და საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან შეუსაბამობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემების მქონე კანონად

<sup>1</sup> ჟონსი სტივენ, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სოციალური მეცნიერებების ცენტრი, თბილისი, 2013 [2012], გვ. 166

შეფასდა<sup>1</sup>. ერთ-ერთი ასეთი შეუსაბამობა იყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გაერთიანების თავისუფლების კომიტეტის 2008 წლის დასკვნა, რომლის მიხედვითაც<sup>2</sup>, პროფესიული დაარსების მსურველთა მინიმალური ზღვარი (100 პირი), სასურველი იყო, შემცირებულიყო 15-20 ადამიანამდე.

პროფესიული დაარსების თავმჯდომარის მოადგილის, რაისა ლიპარტელიანის თქმით, 2010-იანი წლებისთვის დასაქმებულთა დაცვის ერთადერთი მექანიზმი სასამართლო იყო, თუმცა „2012-2013 წლებამდე საერთო სასამართლოებში ფაქტობრივად ყველა დავა დასაქმებულთა წაგებით სრულდებოდა<sup>3</sup>“. ამდენად, 2000-იანი წლების ბოლოსთვის საქართველოში შრომის კანონმდებლობა ხასიათდებოდა შრომის ბაზრის დერეგულაციითა და ლიბერალიზაციით. ასევე, დასაქმებულებს ჰქონდათ შეზღუდული წვდომა მართლმსაჯულებაზე, რადგან წლების მანძილზე სასამართლო გადაწყვეტილებები დამსაქმებელთა გამარჯვებით სრულდებოდა.

2010 წლის ბოლოს საკონსტიტუციო რეფორმის შე-

<sup>1</sup> შველიძე ზაქარია, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები. სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის. 2017, გვ. 22-23. [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/publication/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_627047.pdf)

<sup>2</sup> პროფესიული დაარსების კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის რეგულირება არ შეესაბმება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტს. ქართული შრომის სამართლის ისტორია, პრობლემები და რეკომენდაციები. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2011, გვ. 32-33. <https://gyla.ge/files/news/gamocemebi2012-2013/2011წელი/ქართული%20შრომის%20სამართლის%20ანალიზი.pdf>

<sup>3</sup> შრომის ინსპექციის ისტორია საქართველოში | რას მოიცავს სამსახურის გაზრდილი მანდატი, რაისა ლიპარტელიანი, 2021. პუბლიკა. <https://publika.ge/blog/shromis-inspeqciis-istoria-saqartveloshi-ras-moi-cavc-samsakhuris-gazrdili/>

დეგად შრომის კოდექსის სტატუსმა ორგანული კანონის სახე მიიღო, ხოლო 2013 წლის ივლისში საქართველოს შრომის კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის არაერთი ასპექტი ახლებურად დარეგულირდა<sup>1</sup>. 2013 წელს შრომის კოდექსში ცვლილებების საჭიროება განპირობებული იყო საქართველოში შრომითი ურთიერთობების ხელახლა განსაზღვრის მიზნით, დასაქმებულის სამართლებრივი გარანტიების გაზრდისა და საერთაშორისო დონეზე საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობით.

2006 წელს მიღებულმა კოდექსმა მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში დასაქმებულების მდგომარეობა დაამძიმა, რადგან ეს კოდექსი ვერ უზრუნველყოფდა დასაქმებულის სამართლებრივ დაცვას. ამის გამო კი საქართველოს შრომის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი უწყებები ადგილობრივი თუ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტიკის ადრესატები იყვნენ.

2013 წელს შრომის კოდექსი შეიცვალა. ცვლილებების მიღების მოტივს წარმოადგენდა ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციისკენ სწრაფვა. თავის მხრივ, ეს პროცესი მოითხოვდა კანონთა ჰარმონიზებას<sup>2</sup>. ამდენად, მიუხედავად დასაქმებულების პროტესტის, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანი-

<sup>1</sup> შველიძე ზაქარია, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები. სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის. 2017, გვ. 22-23. [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/publication/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_627047.pdf)

<sup>2</sup> სანიიძე ზურაბ, საქართველოს შრომის კოდექსი – რა ცვლილებები შედის შრომის კოდექსში? 2013. <https://liberali.ge/articles/view/3194/saqartvelos-shromis-kodeksi--ra-tsvlilebebi-shedis-shromis-kodeqsshi>

ზაციების კრიტიკისა, 2013 წელს დამსაქმებელზე მორგებულ შრომის კოდექსში ცვლილების შეტანა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით იყო განპირობებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს შრომითი უფლებებისა და შრომითი ორგანიზაციების მიმართ ადგილობრივი ხელისუფლების გულგრილ დამოკიდებულებაზე<sup>1</sup>.

## შრომის ინსპექციის სამსახური

2006 წელს შრომის კოდექსის ცვლილებისა და შრომის ბაზრის მარეგულირებელი ინსტიტუტების გაუქმების შედეგად, დასაქმებულები სახელმწიფოსა და დამსაქმებლის წინაშე ყოველგვარი დაცვის ბერკეტის გარეშე დარჩნენ. დასაქმებულის უფლებების დაცვის ერთადერთ მექანიზმად სასამართლო რჩებოდა, თუმცა იმდროინდელი სასამართლო გადაწყვეტილებები მშრომელთა ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებდა და მეტიც, დასაქმებულთა დისკრიმინაციულ მდგომარეობას (სამუშაო ადგილიდან გათავისუფლება, გაფიცვის უფლების შეზღუდვა და სხვა), არსებულ სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით, კანონიერად მიიჩნევდა. ეს მდგომარეობა დასაქმებულთა უფლებების სისტემურ დარღვევებს, სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა დაზიანებასა და, ხშირად, ფატალურ შემთხვევებს იწვევდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შრომითი უფლებების დაცვა, როგორც ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილი – განვითარების პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა და სოციალური ქარტიის ფარგლებში, 2016. გვ. 12. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/12875.pdf>

<sup>2</sup> საქართველო – შრომის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე. სანარმოო შემთხვევები 2007-2011. თბილისი, 2013, გვ. 5-21. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/12751.pdf>

2013 წელს შრომის კოდექსში დამატებითი ცვლილებები შევიდა, თუმცა ის არ შეხებია შრომის ინსპექციას. 2014 წელს ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების<sup>1</sup> წევრ სახელმწიფო ორგანიზაცია და საქართველოს მორის ასოცირების შეთანხმებისა და 2014-2016 წლების დღის წესრიგიდან გამომდინარე, შრომის ინსპექციის შექმნის საკითხი დაისვა (მუხლი 229, მრავალმხრივი შრომითი სტანდარტები და შეთანხმებები). ამ დოკუმენტით საქართველო ვალდებული ხდებოდა, შეექმნა შრომის ინსპექტირების მექანიზმები, რომლებიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებთან შესაბამისი უნდა ყოფილიყო<sup>2</sup>.

2015 წლის 2 მარტს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომლის ძირითადი მისამა უნდა ყოფილიყო „საქართველოში სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა“<sup>3</sup>, თუმცა მას სავალდებულო ხასიათი არ ჰქონია და არც სანქცირების მექანიზმს მოიცავდა. 2018

<sup>1</sup> საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, 2014 (ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი ივლისიდან). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

<sup>2</sup> შრომის ინსპექციის ისტორია საქართველოში | რას მოიცავს სამსახურის გაზრდილი მანდატი; რაისა ლაპარტელიანი, პროფესიული ბის გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე; 2019. <https://publika.ge/blog/shromis-inspeqciiis-istoria-saqartveloshi-ras-moicavs-samsakhuris-gazrdili/>

<sup>3</sup> შრომის ინსპექციის სამსახური; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო <https://lio.moh.gov.ge/main.php?lang=1&id=202212250130482193502210>

წლის 7 მარტს კი მიიღეს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“<sup>1</sup>, რომელმაც თანდათანობით შეცვალა დასაქმების ადგილზე შრომით პირობებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები.

2020 წლისთვის შრომის კანონმდებლობაში შესული რეფორმების შედეგად შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატი გაიზარდა. შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატი მოცემული მომენტისთვის განისაზღვრება „შრომის ინსპექციის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: შრომითი ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობა: საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილება; „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება (მე-7 და მე-16(1) მუხლები); თემატურად დაკავშირებულ ტექნიკურ რეგლამენტებზე ზედამხედველობა<sup>2</sup>.

შრომის ინსპექციის სამსახური საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯან-

<sup>1</sup> საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2019. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=2>

<sup>2</sup> შრომის ინსპექციის სამსახური. <https://lio.moh.gov.ge/main.php?lang=1&id=202212250130482193502210>

მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის საქმიანობა „შრომის ინსპექციის შესახებ“<sup>1</sup> კანონით დარღვეულირდა. სამსახურს ხელმძღვანელობს მთავარი შრომის ინსპექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი. სამსახური ანგარიშვალდებულია მრჩეველთა საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის წინაშე<sup>2</sup>.

შრომის ინსპექციის სამსახურის მოკლევადიანი მუშაობის შეფასება მოცემულია 2022 წელს „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებულ პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც ეყრდნობა შრომითი უფლებების სფეროში 2020-2021 წლის ინსპექტიონების ანგარიშებს. დოკუმენტის მიხედვით, დავების სიმძიმის მიუხედავად, შრომის ინსპექცია იყენებდა მხოლოდ გაფრთხილებას და არა სხვა ადმინისტრაციულ სახდელებს<sup>3</sup>. ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2022 წლისთვის ეს მდგომარეობა იცვლება და სამსახური ჯარიმებსაც იყენებს შრომითი პირობების/უფლებების დარღვევის შემთხვევაში, რაც წინგადადგმულ ნაბიჯად არის შეფასებული.

ახალი შრომის ინსპექციის სამსახურის მოკლე ისტორია აჩვენებს, რომ შრომითი პირობების, უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის ეფექტური მექანიზმების

<sup>1</sup> საქართველოს კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, 2020. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003057?publication=3>

<sup>2</sup> შრომის ინსპექციის სამსახური, ფუნქციები და მანდატი. <https://lio.moh.gov.ge/main.php?lang=1&id=202212250130482193502210>

<sup>3</sup> ჭუბაბრია თ., მამალაძე ე., შრომის ინსპექცია საქართველოში: გამოწვევები და სამომავლო გზა, პოლიტიკის დოკუმენტი. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2022. გვ. 2. [https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/შრომის\\_ინსპექცია\\_GEO\\_1670928883.pdf](https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/შრომის_ინსპექცია_GEO_1670928883.pdf)

ჩამოყალიბება და სამართლებრივი საფუძვლები უფრო მეტად საქართველოს ევროკავშირში განევრიანების გრძელვადიანი პოლიტიკის ნაწილია და ნაკლებად ადგილობრივი პოლიტიკური ნების გამოხატულება. მიუხედავად ცენტრალური თუ დამოუკიდებელი პროფესიულურის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეული ინტერესჯგუფების მოთხოვნისა, ინსპექციის ჩამოყალიბება, მის ქმედით მექანიზმად გარდაქმნა და მანდატის ზრდა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებებთან ჰარმონიზების პროცესის მიზნით გახდა შესაძლებელი.


## საზოგადოების განცყობები პროფესიული მიმართ

2003-2009 წლებში საქართველოს პროფესიული კავშირისადმი საზოგადოების ნდობა მოცემულია საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) პანელურ კვლევაში. ექვსი წლის მონაცემები პროფესიული კავშირებისადმი საზოგადოების განწყობების დინამიკის შეფასების საშუალებას იძლევა. მოცემული მონაცემების მიხედვით, 2003-2009 წლებში პროფესიული კავშირების მიმართ საზოგადოების ნდობა ორმაგდება და 11-დან 21-%-მდე იზრდება. თუმცა მაღალი რჩება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც პროფესიული გაერთიანების მიმართ უნდობლობითა და გულგრილობით გამოირჩევიან (53%-36%).

### ნდობა პროფესიული მიმართ (2003-9)

■ ვენდობი   ■ არ ვენდობი   ■ არ მაჟან  
მოსაზრება

IRI  
საქართველოს  
მონიტორინგის  
მიხედვით  
2003 - 2009  
წლები



წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2010<sup>1</sup>

გამოკითხვის შედეგებში განსაკუთრებით საინტერესოა 2007 წლის მონაცემები. ამ წელს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი, 53% უნდობლობას უცხადებს საქართველოს პროფესიულ გაერთიანებას, რაც, შესაძლოა, 2005-2006 წლებში შრომის სახელმწიფო ინსპექციისა (2005) და სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის გაუქმებას (2006), ასევე, დასაქმებულზე ნაკლებად ორიენტირებული ახალი შრომითი კოდექსის (2006) მიღებას უკავშირდებოდეს, რომელიც მთავრობამ ისე მიიღო, რომ პროფესიონალური კონსულტაციაც კი არ გაუვლია<sup>2</sup>. 2006 წლის შრომის კოდექსის სხვადასხვა შეფასებებში ნახსენებია

<sup>1</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს პროფესიული კაფშირების მოძრაობა, 2010. <https://www.transparency.ge/sites/default/files/TI%20GEORGIA%20Georgian%20Trade%20Union%20Movement%20GEO.pdf>

<sup>2</sup> იქვე. გვ. 10

სიტყვა „დისკრიმინაციული“, რადგან ამ კანონით გაფიცვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებად ჩაითვალა (კანონის 49-ე მუხლი აღიარებდა გაფიცვის უფლებას, თუმცა 51-ე მუხლი მთელ რიგ შეზღუდვებს ადგენდა), ხოლო დასაქმებულისთვის, შრომითი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, დამსაქმებელზე ზენოლის, თითქმის არანაირი მექანიზმი, გარდა სასამართლოსი, არ რჩებოდა. სასამართლოსადმი მიმართვა, კი თავის მხრივ, ცალკე ხარჯებთან (ბაჟი) და დროსთან არის დაკავშირებული, რაც ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი დასაქმებულისთვის (ან უმუშევრისთვის) დამატებითი ტვირთია.

ბიზნესსა და დამსაქმებელზე მორგებული 2004-2007 წლების სწრაფი ეკონომიკური რეფორმები და საკანონმდელო ცვლილებები, სახელმწიფო და საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის განსაკუთრებით მძიმე იყო. ამ წლებში პოლიციასა და განათლების სისტემაში მოდერნიზების სახელით ჩატარებული რეფორმების დროს უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი<sup>1</sup>, ისე, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დახმარება არ არსებობდა, ხოლო კანონი სოციალური დახმარების შესახებ მოქალაქეებს ბიუროკრატიულ სისტემასა და შერჩევით, ხშირად, თვითნებურ კრიტერიუმებს სთავაზობდა, რაც უსამართლობის განცდას ზრდიდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთავრობაში მოსული მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (2003-2012) რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმებსა და დამსაქმებელზე ორიენ-

<sup>1</sup> ჯონსი სტივენ, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სოციალური მეცნიერებების ცენტრი, თბილისი, 2013 [2012], გვ. 183

ტირებულ შრომის კანონმდებლობას უჭერდა მხარს, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო სლოგანი სწორედ სიღარიბის დაძლევას, სოფლის გაძლიერებასა და დასაქმების პროგრამებს უკავშირდებოდა. მეტიც, საარჩევნო პლაკატზე გამოტანილი იყო სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროფესიული გადამზადების პროგრამის ანონსი. პოპულისტური წინასაარჩევნო მეთოდებისა და კამპანიის მიუხედავად, სოციალური საარჩევნო სლოგანებით, (ნეო)ლიბერალური რეფორმებით ცნობილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აღიარებდა საქართველოში სოციალურ და შრომით სფეროში არსებულ კრიზისს.

2009-2013 წლების საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ანგარიშში მოცემულია ცნობები იმის შესახებ, რომ საანგარიშო პერიოდში ხდებოდა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და დამსაქმებლების მხრიდან პროფესიონალურის საქმიანობაში უხეში ჩარევა, კავშირიდან წევრების იძულებით გაყვანა, დაშინება<sup>1</sup>. 2009 წლის 31 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პროფესიონალთა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ამ ოთხი წლის მანძილზე წევრთა რაოდენობა განუხელად მცირდება.

---

<sup>1</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების საქმიანობის ამსახველი კრებული მოიცავს გაერთიანების XI ყრილობიდან (2009 წლის 25-26 სექტემბერი) – XII ყრილობამდე (2013 წლის 20-21 დეკემბერი) განვლილ საანგარიშო პერიოდს. თბილისი, 2013, გვ. 5

## ცხრილი N2<sup>1</sup>

წელი	პროფესიულის წევრთა რაოდენობა	ქალები	%	კაცები	%
2009	206 345	134640	65.2	71705	34.7
2010	194 764	116702	59.9	77262	39.6
2011	176 547	109752	62.3	66295	37.5
2012	145 200	88313	60.8	56887	39.1

საქართველოს გაერთიანებულ პროფესიულ კავშირში წევრების რაოდენობის შემცირების სხვადასხვა მიზეზზე შეიძლება საუბარი. ორგანიზაციისადმი უნდობლობა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია. უმუშევრობის ზრდა, ინდუსტრიული წარმოებიდან მომსახურების სფეროზე გადასვლა, მიგრაცია, ახალი ტიპის დასაქმება და პოლიტიკური გავლენები პროფესიონისთვის (GTUC) დიდ გამოწვევას წარმოადგენდა. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, GTUC-ის ეფექტიანმა იურიდიულმა ადვოკატირებამ შედეგად მოიტანა სასამართლოში ცალკეული, მაგრამ, რიგ შემთხვევაში, მშრომელების სასარგებლოდ პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებები. მაგალითად, ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოს პროფესიონის გაერთიანების მიერ 2018 წლის აპრილში „რუსთავის აზოტისთვის“ მოგებული ოთხწლიანი სასამართლო დავა. შედეგად, სამსახურში 56 ადამიანი აღადგინეს<sup>2</sup>. 2019 წელს კი პროფესიონის წარმომადგენლობით სააპელაციო სა-

<sup>1</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების საქმიანობის ამსახველი კრებული მოიცავს გაერთიანების XI ყრილობიდან (2009 წლის 25-26 სექტემბერი) – XII ყრილობამდე (2013 წლის 20-21 დეკემბერი) განვლილ საანგარიშო პერიოდს. თბილისი, 2013.

<sup>2</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება (GTUC), 2018 წლის აპრილი. <https://www.youtube.com/watch?v=hexvH0i50hA>

სამართლომ „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება ბათილად მიიჩნია და ბანკს დააკისრა გათავისუფლებული თანამშრომლის მიმართ კომპენსაციის გადახდა 25 000 ლარის ოდენობით<sup>1</sup>.

საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირის (GTUC) მიერ წარმოებული სასამართლო დავები დასაქმების თიპს მოიცავს<sup>2</sup>. დასაქმებულს, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი, როგორც დასაქმებულის, უფლებები დაირღვა და სურს საკუთარი საქმის სასამართლოში განხილვა, პროფკავშირები უფასო სამართლებრივ კონსულტაციასა და წარმომადგენლობას უწევს, რაც შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე ადამიანისთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა. ამდენად, გაერთიანებული პროფკავშირის (GTUC) მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური კომპონენტი სასამართლო სისტემაში დასაქმებულთა წარმომადგენლობა და სამართლებრივი დავების წარმოებაა. გაერთიანების ანგარიშზე მრავალი მოგებული სასამართლო დავაა, რაც, შესაძლოა, პროფკავშირული საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი რესურსი იყოს.

<sup>1</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება (GTUC); „პროფკავშირმა საქართველოს ბანკს კიდევ ერთი დავა მოუფო“. 2020 წლის 16 ნოემბერი. <http://gtuc.ge/profkavshirma-saqartvelos-banks-kidev-eriti-dava-mougo/>

<sup>2</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების (GTUC) სასამართლო დავები. <https://gtuc.ge/news/სასამართლო-დავები/>

## ახალი დამოუკიდებელი პროფესიული გარემონტის ფორმირება 2013-2020 წწ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ორი ათწლეულის შემდეგ შრომის პოლიტიკისა და პროფესიული კავშირების შესახებ დისკუსიებში ორი აზრი დომინირებს. პირველის თანახმად, შრომის კანონმდებლობასა და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები ვერ გათავისუფლდა საბჭოთა მემკვიდრეობის გავლენისგან, რაც საზოგადოების უარყოფით განწყობებზეც აისახება. ხოლო, მეორე მოსაზრების თანახმად, შრომის პირობების, დასაქმებულთა უფლებების მოწესრიგება და პროფესიული საქმიანობა ნაკლებად ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევა საზოგადოებაში, მეტადრე დასაქმებულებში და, შესაბამისად, შრომითი უფლებების დაცვის ორგანიზაციების მიმართ დაბალი საზოგადოებრივი ნდობა არსებობს.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული სახლესი ისტორია განგრძობადი შიდა დაძაბულობითა და პიროვნული დაპირისპირებებით ხასიათდება, რომლის ილუსტრაციაც პროფესიული სავმჯდომარის არჩევნები და მათი ქონების განკარგვის შესახებ გაუმჯვირვალე ინფორმაციაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე საქართველოში შრომითი პირობების დარღვევები, მძიმე სამუშაო გარემო<sup>1</sup> და სი-

<sup>1</sup> ღირსეული შრომის პლატფორმა. შრომის ინსპექციის მიერ დაფიქსირებული სტატისტიკა სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა გარდაცვალებისა და დაზიანების შესახებ, 2018-2023. <https://shroma.ge/workplace-deaths-injuries/>

ლარიბე<sup>1</sup> საქართველოს მოსახლეობისთვის უცვლელი პრობლემაა, ამ პრობლემების გადაჭრის მექანიზმები, მათ შორის პროფესიული კავშირი, ნაკლებად სანდო და პოპულარულია საზოგადოებაში.

ამ დამოუკიდებულების შეცვლისა და დასაქმებულთა რეალური პრობლემების პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენების მიზნით, 2013 წლიდან იწყება საქართველოში პროფესიული კავშირების გაერთიანებისგან (GTU) დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების შექმნა, ხოლო 2015 წლიდან დამოუკიდებელი პროფესიული კავშირები იქმნება როგორც ტრადიციულ დარგობრივ, ისე ახალი შრომის სფეროებში.

ბოლო ათი წლის მანძილზე, 2013-2023 წლებში, შეიქმნა 10-ზე მეტი დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი, რომლებიც საზოგადოებრივი შრომის მრავალფეროვან სფეროებს წარმოადგენენ: სამეციდინო, მომსახურების, განათლების, კულტურის, მეცნიერების სფეროს პროფესიული კავშირებს. რა განაპირობებს ახალი, დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების შექმნას საქართველოში მაშინ, როცა უკვე არსებობს გაერთიანებული პროფესიული – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება (GTU)? ამის მიზეზად დამოუკიდებელი პროფესიული ხელმძღვანელები რამდენიმე ფაქტორს ასახელებენ, მათ შორის არის ცენტრალური პროფესიულის პასიური საქმიანობა; ეჭვი, რომ გაერთიანებული პროფესიული დასაქმებულთა ინტერესების საწინააღმდეგოდ მთავრობას/მმართ-

<sup>1</sup> NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის ოქტომბერი. გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 10 წელიწადში როგორ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით? – სიღარიბე – <https://caucasusbarometer.org/ge/no2023ge/SETTYPE-by-SC10POVE/>

ვეღლ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ბიზნესთან შესაძლოა ე.წ. „მეხანძრის“ როლს ასრულებდეს, რაც გულისხმობს დასაქმებულთა გაფიცვის ან პროტესტის შემთხვევაში კონფლიქტის მხარეებს შორის მომრიგებლის როლის შესრულებას. ამ მოსაზრებების საპასუხოდ, საქართველოს გაერთიანებული პროფესიონალის ხელმძღვანელი, ირაკლი პეტრიაშვილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე გაერთიანებული პროფესიონალი (GTU) მოუქნელი ორგანიზაციაა, თუმცა მისი შეფასებით, სწორედ ამ სიტყვანქემ უზუნველყო გაერთიანების დამოუკიდებლობა პოლიტიკური ჩარევებისგან<sup>1</sup>.

მოცემულ თავში მიმოხილულია რამდენიმე დამოუკიდებელი პროფესიონალის შექმნისა და მათი საქმიანობის, პროტესტისა და გაფიცვის შემთხვევები. შემთხვევათა აღწერის მიზანს წარმოადგენს იმ ტენდენციის გამოკვეთა, რაც შესაძლოა იწვევდეს დამოუკიდებელი პროფესიონერების რაოდენობის ზრდას.

## მეტროს (მემანძანეთა) პროფკავშირი – „ერთობა 2013“

თბილისის მეტროპოლიტენი 1966 წლიდან ემსახურება მგზავრებს ორი ხაზისა და 23 სადგურის საშუალებით. მეტრო ყოველდღიურად, დილის 6 საათიდან შუაღამედე მუშაობს. 2022 წლის მონაცემებით, მეტრომ 127 838 966 მგზავრი გადაიყვანა, ხოლო 2023 წელს, 2021-თან შედარებით, მეტროთი დღეში გადაყვანილი მგზავრების რა-

<sup>1</sup> ინტერვიუ საქართველოს გაერთიანებული პროფესიონალის ხელმძღვანელ ირაკლი პეტრიაშვილთან ჩაწერილია 2023 წლის ნოემბერში.

ოდენობა გაორმაგდა<sup>1</sup>. იზრდება თბილისის მოსახლეობა და, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მეტროს მგზავრების რაოდენობაც გაიზრდება. ამასთან, ინფლაციის, პროდუქტებზე გაზრდილი ფასებისა და მომატებული სამუშაო დატვირთვის პირობებში, მეტროს მემანქანებისა და სხვა თანამშრომლების შრომითი პირობები და სამუშაო ანაზღაურება შეცვლილ სამუშაო დატვირთვას ჩამორჩება. სწორედ ამ მიზეზით, პროფესიული ახალგაზრდული ფრთის მიერ 2018-2019 წლებში ორგანიზებულ საპირველმაისო დემონსტრაციებზე ისინი დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურების ზრდას და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნებს აყენებდნენ დღის წესრიგში<sup>2</sup>.

2013 წელს ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი პროფესიონალი „ერთობა 2013“ დაარსდა, რომლის წევრებიც, თავდაპირველად, მხოლოდ მეტროს მემანქანები იყვნენ. „ერთობა 2013“-ის თავმჯდომარის, რატი კაპანაძის თქმით, დამოუკიდებელი პროფესიონალის შექმნა განაპირობა იმან, რომ ძველი პროფესიონალი ვერ უზრუნველყოფდა მშრომელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას, ხოლო პროფესიული კავშირი სალაძლავ სიტყვად იყო გადაქცეული. ამან გამოიწვია დემოკრატიული და გამჭვირვალე კავშირის შექმნის საჭიროება<sup>3</sup>.

„ერთობა 2013“-ის შესახებ ფართო საზოგადოებამ

<sup>1</sup> რამდენი მგზავრი გადაჰყავს თბილისის მეტროს, 2023. <https://www.businessinsider.ge/ka/ramdeni-mgzavri-gadahqavs-tbilisis-metros>

<sup>2</sup> გვახარია გოგი, საქართველოს პროფესიული საპირველმაისოდ აქციას გამართავენ. რადიო თავისუფლება, 2019. <https://www.radiotavisupleba.ge/a/საქართველოს-პროფესიული-საპირველმაისო-აქციისთვის-ემზადებან/29912503.html>

<sup>3</sup> მგალობლიშვილი ბასტი, 2 წელი ისტორიული გაფიცვიდან. პუბლიკა, 2020. <https://publika.ge/article/2-weli-istoriuli-gaficvidan/>

2018 წლის ივნისში გაიგო, როცა მემანქანეები სამი დღით გაიფიცნენ, მეტროს მუშაობის შეჩერებამ კი ქალაქის პარალიზება გამოიწვია, რამაც დამოუკიდებელ პროფესიულ შირს მეტი ხილვადობა და ახალი წევრები შესძინა. თუმცა მეტროს მემანქანეების გაფიცვას, ისევე, როგორც სხვა გაფიცვებსა და პროტესტებს, მთელი რიგი პროცესები უძღვდა წინ.

2018 წელს „ერთობა 2013“-ის გაფიცვამდე საგაფიცვო მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. დამსაქმებელთან მოლაპარაკება ჯერ კიდევ 2016 წლიდან მიმდინარეობდა. პროცესს თან ახლდა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელები და გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვითაც მემანქანეებს გაფიცვის უფლება შეეზღუდათ. თუმცა მემანქანეებმა ასეთ გამოსავალს მიმართეს – მათ გაფიცვის წინა დღეებში იშიმშილეს, ხოლო ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის გამო მემანქანეებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება რეგულაციების მიხედვით დროებით შეეზღუდათ, რამაც შესაძლებელი გახადა მათი ლეგალური გაფიცვა<sup>1</sup>. ეს ტაქტიკური სვლა ერთ-ერთი გამოხატულება იყო იმისა, რომ მემანქანეების მოთხოვნები არსებითი იყო და მათი დაკმაყოფილების გარეშე პროფესიული საქმიანობის გაგრძელება – შეუძლებელი. საბოლოოდ, სამდდინანი გაფიცვა ზეპირი მოლაპარაკებით დასრულდა. მემანქანეებმა დამსაქმებლისგან პირობა მიიღეს, რომ 2019 წლიდან მეტროპოლიტენის თანამშრომლების ხელფასი გაიზრდებოდა. 2019 წლიდან სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულების ხელფასი 10, 15 და 30%-ით გაიზარდა. გაფიცულები ხელფასების გაზრდა.

<sup>1</sup> მგალობლიშვილი ბასტი, 2 წელი ისტორიული გაფიცვიდან. პუბლიკა, 2020. <https://publika.ge/article/2-weli-istoriuli-gaficvidan/>

დას ითხოვდნენ არა მხოლოდ მემანქანეებისთვის, არამედ კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის.

თუ გაფიცვის დასაწყისში „ერთობა 2013“-ში 120-140 ადამიანი იყო განევრიანებული, მოვიანებით, პროფესიულში 600-700 ადამიანი გაერთიანდა, რაც მიანიშნებს იმ ტენდენციაზე, რომ, თუ დასაქმებულთა გაფიცვა და პროტესტი რეალურ შედეგს გამოიდებს, მის მიმართ დასაქმებულებისა და საზოგადოების ნდობა იზრდება.

„ერთობა 2013“-ის 2018 წლის გაფიცვას ხშირად „ისტორიულ გაფიცვას“ უწოდებენ, არა მხოლოდ იმ შედეგის გამო, რასაც დასაქმებულებმა მიაღწიეს, არამედ, იმის გამოც, რომ, გარდა დამოუკიდებელი პროფესიონალის წევრების ზრდისა, მემანქანეთა გაფიცვამ სხვა დარგებსა და სფეროებში დასაქმებულებს წარმატებული გაფიცვის მაგალითი აჩვენა. ამ მაგალითმა იმპულსი მისცა სხვა დარგებსაც, შეექმნათ დამოუკიდებელი პროფესიონები და რეალურად ემუშავათ საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად.

მემანქანეების გაფიცვის შემდეგ სხვადასხვა სექტორში დაიწყო დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის ჩამოყალიბება. 2019 წელს ჯანდაცვის სოციალური მუშაკებიც გაიფიცნენ, რომლებმაც პროფესიონალის შექმნისა და გაფიცვის გამოცდილება სწორედ „ერთობა 2013“-ისგან მიიღეს. დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი შექმნეს სოციალურმა მუშაკებმაც. ასევე ჩამოყალიბდა აჭარის მაუწყებლის პროფესიული გაერთიანებაც. „ერთობა 2013“-ის ხელმძღვანელი, რატი კაპანაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ „ხალხმა დაინახა, რეალურად, ჭეშ-

მარიტი პროფესიული კავშირის ძალა და უკვე სალანდავ სიტყვად აღარ ეჩვენებათ ეს. ეს, მართლაც, ძალიან კარგი სიტყვაა და ამას გაფრთხილება სჭირდება<sup>1</sup>.

## სერვისის სფეროს პროცესავშირი „სოლიდარობის ქსელი“ – „შრომა არ არის იოლი“

საქართველოს პროფესიული კავშირის ოცდაერთი წევრი ორგანიზაციიდან ერთ-ერთი წარმოადგენს „მომსახურების სფეროს, კომუნალური და ბანკების მუშავთა პროფესიულ კავშირს“<sup>2</sup>, თუმცა 2015 წლის აგვისტოში თბილიში ჩამოყალიბდა არაფორმალური გაერთიანება „სოლიდარობის ქსელი“, რომელსაც ასევე მომსახურების სფეროში დასაქმებულებთან უნდა ემუშავა. ქსელის თავდაპირველ მიზანს საქართველოს გაერთიანებულ პროფესიონალებთან ერთად საქმიანობა და პროფესიული კავშირისთვის აქტივიზმით მხარდაჭერა წარმოადგენდა<sup>3</sup>.

2015 წელს სოციალურ ქსელში სუპერმარკეტების ქსელ „სპარის“ თანამშრომლის მიერ შრომითი პირობების შესახებ გამოქვეყნებული საჯარო პოსტი გახდა დასაქმებულთა სფეროს ორგანიზების ერთ-ერთი იმპულსი. არაფორმალურად ორგანიზებულმა ჯგუფმა დამსაქმებელს ოფიციალური წერილი გაუგზავნა, რომელსაც სოციალურ ქსელში სოლიდარობის მცირე კამპანია მოჰყვა.

<sup>1</sup> მგალობლიშვილი ბასტი, 2 წელი ისტორიული გაფიცვიდან, პუბლიკა, 2020. <https://publika.ge/article/2-weli-istoriuli-gaficvidan/>

<sup>2</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წევრი ორგანიზაციები. <https://gtuc.ge/Cvens-Sesaxeb/wevri-organizaciebi/>

<sup>3</sup> ინტერვიუ სოლიდარობის ქსელის ხელმძღვანელ სოფო ჯაფარიძესთან ჩაწერილია 2023 წლის აგვისტოში.

მოძრაობისა და ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი 2015 წელს გამოქვეყნებულ წერილში ფართო კონტექსტში მიმოიხილავს იმ სოციალურ და ეკონომიკურ წინაპირობებს, რომლებიც წინ უძლოდა „სოლიდარობის ქსელის“ შექმნას:

„2006 წელს, გაუქმდა შრომის ინსპექცია. ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის დანგრევის და რეგიონული ეკონომიკური აქტივობების შეჩერების შედეგად, 90-იანებში თბილისისკენ დაწყებული შრომითი მიგრაცია დღემდე გრძელდება: დღეს, დედაქალაქში ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს და შესაბამისად ეკონომიკური აქტივობის ცენტრიც დედაქალაქია. სწორედ აქ იგრძნობა ყველაზე მძაფრად, ტრადიციული სოციალური ურთიერთობების რღვევა; ხელფასის, სესხის, ქირის და სხვა, საბაზრო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კომპონენტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა“<sup>1</sup>.

არაფორმალური ქსელის წევრებისთვის, დასანყიში, მთავარი საქმიანობა მომსახურების სფეროში არსებული პრობლემებისა და ამ საკითხებზე საჯაროდ მოსაუბრე ადამიანების იდენტიფიცირება იყო. ამ პროცესმა მათ პოსტსაბჭოთა საქართველოში, დასაქმების თვალსაზრისით არსებული სამართლებრივი და სოციალური გარემოს შესწავლისკენ უბიძგა, რაც ფართო ეკონომიკური კონტექსტის კვლევით დაიწყო, რადგან ქსელის წევრები მიიჩნევდნენ, რომ ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი განაპირობებდა დასაქმებულთა, ერთი მხრივ, მძიმე

<sup>1</sup> აზიკური შოთო, რა არის სოლიდარობის ქსელი? – კონტექსტი და მნიშვნელობა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2015. <https://socialjustice.org.ge/ka/products/ra-aris-solidarobis-kseli-konteksti-da-mnishvneloba>

და ხშირად, უუფლებო მდგომარეობას და, მეორე მხრივ, შრომითი პოლიტიკის შესახებ დაბალ ცნობიერებას.

2017 წელს არაფორმალური გაერთიანება „სოლიდარობის ქსელი“ დამოუკიდებელ პროფესიულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, რომლის მიზანიც იყო არა მხოლოდ დასაქმებულთა ინტერესების დაცვა, არამედ უმუშევართა ინტერესებითვის ბრძოლაც. ორგანიზაცია „სოლიდარობის ქსელის“ წევრები, საქართველოს პროფესიული ყოფილი თანამშრომლები იყვნენ, რაც მიუთითებს გაერთიანებულ პროფესიულ დასაქმებულთა და მათი ინტერესების დამცველ ჯგუფებს შორის არსებულ იდეოლოგიურ კონფლიქტსა და ნინააღმდეგობაზე. ამასთან, „სოლიდარობის ქსელის“ თანამშრომლების პროფესიულ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება დამატებითი უპირატესობა იყო დასაქმებულთა ორგანიზების საქმეში.

რვაწლიანი საველე სამუშაობის გამოცდილების შედეგად, „სოლიდარობის ქსელი“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჯანდაცვისა და მომსახურების სფეროების პროფესიულ მობილიზებასა და სხვა თანამოაზრე ორგანიზაციებთან ალიანსების ჩამოყალიბებაში. 2020 წელს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დამოუკიდებელ პროფესიულ „ერთობა 2013“-სა და „სოციალურ მუშაკთა გაერთიანებასთან“ (2019) ერთად მათ ჩამოაყალიბეს „პროფესიულის ახალი გაერთიანება“, რასაც „მშრომელთა დემოკრატიული მოძრაობის შესაქმნელად“ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ<sup>1</sup>.

„სოლიდარობის ქსელის“ საქმიანობებს შორის არის:

<sup>1</sup> ჯანდაცვისა და მომსახურების სფეროს პროფესიული - სოლიდარობის ქსელი. <http://solnet.ge/about-us/>

სოლიდარობისა და მხარდამჭერი კამპანიების წარმოება; დასაქმებულების ცნობიერებისა და განათლების ამაღლება შრომით უფლებებთან დაკავშირებით; კონკრეტული დასაქმებულების დარღვეული უფლებების შესახებ სამართლებრივი დავების წარმოება და სხვა პროფესიონალურებთან თუ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

პროფესიონალურების ხელმძღვანელი, სოფო ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ 2015 წელს დაწყებულმა საჯარო აქტიურობამ გარკვეული შედეგები მოუტანა სერვისისა და მომსახურების სფეროში, განსაკუთრებით მაღაზიათა ქსელებში დასაქმებულ მოლარეებს, კონსულტანტებს, დამლაგებლებსა და დაცვის თანამშრომლებს<sup>1</sup>. კერძოდ, შეიცვალა დასაქმებულის, როგორც მხოლოდ მაღაროებსა და საწარმოებში მომუშავეთა აღქმა და გაფართოვდა დასაქმებულის ცნება; პრობლემა, რომელიც მანამდე მხოლოდ ერთი ცალკეული პირის თავსატეხი იყო, აღიარებულ იქნა სისტემურ პრობლემად – მაღაზიაში პროდუქტის დანაკლისის კონსულტანტების ხელფასებიდან ჩამონერა და სხვა. ამით მოხდა „ურბანული პროლეტარიატის აღიარება<sup>2</sup>“.

2023 წლისთვის ორგანიზაციის წევრთა ოფიციალური რაოდენობა 500-მდე დასაქმებულს, ხოლო ყოველთვიური საწევრო შენატანი წევრზე სამ ლარს შეადგენს. ორგანიზაციის დაფინანსების ძირითადი წყარო საწევრო შენატანები და სხვადასხვა ფონდიდან მიღებული მცირე გრანტებია.

საქართველოში სერვისის სფეროშიარსებული სამუშაო

---

<sup>1</sup> ინტერვიუ სოლიდარობის ქსელის ხელმძღვანელ სოფო ჯაფარიძესთან ჩაწერილია 2023 წლის აგვისტოში.

<sup>2</sup> იქვე.

პირობები, სამუშაო გრაფიკი, ანაზღაურება და შრომის უსაფრთხოების გამოწვევები მოუგვარებელი პრობლემებია. გარდა ამისა, სფეროში დასაქმებულების უმეტესობა არაკვალიფიციური მუშახელი ან სტუდენტები არიან, რაც დასაქმებულთა კადრების გადინებას და ხშირ ცვლილებას განაპირობებს. ამის გამო რთული ხდება მყარი პროფესიული გაერთიანების შექმნა. ამას ხელს უშლის დასაქმებულთა დაბალი ცნობიერება საკუთარი შრომითი უფლებების შესახებ. ამდენად, „სოლიდარობის ქსელის“ ერთ-ერთი საქმიანობა დასაქმებულთა და მშრომელთა ცნობიერების ამაღლებაა სოციალური, პოლიტიკური თუ შრომითი უფლებების შესახებ.

„სოლიდარობის ქსელის“ დამოუკიდებელ პროფესიურებში სჯერათ, რომ თანამედროვე საქართველოსა თუ მსოფლიოში, პროფესიული კავშირების ფუნქცია მხოლოდ დასაქმებულთა უფლებების დაცვა ან დარღვევის შემთხვევაში მასზე რეაგირება არ არის. ახალ დროში პროფესიული ცნობების ფუნქციად მიიჩნევენ მასში განევრიანებული მშრომელების მიერ თვითმმართველობის, დემოკრატიული პროცესების შესწავლასა და პრაქტიკაში გამოცდას. განსხვავებით გაერთიანებული პროფესირის იერარქიული სისტემისაგან, დამოუკიდებელი პროფესირის მიზანია დასაქმებულების გაძლიერება, რომ მათ თავად მოახერხონ დამსაქმებლის, გაერთიანებული ან „ყვითელი პროფესირისა“ თუ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი ინტერესების დაცვა.

## სოციალურ მუშაკთა გაერთიანება (2019)

„სოციალურ მუშაკთა გაერთიანება“ კიდევ ერთი და-მოუკიდებელი პროფესიული რომელიც 61 სოციალური მუშაკის მიერ 2019 წლის 8 აპრილს დაარსდა.

სოციალური მუშაკების პროტესტი კოვიდ-19-ის პან-დემიის პირობებში დაიწყო, როცა მუნიციპალური ტრანს-პორტის მიმოსვლა შეჩერებული იყო, თუმცა პროტესტის მიზეზი, მხოლოდ გადაადგილების პრობლემა არ ყოფილა. 2019 წლის იანვრიდან სოციალური მუშაკები წინასაგაფიც-ვო პერიოდში იმყოფებოდნენ, ჯანდაცვის სამინისტრო-სთან მედიაციის პროცესი უშედეგოდ დასრულდა და შედეგად, სოციალური მუშაკები 25 მარტს გაიფიცნენ. გაფიცვის სლოგანი „დაუცველი სოცმუშაკი ვერ დაიცავს სხვებს“ ლაკონურად, მაგრამ ცხადად გამოხატავდა მათი მოთხოვნების ძირითად შინაარსს. რადგან სოციალუ-რი სფეროს მუშაკებს მუშაობა უწევდათ საზოგადოების ისეთ მოწყვლად ჯგუფებთან, როგორიც არიან ბავშვები, შშმ პირები, ხანდაზმულები და სერვისის მიმღები სხვა მოქალაქეები, მათი ჯანმრთელობისა და ინტერესების დაცვისთვის სჭირდებოდათ როგორც მატერიალური, ისე ტექნიკური მხარდაჭერა. სოცმუშაკების პროტესტის ში-ნაარსი შეეხებოდა ბენეფიციარებისთვის დახმარების გა-საწევად არასაკმარის რესურსებს, არასათანადო შრომის პირობებსა და დაბალ ანაზღაურებას. ამ პირობებში კი მათ უწევდათ საკუთარი სახსრებით სამუშაოზე გამოცხადება და ბენეფიციარებისთვის დახმარების გაწევა.

2018 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი

„სოციალური მუშაობის შესახებ“<sup>1</sup>, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ „სოციალური მუშაკი ემსახურება საზოგადოებრივ ურთიერთობებში სოციალური სამართლიანობის მიღწევას“<sup>2</sup>. მიუხედავად კანონის ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ფორმულირებისა, სამუშაო პირობებისა და პანდემიის გამო შეცვლილი რეალობის დროს სოცმუშაკების მრომითი უფლებები იქნა დარღვეული. ამასთან, სოცმუშაკები მორალური დილემის წინაშეც იდგნენ – ერთი მხრივ, მათ უნდა დაეცვათ ბენეფიციარების ინტერესები, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, მეორე მხრივ კი – საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად დროებით უარი უნდა ეთქვათ საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე.

სოციალური მუშაკების 25 მარტის გაფიცვას, „ერთობა 2013“-ის გაფიცვის მსგავსად, ისტორიულს უნოდებდნენ, თუმცა, ამჯერად სხვა მიზეზით. ამ შემთხვევაში, სოციალურ მუშაკთა საგაფიცვო მოთხოვნები შეეხებოდა არა მხოლოდ მატერიალურ და ტექნიკურ საჭიროებებს, არამედ, მთლიანად სოციალური მომსახურების სისტემის გაუმჯობესებას, სოციალური დაცვის კანონის აღსრულების ქმედითი მექანიზმების შექმნას<sup>3</sup> და ბენეფიციარების მდგომარეობის გაუმჯობესებას<sup>4</sup>.

2 აპრილს სამინისტროსთან შეხვედრების ციკლის შემდეგ სოციალურ მუშაკთა გაფიცვა დასრულდა, თუმცა

<sup>1</sup> კანონი სოციალური მუშაობის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2018. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=0>

<sup>2</sup> იქვე, თავი II, მუხლი 7.1.

<sup>3</sup> EMC სოციალურ მუშაკებს მხარდაჭერას უცხადებს; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019. <https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-sotsialur-mushakebs-mkhardacheras-utskhadebs>

<sup>4</sup> სოციალურმა მუშაკებმა გაფიცვა შეწყვიტეს, სამოქალაქო საქართველო, 2019. <https://civil.ge/ka/archives/300649>

სოცმუშაკებმა დამოუკიდებელი პროფესიონალის დაარსება გადაწყვიტეს და მათი მოთხოვნების შესასრულებლად მუშაობა კოლექტიური მოლაპარაკების ფორმატით გააგრძელეს. ამ პროცესში სამინისტროსა და სოცმუშაკებს შორის რამდენიმე საკითხზე მოხდა შეთანხმება, რაც, ძირითადად, შეეხებოდა ინფრასტრუქტურის გამართვას, დამატებითი პერსონალის გამოყოფას (იურისტი, ფისქოლოგი) და ბიუროკრატიული პროცესების გამარტივებას. თუმცა შეთანხმება ვერ მოხდა „მეურვეობისა და მზრუნველობის სისტემაში არსებულ გამოწვევებზე რეაგირების საჭიროს“ ჩამოყალიბების თაობაზე; ხელფასების განაკვეთის ზრდაზე და სხვა<sup>1</sup>.

„სოციალური მუშაკების პროფესიონალის“ თანახმად, გაერთიანებაში 100-ზე მეტი წევრია, მათ შორის, სამსახურისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი მუშაკები და სტუდენტები.

დღეისთვის სოციალურ მუშაკთა გაერთიანების ძირითადი საქმიანობა მოიცავს: სამართლებრივ კონსულტაციას; პროფესიულ სუპერვიზიას; მხარდაჭერას ოჯახური ან სამსახურეობრივი სირთულეების დროს. გაერთიანება მონიტორინგს უწევს „საქართველოს კანონის სოციალური მუშაობის შესახებ“ სამოქმედო გეგმის შესრულებას; კავშირში მუშაობენ სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის, პოპულარიზაციაზეც; ხვდებიან სტუდენტებსა და აბიტურიენტებს; თანამშრომლობენ მედიასაშუალებებთან, რათა სწორად გააშუქონ სოციალური მუშაკების მისია და მანდატი; ეწევიან სოციალური მუშაკების შრომითი უფლებების ადვოკატირებას დამსაქმებლებთან, „ადა-

<sup>1</sup> ბიძინაშვილი ნინო, სოცმუშაკებმა პროფესიონალი – „სოციალურ მუშაკთა გაერთიანება“ შექმნეს, ნეტგაზეთი, 2019. <https://netgazeti.ge/news/354800/>

მიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან“, „ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან“ და სხვა.

გაფიცვიდან ერთი წლის შემდეგ სოციალური მუშაკების პროფესიულების მიერ ჩატარებულ კვლევაში „სოციალური მუშაობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმის აღსრულების შეფასება“ წერია, რომ ცვლილებები ფრაგმენტული და არათანმიმდევრული იყო, ხოლო შესასრულებელი ამოცანებიდან კვლავ პრობლემად რჩება ხელფასების მატების საკითხი, ადამიანური რესურსების გაუმჯობესება და სოცმუშაკების ტრანსპორტით უზრუნველყოფა<sup>1</sup>.

სოციალურ მუშაკებსა და სახელმწიფოს შორის მიმდინარე 2019 წლის კოლექტიური შრომითი დავა და მოლაპარაკებები პრეცედენტულია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი – აღნიშნული დავა პირველი შემთხვევაა, როცა შრომითი დავის მხარეს წარმოადგენს სახელმწიფოს ოფიციალური უწყება – შრომის სამინისტრო; მეორე – ეს უწყება პასუხისმგებელია ქვეყანაში შრომის პოლიტიკასა და შრომის კანონმდებლობის აღსრულებაზე და მის ინტერესებში შედის დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებული დავის კომპრომისული მეთოდებით მოგვარება; და მესამე, ის წარმოადგენს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის საქმიანობის მთავარ წარმმართველ სახელმწიფო უწყებას<sup>2</sup>, რომელმაც, დასაქმებულების

<sup>1</sup> ხვთისიაშვილი ს., ბანძავა მ., ივანიაძე, თ., სოციალური მუშაობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმის აღსრულების შეფასება, ალტერნატიული ანგარიში, 2021. <https://www.swunion.ge/?p=192&lang=ka>

<sup>2</sup> ბელთაძე პაატა, შრომა და სოციალური სამართლიანობა სოციალური დიალოგი საქართველოში. 2020. გვ. 19. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16267.pdf>

შრომითი ინტერესების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს მოლაპარაკების პროცესი და მონიტორინგი გაუწიოს შედეგის აღსრულებას.

სოციალური მუშაკების გაფიცვა, მათ სამუშაო გარემოსა და უფლებებში არსებული გამოწვევები და პროფესიული კავშირის დაარსება, კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირი საკუთარი მანდატისა და ფუნქციის ფარგლებში ნაკლებად ეფექტიანია დასაქმებულებსა და დამსაქმებელთან, მათ შორის, სახელმწიფოსთან მოლაპარაკებებისას. შედეგად, საქართველოს პროფესიონალისადმი დასაქმებულების უნდობლობა იზრდება, ხოლო მისი, როგორც დასაქმებულთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციის ლეგიტიმაცია და ფუნქცია ეჭვქვეშ დგება. ახალი პროფესიული კავშირები კი შესამჩნევ კონკურენციას უწევენ გაერთიანებული პროფესიონალის დარგობრივ ორგანიზაციებს, რაც, პირველ რიგში, ხელშესახებ მიღწევებში გამოიხატება.

## აზარის საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფესიონი (2020)

2020 წლის 28 იანვარს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის 65-მა თანამშრომელმა ალტერნატიული პროფესიონალი დააფუძნა<sup>1</sup>. გაერთიანების მიზანს წარმოადგენდა სამართლიანი შრომითი პირობებისა და შრომის უსაფრთხოების საკითხების დღის წესრიგში დაყენება. ამასთან,

<sup>1</sup> აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებმა ალტერნატიული პროფესიონალები შექმნეს, 2020. <https://www.radiotavisupleba.ge/a/30402384.html>

უურნალისტები საუბრობდნენ კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზე. პროფესიული კავშირების ჩამოყალიბების მოტივი კი მათი მოთხოვნების უგულებელყოფა იყო: „იქიდან გამომდინარე, რომ თანამშრომელთა მოთხოვნები ხშირად რჩებოდა ყურადღების მიღმა და იმის გამო, რომ თანამშრომელთა მოსმენა არ უნდა იყოს რომელიმე დირექტორის ან მრჩეველთა საბჭოს მიერ გამოვლენილი კეთილი ნება, გადავწყვიტეთ გავერთიანებულიყავით“<sup>1</sup>. განცხადებაში უურნალისტები ასევე სოლიდარობას გამოჟვამდნენ მათ მიმართ, ვისი შრომითი უფლებებიც ქვეყანაში ირღვევა.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის ჩამოყალიბებას წინ უძღვდა ტელევიზიაში მიმდინარე რეორგანიზაცია და თანამშრომელთა ეჭვები, რომ ცვლილებები პოლიტიკური ნიშნით განხორციელდებოდა. თანამშრომლების მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარი იყო ორი ტიპის პრობლემაზე. პირველი შეეხებოდა მაუწყებელში პოლიტიკური გავლენების ზრდას, არაპროფესიონალების წახალისებას და პოლიტიკური ნიშნით პოზიციების დაკავებას, მეორე კი – შრომითი პირობების გაუარესებასა და „რეპრესიულ და მტრულ შრომით პოლიტიკას“, რის გამოც კადრები ტოვებდნენ მაუწყებელს ან მათ ათავისუფლებდნენ სამსახურიდან<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აჭარის ტელევიზიის თანამშრომელებმა ალტერნატიული პროფესიორები დააფუძნეს, 2020. <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/79431-atcaris-televiziis-thanamshromelebma-alternatiuli-profkavshirebi-daafudznes>

<sup>2</sup> აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფესიორებმა „აჭარა TV-ზე“ კრიტიკული ანგარიში გამოაქვეყნა, 2021. <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/90293-atcaris-sazogadoebriivi-mautsyeblis-profkavshirebma-atcara-tv-ze-kritikuli-angarishi-gamoaqveyna>

2020 წლის აპრილში კოალიციამ მედიის ადვოკატირებისთვის, რომელიც ათზე მეტ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში თანამშრომელთა დევნა გრძელდება იმის გამო, რომ მათი შეხედულებები მენეჯმენტის შეხედულებებისგან განსხვავდება. 21 აპრილს გამოქვეყნებულ განცხადებაში, კოალიციამ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორმა გიორგი კოხრეიძემ საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ერთ-ერთი წამყვანი „ეთერს ჩამოაშორა“. კოალიციის განმარტებით, უურნალისტმა სოციალურ მედიაში გაავრცელა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად სოციალურ ქსელში მაუწყებლის შესახებ მის მიერ დაფიქსირებული პოზიცია დაუსახელეს<sup>1</sup>. აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში შიდაორგანიზაციული პროცესები, საბოლოოდ, შრომითი უფლებების დაცვასა და დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის შექმნაში გადაიზარდა, რადგან პროფესიული ამ უფლებების დაცვის ეფექტიან საშუალებად იქნა მიჩნეული.

2020 წლის თებერვალში, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებელმა პროფესიონალმა საგაფიცვო რეჟიმზე გადასვლისთვის მზადება გამოაცხადა. ორგანიზაცია 80-მდე უურნალისტისგან შედგებოდა. პროტესტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოადგილისა და მთავარი საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის, მაია

---

<sup>1</sup> კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის: აჭარის მაუწყებლის თანამშრომელთა დევნა გრძელდება. სამოქალაქო საქართველო, 2020. <https://civil.ge/ka/archives/348088>

მერკვილაძისთვის შრომითი ხელშეკრულების გაუქმება იყო, რაც უურნალისტების ნაწილმა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად შეაფასა<sup>1</sup>.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის ჩამოყალიბება წინა შემთხვევებთან მსგავსებით გამოირჩევა. პროფესიონალის წევრების შრომითი პირობების დაცვის გარდა, მედიაში დასაქმებულთა დამოუკიდებელი პროფესიონალი, ზოგადად, სფეროში დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევის შემთხვევებსა და მათი დაცვის საჭიროებაზე მიანიშნებდა. თუმცა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებელი პროფესიონალი განსხვავდება კიდეც წინა შემთხვევებისგან იმ თვალსაზრისით, რომ იგი გაჩნდა როგორც პასუხი იმ უურნალისტების შევიწროებასა და გათავისუფლებაზე, რომლებიც ხელმძღვანელობის მიმართ კრიტიკულ შეხედულებებს გამოხატავდნენ. გარდა ამისა, პროფესიონალი მობილიზდა ასევე პოლიტიკური ჩარევისა და ზენოლის წინააღმდეგ, რომელიც, მათი აზრით, საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას.

## სახელოვნებო პროცესიული პავშირი „გილდია“ (2020)

„გილდია“ წარმოადგენს კულტურის სფეროში დასაქმებულ ადამიანთა დამოუკიდებელ პროფესიულ კა-

<sup>1</sup> აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის აღტერნატიული პროფესიონალის საგაფიცვო რეჟიმზე გადადის. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2020. <https://ajaratv.ge/article/55872>

ვშირს, რომელიც 2020 წელს დაარსდა, თუმცა მის ორგანიზაციად ჩამოყალიბებას წინ უძღვდა მთელი რიგი პროცესები. „გილდია“ დამოუკიდებელ პროფესიონალ ჩამოყალიბდა საქართველოს პროფესიული კავშირის გაერთიანების (GTU) ახალგაზრდული ფრთის ყოფილი წევრების მიერ. სახელოვნებო გაერთიანება შედგება იმ ადამიანებისგან, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ შრომითი უფლებებისა და მშრომელებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

„გილდიას“ ცალკე, დამოუკიდებელ პროფესიონალ ჩამოყალიბების მოტივს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, სახელოვნებო სფეროში დასაქმებულთა პროფესიული კავშირის არარსებობა, და, მეორე მხრივ, პროფესიონების გაერთიანებისადმი დასაქმებულების უნდობლობის ზრდა; ასევე, ახალი წევრების არარსებობა, რაც მიუთითებდა უფრო სანდო, გამჭვირვალე და დემოკრატიული ტიპის ორგანიზაციის შექმნის საჭიროებაზე.

ეს პროცესი დაიწყო კულტურის დარგში არსებული შრომითი გარემოს შესწავლითა და კვლევით, რაც მშრომელთა ორგანიზების კლასიკურ ტაქტიკას წარმოადგენს. „გილდიას“ საქმიანობის სფერო ამჟამად, ძირითადად, მოიცავს კულტურის სფეროში დასაქმებულთათვის შრომითი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგსა და მათი დარღვევის შემთხვევაში დასაქმებულთა უფლებების აღვოკატირებას<sup>1</sup>.

საქართველოში კულტურის სფეროში შრომითი უფლე-

<sup>1</sup> დამოუკიდებელი პროფესიონალის, „გილდიას“ ფეისბუქგვერდი. <https://www.facebook.com/LabourGuild>

ბების დარღვევის ცალკეული შემთხვევების გახმაურების მიუხედავად, დარგში არსებული სისტემური შრომითი პირობების დარღვევების შესახებ ნაკლებად იყო დოკუ-მენტირებული. საქართველოს უახლეს წარსულში კულ-ტურის დარგის წარმომადგენლები დაწინაურებულ სო-ციალურ ფენად და პრივილეგირებულ ჯგუფად იყვნენ მიჩნეული. ამასთან, ქართულ კულტურაში არსებული სტერეოტიპები, რომ თითქოს მსახიობები და კულტურის სფეროს სხვა წევრები არამატერიალურ საჭიროებებზე არ უნდა ფიქრობდნენ, ქმნიდა მცდარ წარმოდგენებს, რომ კულტურის მუშაკების შრომითი პირობები დაცული იყო ან ეს მათ არ აწესებდათ. თუმცა ამ სფეროში არ-სებული მძიმე შრომითი პირობების, მატერიალური და მართვის თვალსაზრისით არსებული კრიზისის, ასევე პარტიული პოლიტიკის გავლენის ზრდის საფრთხეების გამო, ამ სფეროშიც გაჩდნენ ადამიანები, რომლებმაც ხე-ლოვანთა შრომით უფლებებსა და ანაზღაურებაზე დაინ-ყეს ხმამაღლა საუბარი.

2022 წლისთვის „გილდია“ აქტიურად მონაწილეობდა ხელოვანთა წინაშე არსებული პრობლემების ორგანიზაციულ საქმიანობაში გადასატანად. კერძოდ, „გილდია“ ხელს უწყობდა კულტურის სფეროში ახალი პროფესიული კავშირების შექმნას, რომლებიც, საბოლოოდ, ერთ საერთო „ახალ პროფესიონელებში“ გაწევრიანდებიან და შექმნიან რეალურ ძალას უკეთესი შრომითი გარემოს ჩა-მოსაყალიბებლად. თუმცა „გილდიას“ მიზნები სცდება მხოლოდ შრომის უფლებების დაცვას და, როგორც მისი ხელმძღვანელი, გიგა ბექაური ამბობს, პროფესიული კა-ვშირის მიზანია „მშრომელის გაძლიერება“, მისი როლი-

სა და ფუნქციის გაზრდა დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისთვის<sup>1</sup>.

„გილდია“ აქტიურ როლს ასრულებს ახალი პროფესიული მონაწილეობის შექმნასა და გაძლიერებაში. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი ნაწილი მოიცავს სოლიდარობის კამპანიებს, გაერთიანების წევრთა და პოტენციურ წევრთა შრომითი, სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს. ერთ-ერთი ასეთია კულტურისა და სახელოვნებო სფეროში სასწავლო კურსის ორგანიზება, რომელიც USAID Civil Society Engagement Program-ის ფარგლებში მიმდინარეობს<sup>2</sup>.

2022 წლის იანვარში ხელოვანთა დამოუკიდებელ-მა პროფესიონალი „გილდიამ“ თეატრის ხელმძღვანელების კონკურსს უნდობლობა გამოუცხადა, რადგან გაერთიანების განცხადების მიხედვით, კულტურისა და ხელოვნების დარგში არსებული კრიზისის დაძლევა სამართლიანი და დემოკრატიული პროცესებით უნდა მიმდინარეობდეს. 2021 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ სახელმწიფო თეატრებში ხელმძღვანელთა შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა დაიწყო, თუმცა „გილდია“ აკრიტიკულდა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კონკურსის წარმართვის წესს. მათი აზრით, ახალი წესები რეალური ცვლილებების შესაძლებლობას გამორიცხავდა. ამას ამყარებდა ისიც, რომ 21 სახელმწიფო თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელები და გადამდინარეობდნენ.

<sup>1</sup> ინტერვიუ „გილდიას“ ხელმძღვანელ გიგა ბექაურთან ჩაწერილია 2023 წლის აგვისტოში.

<sup>2</sup> „გილდიასა“ და USAID Civil Society Engagement Program-ის ერთობლივი სასწავლო კურსი საინიციატივო ჯგუფებისთვის კულტურისა და ხელოვნების სფეროში. 2023. <https://www.facebook.com/photo/?fbid=603284315325774&set=a.485973513723522>

ღვანელის თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსებიდან მინისტრის მიერ დაინიშნა ოთხი სამხატვრო ხელმძღვანელი, კონკურსის წესით კი – ორი. გაერთიანება ეჭვქვეშ აყენებდა კონკურსის გამჭვირვალე და დემოკრატიულ პროცედურას<sup>1</sup>.

2022 წლის დეკემბერში „გილდია“ თუმანიშვილის თეატრის მსახიობების დავის მოგვარებაში ჩაერთო და ორთვიანი მედიაციის შემდეგ თეატრის მსახიობების შრომითი დავა დასაქმებულთა ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებით დასრულდა<sup>2</sup>.

დღეისთვის „გილდიას“ მთავარ მიზანს წარმოადგენს მშრომელების სოციალური და პოლიტიკური უფლებების გაძლიერება, რომლის მიღწევაც, მათი რწმენით, მხოლოდ დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების საქმიანობით არის შესაძლებელი. ამ გზაზე ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მშრომელთა დიდი რაოდენობის რეპრეზენტაცია და რეალური პროფესიული კავშირების ჩამოყალიბება. პროფესიონული ორგანიზაციის მიზანს, სოლიდარობისა და მშრომელთა მხარდაჭერის გარდა, წარმოადგენს გაფიცვებსა და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილების მიღება, დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების კამპანიები. „გილდიას“ ხელმძღვანელი, გიგა ბექაური მიიჩნევს, რომ შრომითი უფლე-

<sup>1</sup> ხელოვანთა დამოუკიდებელი პროფესიონი თეატრის ხელმძღვანელების კონკურსს უნდობლობას უცხადებს და დასაქმებულებს გაფიცვისკენ მოუწოდებს. ინტერპრესიის, 2022. <https://www.interpressnews.ge/ka/article/693191-xelovanta-damoukidebeli-propkavshiri-teatris-xelmzgvanelebis-konkurss-undoblobas-uxadebs-da-dasakmebulebs-gapicvisken-moucodebs/>

<sup>2</sup> აფრიაბშვილი სოფო, „თუმანიშვილის“ თეატრის მსახიობების შრომითი მოთხოვნები დაკმაყოფილდა – „გილდია“. ნეტგაზეთი, 2022. <https://netgazeti.ge/news/645720/>

ბების დაცვა მშრომელისა და პროფექციურისთვის არის ინსტრუმენტი და არა მისი მთავარი საქმიანობა. ახალი, დამოუკიდებელი პროფექციურების ხედვით, პროფესიული გაერთიანება, გარდა უფლებების დაცვისა და სოლიდარობის კამპანიებისა, პოლიტიკური მონაწილეობისთვის პრაქტიკის მიღების ადგილიც უნდა იყოს.

დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის – „გილდიას“ დაფინანსების წყარო ნებაყოფლობითი საწევრო შენატანებია, თუმცა „გილდია“ სრულად არ არის დამოუკიდებული საწევრო შენატანებზე. პარტნიორი ორგანიზაციებისა და ფონდებისგან მიღებული პროექტული დაფინანსება გაერთიანების ერთ-ერთი წყაროა, რომელიც გამოიყენება, მათ შორის, დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების კამპანიებისათვის.

„გილდიას“ მიერ შრომის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მიღწეული კონკრეტული გამარჯვებები ორგანიზაციისა და, მთლიანად, პროფესიული კავშირების მიმართ ზრდის ნდობას, დასაქმებულთა ახალ თაობაში აჩენს პროფექციურების ძველისგან განსხვავებულ, უფრო სანდო და ძლიერ რეპუტაციას. ამაზე მიუთითებს, დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების რაოდენობის ზრდა და შრომითი უფლებების საკითხის აქტუალიზება საზოგადოებაში.

პროფექციურების ახალი გაერთიანება  
და „ლირსეული შრომის პლატფორმა“

ლირსეული შრომის პლატფორმა არაფორმალური ერთობაა, რომელიც „საქართველოს შრომითი პოლიტიკის

გაუმჯობესებისა და ღირსეული შრომითი პირობების შექმნის იდეის გარშემო აერთიანებს დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირებს, ადამიანის უფლებების ორგანიზაციებსა და აქტივისტებს<sup>1</sup>. პლატფორმა „ერთგვარ „ქოლგა ორგანიზაციას“ წარმოადგენს, რომელიც მხარდაჭერისა და სოლიდარობის იდეით მუშაობს. ორგანიზაცია იმართება პარიტეტული პრინციპით და მას არ ჰყავს კონკრეტული ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი, თუმცა ცალკეული კამპანიის შემთხვევაში, პლატფორმა თავად ირჩევს დროებით წარმომადგენელს. 2023 წლის სექტემბრისთვის პლატფორმა თერთმეტ პროფკავშირსა და არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, რომლებსაც თითო ხმა გააჩნიათ. მართვისა და ორგანიზაციული მოწყობის სისტემა აჩვენებს, რომ ღირსეული შრომის პლატფორმა ჰორიზონტალურ პრინციპს ეყრდნობა და არაიერარქიულობით გამოირჩევა.

2019 წლიდან თბილისის სატრანსოპორტო კომპანიის დამოუკიდებელმა პროფკავშირმა „ერთობა 2013“-მა, „სოლიდარობის ქსელმა“ და „სოციალურ მუშაკთა გაერთიანებამ“ შექმნა „პროფკავშირების ახალი გაერთაინება“<sup>2</sup>, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს ქვეყანაში მშრომელთა დემოკრატიული მოძრაობის შესაქმნელად. „პროფკავშირების ახალი გაერთიანება“ შრომის სფეროში ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი პროფკავშირების ერთობას წარმოადგენს, რომელიც

<sup>1</sup> ღირსეული შრომის პლატფორმა, <https://shroma.ge/about/>

<sup>2</sup> ოთხი დამოუკიდებელი პროფკავშირი გაერთიანებას ქმნის, 2019. <https://on.ge/story/37079-ოთხი-დამოუკიდებელი-პროფკავშირი-გაერთიანებას-ქმნის>

შესაძლოა იყოს გაერთიანებული პროფკავშირების ალ-ტერნატიული ორგანიზაცია.

„ლირსეული შრომის პლატფორმა“ და „პროფკავშირების ახალი კავშირი“ წარმოადგენენ პროფკავშირის ახალი ფორმის მაგალითებს საქართველოში. მიუხედავად ახლად დაარსებული ორგანიზაციებისა, ეს ორი ინიციატივა წარმოადგენს გაერთიანებული პროფკავშირის ტრადიციული და იერარქიული მოდელის კრიტიკასა და წინ გადადგმულ ნაბიჯს პროფკავშირების ორგანიზებისა და მოქმედების უფრო დემოკრატიული და ჰორიზონტალური მოდელისკენ. გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც ამ ორ ინიციატივას აქვს საქართველოში შრომითი პოლიტიკის გაუმჯობესებისა და ლირსეული სამუშაო პირობების შესაქმნელად, მოიცავს შრომის უფლებების შესახებ წევრების ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას, პროტესტისა და ორგანიზების სხვადასხვა მეთოდების პრაქტიკაში გამოცდასა და კოლექტიურად მუშაობის გამოცდილების მიღებას. შეძლებს თუ არა ეს ორი ინიციატივა მზარდი დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების ერთი ქოლგის ქვეშ კონსოლიდაციას, კოლექტიური თანხმობის მიღწევასა და სხვადასხვა დარგებს შორის ურთიერთსოლიდარობის გამოწვევას, მომდევნო წლებში გამოჩნდება.

## შეჯამება

საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში განხორციელებული რადიკალური ეკონომიკური და სამართლებრივ-პოლიტიკური რეფორმების პროცესებიდან საზოგადოება, თითქმის, მთლიანად გაირიყა. საომარი მოქმედებების, სამოქალაქო ომის, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა და სოციალური სიდუხჭირის ფონზე მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის მექანიზმები, მათ შორის ასოციაციებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება, შეზღუდული იყო. შედეგად, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების, რევოლუციური ცვლილებებისა და, ხშირად, არადემოკრატიული პროცესების შედეგები მოქალაქეებმა საკუთარ თავზე წლების შემდეგ იწვიეს.

დამოუკიდებელი საქართველოს პროფაკვშირების ისტორიის ათვლის წერტილად შეიძლება 1989 წლის 9 აპრილი იყოს მიჩნეული, რადგან ამ დროს დაწყებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა განაპირობა ორგანიზაციის კონფლიქტური ხასიათი, რაც შიდასაკადრო ცვლილებებსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის მუდმივად ქაოტურ არჩევნებში გამოიხატებოდა. ამასთან, სოციალისტური ქვეყნის საპაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, პროფაკვშირების ბალანსზე არსებული უძრავი ქონება და მატერიალური სახსრები დაჩქარებული პრივატიზაციის პირობებში კერძო სარგებლის მიღების საშუალებაც იყო. გარდა კერძო ინტერესებს დაქვემდებარებული ეკონომიკური მოგებისა, პროფაკვ-

შირები მიმზიდველ ძალას წარმოადგენდა პოლიტიკური პარტიებისა და ინტერესჯგუფებისთვის, რადგან მრავალათასიანი, წევრობაზე დაფუძნებული გაერთიანების კონტროლი დამატებითი რესურსი იყო ძალაუფლების კონსოლიდაციისათვის. ამას ხელი შუწყო პროფკავშირების ცენტრალიზაციამ, რაც აადვილებდა გაერთიანების კონტროლს და მასზე გავლენის მოხდენას.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, პროფესიული კავშირების გაერთიანების ისტორიას აჩრდილად დაჰყვება საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული კულტურული რწმენა-წარმოდგენები, რომ პროფესიული კავშირები „საბჭოთა გადმონაშთია“, ან ის, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროფესიულ გაერთიანებებს დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია, რადგან შრომითი უფლებების დარღვების შემთხვევაში არსებობენ იურისტები ან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დასაქმებულთა უფლებების დარღვევის კერძო შემთხვევებზე სამართალ-წარმოებას დაიწყებენ.

ცენტრალურმა პროფკავშირულმა გაერთიანებამ დღე-მდე ვერ დაძლია შიდაორგანიზაციული დემოკრატიის წინაშე არსებული ხარვეზები და ისევ რჩება მშრომელთა-თვის ნაკლებად სანდო ორგანიზაციად.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული კავშირებისა და შრომის ისტორია დამოუკიდებელ საქართველოში ჯერ კიდევ რთულად მოსახელთებელი საკვლევი სფეროა, შეიძლება ითქვას, რომ პროფკავშირული მოძრაობა ჯერაც გარდამავალ ფაზასა და ადაპტაციის პროცესშია. საქართველოში შრომის სფეროს სჭირდება წარსულის მემ-

კვიდრეობის დაძლევა და დემოკრატიის, სოლიდარობისა და მრავალფეროვნების პრინციპების დაცვა, არა როგორც „საბჭოთა გადმონაშთის“, არამედ, როგორც დემოკრატიისა და ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის აუცილებელი მექანიზმებისა.



ირაკლი პეტრიაშვილი მსოფლიო პროფესიონელთა  
გენერალურ მდივანთან, ლუკ ტრიანგლთან ერთად ევროპის  
პროფესიონელთა კონფედერაციის (ETUC)  
მიერ დაორგანიზებულ აქციაზე.  
ფოტო: საქართველოს პროფესიონელთა გაერთიანება, 2023



1 მაისი, 2023 წელი – მშრომელთა საერთაშორისო  
სოლიდარობის დღე.  
ფოტო: საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება, 2023



1 მაისი, 2023 წელი – მშრომელთა საერთაშორისო  
სოლიდარობის დღე.

ფოტო: საქართველოს პროფესიონელთა გაერთიანება, 2023



ფოტო: საქართველოს პროფესიონული გაერთიანება



ლუკა პერტაია, ნეტგაზეთი, 2020



წყარო: ღირსეული შრომის პლატფორმა



წყარო: თორნიკე მანდარია, 2018, ჯემნიუსი



წყარო: სოლიდარობის ქსელი, 2017



წყარო: 2017 წლის 1-ელი მაისი, გიორგი დიასამიძე,  
ნეტგაზეთი



წყარო: „გილდიას“ ფეისბუქი,  
ფოტოგრაფი სოფო აფციაური, 2023

ირაკლი ირემაძე  
გაბრიელ ჩუბინიძე  
ქეთი სართანია

# შრომის ისტორია საქართველოში

თბილისი  
2024

პუბლიკაციაში გამოქვეყნებული ვიზუალური მასალები  
დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს  
პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ივანე  
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. პუბლიკაციაში  
გამოყენებული ვიზუალური მასალების ნაწილი  
მოპოვებულია ინტერნეტის ღია წყაროების საშუალებით

ფოტოების გამოყენების ნებართვა „კავკასიურმა სახლმა“  
მიიღო საავტორო უფლებების მფლობელი პირებისაგან

ტექსტის რედაქტორი  
დიზაინერი/დამკაბადონებელი

მარიკა ტყეშელაშვილი  
ნიკოლოზ გელაშვილი

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი  
თბილისი, გ. ჭაბიძის ქ. №20

